

ზაზა აბზიანიძე  
ქეთევან ელავილი

# სიგელთა ილუსტრირებული



ტომი I

ა-ბ



ბაკმი  
2011

**ზ. აბზიანიძე, ქ. ელაშვილი. „სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია“  
ტომი I. 160 გვერდი. 195 ტერმინი, 355 ილუსტრაცია.  
(მეორე გამოცემა)**

**Z. Abzianidze, K. Elashvili. "The Illustrated Encyclopedia of Simbols"  
(Second editions)**

კონსულტანტი – ზურაბ კიხნაძე.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რედაქტორი – რუსუდან შოსიძე

გამომცემლობის მთავარი რედაქტორი

მხატვრული რედაქტორი – ბუნდო მაცაბაერიძე

გარეკანზე: მოყვარის ფაშების აღმნიშვნელი სიმბოლური გამოხატულება ინგოლშტადში გამოცემული ასტრონომიული ატლასიდან (1540 წ.).  
კურეციის ემბლემა – ლომი სან-მარკოს მოედანზე.

© გამოცემლობა „ბაკმი“, 2011

© ზ. აბზიანიძე, ქ. ელაშვილი. ტექსტი, ვიზუალური მასალა.

© ყლის დიზაინი - ნუგზარ მექმარიამეილი.

© წიგნის გამოცემის ყველა უფლება ეკუთვნის გამომცემლობას.

© Copyright. All rights reserved

© „Bakmi“. Tbilisi, 2011

ISBN 978-99940-27-98-9 (ორივე ტომი)

ISBN 978-99940-27-99-6 (პირველი ტომი)

სამბარ-თამაშო, თბილისი, 2011 წ.

## წინასიტყვაობა

თქვენს ხელთაა სიმბოლოთა პირველი ენციკლოპედია ქართულ ენაზე. დასაზნაია, რომ ამ ტიპის ენციკლოპედია დიდი დავკიანებით გამოდის (თუ სხვა ცივილიზებულ ერებს შევედრებით), და იმით თუ დაეიმშვიდებთ თავს, რომ იშვიათია ანალოგიური გამოცემა ესოდენ მდიდრად ილუსტრირებული.

სიმბოლოში დაუნჯებულ სიბრძნეს (გნებათ - საიდუმლოს) ბოლომდე ვერაეინ ამოიცივოს, მაგრამ თვით ძიება ამ საიდუმლოსი თუ მასთან მიახლოება (ისევე, როგორც წმინდა გრაალის თასთან) თავისთავად შემოქმედებითი პროცესია, მოულოდნელი აღმოჩენების ალტაცებით აღსავსე. ჩვენს გამიზნულ წიაღსვლებსაც თუ გაეთვალისწინებთ, შეიძლება იმედი ექიწიოთ, რომ „სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედიის“ ორი ტომი, ბევრ შემთხვევაში, ქართველ მკითხველს ჯერ არასებული კულტუროლოგიური ენციკლოპედიის მაგეორობასაც გაუწევს.

ახლა რამდენიმე სიტყვა თავად სიმბოლოს შესახებ: „სადაა ცოდნის ძებნაში დაკარგული სიბრძნე, სადაა ცნობათა მოძიებაში გაბნეული ცოდნა?“ - თომას სტერნზ ელიოტის ამ პათეტიკურ კითხვას ერთადერთი პასუხი აქვს - სიმბოლოებში...

და მაინც, რაშია სიმბოლოს არსი, მისი მაგია, ზემოქმედების ის ძალა, რომელმაც უღიდეს წინელ ფილოსოფოსს კონფუციუსს ათქმევინა: „ემბლემები და სიმბოლოები მართავენ მოფილოს და არა სიტყვა ან კანონი“.

„სიმბოლო“ ბევრ საბერძნეთში ეწოდებოდა დანაწევრებული ფირფიტის იმ ნატეხებს, რომელთა შეერთებითაც უნდა ამოეცნოთ ერთმანეთი ქონების მემკვიდრეებს ან ფარულ თანამოაზრეებს. „სიმბოლოს“ მფლობელთა პრობლემები მონაგონია იმ სირთულესთან შედარებით, რომელიც ახლავს სიმბოლოს, როგორც ფსიქოლოგიისა და ზოგადსაკაცობრიო კულტურის ფენომენის კვლევას. ეს სირთულე უკვე საკუთრივ „სიმბოლოს“ ცნების განსაზღვრებაში იწყება: „ნებისმიერ საგანს შეიძლება მიენიჭოს სიმბოლური მნიშვნელობა, რომელიც იცვლება კულტურებისადა მიხედვით, ეპოქათა განმჯელობაშიც. მაგრამ სიმბოლოს უნარი - ლაკონურად და ყველასათვის გასაგებ ენაზე ასახოს ცნება, რომლის გამოხატვასაც მრავალი სიტყვა დასჭირდებოდა, უძველესი დროიდან გადააქცია ის რელიგიის, კულტურისა და ხელოვნების უნივერსალურ ენად“.

სიმბოლოში კონცენტრირებული ინფორმაცია ძალზედ წაგავს გენეტიკურ კოდს; ის მნიშვნელობათა ისეთივე ვრცელ მწკრივს იტევს, როგორცაა, ვთქვათ, გენეტიკური სპირალი.

თუ მილიონობით ადამიანათვის ისეთი სიმბოლოები, როგორცაა, მაგალითად ჯვარი და ნახევარმთვარე მსოლოდ ქრისტიანობასა და ისლამს განასახიერებენ, სიმბოლიკის მცოდნეთათვის, ეს სრულიად ამოუწურავი თემაა. საქმარისია გავისწნოთ, რომ რენე გენონის წიგნი „ჯერის სიმბოლიკა“ 700 გვერდს მოიცავს! ამ წიგნის შესაქალში ავტორი აღნიშნავდა, რაოდენ ამოუწურავია საზოგადოერ სიმბოლოს მნიშვნელობა და რომ მისი გამოკვლევა ჯერის სიმბოლიკის მსოლოდლა მეტაფიზიკურ ასპექტს მიმოიხილავს.

ბროკაუზისა და ფერონის კლასიკური ენციკლოპედია სიმბოლოებს სამ კატეგორიად ყოფს: საგნობრივი სიმბოლიკა (ჯვარი, დისკი, მზე, ხელი, თეული, ყუაილი და ა.შ.); რიტუალური სიმბოლიკა (ნებისმიერი რიტუალი - პირველყოფილი ცეკვებიდან დაწყებული და თანამედროვე პარადით დამთავრებული) და სიტყვიერი სიმბოლიკა (სახელთა და სახელწოდებათა სიმბოლიკის ჩათვლით).

სიმბოლოს განსაზღვრებას გაგვიადვილებს მისი გამიჯვნა „მეზობელ“ ცნებათაგან. ესენია: ნიშანი, ემბლემა და ალეგორია. სიმბოლო თავდაც ნიშანი (დამნიშნელი), მაგრამ ყოველი ნიშანი როდია სიმბოლო. სიმბოლოს უმთავრესი განსხვავება ნიშნისაგან (ემბლემისაგან) - მისი მრავალმნიშვნელობანობაა. პოლისემანტიზმი. ტყუილად როდი ითქვა, რომ „სიმბოლო - ესაა ერთდროულად საიდუმლოც და ამ საიდუმლოს წვდომაც“. სიმბოლოს ბოლომდე შეუცნებელ არსს საზგასპით აღნიშნავდა კარლ გუსტავ იუნგი: „სიმბოლო უნდა მოიცავდეს, - წერდა იგი, - ერთგვარ „გაუცნობიერებელ“ ასპექტს, რომელიც ბოლომდე ვერასოდეს ვერ იქნება ცალსახად ახსნილი ან ჩამოყალიბებული“.

ეს „ცალსახობა“ და ერთმნიშვნელოვნება ემბლემას, ნიშანს და ალეგორიას ახასიათებს. ნებისმიერი ნიშანი - ასტროლოგიური, ალქიმიური ან ყოფილი (სავზაო, მაგალითად), სრულიად კონკრეტულ ინფორმაციას მოიცავს. იეროგლიფში, სანოტო ნიშანსა თუ მენდრედევის ტაბულაში დაუშვებელია „მიახლოებითობის“ ცნება („ან“ - „ან“). ასევეა ემბლემატიკაში, ოღონდ აქ ერთგვარ სემანტიკურ აღრევასთან გვაქვს საქმე: ზმირად ჩვენ წმინდა ლინგვისტური ინერციით, სიმბო-

ლოს ეუწოდებთ იმასაც, რაც რეალურად, სიმბოლოთა პოეტიკის თვალსაზრისით, ემბლემა, სრულიად კონკრეტული და ერთმნიშვნელოვანი. ასე იქცა ოდესღაც დაწუნებული ვიფელის კოჰკი პარიზის ემბლემად. და როდესაც ტრადიციით ვაშბობთ – „პარიზის სიმბოლო“ – ეს დიდი შეცოდება არაა. თუ ჩვენვე ვიყით, რა რეალური სხვაობაა ამ ცნებებს შორის. სიმბოლოსაგან განსხვავებით. ემბლემებს, ამ „ხილულ მეტაფორებს“ თავისი მკვლევარი ჯერ კიდევ აღორძინების ხანაში გამორჩნდა: „ემბლემატიკის მამად“ წოდებული ანდრეა ალნატის 1531 წლით დათარიღებული „ემბლემათა წიგნი“ („Emblematum liber“) შემდგომ უკვე 150-ჯერ გამოიცა სხვადასხვა ენებზე.

„სიმბოლოთა ენციკლოპედიაში“ ჩვენ ძალზე ხშირად ვლაპარაკობთ ემბლემებზე: ემბლემატიკა-ქერადლიკა-სიმბოლიკა რეალურ სინაზღვილეში (და ისტორიულადაც) მუდმივ ურთიერთქმედებაშია. ისეც ხდება ხოლმე, რომ ერთი და იგივე საგანი ერთ შემთხვევაში შეიძლება ნიშანი იყოს, მეორეში – ემბლემა. მესამეში კი – სიმბოლო. (ასე მაგალითად. ხუთქმიანი ვარსკვლავი სამხრებზე – ნიშანია; ვერბზე – ემბლემა; ხოლო ბუთლემის თავზე გამოსახული – სიმბოლო). როდესაც ნიკოლოზ ბარათაშვილი წერს ლექსს „ჩემს ვარსკვლავს“ და ამ „ვარსკვლავში“ თავის სატრფოს გულისხმობს – ეს უკვე მეტაფორაა და ერთი მშვენიერი არსების ვარსკვლავად წარმოსახვად უნდა გვაგონოხინის მისი მოციმციმე, მცდუნებელი სიბლიც და მისი მოუხელთებელი სიმორცე.

მაგრამ თუ ხელოვანი თავის შინაგან მიმართებათა გადმოცემისას, უკვე აპრობირებულ სიმბოლოებს მიმართავს ან თავის მეტაფორულ ხელწერას სულ უფრო და უფრო უსადაგებს პირობითობის ამ ენას, ჩვენ ვლაპარაკობთ სიმბოლიზმზე, როგორც ესთეტიკურ მიმართულებაზე.

როგორც ვთქვით, სიმბოლოს კიდევ ერთი „მეზობელი“ ჰყავს – ალევორია. სიმბოლოსაგან განსხვავებით, ალევორია ყოველ კონკრეტულ ასოციაციაზე აგებულ ერთსახივან სურათს წარმოადგენს – ეს შეიძლება იყოს იგაიცი. ფერწერული ნამუშევარიც. ქანდაკებაც... როდესაც ხელხან-საბას „კუს და მორიელს“ ვკითხულობთ, ალევორიის კლასიკურ ნიშნებს ეხებათ: მორიელს. რომელიც ცალსახად ბოროტ საწყისს განასახიერებს. მაგრამ, თუ მორიელზე როგორც სიმბოლოზე დავიწყებთ ლაპარაკს, ჩვენი ენციკლოპედიის შესატყვისი სტატია დაგარწმუნებთ, რაოდენ ვრცელი სიმბოლოური დიაპაზონი აქვს ამ პატარა შხაშიან არსებას, როგორ იცვლება საუკუნეთა განმავლობაში ეს სიმბოლო და რაოდენ განსხვავებულია მისი აღქმა სხვადასხვა კულტურულ ტრადიციაში.

სიმბოლოს სწორედ ამ მაგიურმა უნარმა – გაითავისოს განსხვავებული ეპოქების და ეთნოკულტურები, მუდმივად განაცვიფროს ადამიანი მოულოდნელი ასოციაციებითა და წედომებით, მიჩნა ელიადეს ათქმევინა, რომ „სიმბოლოთა დანიშნულება – ვადაარჩინოს კაცობრიობა კულტურული პროინციალიზმისაგან“. ასეთივე ზოგადკაცობრიულ განზომილებაში აღიქვამდა სიმბოლოს ოუნგი: სიმბოლო, მისი აზრით. შინარსს სძენს ადამიანის ცხოვრებას, ხოლო თვით ფენომენი სიმბოლოში კაცობრიობის „კოლექტიურ არაცნობიერში“ მოვლემარე არქეტაიპების ანარეკლია.

სიმბოლოს იშვიათად თავისებური, ბოლომდე შეუცნობელი, „მოლივივე“ ბუნების გამო, მასზე თხრობა, დაწყებული აკადემიური ენციკლოპედიის ფარში, ჩვენდა უნებლიედ, ვადაიზარდა ერთგვარ პატარა ესეეებში, რომლებმაც, საბოლოო ჯამში (სიმბოლოს რომ შეშვენის, იმ მაგიური ძალით), განაერცეს ჩვენი თავდაპირველი ჩანაფიქრი. ესოდენ „ესეისტურმა“ ენციკლოპედიამ, თავის მხრივ, შესატყვისად შერჩეული ვიზუალური მასალა მოითხოვა, ხოლო ილუსტრაციებმა ცალკე კომენტარი და ა.შ.

ერთის თქმა ნამდვილად შეიძლება: ჩვენც – ამ წიგნის ავტორებმა, გამომცემლებმაც, რედაქტორებმა და კონსულტანტებმაც, იმ ჩვენმა მეგობრებმა და კოლეგებმა, რომელთა შემწეობითაც იხვეწებოდა ეს წიგნი და შეიჩნა ეს ილუსტრაციები. ყველაფერი გაეაკეთეთ, რათა ქართულ მკითხველს აღმოჩინა და გაეთავისებინა სიმბოლოთა „ღვთაებრივი ღედარბი“. ეგრანო განსხვავებულ კულტურულ ტრადიციათა მრავალფეროვნების სიბლი, ის ტიპოლოგიური შგავსებანიც, რაც ქართულ სიმბოლიკას ამა თუ იმ კულტურულ ტრადიციასთან ანათესავებს და ის განუმეორებლობაც, რომლითაც გამოირჩევა ქართული ფენომენი.

თუ ყველა ეს ჩვენი სურვილი განხორციელდა, ჩათვლით, რომ ჩვენი მთავარი მიზანი მიღწეულია და წიგნი, რომელიც გაუნდლებელი ინტერესით იქმნებოდა, ასეთივე ინტერესით წაიკითხება.

ზაზა აბზიანიძე



## აღამიანი

აღამიანი - გვირგვინი ყოველივე არსებულისა; მატერიალურისა და სულიერის გამაერთიანებელი; ნიქსუს მეტაფორის თანახმად - „ხიდი ცხოველსა და ანგელოზს შორის“.

აღამი, რომლის სახელიც, როგორც ვხედავთ, საფუძვლად დაედო „ძე ხორციელის“ აღმნიშვნელ ქართულ სიტყვას, - ბიბლიური პირველადამიანია, რომელმაც კოსმიური მთლიანობა უნდა განაზოციელოს.


ანტიკური ტრადიცია აღამიანში ხედავდა გაერ სამყაროს - მაკროკოსმის აშსახველ მინიატიურულ მოდელს - მიკროკოსმს, ხოლო აღამიანის სხეულში - სამყაროს კოსმიურ პროტოტიპს. ამ რწმენიდან გამომდინარე, აღამიანი, როგორც მიკროკოსმი, შვიდი პლანეტისა და ოთხი ელემენტის გაკლენის ქვეშ იმყოფებოდა: ძელები ასოცირებული იყო მიწასთან; თავი - ცეცხლთან; ფილტვები - ჰაერთან; ხოლო სისხლი - წყალთან. სხვათა შორის, ეს ასტროლოგიური სიმბოლიზმი საფუძვლად დაედო არა მხოლოდ იმდროინდელ მედიცინასა და ალქიმისს, არამედ ფილოსოფიასაც. ძველგვიანტურ, ინდურსა თუ ჩინურ ფილოსოფიაშიც იგივე ამოსავალი პრინციპია, რაც ბერძნულში, ოღონდ ცხადია, სიმბოლიკაა განსხვავებული: ასე მაგალითად, ჩინურ „გარდასახვათა წიგნში“ აღამიანის თავი ცასთანა შედარებული და ამალღებულ ნიშანს - „იანს“ განკუთუნება, ხოლო მუცელი - მიწ-

ას და, შესაბამისად, საპირისპირო სიმბოლიკის ნიშანს - „ინს“. ჩინური ტრადიცია ასევე ძალზე ხატოვნად წარმოსახავს აღამიანის სხეულისა და სახელმწიფოს ანალოგიას: ქვეყნის ცენტრი - ეს მისი გულია, პერიფერია - კიდეურები; გულსა და სამყაროს ცენტრსაც ჩინელთათვის იმპერატორი განასახიერებდა, რომლის ღეთაებრივი წარმომავლობა და სიქველის მისტიკური უნარიც („დე“) ეჭვმიუტანელი იყო. ძველი ეგვიპტელებიც ასევე აღიქვამდნენ თავის ქვეყანას, როგორც ფარაონის სხეულს.

აქ წრეში ჩახატული გამოსახულება ყურდნობა პითაგორულ ტრადიციას, რომელიც ხშირად იყო გამოყენებული ტაძრების მშენებლობისას.

აღამიანის სახისმეტყველება განსაკუთრებული სრულყოფით საღეთო წერილშია გადმოცემული: ძველი აღთქმის პირველსავე წიგნში - დაბადებაში ასახულია არა მხოლოდ აღამიანი, არამედ მთელი კაცობრიობის ისტორია. ამაზე მეტყველებს სახელი „აღამი“, რაც ებრაულ ენაზე „კაცს“ ნიშნავს - ტომთა მამამთავარს, რომელიც თავის თავ-

ში „კოლექტიურ პიროვნებას“ ანუ მთელ შთამომავლობას მოიცავს. დაბადების მიხედვით, მიწიერი აღამი - აღამიანი არის თავისუფალი ქმნილება, განუწყვეტელ და აუცილებელ მიმართებაში მყოფი შემოქმედთან. ღმერთმა „ხატად თვისად შემოქმედი“ პირველადამიანს - აღამს, სამოთხეში ცხოვრების წინაპირობად აუკრძალა „არა ეგემა“ ნაყოფი „ხისა ცნობადისა“, მაგრამ რადგან ცდუნებულმა აღამმა არ შეისმინა უფლის ეს აკრძალვა,



ლეონარდო და ვინჩი. მამაკაცის ფიგურის პროპორციის კანონი კიტრუეუისის მიხედვით. ვენეცია, აკადემია, დაახლ. 1492 წ.


მან თავის მოდგმას დაურღვია „გარანტირებული“ სამოთხისეული სულიერი პარმონია და მას შემდეგ, ყოველმა ადამიანმა თავად უნდა მოძებნოს თავისი გზა უფლის შეცნობისა, სულიერი დახვეწისა, განწმენდისა და სრულყოფის - კათარზისის. ბიბლიის მიხედვით, ეს გზა - „ზეციურ აღმშო“ - იესო ქრისტეშია გაცხადებული, მაგრამ რადგან ცხოვრება - სულიერი და ხორციელი საწყისის მარადიული ჭიდილია, „არსთა გამგებელმა“ თავის „მიწიერი შეილები“ დააჯილდოვა სინდისით ანუ „მამხილებელი გონებით“ (სულხან-საბა). რომელიც თითოეული ჩვენგანის უხილავი მსახულია და რომლის ენაზეც ზენაარი ესაუბრება თავის ქმნილებებს. ქრისტიანული ხატურა ადამიანის სულიერი ამაღლებისა და ღვთაებრიობის ანარეკლს მის თვალებსა და ხელებში ხედავს, რადგან თვალები „სულის სარკეა“, ხოლო ხელები - „სულის მოძრაობა“.

რაც შეეხება მწერლობას, მას შემდეგ, რაც ის არსებობს, მისი მთავარი და ძირითადი თემა ადამიანია. ამიტომ, ცხადია, ლიტერატურული ილუსტრაციები აქ, შესაძლოა, უსასრულო იყოს... თუმცა, ქართველ კაცს ალბათ, ისევ და ისევ ვაჟას გაუნელებელი ტკივილით ახლავს ლექსი ახსენდება - „რამ შემქნა ადამიანად“...

## ადამიანის სხეულის სიმბოლიკა

მას შემდეგ, რაც ადამიანმა თავისი თავი შეიცნო, მას დაუოკებელი წყურვილი დაუფულა სიმბოლურად დაეწინაურებინა თავისი სხეული: შედეგად, ამ სიმბოლოთა სისტემას უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ყველა კულტურულ ტრადიციაში.

„იდეალური ადამიანი“ გრაფიკულად წარმოიასხებოდა წრეში, პენტაგონში, ჰერმიონში, სადაც ამ გეომეტრიული ფიგურის ოთხი მხარე ადამიანის ხელ-ფეხს შეესაბამებოდა, ხო-




ადამიანის სხეულის სიმბოლიკა, ან ანთონის კონსტანტინის ილუსტრაცია 1658 წ.

ლო მწვერვალს - თავს; ეს ნიშნავდა რაციონალური საწყისის ბატონობას ირაციონალურზე.

სამყაროს ოთხი ელემენტი კიდურებით იყო წარმოდგენილი: ფეხები მიწასა და წყალს განსახიერებდა, ხელები - ცეცხლსა და ჰაერს. ოთხივე ეს ელემენტი გამჭვავებული იყო ეთერით, რომლის სიმბოლოც გახლდათ ტუნი. ამ ზოგადი, არქეტაული სქემის პარალელურად, ადამიანის სხეულმა სიმბოლოთა მთელი მწკრივი წარმოშვა. ზოგი აქედან იმდენად მნიშვნელოვანია (სისხლი, შავალითად), რომ გასცდა „ანატომიური“ სიმბოლიკის ჩარჩოებს და, შეიძლება ითქვას, დამოუკიდებელი არსებობა დაიწყო (შესაბამისად, ჩვენთანაც ცალკე სტატიებითაა წარმოდგენილი). მაგრამ, რადგანაც სიმბოლურმა ფანტაზიამ „ნეკიც კი არ დატოვა“ უყურადღებოდ, უთუოდ, უინტერესოდ არ იქნება ამ „ანატომიური ატლასის“ მოკლე მიმოხილვა:

**თავს** მრავალი ტომი თვლიდა ტანის განსაკუთრებით წმინდა ნაწილად. ეს სიწმინდე დაკავშირებული იყო რწმენასთან, რომ ადამიანის სული სწორედ თავშია (და არა გულში) მოთავსე-

ბული, ამიტომაც, უმეტეს შემთხვევაში, გარეშესაგან თავზე ხელის შეხება შეურაცხყოფის ტოლფასი იყო და არის კიდევ, ჯეიმს ფრეზერი წერს, რომ მაროს ტომის ბუნადის თავი იმდენად საკრალური იყო, რომ შემთხვევით თვითონ თუ მიიკარებდა თითს, სასწრაფოდ



ქალის სკულპტურული პორტრეტი დაზიანებული ეგვიპტე, ძვ.წ-ით XVIII ს. კენა, სამხატვრო-ისტორიული მუზეუმი



რადუ ქაუხშიანი. „შექანიკური თავი“ („ჩვენი დროების სული“). 1919-1920 წწ. პარიზი, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი

შეიყნოსავდა ამ „გარდამოსულ სიწმინდეს“, რათა თავის ადგილზე დაებრუნებინა.

ანტიკურ სამყაროში თავი აღიქმებოდა, როგორც სამყაროს სიმბოლო (კლატონი) - ადამიანში ღვთაებრივის საწყაული; ამგვარი ხედვა შუა საუკუნეების აზროვნებამ განაზოგადა და ადამიანი წელზეუთი ზეციურ საწყისს მიიკუთვნა, ხოლო წელქვევით - ეშმაკისუელს...

თავი, როგორც დანარჩენი ტანის „მმართველი და განმკარგულებელი“, ცხადია, საზოგადოდ მართვის, ხელმძღვანელობის სიმბოლოდ იქცა, რაც, ფაქტობრივად, ყველა ენობრივ სისტემაში აისახა (ქართულში „თავკაცი“, „მეთაური“, „ქალაქის თავი“ და ა.შ.).

დამოუკიდებელი მნიშვნელობა შეიძინა *თავის ძაღვამ*, რომელიც სიკვდილის ემბლემატურ გამოსახულებად იქცა და დღესაც, პირატების როშებიდან გადმოხატული თავის ქალა და მის ქვეშ გადაჯვარედინებული ძვლები - სასიკვდილო სოფრთხეზე მიგვა-

ნიშნებს. თუმცა ამ სიმბოლოს უფრო ღრმა და ფილოსოფიური განზომილება აქვს: ეს გახლავთ ცხოვრების ამოების იდეა, რომლის მხატვრული პერიფრაზი ესოდენ ცნობილია შექსპირის პიესიდან - ჰამლეტი იირიკის თავის ქალით ხელში... იგივე სიმბოლიკა აქვს ამ შემზარავ ატრიბუტს ფერწერულ ტილოებზეც; ხოლო ქრისტიანულ იკონოგრაფიაში ის წმინდანთა ამაოებისაგან განდგომაზე მიგვანიშნებს. ანალოგიურ ფენომენს ინდუისტურ კულტურაში სისხლით სავეს თავის ქალა გამოსახავს.

ჩრდილო ამერიკელ აბორიგენებთან თავისი სიმბოლიკა აქვს *საბლას*, როგორც სასიცოცხლო ძალის კონცენტრირებულ ელემენტს. სკალპირება „თავებზე ნადირობის“ ეკვივალენტი იყო და მტრის სკალპის მფლობელს სწამდა, რომ მისი მხევერპლის სულიერ თუ ფიზიკურ ენერჯიას ახლა უკვე თავად ფლობდა.

**მნა** ერთდროულად აგრესიის სიმბოლოცაა და თავდაცვისაც: ძველევროპული ღვთაება ბესი, რომელსაც ალამიანი სხედასხვა უბედურებისაგან უნდა დაეცვა, სწორედ ასე - ენაგამოყოფილი გამოსახებოდა. გრძელ ენებს უხატავენდნე ძველევროპული მხატვრები მიცვალებულთაც - მათ ზომღმერთებთან მოუწევდათ თავის მართლება... ინდუისტურ იკონოგრაფიაში ღმერთქალ კალის სისხლისფერი ენა მის მისხანებაზე მეტყველებდა, ხოლო აგნის შვიდი ცეცხლოვანი ენა




მელუზის თავი. ანტიკური სარკის უკანა მხარე. ბრინჯაო. ძვ.წ-ით 300-480 წწ.

- ამ ღვთაების „მფარველობით სფეროზე“...

სახარებისეული სიმბოლიკით, მაცხოვრის მოწაფეებზე სულიწმიდის გადმოსვლა (სულთმოფენობა), - რის შედეგადაც ისინი უკვე მოციქულებად გარდაისახებთან, სწორედ ცეცხლოვანი ენების მეშვეობით ხდება. ზოგჯერ ქრისტიანულ იკონოგრაფიაში მოწამეები ენამოკვეთლნი გამოსახებთან (მაგალითად, ენამოკვეთილი მაქსიმე აღმსარებელი და წმ. იოანე ნეპომუკი).

**პირი**, მეტაფორული წარმოსახვით, კარიბჭვა ორ სამყაროს შორის: ამიტომ, რომ იკონოგრაფიაში პირდოფრენილი ურჩხულები ჯოჯოხეთის კარს გა-



შენ რეი. „დროის თვალსაწიერი - საყვარლები“. 1932-1934 წწ.

ნასახიერებენ. პირი, ამავე დროს, რაღაც თქმა უნდა, თავად სიცოცხლის სუნთქვაა და მრავალსიმეტყველია, რომ ძველი ეგვიპტელები პირს არ უკრავდენ თავი-



კლუშმადელი იპრიკა შაის კულტურა. კლასის ტაძრის პარკილიყვი. ახ.წ-ით VIII ს.

ანთ მიცვალებულებს, რათა მათ იმ ქვეყნად ხელახალი ცხოვრება შეძლებოდათ.

**კბილებს** აგრეთვე აქვთ თავიანთი დამოუკიდებელი სიმბოლიკა, რომელიც ფსიქიკის უღრმეს შრეებს უკავშირდება: კბილები, როგორც თავდასხმის უძველესი, ბუნებრივი იარაღი აგრესიასა და აქტივობას განასახიერებენ; კბილის დაკარგვა კასტრაციის ან იმპოტენციის მაუწყებლად აღიქმებოდა. ეს დაკავშირება კბილისა მამაკაცურ ღირსებებთან უცნაურად არ მოგეგონებათ, თუ გაიხსენებთ, რომ პირველყოფილი ადამიანის ერთ-ერთი მორთულობა მონადირეობის ცხოველების კბილებისა და ბრტყალების აცმა იყო (ზოგჯერ მასში




სალვადორ დალი. „ჯოია“ (იჭირა, ძიწი. მარგალიტი). 1941 წ. (ფრანგებზე)

დამარცხებული მტრის კბილებიც ერია). ამგვარი ყელსაბმელი დღესაც აუცილებელი ატრიაბუტია შამანისა თუ ტომის ბელადისათვის, როგორც მათი ძლიერებისა და ძალაუფლების სიმბოლო. ამ ინერციითაა, რომ ადამიანი მტკივნეულად განიცდის ცხადსა თუ სიზმარში დაცარებულ კბილს.


**ცხვირი** - როსტანის „სირანი დე ბერკურაკიათა“ და გოგოლის მოთხრობით („ცხვირი“) უკვდავყოფილი, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, სიმბოლითა სისტემაში უმთავრესად ეროტიკულ მწკრივს განეკუთვნება და, მაგალითად, ცხვირის უნებლიე ფხანა, ფსიქონალიტიკოსების აზრით, მამაკაცური თავმომწონების გაუცნობიერებელი დემონსტრირება...

ამასთანავე არსებობს კლასიკური ევროპული წარმოდგენა ცხვირზე, რო-

გორც ინტელექტუალურ თვისებათა ერთგვარ „ინდიკატორზე“, რამაც სა-



ამერიკელ ინდიელთა ნიდაბი დ-რ სელისის კოლექცია (აშშ)




ონორე ლომიე. კრავ დ'არგოს გროტესკული გერბი. 1832 წ.

თავე დაუღო ლიტერატურულ და სა-  
ტირულ სახეთა მთელ წყებას.

**ყურს** აგრეთვე აქვს თავისი მითო-  
ლოგიური და სიმბოლური „წარსუ-  
ლი“: მეფე მიდასის „ვირის ყურები“  
ძველბერძნულ მითში სიბრყვეზე მი-  
ნიშნებაა. დიდი ყურები გრძელი ბი-  
ბილოთი ინდოეთსა, ჩინეთსა და ინკე-  
ბის იმპერიაში დიდგვაროვნებასა და  
სიბრძნეს განასახიერებდნენ. აღმოსა-  
ვლეთში საერთოდ თვლიდნენ, რომ რაც  
უფრო დიდი ყურები აქვს ადამიანს, მით  
უფრო ჯანმრთელია იგი და დიდხანს  
იციოცხლებს („ბუდას პქონდა დიდი  
ყურები“). ამასთანავე, ჩინურმა მე-  
დიცინამ შეიმუშავა მთელი სისტემა,  
რომელიც ყურს განიხილავდა, როგ-  
ორც ჩანასახის ანალოგს. ზოლო ყურ-  
ზე განლაგებული მგრძნობიარე წერ-  
ტილები ადამიანის ყველა შინაგან ორ-  
განოს დაუკავშირა. სწორედ ამ წერ-  
ტილებზე ზემოქმედებით კურნავდნენ  
სნეულს.

ბიბილოს გაზრეტა თავდაპირვე-  
ლად მორჩილების ნიშანი იყო მონები-



მასაების ტომის მუომანს არა აქვს კაპოლუტკა და  
აქლუბანტები. საიბაგიროდ. აქვს კვ ზომ  
მორთული ყურა


სათვის; შემდგომ ეს ტრადიცია საყუ-  
რის ტარებისა აღიქმას დაუკავშირდა:  
დერეშები ატარებდნენ საყურეს, რო-  
გორც განმასხვავებელ ნიშანს და აღ-  
აჰთან კავშირის სიმბოლოს; მეზღვა-  
ურის საყურე - ზღვასთან მის „დაწი-  
ნდვას“ აღნიშნავდა... ცხადია, ვერც  
ქალები დარჩებოდნენ გულგრილნი ეს-

ოდენ მრავლისმეტყველი სიმბოლიკი-  
სადა...

**წვერ-ულვაში** ოდიფანეუ მამა-  
კაცურ ღირსებას, ძალას და გონიერე-  
ბას განასახიერებდა - ჩვენს წარმოდ-  
გენეში ბრძენი პატრიარქი აუცილე-  
ბლად გრძელი თეთრი წვერითაა შემ-  
კული. ეს ასოციაცია - წვერ-ულვა-  
შისა და სიბრძნის, ღირსების, იმდენად  
ძლიერი იყო, რომ ძველ ეგვიპტესა და  
ასურეთში ჯერაც უწვერული, ყმაწ-  
ვილი მეფენი ქვეშევრდომთა დასანახ-  
ად ხელოვნური წვერით დადიოდნენ. ის  
კი არა და. ეგვიპტელი დედოფალი ხა-



საზრონ აქაქელის საკარაულო პორტრეტი.  
პრინჯაო. ძვ.წით. XXIII ს. პალადა. ერავას  
მუზეუმი



კაბლო ჰიკასო. „ქალი პლიაძზე“. (1937 წ.)

ტშესუპტი, თავისი მაღალი მდგომარე-  
ობის ხაზგასმელად „კიკინა წვერით“  
(სხვაგვარად „ეჰსანიოლკა“) გამოისა-  
ხებოდა. ზოგჯერ, ამავე მიზნით, ქა-  
ლები ტატუირებას მიმართავდნენ (ასე  
იყო მაგალითად, იაპონიის კუნძულე-  
ბის აბორიგენებთან - აინებთან).

ინდოეთში წვერ-ულვაში ასკეტუ-  
ბისა და მოხეტიალე ფილოსოფოსების  
გარდა, სიქმთა მრავალმილიონიანი  
ეთნოსის განმასხვავებელი ნიშანია.

თავისი სიმბოლიკა აქვს წვერის  
ფერს: მეტი შთაბეჭდლობისათვის სპა-

რსეთში წვერს იწიოთ იღებდნენ. ძველ ჩინეთშიც ასევე ღიდად ფასობდა წითლად შეღებოლი წვერი. აი. ლურჯი წვერი კი შარდ პეროს ამავე სათაურის ზღაპარმა სასტიკი ქალმომძულ-

ის სიმბოლოდ დაამკვიდრა. ფსიქონალიტიკოსების აზრით, წვერი აქ ცხოველური ინსტინქტის სიმბოლოა. ხოლო ლურჯი ფერი შიშა და ძრწოლას განასახიერებს.

იხივ სათქმელია, რომ წვერ-ულვაშის ტარების ტრადიციას თავისი ისტორიული პერიოდები ქჰონდა: მაგალითად, არ ატარებდნენ წვერს რომაელები; რუსეთში კეტრე ღიდა აკრძალა ბოიარების „გაბურძენილი“ სიარული და რუსეთის იმპერიაში ჯერ კიდევ XIX ს. 60-იან წლებში წვერის მოშუება ერთგვარ ლიბერალურსულისკუთუბაზე მიუთითებდა (ამის ილუსტრაცია გახლავთ ჩვენი „თურგდალეულების“ სტუდენტობის დროინდელი პორტრეტები). ქართულ სინამდვილეში წვერის მოშუება გლოვის მიმანიშნებელი იყო: რაც შეეხება ულვაშს – ეს გახლდათ მამაკაცური ღირსების უცილობელი ატრიბუტი და არა მხოლოდ ვიზუალურად, არსობრივადაც. საქმარისია გავისხნოთ XX ს. დამდეგამდე მოღწეული ადამი, როდესაც თამასუქის სანაცვლოდ, კაცური სიტყვის დასტურად, საქმამ გარიგებაში ულვაშის ღერი ფიგურირებდა.



ადამიანს უკრისთავის მტკიცის ჯერის დამხველკო უახლდის მარჯვლკო ახ წათი. VI ს. 90-იანი წწ. (სორტუღლერი რესტარაცია)

**თმის** ვარცხნილობის მიხედვით დღესაც შეიძლება რაღაცის თქმა ადამიანზე. მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რაოდენ მდიდარი „ისტორიული სიმბოლიკა“ აქვს თმის და რა გართულებული ქჰონდათ ცხოვრება ჩვენს წინაპრებს თმასთან დაკავშირებული ტაბუირების მთელი სისტემით.

ცნობილია, რომ თმა, ფრჩხილები, წვერ-ულვაში ადამიანის სიკვდილის შემდეგაც იზრდება. შესაძლოა, ამნაიე განაპირობა უკველესი რწმენა, რომ ადამიანის სასიცოცხლო ენერგია სწორედ აქა მოქცეული და თმა თუ ფრჩხილები, თუნდაც მოკრილი, მაგიერად წარმართავს მის ბედ-იღბალს. ჯეიმს ფრეზერის „ოქროს რტოში“ მოყვანილია მრავალი მაგალითი „კონტაგიოზური მაგიისა“ – როდესაც სწორედ თმისა თუ ფრჩხილის მოკადლეობით მიიღწეოდა ადამიანის მოკვდინება ან გაძლიერება: თმის შეჭრა იმდენად სახიფათო პროცედურად ითვლებოდა, რომ, ფრეზერის თქმით, ერთ-ერთი ტომის ბელადი ფიჯის კუნძულებიდან ამ რიტუალს ადამიანის შეჭმით „უკნებელყოფდა“. უკვე „ცივილიზირებულ“ ევროპაშიც კი ფრანკი მეფეებისათვის კატეგორიულად იყო აკრძალული თმის გაკრეჭა, რაც ტა-



წწ. ინოუგის ხატი (1650-1670 წწ.). წწ. იოანე დუოსიმეტეველის მონასტერი (საბერძნული. კატმოსი)



პეტერ პაულ რუბენსი „სამსონი და დალილა“. დაახლ. 1609 წ. ლონდონი, ნაციონალური გალერეა

ხტზე უარის თქმად აღიქმებოდა. რწმენა თმის ცხოველმყოფელი ძალის ხატობენად გამოიხატა ბიბლიურ სამსონში, რომლის „ფაფარივით“ თმა მისი ქარიზმისა და უძლველობის ნიშანი იყო და რომელიც ემსხვერპლა კიდევ „დალალების“ დალატით შეჭრას.

თმის შეჭრას სხვადასხვა ტრადიცი-აში განსხვავებული სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ყველა შემ-

თხვევაში ამ პროცედურას თან ახლდა განსაკუთრებული ელფერი: ანტი-კურსამყაროში ვარცხნილობა თავისუფალ მოქალაქეთა პრივილეგია იყო და მონებას თუ ტყვეებს თავს პარსადენენ (ეს ტრადიცია დღემდე ვრცელდება პატიმრებსა და ჯარში ახალგაწვეულებზე). ძველი ბერძენები „იმქვეყნიური მოგზაურობის“ წინ მიცვალებულს ერთ კულულს აჭრიდნენ, რადგან თვლიდნ-

ენ, რომ ამით ათავისუფლებდნენ განსვენებულის სულს. საერთოდ. „გადახო-ტრილი თავი“ ასკეტური ცხოვრების ნიშანია: ასე იყო ძველ ეგვიპტულ ქურუმებთან (მეტიც, ისინი საერთოდ „გაპუტულები“ უნდა ყოფილიყვნენ); ბუდისტ ბერებთან; ასევე ისლამში; ამასვე ნიშნავდა კათოლიკე ბერების „ტონზურა“ („კოჭიკური“) – სპეციფიკური გაკრეჭვა და მონაზონი ქალებისათვის



ლევო სერებნიკოვი. „თმის კარგება“. 1887-1890 წწ. პარიზი, ლუვრი

„ნაწნავითა მოკვცა“. ჩინეთში ჩვენს დრომდე მიღებული იყო ღვთისმოსაობის ნიშნად თავის გადაპარსვა, მაგრამ კეფაზე პატარა ნაწნავის დატოვება. ამ ნაწნავის მოჭრა თავისი სიმბოლოზმით კასტრაციას უთანაბრდებოდა. შსგაუცი ნაწნავები ჰქონდათ სამურაებს (რომელთათვისაც საკარალურ ნაწნავთან განშორება სიკვდილის ტოლფასი იყო); ინდიელ მუომრებს; მუსლიმან პილიგრიმებს... ამ უკანასკნელთა აზრით,

ის, ვინც სამოთხე დაიმსახურა, ზეცაში სწორედ ამ ნაწნავით აჰყავდათ.

მოგვხსენებთ, რამდენად არის და-მოკიდებული ქალის ხიბლი მისი თმის ფერზე, ფაქტურაზე, ვარცხნილობაზე, ისტორიულად, მირითადი აქცენტის სოციალური და რელიგიური ფაქტორით იყო განპირობებული: „მაჯის სიმსხო“ ნაწნავი ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტი იყო ქალური ღირსეობისა, ტრადიციული ოჯახისშვილობის

დასტური ქართველი პატარძლისათვის; რუსეთში ერთ ნაწნავს გაუთხოვარი ქალი ატარებდა, გათხოვილი კი-ორს; გაშლილი თმებს ფრიად მაცდუნებელი სიმბოლიკა ჰქონდათ, თუმცა იყო საპირისპირო მაგალითიც, როდესაც უგრძელეს თმას წმინდანთათვის (წმ. ანგესა, წმ. მაგდალინა) ან ლეგენდარულ ქერსონათათვის (ლედი გოლიკა) სამოსის მაგივრობა უნდა გაეწია.

ყველა დროსა და ეპოქაში სოციალურ და მორალურ დოკუმებს დაპირისპირებული ქალი პროტესტის ერთ-ერთ უმთავრეს ფორმად თმის გაბედულ ვარცხნილობასა და ფერს ირჩევდა. თავის მხრივ, საზოგადოებრივი რისხვის პირველი გამოკვლინებაც სწორედ ამ ვარცხნილობებზე იყო მიმართული და „მოტანტალე ქალებს“ (იხ. ი. გრიშაშვილის „ქალაქური ლექსიკონი“) თავს პარსავდნენ.

როგორც ვთქვით, თმის სიმბოლიკა არაერთგვაროვანია: ერთგან განსდევნალობა და ასკეტიზმი თმა-წვერმოშეხებული პატრიარქის იერთან არის ასოცირებული; მეორეგან კი - წმინდად თავგადაპარსულ ბუდისტ ლამასთან. თმის მოკვეთა ნაწილია ნათლისღების საიდუმლოსი და, აგრეთვე, ბერად აღკვეცისა. საინტერესოა ისიც, რომ ქრისტეს შუაზე გადავარცხნილი თმა მისი ნაზორველობის (ღმერთისადმი შეწირულობის) ნიშანია.

თმის სიმბოლიკას აქვს კიდევ ერთი ასპექტი. გლოვასთან დაკავშირებული: დავიწყებთ იქიდან, რომ სიმბოლიკა სიტემში სიმრავლე სევატიური ცნებაა და ქოვასთან არის ასოცირებული; საკუთრივ გაშლილი თმა - ანტიკური ტრადიციიდან დაწყებული და ჩვენი მოტირლებით დამთავრებული, - გლოვის გამომხატველია; უმაჟფრესი განცდის დროს თმას ბლუჯა-ბლუჯა იგლეჯდნენ; კირისუფალ ქალთა მოჭრილ ნაწნავებს XIX საუკუნეშიც კი აწყობდნენ ჩვენი საფლავის ქვებზე.

თავისი სიმბოლიკა აქვს თმის ფერსაც: ქერა თმა - სულიერი მუეუბრასთან იყო ასოცირებული; შავი - მიწიერთან; წითური - დემონურ ასოციაციებს


ინვედა. სხვათა შორის, ასევე ნეგატიურად აღიქმებოდა „ტანს მოდებული ბალანი“, რომელსაც ცხოველური საწვინის გამოყენებამ თვლიდნენ და აეხორც მითოლოგიურ პერსონაჟებსაც, როგორც წესი, შესატყვისად გამოსახავდნენ.

დასარულ, თუ ქართულ რეალიუმს დაეუბრუნდებით, გაეიხსენოთ წმინდა ნინოს თმებით შეკრული ჯვარი ეაზისა ან დმერთქალ დალის ოქროსფერი თმა - მზის სხივთა სიმბოლო.

**თვალი** - სამყაროს შეცნობის ხილული სიმბოლოა, რომელიც, იმავედროულად, სულაირი წედომის უნარსაც განასახიერებს („ხანთელი გუამისი არს თუალი“ (მათე, ნ:22; დუკა, II:34). ამასთანავე, ჩვენ დღემდე გულწრფელად გვჯერა, რომ თვალები ადამიანის „სულის სარკეა“ და, შესაბამისად, მათში „არეკლილია“ - ზემოგრძნობლობა, მომუსხველობა, წარ-

სულის სურათები თუ მომავლის განჭვრეტა. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ დასავლური ტრადიციით, მარჯვენა თვალი - აქტიური, მზიური საწვინის სიმბოლო - მომავალს ჭკერტს, ხოლო მარცხენა, პასიური, მთვარული - წარსულს (ადმოსავლურ ტრადიციაში ყველაფერი პირიქითაა), დაბინდულ ან ამღვრეული კი მზერა დაბინდულ გონებას ან სწეულ, აფორიაქებულ სულს განასახიერებს.

ძველევგვიპტურ მითოლოგიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქონდა ეგვიპტური პანთეონის უმაღლესი ღვთაების - ჰორის თვალს, რომელიც მან ერთხელ, შერკინებისას უკვე დაკარგა, მაგრამ ხელახლა ამოეზარდა, ეს სასწაულებრივი თვალი ეგვიპტელთათვის ერთ-ერთ ყველაზე გაერცელებულ ამულეტად გადაიქცა და ფარაონების დროინდელი ეგვიპტელის მიუღცხოვრებას გასდევდა აკენიდან სარკ-



რენე მაგრიტა. „მარცხენა“. 1935 წ.

ოფაგამდე.

ინდუსტრიული იკონოგრაფიიდან ცნობილია შივას შუბლზე გამოსახული „მესამე თვალი“. ღვთაების უსაზღვრო კეთილგანწყობის, სიბრძნისა და ინტუიციის განსახიერება. ამ მისტიკურ მესამე თვალს, რომელსაც ზოგჯერ „გულის თვალსაც“ უწოდებდნენ, ბუდიზმში შინაგანი მზერა და თვითჩაღრმავება უნდა გამოეხატა; ისლამში - ზებუნებრივი წინასწარგანჭვრეტა.

„კეთილი თვალის“ ანტითეზად კულტურათა უმეტესობამ დასახა „აეი თვალი“, რისი კლასიკური ნიმუშია გორგონა მეღუზას მომაკდინებელი მზერა. აეი თვალის უვნებელსაყოფად ზოგან რას მიმართავენდნენ და ზოგან რას: ნალს, ეკალს, შელოცვას; ხშირად - ისევ თვალის გამოსახებლებას, ოღონდ, ცხადია, კეთილი თვალისა („გათვალის საწინააღმდეგო“ ამგვარი ამულეტები ხშირად შეგხედებათ ადმოსავლეთის არაერთ ქვეყანაში - თურქეთში, მაგალითად).

ქრისტიანულ იკონოგრაფიაში მზის სხივთა შარავანდედში მოქცეული თვალი ღვთაებრივი ყოვლისმომცველობის სიმბოლოა; სამკუთხედში ჩახატული - სამებისა; ანგელოზთა დასებს (ქერუბი-




ჰორის თვალი („უაჯეტი“) - საკვილის ძლევისა და აღორძინების სიმბოლო; ძველ ეგვიპტელთა ყოვლისმომცველ თვალსა, გულსაკვი ფარაონ ტუტანხამონის აკლადამან, ძვ.წ-ით XIV ს. I ნახ.

მებსა და სერაფიმებს) ფრთებზე ახატავენ თვალებს მათი ყოვლისმწე-ლომელობის ნიშნად.

ქართულ მითოსში ამ მხრივერთი საინტერესო ეპიზოდია „ამირანიანიში“: ამირანი თავის მამობის უბრუნებს დევებისაგან გატაცებულ თვალს, რომელიც ოჯახის სიწმინდეს, დოვლათს და ბედ-იღბალს განასახიერებს.

სადაც თვალთა - იქვეა **ტრავლი** და, ალბათ, არ იქნებოდა მართებული ორიოდ სიტყვა არ თქმულიყო „ტრემლთმეტყველებაზე“: ჩვენთვის ცო-

ტა უცნაურია, როდესაც რუსთაველის რაინდი გმირები ასე ხშირად „იღვრებიან ცრემლად“. იმისათვის რომ ჩაეწვდეთ ამ ფენომენს, მოვიხმოთ ერთ პასაჟს პოლანდიელი ისტორიკოსის იოჰან პოიზინგას (1872 - 1945) გამოკვლევებიდან „შუა საუკუნეთა შეზღოვება“: „უნდა ჩაუკვირდეთ ამ სულიერ მზაობას, ამ მგრძობიარობას და ცვალებად ხასიათს, ამ სიფიცხეს და ამ შინაგან მოთხოვნილებას ცრემლისდერისა - სულიერი გარდატეხის მანიშნებელს, რომ ჩაეხედეთ, როგორი ფე-



ქრისტიანი ტაძარი ზღინჯხა კავკასიულისა (სეკალი)

რებითა და როგორი სიმასფრთი გამო-ირჩეოდა იმდროინდელი ცხოვრება“.

სოფლიო რელიგიათაგან ქრისტიანულსა, იუდეურსა და ისლამში **გული** ქვეშაირტების, სინდისის და ზნეობრივი სრულყოფის სიმბოლოა: ღმერთის სასუფეველია: ინდუიზმში ესაა დეოთებრივი ცენტრი („ატმანი“), ბუდიზმში - თვით გაუტამას არსი და „წმინდა წყლის ალმასი“.

გული სიცოცხლის წყაროდ იყო მიჩნეული: პლინიუს უფროსის აზრით, ის პირველი იწყებს სიცოცხლეს ორგანიზმში და უკანასკნელი კვდება. ამასთანავე, გული - ის შინაგანი არსია, რომელიც ადამიანებს განასხვავებს ერთმანეთისაგან. ბიბლიური წარმოდგენით - რწმენის, სიყვარულის და სინდისის სასუფეველი, ცხადია, რომ ღვთის სიტყვამ სწორედ კაცის გულში უნდა შეაღწიოს, ხოლო გულწრფელი და გულმხურაველი ლოცვა, თუნდაც უხმოდ წარმოთქმული, მაინც ჩაქმის გულთა-მხილავს (ეს ფენომენი პოეზიის ენაზე აამეტყველა ნიკოლოზ ბარათაშვილმა ლექსში „ჩემი ლოცვა“).

ჩვენს წარმოსახვაში გული ყველა ჩვენი ემოციისა და განცდის სიმბოლური წყაროა: სიყვარული, თანადობა, სისარული თუ მწუხარება სწორედ გულიდან მოდის. არქაულ კულტურე-



ჰინტრომო. „სერობა ემასში“. 1525 წ., ფლორენცია, უფიცის გალერეა



„გულების ტბის“ ილუსტრაცია. მხატვარი ლუდვიგ ირტინკოვი. 1968 წ. (ხეხეთი)

ბში არ იყო განსხვავება გრძნობასა და აზრს, გულსა და, სულს შორის და აქედან გამომდინარე, ითვლებოდა, რომ ადამიანი „გულით ფიქრობს“. ამ რწმენის თანახმად, ძველ ეგვიპტეში მუმისას გულს უტოლებდნენ, როგორც „ცოცხად-უცოდველობის საწყაულს“. გული აღიქმებოდა, როგორც მიკროკოსმის ცენტრი - ერთგვარი მზე, რომელიც აცოცხლებს, ამოძრავებს, ათბობს ყოველივეს. როგორც ეტყობა, სწორედ ამ ანალოგიამ წარმოშვა აცტეკების ამაზრზენი რიტუალი, როდესაც მზის „გასაძლიერებლად“ მსხვერპლისათვის გული უნდა ამოეგლიჯათ.

ალმოდებული გული მართლმორწმუნე ქრისტიანთათვის ღვთისმოსიშობის სიმბოლო იყო, მაგრამ რენესანსის ეპოქის ხელოვნებაში ზოგან თანაღმობას, ზოგან ცოდვილ სიყვარულს განასახიერებდა. რაც შეეხება კუპიდონის ისრით განგმირულ გულს, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, სწორედ ის აღმოჩნდა ყველაზე სიცოცხლისუნარიანი და ცოტაა მსოფლიოში ისეთი კუთხე, სადაც არ შეგხვდებათ გრძნობა-მომადლებული ყმაწვილკაცის მიერ ხეზე ამოჭრილი ეს ბნალური სიმბოლო.

რადა თქმა უნდა, ასე „ღამშვენებული“ ხეები ჩვენთანაც მრავლად არის, მაგრამ გულის, როგორც სიმბოლოს, სიღრმე და მნიშვნელობა ჩვენ ამ ხეებმა კი არა, ქართულმა ენამ შემოგვიინახა იმ მრავალფეროვანი მწკრივის მეშვეობით, სადაც სწორედ „გულია“ საწყისი ფორმა (გულფიცხი, გულაყრილი, გულმხურვალე, გულგრილი, გულითადი, გულღრძობა და ა.შ.).


**ხელი** განასახიერებს ღვთაებრივ აქტიულობასა და ადამიანის სრულქმნილებას: უხსოვარი დროიდან მოყოლებული, ითვლებოდა, რომ სულიერი თუ ფიზიკური ენერგია სწორედ ხელში იყო კონცენტრირებული და ამიტომაც ხელის შეხება მარტოოდენ კონტაქტის ფორმა როდია - ეს შეიძლება იყოს დალოცვა, შერისხვა და განრიდებატ, ხელდასხმაცა და პატიებაც... წმინდანთა და გვირგვინოსანთა (მაცხოვრის ანალოგიით) ხელის შეხე-

ბას უუბარი, განმკურნებელი ძალა მიეწერებოდა.

ხელის გამოხატულება გეხვდება ჯერ კიდევ ქვის ხანის დროინდელ გამოქვაბულებში. ეგვიპტურ იეროგლიფებში „ხელი“, საზოგადოდ, ნებისმიერ ქმედებას აღნიშნავდა და ჩანატული იყო ყველა შესაბამის იეროგლიფში. ამ დროიდან მოდის ჟესტების ზოგადი სიმბოლიზმი: „ხელმართული ხელები ვედრებას („ორანტა“) გული-სხმობს; მხოლოდ მარჯვენა ხელის აღმართვა - მოწოდებას, კურთხევას; გულხელდაკრეფილი პოზა - უმოქმედობას ან ფილოსოფიურ ჭკვრეტას; ხელჩამოშვება - მორჩილებას, პასიურობას; ყელთან მიტანა ხელისა - თხოვნას ან მსხვერპლს; ხელების გადაჭდობა - კავშირს, შეგობრობას, მისტიკურ ქორწინებას... „ხელთმეტყველება“ 600-მდე ჟესტს მოიცავს და საკმაოდ უნივერსალურია. გარდა ამისა, ჟესტების საეციფიური ენებიც არსებობს: ყრუმუნჯთა, ე.წ. „ალტერნატიული ენები“ ავსტრალიელ და ამერიკელ აბორიგენებთან, პროფესიონალური ჟეს-



„ვატიმას ხელი“



მიქელანჯელო. „ადამის შექმნა“. სიტეტის კაპელის ჭერის მოხატულობა. 1508-1512 წწ. რომი, კატიკანი (ღვთაღი)



„მაკრობიუსის მარჯვენა“ - პიუსის ლუკას მონისტროს კედლის მხატვრობა XI ს. ფრანცია, საბერძნეთი


ტების ენა სპორტში, მრეწველობაში, სამხედროებთან, მძღოლებთან თუ კრიმინალურ სამყაროში.

ხელთმეტყველების მნიშვნელობანი ცხადია იტლება გეოგრაფიის მიხედვით, ისტორიულადაც: ჩინეთისა და იაპონიის გამოკლებით (სადაც მარცხენა ხელი ღირსების მიმანიშნებელი იყო), მიუღწეოლოში უპირატესობა სწორედ მარჯვენა ხელს ენიჭებოდა. მბრძანებლის მართი კუთხით აღმართული ხელი ყველაზე გაგრძელებული სტერეოტიპია მიწიერი ხელისუფლებისა. ერთ-ერთი კვლტ მეფეს უმადურმა ქვეყნადომებმა, რომლებიც სიმბოლოს მეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ვიდრე რეალობას, ტახტი დაატოვებინეს მხოლოდ იმიტომ, რომ ბრძოლაში მარჯვენა დაკარგა. ძველ მექსიკაში რიცხვი „ხუთი“ იმქვეყნიურ სამყაროს უკავშირდებოდა და ამიტომაც მაქსიმალურად გაზდილი თითები სიკვდილის ნიშანი იყო. ანალოგიური სიმბოლური მნიშვნელობა ძველ რომში ჰქონდა კოლიზეუმში კეისრის ძირს დაშვებულ ცერა თითს - მაშინ, როდესაც გლადიატორის სიკვდილ-სიცოცხლეზე იყო ლაპარაკი.


ზოგიერთი კულტურა (ინდუიზმი, მაგალითად) კოსმიური ძლიერების გამოსახატავად, მრავალხელიან ღვთაებებს ქმნის. ხელის სიმბოლიკა განსაკუ-

თრებულ როლს თამაშობს ისლამში: მუხამედის საყვარელი ქალიშვილის, ფატიმას, ხელის მტევანი ისლამური იკონოგრაფიის უსაყვარლესი მოტივია, მუსლიმანური კერის დამცავი აშუღეტი, ინდუსიტურ და ბუდისტურ ტრადიციაში ხელის, მტევნის, თითების ყოველ მოძრაობას განსაკუთრებული ეზოთერიკული სიმბოლიკა აქვს, რომელიც განდობილიათვის განკუთვნილ მიუღწეველ ენას ქმნის - რელიგიურ რიტუალსა, ცეკვებსა და თეატრს (ინდური თეატრი - „კატაკალი“).

სვეტიცხოვლის წრდილოეთ კედელზე ქვაში გამოკვეთილი ხელის მტევანი ან მოკლული მტრის მარჯვენა, - ვაჟას „აღუდა ქეთელაურის“ კოლიზიის საბაბი, - მკაფიო მინიშნებებია, რომლებიც ხელის სიმბოლიკა ქართულ სინამდვილეში დატოვა. უფრო გაწაფული თვალს შეამჩნევს ქართულ ხატწერაში „მკურთხებელ მარჯვენას“, როგორც სიმბოლოს წყალობისა.



კატ სტუმა, ლეონისძობის ხელები, ლეონისძობის ტაძრის საკურთხეველი კრავები, 1477-1489 წწ., პოლონეთი (დეტალი)



ბუდას ვიკანტური კანდაკმა კატ ვაის ტაძარში. ახ.წ-ით XIV ს. შუა წლები, სუკადაი, ტაილანდი (დეტალი)

უთუოდ, აქვე უნდა გავიხსენოთ კიდევ ერთი რიტუალი მუხლმოდრეკისა, რომელიც თაყვანისცემის, მორჩილების, მოწიწების უნივერსალური სიმბოლოა ყველა კულტურაში.

ძველად, საქართველოში საპატიო სტუმარს დიასახლისი აუცილებლად ბანდა ფეხს. ამ ტრადიციას ბიბლიური წარმომავლობა აქვს და დღესაც, ქრისტეს მაგალითისამებრ, დიდ ხუთშაბათს (საიდუმლო სერობის ვაშს) „ზედამდგომნი“ (ინგლისის დედოფალი იქნება ეს თუ ეპისკოპოსი), „ფრხთ ბანენ მდებალთ“. მსგავსი ცერემონია არსებობდა და დღესაც არსებობს აღმოსავლეთში, სადაც განსაკუთრებით აქცევდნენ ყურადღებას ტერფის ენერგეტიკას. საზოგადოდ, ტერფი ბუდას სიმბოლოა და ბუდას შვიდი ნაფეხური შვიდ ცას განასახიერებს (ანალოგიური სიმბოლიკა აქვს ვიშნუს „სამ ნაბიჯს“ – აქ ვიშნუს ტერფში ხშირად ლოტოსია ჩახატული, როგორც მშვიური ენერჯის სიმბოლო).

სხვათა შორის, „ფეხბედნიერის“ ცნება ქართულმა წარმართულმა კულტურამ „გეისახსოვრა“ ისევე, როგორც „მარცხენა ფეხით ადგომის“ ნეგატიური სიმბოლიკა, რომელიც ჯერ კიდევ ანტიკური სამყაროდან იღებს სათავეს.

ძალზე საინტერესოა ძველ ჩინეთში არსებული ქალის ფეხის („ოქროს შროშანის“) კულტი: ეს „ოქროს შროშანი“, ვითარცა ნამდვილი განძი, თვალთავან დაფარული უნდა ყოფილიყო, ქალის სხეულის ყველაზე ამაღლებულ

დაბოლოს, ჩვენ ხშირად ელაპარაკობთ ხოლმე უხილავ „ბედის ხელზე“ და, ასევე ხშირად, ვერ ვგრძნობთ ხოლმე მის ფაქიზ შეხებას – გამხვნეებისა თუ გაფრთხილების ნიშნად...


**ფეხი**, რომელსაც ჩვენ მიწაზე ვადგამთ, სწორედ ამ მიწის ენერჯიას გადმოგვცემს; ის, ვინც თავად ატარებდა კონცენტრირებულ სულიერ ენერჯიას – ლეთაება თუ მისი მიწიერი მონაცვლე – მეფე, – მიწას არ უნდა შეხებოდა, რათა მაგიური ფლუიდები ნი-

ადავს არ წარეტაცა... ამიტომ იყო შემუშავებული მთელი „დამცავი სისტემა“ – გზად დაფენილი ნოხების, ტახტრეწებისა და ა.შ.

ფეხის დადგმა ფლობის სიმბოლიკური გამოხატულება გახლავთ – ახლად აღმოჩენილ მიწასა თუ დაპყრობილ ტერიტორიაზე აღბეჭდილ ნაფეხურს სამუდამო კუთვნილება უნდა განესახიერებინა. პყრობის ასეთივე სიმბოლიკური ფესტი იყო ძირს დაცემული მტრის მკერდზე ფეხის დაბეჯება.



„ბუდას ტერფი“



„ფრზობანა“ - ჰოსიოს ლუკას შინასტრის კედლის მონაქვერი პანო. XI ს. საბერძნეთი

ნაწილად ითვლებოდა და იმდენად ტაბუდადებული გახლდათ, რომ ფეხის გამოჩენა გამოშვლების ტოლფასი იყო.

ყურადღაღება პოლ დიელის მოსაზრება, რომ ადამიანის სულიერი სიძლიერე მის მფარად დგომაში აისახება და ამიტომაც „მითოლოგიური სიკოჭლე“ (მაგალითად ჰეფესტოსი) ან, ვთქვათ, „აქილევის ქუსლი“ - სულიერი ნაკლის მიმანიშნებელია.

## ავგაროზი

უძველესი ადამიანი შეუცნობელი, მტრული გარემოსაგან თავდაცვის საკუთარ, გულბრყვილო სისტემას ქმნის, რომლის ეფექტი წმინდა ფსიქოლოგიურ ფუნქმუნზეა აგებული: ხილულ საფრთხეს თუ უხილავ, გრძნეულ ძალებს ის უპირისპირებს რეალურ საგანში „მომწყვედეულ“ კეთილისმყოფელ ენერგეტიკას, რომელსაც ამიერიდან მასთან უწყვეტი, მფარველობითი კავში-

რი აქვს: ეს „დამუხტული“ მაგიური საგანი ავგაროზად, თილისმად, ამულეტად იწოდება. გერმანელი ფსიქოლოგისა და ფილოსოფოსის ვილჰელმ უენდტის (1832-1920 წ.წ.) კლასიფიკაციით ავგაროზები ოთხ ჯგუფად იყოფოდა: 1. ადამიანის სხეულის ნაწილები და მათი გამოსახულებანი; 2. ცხოველთა გამოსახულებანი; 3. ავგაროზები, რომელნიც იწვევენდნენ პირველადი მითოლოგიური წარმოსახვის ასოციაციას; 4. ჯადოსნური ნიშნები და წარწერები.

სხვათა შორის, თილისმაცა და ამულეტიც არაბული სიტყვებია - ქართული შესატყვისი „შანა“ საბასთან განმარტებულია, როგორც „სანდო ნიშანი“. აქვე შეგინშნავთ, რომ ქართული განასხვავებს „ავგაროზს“ თუ „შანას“, როგორც „თეთრი მაგის“ ატრიბუტს და „ჯადოს“, - როგორც „შავი მაგისა“.

ოქროს ელსაკაში (ამეთვისტოს ვერძისთავიანი ავგაროზითა და სანელსაკ ხეხლით) არმაზისხევის განმიდნა, ახ. წიითი ს. ბოლო. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი




პლინიუს უფროსი, რომელთანაც პირველად გვხვდება ტერმინი ამულეტი, მას განმარტავს, როგორც შხამის გამაუვნებელყოფელ საშუალებას. თილისმას კი ბერძნებთან „ფილაკტერიონი“ ერქვა და ჩვილს დაბადებისთანავე ჰკიდებდნენ კისერზე ავი თვალისა და სახადის განსარიდებლად. თილისმად ძვირფასი ქვაც გამოიყენებოდა (ქართულ სინამდვილეში, მეტწილად გიშერი), დაწული თასმაც, უბრალო, ნასერტიანი ქვაც, გაფეტვიშებული ცხობელის კბილი ან ბეწვი, გამოსახულება (მაგალითად, ფუნდურა – ეგვიპტელებთან), დაგრაგნილი ნაწერი შელოცვით ან მაგიური ფორმულებით...

ავგაროზი თავისი კლასიკური სახით მედალიონის მსგავსი გულსაკიდია, რომელშიც ჩასმულია ეპისტოლე (აპოკრიფული წერილი) იესო ქრისტესი, ედესის მეფის ავგაროზისადმი გაგზავნილი. ამ ღვთაებრივი ისტორიის გამო ავგაროზს ზებუნებრივი ძალა და მადლი მიეწერებოდა.

## პვი სულაბი

ზუნების პირისპირ აღმოჩენილ ჩვენს შორეულ წინაპარს დარენის თეორიის არცოდნას მდიდარი წარმოსახვა უნაზღაურებდა, რამაც წარმოშვა ავი სულეებით დასახლებული სამყაროს მოდელი.

ივანე ჯავახიშვილი ქართველთა წარმართობისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში ავი სულეების ერთგვარ კლასიფიკაციას გეთავაზობს: „ხალხს მანვე სულეების მეუფის არსებობაც სწამს... მას ექვემდებარებიან ალები, ქაჯები, მავლაჯუნები და სხვა მანვე სულეები, რომელნიც ადამიანს სხვადასხვა სახით გამოეცხადებიან ხოლმე... ალ-ქაჯებს გარდა „კუდიანებიც“ იმავე აესულთა სამფლობელოს ეკუთვნიან; „კუდიანებს“ შეუძლიათ ცხოველად, მეტადრე კატად, იქნენ და განსაკურებით ღამ-ღამობით დანაწარლოებენ და ადამიანთს სულს ღუჰავენ. კუდიანებს თავიანთი უფროსი ჰყავთ, რომელსაც „როკაპი“ ჰქვია“.



ალფრაჰმან ვაიმის პოემის „ლაეაიბის“ ვმირი - პერი დეკებიან „სტუმრობისას“. სპარსული მინიატიურა (ყაზვინის სტილი). XVI ს. 70-იანი წწ.

იმვე ივანე ჯავახიშვილის განმარტებით. კახეთში „ქაჯი“ მამაკაცად, ხოლო „ალი“ კი ქართლშიც და კახეთშიც მშვენიერ ქალად მიაჩნდათ. საგულისხმოა ის გარემოება, რომ ქართულ

წარმოსახვაში ქაჯი ანთროპომორფული არსება გრძნეული თვისებებით დაჯილდოებული (სწორედ ასეთი არიან ქაჯეთის ციხის მკვიდრი „ვეფხისტყაოსნიდან“). ნიშნდობლივია ისიც,

სტყარონიდან“). ნიშნადობლივია ისიც, რომ რადგან ლითონის დამუშავება მოკლე წარსულში მაგიურ ქმედებად აღიქმებოდა, ეთნოგრაფების თქმით, ხვესურნი ლითონის ჭედვის ხელოვნებას ქაჯებს და დევებს უკავშირებდნენ. სიტყვებს პარადოქსული ბიოგრაფია აქეთ ხოლმე: „ქაჯი“. რომელიც ამდენი საუკუნეა მისტიკური რამზრების სიმბოლო იყო და მისი ხსენება კი ზაფრავა ადამიანს, სულ რამდენიმე ათეული წელია აბსოლუტურად დაცალა ამ შავი მაგიის ენერგეტიკისაგან და „ხეპრესა“ თუ „გაუთლესი“ ყოველად ბანალურ სინონიმად იქცა.

**ალი** - წყლის არსებაა, რომელიც მშვენიერი თმაგაშლილი ქალის სახით ეჩვენება მამაკაცს, წყალში იზიდეს და ახარობს. ალი ხშირად წყალში ზის ან ქვაზე და თმას ივარჯნის. თუ ამ დროს ვინმე მიეპარა და თმა შეაჭრა, ჩვეულებრივ ქალად იქცევა, სახელში გაჰყვება და ერთგულად ემსახურება, ვიდრე შეჭრილი თმას რა დაბირუნებს - წასვლისას შურს იძიებს ხოლმე ოჯახზე, სადაც ტყვესაბით იძულებით ამსახურებდნენ... (ზურაბ კინაძე).

**თინკაპი**, ქართული მითოლოგიის მიხედვით, ქაჯებზე უფრო ტანმორჩილი არიან. თუმცა ისეთივე „აღლნიან-კლანჭებიანი“. ფოლკლორი მათ მიმართ გაცილებით უფრო „ფამილარული“ იყო. დღევანდელ სიმბოლიკაშიც „ჭინკა“ დაცლილია ნეგატიური მნიშვნელობისაგან და ანც, მოუსვენარ, ცუდლუტ არსებას ნიშნავს.

**კუდიან დედაბერი** - მასთან ზღაპრული გმირის შეხვედრა საბედისწერო ეპიზოდი ნებისმიერი ეთნოსის ფოლკლორში. ეს კუდიანები, ბუნებრივია, სხვადასხვა სახელებით არიან მონათლულნი: ქართველი „როკაპი“; გერმანელი ქალბატონი „პოლე“, სლავური „ბაბა-იაგა“, სპეციფიკურ განსხვავებათა მიუხედავად, ქალური ბუნების ნეგატიურ საწყისს, ბელ ასპექტს განასახიერებენ. მრავალრიცხოვან ეგზოტიკურ ეთნოსებს შორის გავრცელებული იყო რწმენა, რომ გარკვეული ტი-

პის ქალში ეშმაკისეული სულია ჩასახლებული და ამგვარი არსება ყველა-ნაირი დანაშაულის ჩამდენია (კანინალიზმის ჩათვლით).

იუნგმა ამ ფენომენში მამაკაცური კომპლექსების მანიფესტაცია დაინახა და სწორედ ამით ახსნა ის სისასტიკე, რომლითაც კუდიანობაში დღანაშაულებულ ქალებს უსწორდებოდნენ შუა საუკუნეების ევროპაში.


### აპაჯია

აკაცია ერთ-ერთია იმ იშვიათ ხეთაგან, რომელიც სინას უდაბნოში იზრდება. არაა გასაკვირი, რომ მას გამოჩრეული ადგილი აქვს მიკუთვნებული ბიბლიურ ფლორაში. აკაციისაგან იყო გაკეთებული იმ საუანის ძელები (სალოცავი კარავი, „სკინია“), რომელშიც უფალმა მოსეს საჯულის კიღობნის დაენება შთააგონა. სარწმუნო წყაროებით დასტურდება, რომ ებრაული „shittah“ (shittim-ი ინგლისურ, ხოლო СИТТИМ - რუსულ სინოდალურ თარგმანში ბიბლიისა) სწორედ აკაციაა და არა ურთხელი, როგორც ეს თთარგმნება ხოლმე. ურთხელი, საეარაუდოდ, უნდა იყოს ბიბლიური „gofer“, რომლისგანაც არა საჯულის, არამედ ნოეს კიღობანი იყო აგებული.

ერთმა მისტიკურმა ლეგენდამ აკ-

აციის სიმბოლიკას დიდად დრამატული ელფერი შესძინა: გადმოცემის თანახმად, სოლომონის ტაძრის ზუროთმოდვარი - ხირამი (პურამ აბი) შურით გონებადანებლებულმა შეგიდებმა მოკლეს და საფლავზე აკაციის ტოტი დადეს, რათა აღენიშნათ ეს ადგილი. რადგანაც მოკლული სიმბოლურად ცოცხლობდა ყოველ ახალ ოსტატში, აკაციის ტოტმა სიკვდილის მძლეველი იდეს სიმბოლიკა შეიძინა. ამ სიუჟეტის მასონური ვერსია, სადაც ხირამი აღონიამის სახელით გვევლინება, მასონური რიტუალის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს (იხ. ჩვ. ენც. II ტ. „საიდუმლო და მისტიკურ ორდენტა სიმბოლიკა“). სიკვდილ-სიცოცხლის ხატოვანი დაპირისპირებისა და განუყოფლობის სიმბოლოდ აკაციის ტოტის წარმოსახვა ემნაც განაპირობა, რომ აკაციის იმ ჯიშებს, რომლებიც ეგვიპტესა და ქალესტინაში იზრდებიან, თთორწითელი ყვავილები აქვთ (აქ თთორწითელის შეწყვილების მისტიკური ეფექტიც მოქმედებს. იხ. „ფერთა სიმბოლიკა“). ზემოთქმულიდან გამომდინარე, აღქმიანმა აკაცია განასახიერებდა სწორედ ხირამის დოგმატს, რომლის თანახმად: „თითოეულმა უნდა იცოდეს, როგორ მოკვდეს, რათა მარადისობაში იცოცხლოს“.

“Akakios” - ბერძნულად „გულუბრყვილოს“, „უბოროტოს“ ნიშნავს, მაგ-



ქოლვისებრი აკაცია

ვასიტყვით არ აისახა და აკაციის მნიშვნელობათა წყებას შეემატა „უმანკობების“ ელემენტი.


## ალვის ხე

ალვის ხისა და ვაზის სიმბოლური ჩანაცვლების კვალი შემორჩენილია ქართულ ხალხურ პოეზიასა და ჰიმნოგრაფიაში („შენ ხარ ვენახი, ახლად აყვავებული... ალვა სამოთხით გამოსრული“).

ვაზისა და ალვის ხის ასეთი შერწყმა შეიძლება აიხსნას შემდეგი გარემოებით: „ვაზი არის სიმბოლო მზესთან სწორფრობისა, მზესთან ზიარების“. ეს ვაზის შინაგანი ლტოლვა და ბუნებაა. ხოლო მზესთან ზიარების გარეგანი გამოსახულება კი ალვის ხის ზესწრაფულ, ზეაღმაკალ ლტოლვაში გაჟღავნდა. ახლა, ამ ჩანაცვლების ფოლკლორული ნიმუში:

„ჩვენი ბატონის კარზედა  
ხე ალვად ამოსულაო.  
წვერზე მოუსხამს ყურძენი,  
საჭმელად ჩამოსულაო.  
მისი უჭმელი ქალ-ვაჟი  
უღროოდ დაშულაო“.

ინტერპრეტაცია ამ ნიმუშისა ეკუთვნის ზურაბ კიკნაძეს: „ამ ლექსში მითოლოგიურად არის გადმოცემული ქრისტიანული რელიგიის მთავარი საიდუმლო - ზიარება. ჩვენი ბატონი უფალი იესო ქრისტეა, მისი კარი - მისი ეკლესია, ყურძენი, ღვინო - ქრისტეს სისხლი, მისი უჭმელი ანუ უზიარებელი ქალ-ვაჟი კი, ევა და ადამი, რომელთაც კერ მოასწრეს სიცოცხლის ხის ნაყოფის გემება და დაკარგეს უკვდავება, მარადიული სიცოცხლე“. ალვის, სხვაგვარადაც განსხვავებული, ალგეორიული მნიშვნელობა განაპირობა მისი ფოთლის ზედაპირისა და ზურგის განსხვავებულმა შეფერილობამ: მუქმა - ზედაპირზე (მზის მხარეს) და ღია - ზურგზე (მთვარის მხარეს). ეს გაორება აისახა მითში პერაკლეს შესახებ, რომელშიც მიწისქვეშეთში ჩასული პერაკლეს ალვის ტოტებისაგან დაწული გვირგვინი კეა-



„ალვის ხე“. ანანურის ეკლესიის ფასადი (XVIII ს.)

მლისაგან შეფერილობას იცვლის.

ალვა იყო მიჩნეული ფრიგიული ზეცის, აგრეთვე ღვთაება - საბზიურის წმინდა ზედ. თუმცაღა ამ სიმბოლოს სამგლოვიარო ელფერიც ახლდა.

არც ერთ ტანმალალ ზეში არ იგრძნობა სიმადლისაკენ სწრაფის ასეთი დინამიკა და ენერგია, როგორც ალვა-

ში და თუმცა ეს „დელოფალი“ (გალაკტიონის მეტაფორა) წამით შეიძლება დაჯანბნოს ქარმა ან „ციფმა ელვამ“, ჩვენ მაინც ვალაკტიონისაკე ტკბობით ეუცქერით მის „ნაზ ტანს“ და ვცდილობთ მისი ფოთლების შრიალში ამოვიცნოთ რაღაც მარადიული საიდუმლო.

# ალუბლის ხე

ალუბლის ხე (საკურა) ერთი უძირთვალესი სიმბოლოა იაპონური კულტურისა. საკუთრივ ალუბალი სამყაროს განასახიერებდა, ეტყობა, ნაყოფის თვისებების გამო, კერძოდ კურკითა და სისხლისფერი რბილობით (აქვე დაეძახნენ, რომ იაპონური ალუბლის ნაყოფი არ იჭმება). ხოლო ალუბლის აყვავებული ხე კი გაზაფხულის, იმედის, სიკეთის, სიყვარულის სიმბოლო გახლდათ. იაპონური ხელოვნება

და პოეზია მდიდარია ამ წარმტაცი სიმბოლოს ნიმუშებით:

„უცნონი არ ვართ,  
ჩაიმუხლეთ, იეიწყეთ შიში,  
ძმანი ვართ ყველა  
და ბალახს ვთუღავთ  
აყვავებულ ალუბლის ძირში...“

წერდა XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე ერთ თავის ლირიკულ მინიატიურაში სახელგანთქმული იაპონელი პოეტი ისსა.

ჩინეთში აყვავებული ალუბლის ხე

ასევე ითვლებოდა გაზაფხულის, წარმატებისა და უმანკოების სიმბოლოდ. ალუბალი ქრისტიანულ იკონოგრაფიაში რამდენჯერმე გვხვდება „ხე ცნობადის“ ნაყოფად ვაშლის მაგიერ, ზოგჯერ კი თვით ქრისტეა ალუბლით ხელში გამოსახული.

სლავურ ქვეყნებში და, განსაკუთრებით, კი უკრაინაში ალუბლის ხე მშობლიური მიწის, დედის, საცოლის სიმბოლოა. ხოლო ანტონ ჩეხოვის კლასიკური პიესის წყალობით, რუსეთსა და შემდგომ მთელ მსოფლიოში „ალუბლის ბაღი“ უკვალოდ გამქრალი წარსულის სიმბოლოდ იქცა.

ქართული რეალიებიდან, პირველ ყოვლისა, ლადო ასათიანის მეტაფორა გვახსენდება:

„...რა დამაიწყებს შენს  
ლაშაზ თვალებს,  
რამ დამაიწყოს ეს ალუბლები.  
იყოფე, როცა სხვას შევიყვარებ,  
ამ სიყვარულზე ვესაუბრები.“  
(„ძველი აღმობიდან“, 1939 წ.)

## პრინცი



არწივი - ცის მბრძანებელი - ერთ-ერთი ყველაზე უნივერსალური სიმბოლოა, რომელიც ძველგამოსილებ-

აზე, ძალაუფლებაზე, გამარჯვებასა და სიმამაცეზე მიანიშნებს. არწივი არა მხოლოდ მითოლოგიურ ღვთაებათა უცვლელი თანამგზავრი იყო, არამედ ხშირად მათი უშუალო განსახიერებაც.

არწივი, როგორც ზევსის (იუპიტერის) ემბლემა, ბერძნულთან მშისაღმი იყო მიძღვნილი. არწივისა და ცის მბრძანებელ ღვთაებათა შორის კავშირს უძველესი წარმომავლობა აქვს აგრეთვე ეგვიპტურ, ინდურ და აღმოსავლურ კულტურებში. ეგვიპტურ იეროგლიფურ დამწერლობაში არწივის გამოსახულებით აღინიშნებოდა ასო „ა“; აგრეთვე, შშის ცხველმყოფელი ძალა, დღე... არწივი პაერისა და შშის სტიქიას მიეკუთვნე-



ისოდა კორუსი. „წვილი აყვავებული ალუბლის ხის ქვეშ“. XVIII ს. დასაბრ., იაპონია



არწივი, ხახულის ტაძრის სამხრეთ ფასადის რელიეფი X ს.

ბოდა, ისეთი დამუშავებული ფრინველისაგან განსხვავებით, როგორცაა ბუ – მკვიპტელთათვის სიმბოლესთან და სიკვდილთან ასოცირებული.

არწივი, რომელსაც კლანჭების ნაცვლად ადამიანის ხელები ჰქონდა, მზის თავიანთსმცემელთა ემბლემა იყო ასირიაში. ჯერ კიდევ არისტოტელეს სჯეროდა, რომ არწივს, რომელიც ყველა დანარჩენ ფრთოსანზე უფრო მაღლა დაფრინავს, შეუძლია მზეს გაუსწოროს თავალი. აქედან გამომდინარეობდა რწმენა, რომ ის გარდაცვლილთა სულებს ზეცისაკენ მიაცილებდა. ამითვე აიხსნება ძველ რომში არსებული ტრადიცია, – გარდაცვლილი იმპერატორის კრემაციის დროს ცაში არწივის გაშვებისა.

ინდოიზმში ვიშნუ დაფრინავს არწივ გარუდაზე ამხედრებული. გარუდას ხშირად გამოსახავდნენ ხოლმე გველით ნისკარტში. ეს სიმბოლო მხოლოდ ინდურ მითოლოგიაში როდი გვხვდება: არწივი, რომელიც დაკლაკნოილ გველს კლავს, განასახიერებდა გარდაუვალ გამარჯვებას სინათლისა სიბნელეზე, სულიერისა და ამაღლებულის – მატერიალურსა და ქვეყნზე.

ძველი ბერძნები დარწმუნებულნი იყვნენ – თვით ზევსი უსწორდება გველადქცეულ მტრებსო. მათთვის ზევსისა და არწივის გაიკვივება ბუნებრივი იყო, რადგან ბერძნულ მითოლოგიაში არის იმგვარი ეერსიები (მაგალითად, მითები მშვენიერი განიმედუსის ანდა პრომეთეს შესახებ), სადაც ზევსი თავად გარდაიხსება არწივად. ამასთანავე, არწივისა და გველის სიმბოლოთა თანაშერწყმა აიხსნებოდა ცისა და მიწის ერთიანობით.

არწივი, რომელსაც დანტე „ღმერთის ფრინველს“ უწოდებდა, სულის სიმაღლისა და ზეცისადმი აღვლენილი ლოცვის სიმბოლოც იყო. ბიბლიაში არწივი ღვთის დიდებასა და ყოვლისშემძლეობას განასახიერებს; შუა საუკუნეებიდან კი – ნათლისღებასა და მკვდრეთით აღდგომას; იმავდროულად, ქრისტიანულ იკონოგრაფიაში არწივი იოანე ღვთისმეტყველის სიმბოლოცაა. ძველი აღთქმის მიხედვით, არწივს ორსახოვანი სახისმეტყველება აქვს: ერთი მხრივ, ის სიმბოლოა სიამაყის, ქედმაღლობისა და თვითდაჯერებულობის, ხოლო მეორე მხრივ კი – მიწაზე დანარცხებისა და გაქრობის. მოსეს რჯულდებით არწივს უწმინდურადაც კი მიიჩნევდნენ (ლევ. 11:

13) მისი მტაცებლური ბუნების გამო, მაგრამ, როგორც ვხედავთ, დროთა განმავლობაში, არწივის სიმბოლიკის ეს ნივთიერება შრე გადაფარა ზეაწეულმა მიმართებამ, რომელიც, გარდა მითოლოგიური სფეროსი, ესოდენ მკაფიოდ გამოიხატა სამხედრო და სახელმწიფოებრივ ატრიბუტიკასა და ჰერალდიკაში.

არწივის გამოსახულება ჯერ კიდევ ბაბილონის სამეფოს ემბლემა გახლდათ, ანტიკურ რომში ეს იყო კეისრების და მათი ძლევამოსილი ლეგიონების სიმბოლო. ისიც აღსანიშნავია, რომ თუ თავდაპირველად არწივი ერთ-ერთია ხუთ ემბლემატურ ცხრიელთაგან (მის გარდა იყვნენ: ტახტი, გველი, ცხენი და ხარი-მინოტაური), რომლებიც რომაული ლეგიონების შტანდარტებს ამჟღავნებენ, შემდგომ (ჩვ. წ.–მდე II საუკუნიდან) ამ სიმბოლურ ფუნქციას მხოლოდ არწივიღა განასახიერებდა. რომაული ტრადიცია ბიზანტიაში გაგრძელდა და არწივი მის სახელმწიფო სიმბოლიკაში დამკვიდრდა.

ორთავიანი არწივი, რომელიც, თავდაპირველად, ეტყობა სიმეტრიის პრინციპით წარმოიშვა, თავის „ემბლემატურ არსებობას“ ჯერ კიდევ ძველ ხეობებთან იწყებს. ჯვაროსნული ომების



რენე მაკრიტი. „არწივის შემოგარენი“. 1938 წ.

პერალდიკური არწივის ორი სახეობა:



ესპანეთის სახელმწიფო გერბი (XX ს.)



ავსტრიის იმპერიის გერბი (XIX ს. პირველი ნახ.)

დასასრულს, ორთავიანი არწივი რომის წმინდა იმპერიის გერბზე გამოიხატება (1433 წ.): შემდგომ, ამ პერალდიკურ მემკვიდრეობას აგობლებენ გერმანიისა და აუსტრო-უნგრეთის იმპერიები. ასევე რუსეთი, რომელიც რომისა და ბიზანტიის შემდეგ, „მესამე იმპერიის“ სახელს იჩემებდა, ბუნებრივია, სახელმწიფო გერბისათვის, სწორედ ორთავიან არწივს აძლევდა უპირატესობას.

ზეცაში არწივი იგვივა, რაც ლომი მიწაზე. ამიტომაც არწივი ზოგჯერ ლომის თავით (ლომ-არწივი) გამოიხატებოდა. იყო კიდევ ერთი ასპექტი ამ სიმბოლიკის: ციდან არწივის მსხვერპლზე შურდულოვით თავს დაცხრომა ჩვენს შორეულ წინაპრებს მეხის დანაკარგს, ელვას აგონებდა და ეს „იუპიტერისეული“ უნარი - მეხის ტყორცნით მიწაზე ყოველივე უშინდღურის განადგურებისა, აგრეთვე იქცა არწივის სიმბოლიკის განუყოფელ ნაწილად. ისიც ნიშანდობლივია, რომ ძველ სპარსეთსა და რომში ქურუშები არწივის

ირაოს მიხედვით წინასწარმეტყველებდნენ საომარ ლაშქრობათა წარმატება-წარუმატებლობის შესახებ.

ქვაში ნაკევი არწივი საუკუნეების განმავლობაში გადმოსცქეროდა ქართულ კაცს ჩვენი ტაძრების კედლებიდან. მაგრამ XIX ს. ბოლოს ქართულ ცნობიერებაში არწივის სიმბოლიკა ვაჟაფშაველას ქრესტომათიულად ცნობილმა სტრიქონებმა გააცოცხლა („არწივი,“ 1887 წ.). არის კიდევ ერთი, გარეშე თვალისათვის, შესაძლოა უნშიშენლო, მაგრამ ჩვენთვის მრავლისმეტყველი დეტალი: ვაჟას საწილის თავზე, მისი უფროსი ქალიშვილის, თამარის, გადმოცემით, ირმისა და ავიზის რქებთან, თოფებთან და ფანდურთან ერთად, სწორედ არწივის ფრთები და კლანჭები ეკიდა. ერთი საუკუნის შემდეგ ამ საშინაიდრეო ნადავლს ჩარგლის ღარიბული ქოხის კედელზე ვაჟას ამაყი და ქველურები ბუნების სიმბოლოდ აღვიქვამთ.

## ასტრალური სიმბოლიკა

ქართულ სინამდვილეში ადამიანის ბედ-იღბლის დაკავშირება ასტრალურ სამყაროსთან ყველაზე მკაფიოდ „ვეფხისტყაოსნის“ იმ ეპიზოდმა ასახა, სადაც ფრიდონთან მიმავალი ავთანდილი მნათობთ შესთხოვს, რათა ძალა შემატონ თავისი რაინდული ფიცის აღსასრულებლად...

ის შეიღი პლანეტა, რომელთაც ავთანდილი მიმართავს - მზე, ზუალი (სატურნი), მუშთარი (იუპიტერი), მარიხი (მარსი), ასპიროზი (ვენერა), ოტარიდი (მერკური) და მთვარე - განასახიერებდა „შეიდ ცას“. კვირის შეიდ ღღეს (როგორც ვამთასელის ერთგვარ სქემას), სამყაროს შეიდ მიმართულებას: მზე - ზენიტი, მთვარე - ნადირი (ნიკო ჩუბინაშვილის განმარტებით: „ზენიტის პირისპირი წერტილი დეორაფიულად“). მერკური - ცენტრი, ვენერა - დასავლეთი, მარსი - სამხრეთი, იუპიტერი - აღმოსავლეთი და სატურნი - ჩრდილოეთი (ურანი და ნეპტუნი, რომელნიც მოგვიანებით აღმოაჩინეს, პრაქტიკულად არ მონაწილეობენ პლანეტარულ სიმბოლიზმში).

თითოეულ პლანეტას ჰქონდა თავისი სქესიც: მარსი, იუპიტერი, სატურნი - მამაკაცურ საწყისს განასახიერებდნენ; ვენერა - ქალურს; მერკური ანდროგინია ანუ ორივე სქესს აერთიანებს; მზე და მთვარე სხვადასხვა კულტურებში მამაკაცური ან ქალური სახით წარმოიხატებოდნენ.

შეიდ მნათობთან მივარეს, მარსსა და სატურნს ნეგატიური ელფერი ახლდა, დანარჩენებს - პოზიტიური. ამასთანავე თითოეული პლანეტა დაკავშირებული იყო ზოდიანქოს ნიშანთან და ადამიანის ხასიათის ამა თუ იმ თვისებასთან: მზე - ნებელობასთან და აქტივობასთან, მთვარე - წარმოსახვასთან, მარსი - ქმედებასთან და ნგრევასთან, მერკური - ინტუიციასთან და მოძრაობასთან, იუპიტერი - წარმართვასთან, ვენერა - სიყვარულთან, სატურნი - გამძლეობასთან და თავდაჭერასთან.

ჩვენს შორეულ წინაპრებს სჯერო-



„სამყაროს წარმოშობა“ სან-მარკოს ტაძრის მონაწილე პანო XIII ს. I ნახ ვენეცია

დათ, რომ პლანეტები თავად არიან ის ყოვლისშემძლე ღვთაებანი, რომელნიც ასე თავისუფლად დანაჯარდობენ ღამეულ ცაზე და რომელთა ურთიერთგანდაცობით, მიზიდულობითა თუ განზიდვით ასტროლოგები (ვარსკვლავთმეტყველები) ჭკრეტდნენ ადამიანის ცხოვრების მთელ სურათს: ვინ რა ვარსკვლავზე განაღდა, ვინ საით მიჰყავს თავის ბედის ვარსკვლავს, ანდა - ვინი ვარსკვლავი სად ჩაესვენება... ეს უძველესი რწმენა ყველაზე ხატოვნად წარმოიწინააღმდეგა მითოლოგიური ტრადიციებში და იმპრომატაა, რომ პლანეტებს დღემდე შემორჩათ ბერძნულ-რომაული პანთეონის ღვთაებათა სახელები. XVIII საუკუნემდე ასტროლოგებიც და მეცნიერებიც ერთსულვონად თვლიდნენ, რომ სასიცოცხლო პროცესებს დედამიწაზე შეიძივე მნათობი წარმართავს. შემდგომ ეს როლი მხოლოდ მზესა და მთვარეს შემორჩა, მაგრამ პლანეტარული სიმბოლიზმი იმდენადა ფესვაამდგარი ადამიანის ცნობიერებაში, რომ გამაღებელი კოსმოური კვლევების ეპოქაშიც კი ინარჩუნებს თავის მითოლოგიურ ხიბლს.

აქ ჩვენ პლანეტების სქემატურ სი-

მბოლურ პორტრეტებს გაგაცნობთ იმ თანმიმდევრობით, როგორც ამას ასტროლოგები წარმოსახავენდენ წარსულში უძრავი დედამიწიდან დაშორების მიხედვით:

**მარსური** (ოტარიდი, ქერმესი ბერძნებთან, ნაბუ - მესოპოტამიაში), მთვარეს თუ არ ჩაეთვლით, დედამიწასთან ყველაზე ახლო მდებარე მნათობია, პლანეტა-ანდროგინი - მამაკაცური და

ქალური საწყისების კომბინაციით; გონიერების, მჭევრმეტყველების, ურთიერთობის ნიჭის სიმბოლო. გამოისახებოდა, როგორც ბერძნული ღვთაება ქერმესი - ზელში კადუქუსით, ფრთიანი მუზარადითა და სანდლებით.

**ვენერა** (ასპირიზი) - უკვდავ ქალურ საწყისს განასახიერებდა. გამოისახებოდა ახალგაზრდა, მშვენიერ ქალად, რომელიც ზღვის ქაფიდან იშვა; ამიტომაც, ზოგჯერ, გადახსნილი ნივარაში დგას, ნაპირზე გადმოდის კი, უკვე მირტა, ვარდები ან დაფნა ამკოს... მისი სიმბოლიკა ორ ასპექტს მოიცავს: სული-

ერ, ამაღლებულ სიყვარულსა და ფიზიკურ ლტოლვას.

ვენერა ის „ცისკრის ვარსკვლავია“, რომელიც შედამებისას ან სისხამ დილაზე გამოკრთება ცაზე; ის ყველაზე პოპულარული ვარსკვლავია მითოლოგიაში: ბერძნული აფროდიტე, ქანანელთა ათარი, მესოპოტამიელთა იშთარი - განუყოფელ ზეციურ ტრიადას შეადგენდა მზესთან და მთვარესთან ერთად. ვენერას „ხიბლი“ მხოლოდ მითოლოგიაზე როდი ვრცელდება. ქართულ პოეზიას თუ მივმართავთ, პირველ ყოვლისა, ანა კალანდაძის ორი ლექსი გვახსენდება: „ზედაზნის ტყეებზე ციმციმებს ვენერა...“ და „ნუ მიახლოვდები შენ, ცისკრის ვარსკვლავო...“

ნეგატიური ასპექტი ამ „მადუნებელ“ მნათობს მხოლოდ კოლუმბამდელი ამერიკის ეთნოკულტურაში ჰქონდა: აცტეკების მითოლოგია ვენერას სიკვდილ-სიცოცხლის მისტერიას უკავშირებდა და თავის მრისხანე ღვთაებასთან - კეცალკოატლთან აივებდა.

**მარსი** (მარიზი, მესოპოტამიაში - ნერგალი, საბერძნეთში არესი) ასტროლოგიურად განიხილებოდა, როგორც „უბედურების პატარა მანუწყებელი“. ეს სიხსლისუფერი პლანეტა,

ასტროლოგთა აზრით, ადამიანს ანიჭებდა ვიტალურ ენერჯიას, ძლიერ ნებელობას, სიამაყეს, აფექტურ და უხეშ რეაქციას. გამოისახებოდა იარაღსხმულ, მრისხანე მეომრად.

**იუპიტერი** (მეშთარი, საბერძნეთში - ზევსი, მესოპოტამიაში - მარდუქი) გამოისახებოდა ჭარმაგ, წვეროსან პატრიარქად, რომელიც ღვთაებრივ ძალაუფლებას, სამართლიანობას, საყოველთაო წესრიგს განასახიერებდა. მისი ნება-სურვილის დამრღვევნი, უთუოდ უნდა დაეზაფრა იუპიტერის ატრიბუტებს: არწივს, გველსა და „ელვათა კონას“.

**საბურანი** (ზუალი, საბერძნეთში -



**ჭ** ქრონოსი, მესოპოტომიაში – ნინურთა) აღრინდელ მითოლოგიაში ასოცირებული იყო მიწათმოქმედებასთან, მაგრამ შემდეგ მას ვამთასვლის, სიბერის დამლის, ქრობის სიმბოლიკა მიეწერა. სატურნის ალგეორიული პორტრეტიც შესატყვისი იყო: თეთრწყვრა მოხუცი, რომელსაც ხელში ხან ქვიშის საათი ეყრა, ხან – ყავარჯენი. ზოგჯერ კი, სულაც ნამგალი ან ცელი – სიკვდილის სიმბოლო...

აბაზი

რენესანსის მხატვრები ხშირად ხატავდნენ ატამს ერთი ფოთლითურთ. ეს ანტიკური დროის გამოძახილი იყო, როდესაც ატამი გულწრფელ სიტყვას განასახიერებდა. ზოგჯერ ის ვეხვდება ღვთისმშობლის გამოსახულებაში, როდესაც

მარიამს ვაშლის მაგიერად ატამი უყვია ხელით, – „ვითარც სიმბოლო სულის ხსნისა“. მაგრამ ატამი, როგორც ამას მისი ღვთისმშობლის სახელწოდებაც მოწმობს (persicum – ანუ სპარსული), სპეციფიკურად აღმოსავლური ფენომენია და მისი სიმბოლიკაც შესატყვისად, სწორედ ახლო და შორეულ აღმოსავლეთის ქვეყნებში იღებს სათავეს. საინტერესოა, რომ როდესაც რომელიმე იმპერატორის ალექსანდრე სვეეროსის ბაშში ატმის ხე დარდილა წაშორდით დაფნამ, ეს სპარსელებზე მომავალი გამარჯვების ნიშნად აღიქმეს.

ატამი ერთ-ერთი ყველაზე პოეტური სიმბოლოა ჩინეთსა და იაპონიაში – უკვდავების, ქორწინების და სიყმაწვილის განმსახიერებელი. ჩინურ მითებში ჩვენ გვხვდება ატმებით და ხუნ-



კედლის მხატვრობა ჯერკულანგოსიდან. ახ.წ.-ით I ს. ნეპოლი, ნაქონილური მუზეუმი

ძლული უკვდავების ხე, რომელსაც ზეციური დედოფალი უკლის. ატმის მერქანს საკულტო საგნების გასაკეთებლად ხმარობდნენ, ხოლო ჩინურ ახალ წელს სახლებს სწორედ ატმის ტოტემი ამშვენებდა. რაც მთავარია, ატამი გახლდათ აგრეთვე „ბუდიზმის სამ ღვთაებრივ ხეთავან“ ერთ-ერთი.

ალბათ ისიც სათქმელია, რომ ატმის ყვავილი და მისი უნაზესი ფერი რამდენადმე ეროტიულ ასოციაციასაც იწვევდა, რადგან წარმოტაც ქალიშვილთან ერთად, თავნება ქალებსაც გულისხმობდა, ხოლო მეტაფორა – „ატმის ყვავილების სიმშავე“ იმ სულიერ აფორიკებას მოასწავებდა, რომელიც ქალიშვილებს ეუფლებათ ხოლმე გარდატეხის ასაკში.

ამ თემას არაერთი ჩინური თუ იაპონური ნაწარმოები ეძღვნება, მაგრამ, ატმის სიმბოლიკის რომანტიულობა, პირველ ყოვლისა, გალაკტიონის „ატმის ყვავილებს“ გვახსენებს ან კიდევ მისსავე:

„მე ვიგონებ ენებას სიყმაწვილის დროს,  
მე ვიგონებ ატმებზე მთვარის ჩრდილებს,  
იმ ატმებს გაუმარჯოს, იმ ატმის ყვავილებს!“  
(„იმ ატმებს გაუმარჯოს, იმ ატმის ყვავილებს!“)



„ატმები“, ჩინური ფაიფური, 1723-1735 წწ.

# აფთარი (ჰინა)

„ჰინას“ – ბერძნულად „ჰიანას“ – საფუძვლად დაედო სიტყვა „ჰის“, რაც ღორს ნიშნავს და უკვე ამ „ლინგვისტიკურ ბიოგრაფიაშიც“ იგრძნობა თავდაპირველი ზიზღი ცხოველისადმი. რომელიც მსორით იკვებება, ღამღამობით გააფრინავი ხმით კივის და მყრალი სუნი ასდის. მთელი ეს „ბუკტი“ საკმარისია იმისათვის, რომ აფთარი (ბიოლოგების თქმით, „ბუნების სანიტარი“), ესოდენ უარყოფითი სიმბოლიკით ყოფილიყო „დატვირთული“. ამ მითოლოგიზაციის პროცესში, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, აფთარმა ანთროპომორფული (ანუ ადამიანის მსგავსი) თვისებები შეიძინა და ევროპული ტრადიციის მიხედვით – სიმშრდლის, სიხარბისა და ფარისევლობის სიმბოლოდ იქცა.

აფთარი დიდხანს ეგონათ ძაღლისა და მგლის ნაჯვარი (პლინიუსი) ან ისეთი ცხოველი, რომელიც ცდილობს მაინცდამაინც მეგლს შეეჯვაროს (არისტიოტელე). ოვიდიუსის „მეტამორფოზებში“ ნათქვამია, რომ აფთარი „ხამ მამრობითი სქესისაა, ხან – მდედრობითის და სწორედ ამ თვისებების გამო უწმინდური ცხოველია“. სხვათა შორის, ამასვე ამბობს ბიბლიური იერემია (იერ. 12:9) და აღრექრისტიანულ ეპოქაში შექმნილი საბუნებისმეტყველო ნაშრომი „ფიზიოლოგი“ („Physiologus“).

პლინიუსი იმასაც ამტკიცებდა, რომ ჰინას შეუძლია ადამიანის ხმას მიბაძოს და სხვა ცხოველები მონუსხოს. აფთარის ეს მაგიური ძალა მრავალ ცრურწმენაში აისახა და ჯერ კიდევ ანტიკურ წყაროებში ეხვებოდა ჩანაწერებს, რომელთა ავტორებიც ამბობენ, რომ ჰინას ტყავს შეუძლია სეტყვის შეჩერება, მისი კისრის ძალა უებარი საშუალება ადამიანის დასამშვიდებლად, ხოლო მისი ჭროლა თვალებიდან მოპოვებული ძვირფასი ქვის „hyaenia“-ს („ეფეზის თვალის“) მფლობელი წინასწარმეტყველური სიზმრების ნახვის უნარს იძენს. აქვე იმასაც ვეჭვით, რომ თუკი ვინმე თავად ჰინას ნახავდა სიზმარში, გაღვიძება ნამდვილად აღარ



„აფთარი“. შუასაუკუნოვანი „ბესტიარისის“ ილუსტრაცია

უნდა გახარებოდა, რადგანაც ეს სიზმარი ოჯახში მახინჯი ბავშვის დაბადებას მოასწავებდა.

ჰინა გახლდათ შუა საუკუნეების ქრისტიანული მეტაფორა სატანისა, რომელიც ცოდვილებით იკვებება. მთელ ქრისტიანულ ტრადიციაში არსებობს ერთადერთი გამონაკლისი – ლეგენდა მეუღაბნო ბერზე, მაკარისოზე. რომელმაც სინათლე დაუბრუნა ჰინასაგან ნაპატრონებ ბრმა ბავშვს.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ძნელი დასაჯერებელია, რომ ძველ ევოპტურ მითოლოგიაში ჰინა დვთაებ-

რეი თვისებებით დაჯილდოებული. საფიქრებელია, სწორედ იმ „მაგიური“ თვისებების გამო (ღამე ხედვის უნარის ჩათვლით), რომლებიც ესოდენ აფრთხობდნენ ევროპელებს. სხვათა შორის, აფრიკის კონტინენტზე დღესაც არაერთი ტომი ამ ცხოველს თავის ტოტემად და მფარველად თვლის.

სიტყვა „გააფთრება“ ქართულ ლექსიკონში გვაფიქრებინებს, რომ ჩვენ ამ შემთხვევაშიც ევროპელები აღმოჩნდით. რაც შეეხება პოეტურ წარმოსახვას, საილუსტრაციოდ გალაკტიონის ერთი გვიანდელი ლექსი მოგვყავს...

გალაკტიონ ტაბიძე

\* \* \*

შარმან ჩვენი სახლის წინ იდგა ოთხი აფთარი, გააფხუული, ზაფხუული, შემოდგომა, ზამთარი.

სასინელი რამ იყო კარზე მათი მოდგომა, გააფხუული, ზაფხუული, ზამთარი შემოდგომა!

ო, ეს წელი გულს გლევდა, როგორც მიწას აფთარი, გააფხუული, ზაფხუული, შემოდგომა, ზამთარი.

მათ გზა ჰქონდათ ღზუნისა და მე კი დაზაფრული, ზამთარი, შემოდგომა, ზაფხუული, გააფხუული.

## აფრა (იალქანი)

იალქნის „სიმბოლური ბიოგრაფია“ თავდაპირველად უძველესმა ეგვიპტურმა იეროგლიფმა შემოგვინახა, რომლითაც ქარი, შემოქმედებითი სუნთქვა, დინამიკური იმპულსი და აფრა ერთი ნიშნით არის გამოხატული. შემდგომ ზოგიერთ შუა საუკუნეების ემბლემაში იალქანი სულიწმიდის ალეგორია იყო: ზოგან უბრალოდ სულის, სუნთქვის, ქარის – ყოველივე იმისი, რასაც ჩვენ შევიგრძნობთ. მაგრამ ვერ ვხედავთ და რის გამოსახატავდაც რაიმე პირობითობას (სიმბოლოს) უნდა მივმართოთ.

იალქნის სიმბოლიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ფერს: თეთრი, ქათვითა აფრები განხორციელებული მისისი. იღბლის, სიხარულის ასოციაციას იწვევდა: შვი, მრუმე საფრთხისა და განსაცდელის მომასწავებელი იყო: აღისფერი – სანუკვარი ოცნებისა და წარმოსახული გამარჯვების... მნიშვნელობა ჰქონდა აფრის კონტურსაც: „ჩამოდენილი“ აფრა უძრავობის, ინერტულობის, შემოქმედებითი იმპულსის არქონის სიმბოლოდ აღიქმებოდა; სავე – ფორტუნის კეთილგანწყობის ანუ



დეით კაკაძე, ნახტი სერიიდან - „არქანი“ 1921 წ.

იღბლისა და წინსვლის.

შეუძლებელია პოეზიაში არ დახვლიყო ესოდენ მეტაფორულად ამტყვევებული ცნება. ამის ერთ-ერთი კლასიკური ნიმუშია მიხეილ ლერმონტოვის „აფრა“ (1832 წ.) – რომანტიკული ნატურის ცხოვრების ქარტუხითან ჭიდილის პოეტური ნათელხილვა: ქართულ ლექსს თუ მიეუბრუნდებით, გაგვახსენდება პაოლო იაშვილის დაუოკებელი ბუნებისათვის ესოდენ დამახასიათებელი სტრიქონები:

...როგორც აფრის ტაკუნში

მოვარდნილი ზღვიდან,

ისეთი ვაჟაკური

გაქროლება მინდა...“

(...როგორც აფრის ტაკუნში... 1934 წ.)

## აქლემი


აქლემი ევროპელთათვის აზიის სიმბოლოდ დამკვიდრდა. ეს ამტანი და დაუღალავი ცხოველი აზიისა და ჩრდილო აფრიკის უმეტესი ნაწილის მცხოვრებთათვის არსებობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

აღმოსავლეთში მეფეთა და პატრიარქთა სიმდიდრე აქლემთა რაოდენობით განისაზღვრებოდა. აქლემი ძვირფას ნადავლად დივულებოდა ომში; ის იყო მზითვის, სისხლის საზღაურისა თუ ნებისმიერი ალბ-მიციემობის უნივერსალური საზოგადოება.

სულხან-საბას დროს, როდესაც თბილისში აქლემთა ქარავნები მიმოდიოდნენ, საბასაც თქმით, განასხვავებდნენ „მამალ აქლემს – ლიონს, დედალს – ჯამას და შვილსა მათსა – კოზაკს“. იქ კი, საიდანაც ეს ქარავნები მოდიოდნენ, არაბეთის ნახევარკუნძულზე, მთელი ლექსიკონი არსებობდა მომთაბარე ბედენითა ამ მარჩენალისა და დოვლათის განსახიერების აღსანიშნავად. ამისდა მიუხედავად, აღმოსავლურ ტრადიციაში აქლემის სიმბოლური მნიშვნელობა საკმაოდ მწირად არის წარმოდგენილი. აქვე ისიც გაეიხსენოთ,

რომ მუჰამედის ყველაზე სწრაფი აქლემი – ალი-ადამა, მუსლიმანური წარმოდგენებით, სამოთხეში მოხვდა, ზოლო მისი მეორე საყვარელი აქლემი – ალქასა შექაში დამარხეს, ქაბას წმინდა ქვის შორი-ახლოს.

ღირსშესანიშნავია აგრეთვე ბუდისტურ იკონოგრაფიაში შემონახული გამოსახულება, რომელზეც გაუტამა ბუდას სასიკვდილო სარეცლის გარშემო თავმოყრილნი არიან აქლემი, ვეფხვი და



ბარლეფი დეირ ელ ბაჰრის ნეკროპოლიდან დღლივალ ხატშესუტის აკლამის კედელზე. ძვ.წ-ით 1490-1468 წწ. ძველი ეგვიპტე



„მანის“ დინასტიის დროინდელი საკულტო სკულპტურა. (1368-1644წწ.) ჩინეთი

ინდური წყლის კამეზი - არინი, სიმბოლიკას მოკლებული, დეკორატიულ ფიგურად აღქმული აქლემი კი, პირიქით, მრავალ და მრავალ აღმოსავლურ ნაკეთობას ამშვენებს.

ევროპაში ეს ეგზოტიკური ცხოველი, რომელიც მუხლებზე იჩოქებოდა, რათა მისთვის საპალნე აეკიდებინათ - მორჩილებისა და თვინიერების სიმბოლოდ იქცა. წმინდა ავეუსტინე-

სათვის (354-430 წ.წ.) აქლემი განასახიერებდა ქრისტიანებს, რომელნიც უდრტიწივლად ეზიდებოდნენ თავიანთ ჯვარს. აქლემს სახარებისეულ სახისმეტყველებაშიც ეხედებით: აქლემის მატყლის სამოსი ეცვა იოანე ნათლისმცემელს, ხოლო თავად იესო ქრისტე თავის მოწაფეებს ამგვარი მეტაფორით შეაგონებს: „უმაღ აქლემი გაბერება ნემსის ყუნწში. ვიდრე მდიდარი შევა ღეთის სასუფეველში“ (მათე. 19:24).

აქლემის სიმბოლიკაში ნეგატიური მომენტიც აღინიშნება: მისი მაღლა აწეული თავი და შორს მიპყრობილი მზერა ქედმაღლობისა და ამპარტანობის ასოციაციას იწვევდა. კიდევ უფრო პირქუში სიმბოლიკა ჰქონდა შავ აქლემს, რომლის სიზმარში ნახვაც სიკვდილის მომასწავებელი იყო. ერთი ხატოვანი თურქული გამოთქმის მიხედვით: „სიკვდილი - ესაა შავი აქლემი, რომელიც ყოველი ადამიანის სახლის კარებთანაა დადარაჯებული“. ეს „გულისდამაძმომებელი“ სიმბოლიკა იგრძნობა გრიკოლ როპაქიძის ერთ ადრეულ სონეტშიც, რომელიც აქ მოგვყავს.

**ბრიგოლ როპაქიძე**

**აქლემი**

აყუდებული, აყროყვილი, ორკუზიანი.  
ცხუნე სივრცეთა კომმარების უგვანო ბუში.  
ბაიასავით გამომწვარი ზანგელა ბურში.  
უცხო, უთვისო, მატანტალა, შორი გზიანი.

ამპარტაუანი, ნელი, დინჯი, თავაზიანი,  
მოდუნებული მეოცნებე შორეთის მურში.  
მორცხვი, კეკელა, მოალერსე, მუსუსი, მრუში,  
გახუნებული მაგრამ მაინც მარად მზიანი.

საოცარია შენი ზანტი მთქნარებით თვლემა:  
მზეთა ვალზობით რომ მოთენია უდაბნოს რთველმა,  
ქიშერის თავის ღიმიით გასცქერ აღმურს კომლიანს -

თითქოს გესუნთქვის არაბეთის ამწვარი ნარდი,  
და უშნო ცოხვნით ოდეს ერთვი მელანქოლიას  
დორბლიან ტუჩზე გიობდება სამყაროს დარდი.

1918 წ.



აქლემის უძველესი გამოსახულება ტასლის მღვიმეებიდან. ძვ.წ-ით 3500-3000 წწ. საპარის უდაბნო, ლიბია

# ბ

## ბაბუნაწვერა

ყოფითი სიმბოლიკა ბაბუნაწვერასი - ცხოვრების წარმატალობის, წამიერების სუვერენიტიდან მომდინარეობს - ცხოვრების დღენი ისევე მიაქვს დროს, რო-

გორც ქარს - ბაბუნაწვერას ბუმბული... მაგრამ ბაბუნაწვერას სხვა. უფრო ღრმა რელიგიური სიმბოლიკაც აქვს: ენებანი ქრისტესი. შესაძლოა, ეს ასოციაცია წარმოიშვა ბაბუნაწვერას ფოთლების სიმწარის გამოც. სავარაუდოდ სწორედ ასეთი სიმბოლური მინიშნება აქვს ბუმ-

ბულშემომარცველ ბაბუნაწვერას ვიტსტოვთანაც (კრაკოვის ტაძრის საკურთხეველი) და დიურერთანაც აქ წარმოდგენილ ნამუშევარში.

## ბაღ



შუა საუკუნეების მითოლოგიურ წარმოსახვაში ბაღეს ორსახოკანი სიმბოლიკა  
ქქონდა: მხარ-

ზე გადაღებული მებადურის ბაღით დადიოდა პეტრე მოციქული. რომელსაც სახარებაში იესო ეუბნება: „ნუ გეშინია, ამიერიდან კაცთა მებადური იქნები“ (ლუკა, 5: 10); მაგრამ, იმავედროულად, ბაღით დაიარება „ბოროტი მებადურიც“ - ეშმაკი, რომელსაც თვალი უჭირავს ცოდვილ სულთა მისატაცებლად. შუასაუკუნოვანი პოეტის პეტრო ტრიმბერგელის ლექსში - „ეშმაკის ბაღე“ (დაახლ. 1290 წ.) ამ მებადურის „ასისტენტებიცაა“ ჩამოთვლილი - ამპარტაუნობა, შური, სიძულელი, სიზარბე, გაუმადლობა, გარყენილება და მქვინვარება...

მითოლოგიურ „რეკვიზიტში“ ბაღე მისტიკური ძალაუფლების სიმბოლოა: სწორედ ბაღით დაიმორჩილა უმთავრესმა ბაბილონურმა ღვთაებამ - მარლუქმა თიამათი, ქაოსისა და პირველლუკიანის ქალღმერთი.

ძალზე ხატუნად აისახა ბაღის სიმბოლიკა ბუდიზმის ერთ-ერთი მთავარ-



ალბრეხტ დიურერი. „ბაღი“. 1503 წ. ვენა, გრაფიკის კოლექცია „ალბერტინა“



მარსი და ვენერა  
ვულკანის ბაღში  
(იტალიურია  
მათილიკა), 1534 წ.  
ურბინო

რი განშტოების - დაოსიზმის მითოლოგიაში: აქ ვარსკვლავებით მოჭედული ცა - ბაღა, რომელიც გიგანტურ, კოსმიურ ხერხეულზე გადაფარებული დაოსურ საღვთო წიგნში („დაო დე ძინ“) წერია: „ცის ბაღის თითოეული თვალი საკმაოდ ფართია, მაგრამ ვერაფერი გააღწევს მასში“. ანუ გაცხადდა იდეა, რომ ინდივიდს არ შესწევს ძალა (თუნდაც თვითმკვლელობის გზით) თავი დააღწიოს წუთისოფლის ხლართს; ყოვლისმპყრობელმა ჩვენ ერთმანეთს მიგვაჯავჭვა და ჩვენს ნებასურვილზე აღარაა დამოკიდებული - განვერდილოთ თუ საერთოდ დავტოვოთ ეს ერთიანობა.

ანტიკურ მითოლოგიაში ბაღის სიმბოლიკა არ არის ეგზომ მძაფრი და, შეიძლება ითქვას, მელოდრამატულ ხასიათის ატარებს: მჭედელმა-ღმერთმა პეფესტომ (ვულკანმა) თავის ცოლს - აფროდიტეს (ვენერას) და მის სატრფოს - არესს (მარსს) სასიყვარულო პაემანის დროს შეუსწრო და ოლიმპიელ „მოწყემთა“ მოსკლამდე მათ ბრინჯაოს ბაღ

გადააფარა. ამიტომაა ბადე - აფროდიტესა და არესის ერთ-ერთი სიმბოლური ატრიბუტი, რომელმაც ჩვენამდე „შემსუბუქებული“ სახით მოაღწია - „სასიყვარულო ბაღედ“ წოდებულმა...

### ბავშვი


ბავშვი, - რაღა თქმაუნდა, - საწმინდის, სისათუთის, გულწრფელობის, უცოდველობის სიმბოლოა. ის თავად მომავალია, განსხვავებით მოხუცისაგან, რომელიც წარსულს განასახიერებს. ქრისტიანულ იკონოგრაფიაში სწორედ ბავშვებად გამოისახებიან მართალთა სულელები. ცნობილია ფეოფან

გრეკისა და ანდრეი რუბლიოვის ხატი, სადაც ბავშვად გარდასახული ღვთისმშობლის სული, მარიამის მიძინების ეამს, სათუთად უყვრია ხელთ მის სასათუმალთან მდგარ მაცხოვარს. თუმცა, არსებობს ბავშვის განსხვავებული სიმბოლიკა: თუ დაუუკვირდებით შუა საუკუნეების იკონოგრაფიულ მადონებს, გვეჩვენება, რომ ჩველ ქრისტეს მხატვრები აშკარად ზრდასრულის გამოუმეტყველებით ხატავენ. ამით მიინშნებულა იესოს თინდაყოლილი გონიერება, რადგან შუა საუკუნეებში ბავშვი და „ბრიფვი“ ერთმანეთთანაა გაიგივებული. ეს ნევატიური ელფერი აისახა სიტყვა „ინფანტილიზმის“ ეტიმოლოგიაშიც და ჩვენს ყოფით ლექსიკონშიც.

ბავშვის სიმბოლიკის პირველად ასპექტს - თავმდაბლობასა და გულწრფელობას, სიფაქიზეს - საფუძვლად დაედო მაცხოვრის ერთი შეგონება: „თუ არ მოიქცევით და არ იქნებით როგორც ბავშვები, ვერ შეხვალთ ცათა სასუფეველში“ (მათე. 18:3). განმანათლებლობის ეპოქიდან დაწყებული, ხელოვნე-



გუანინი - ღვთაობა და ბავშვობა მფარველი მუნიციპალიტეტის ღვთაობა (შეფერადებული ხე. ლაიკი), XVII-XVIII სს. კოტტანაში



კაზიმირის პორტრეტი. მხატვარი ილუსტრაცია, 1915 წ.

ბაში მკვიდრდება აზრი, რომ „ჭეშმარიტება ბავშვის ბავით ღალადებს“ (ამის კლასიკური მაგალითია – ანდერსენის ზღაპარი „შიშველი მუფუ“). საუკუნოვანი ტრანსფორმაციის შემდეგ, ეს სახე-სიმბოლო წარმოგვიდგება პანო ბუდენბროკად (თომას მანის რომანის „ბუდენბროკების“ პატარა გმირი), რომელიც ადამიანის ყველაზე სათუთ, ყველაზე მტკიან, ყველაზე დაუცველ ბუნებას განასახიერებს და ილუპება კიდევაც... განა, რაღაც მსგავსი განწყობა არაა გალაკტიონის ლექსში:

„ქალაქში, მტვერში წაიქცა ბავშვი ნუკრის თვალებით, თმით – მიმოზუებით და მწუხარების მალენიაცში მოფრინდნენ ლურჯი ანგელოზები“.  
(„ს.ა.“, 1915 წ.)

აქვე ვიტყვით, რომ პანო ბუდენბროკი ერთგვარი ილუსტრაციაა ფრიდრიხ ნიცშეს თეზისისა, რომლის თანახმად, „ბავშვი“ სიმბოლოა ასაკით მოტანილი შინაგანი განწყენისა და სისადავის („ასე ამბობდა ზარატუსტრა“). ასე, ცხოვრების დასალიერზე, ყოვე-


ლდღიურობის ორომტრიალით დაღლილი ადამიანი ჭეშმარიტების ძიებაში კვლავ უბრუნდება თავის ოდინდელ ბავშვობას...

## ბამბუკი

იაპონიაში, ჩინეთში და მათ მიმდებარე ქვეყნებში, ბამბუკი – სიმზნევის, დღეგრძელობის, ბედნიერების სიმბოლოა: მისი სეგმენტებად დაყოფილი ღერო აღმოსავლეთში აღიქმებოდა, როგორც ჭეშმარიტების შეცნობის საფეხურები; „ცარიელი გული“ თავმდაბლობას გამოხატავდა, ხოლო მარადი



შუ ჰეი-ჰუნგი. „ბამბუკი“. 1948 წ. ჩინეთი.



კონსტანტინე იასონურის თეატრი „კაპუცი“, თანამედროვე დახატვა

სიმწვანე - ყაშთა უსასრულობას. იმ-  
ანაც კი, რომ ბამბუკი ტაკატაკუცი  
იწყის, სიმბოლური მნიშვნელობა შეი-  
ძინა - ითვლებოდა, რომ ეს ხმაური აე-  
სულებს აფრთხობს. რადგან ბამბუკის  
ტოტი გულმონწყალებისა და თანალომ-  
ბის კეთილი ქალღმერთის - გუანინის  
ატრბუტი იყო, ჩინურ ნახატებში ძა-  
ლზე ხშირად შეხვდებით ბამბუკს, ჩი-  
ნური ემბლემატიკის დანარჩენ, ძირი-  
თად მცენარეებთან ერთად (ესაა - ქრი-  
ზანთემა, ფიჭვი და ქლიავის ყვავილი).  
ბამბუკი გვიან შემოდგომაზე ყვავი-  
ლობს, მაგრამ 80 ან 100 წელიწადში  
ერთხელ და მალევე იწყებს ხმობას. ამ-  
იტომაც, ყველა სხვა მცენარისაგან გან-

სხვაებით, მისი ყვავილობა აეისმობას-  
წავებული ნიშანია. ყველა სხვა შემთხ-  
ვევაში ბამბუკი (რომელიც ბოტანიკაში  
ბალახის სახეობად ითვლება), თავიან-  
სცემის ობიექტია და იაპონიაში მისდა-  
მი მიძღვნილი ტაძარიც კი არსებობს.

## ბანძო

ბანძო (კარტი) უკვე თავისთავად წა-  
რმოადგენს სიმბოლოთა მინიატიურულ  
„გალერეას“, მაგრამ, რაღა თქმა უნდა,  
ის, ვინც დღეს მაგიდას უზის პრეფე-  
რანსის სათამაშოდ, მოგებაზე ფიქრობს  
და არა იმაზე, თუ რა სიღრმისეული

სიმბოლიკა აქვთ მის ხელთ აღმოჩენ-  
ილ, პატარა ფერადოვან სურათებს... ეს  
სიმბოლიკა კი საუკუნეთა სიღრმიდან  
მოდის და რაღაც მისტიკური საბურ-  
ველითაა მოხილი. საქმე იმაშია, რომ  
დღეს გაერცვლებული ბანძოს „წინა-  
პარი“ გახლავთ „ტაროტი“ (სხვაგვა-  
რად „ტარო“), რომელიც ევროპაში  
XIV საუკუნიდანაა ცნობილი და, რო-  
გორც ერთ-ერთ ცნობარშია ნათქვა-  
მი: „ოკულტური ტრადიციით, წარმო-  
ადგენს სისტემას ვიზუალური სიმბო-  
ლოებისა, რომელიც ასახავს ადამიანის  
ხესვლას სულიერი გასხივისებისა თუ  
სრულყოფისაკენ“. ჩვენში პრაქტიკუ-  
ლად უცნობა ტაროტმა ბოლო რამ-  
დენიმე საუკუნეა სერიოზულად დაი-  
ნტერესა ფილოსოფოსები, ფსიქოლო-  
გები და არაერთი გამოკვლევის საგანი  
გახდა. საგულისხმოა ერთ-ერთი აე-  
ტორის შენიშვნა: „ტაროტის სფერო  
იმდენად ფართოა, რომ შეუძლია შეა-  
დგინოს სიმბოლიზმის ცალკე დარგი.  
ისეთივე ვრცელი, როგორცია სიზმ-  
რად ნანახის სიმბოლიკა“.

სიმბოლოთა ისტორიის XVIII საუ-  
კუნის მკვლევარი, კურტ ლე გებელი-  
ნი თვლიდა, რომ ტაროტი - უძველესი  
„სამკითხავო ენაა“, - ჯადოსნური  
გასაღები შუასაუკუნეებრივი მისტე-  
რიებისა და კიდევ უფრო ძველი - ეგ-  
ვიპტური, აზიური, ინდური სიმბოლი-  
კის ამოსაცნობად. გებელინივე მიიჩ-  
ნევდა, რომ ტაროტის კარტი ევრო-  
პაში მოთმობარე ბოშებს გაავრცელ-  
ეს. ამ შეხვედრებს იზიარებდა XIX  
საუკუნის ოკულტიზმის უდიდესი წა-  
რმომადგენელი - ელიფას ლევი (ნამ-  
დელი სახელი - ალფონს კონსტანი);  
თავის „მაგიის ისტორიაში“ იგი წერს,  
რომ „ტაროტი - ესაა მონუმენტალუ-  
რი და თავისებურად განუმეორებელი  
ნაწარმოები - თავისი სისადავითა და  
გამომსახველობით პირამიდების არქი-  
ტექტურის მსგავსი, - ამიტომაც, ისევე  
საუკუნოვანი; ესაა წიგნი, რომელიც  
ყველა არსებულ მენიერებათა ჯამში მო-  
იტყვის და რომლის უსასრულო მენტაპო-  
რფოზები საშუალებას იძლევა ნებისმი-  
ერი პრობლემის გადაჭრისა; წიგნი,



კარტ დე ლა ტური. „მულერი აკურის ტუხით“ 1635-1640 წწ. პარიზი, ლუვრი


რომელიც გირჩევთ და ჩაგაფიქრებთ: ეს ალბათ, - ადამიანის გონების უდიდესი მონაპოვარია, ყოველ შემთხვევაში, ერთი იმ უმშვენიერეს საგანთაგანს, რომელიც ჩვენ გარდასულ დროთაგან შემოგვრჩა“: ცალკე გამოკვლევას უძღვნის ტაროტს გამოჩენილი რუსი ფილოსოფოსი პეტრე უსპენსკი („ტაროტის სიმბოლოები“, 1911-1929); კარლ იუნგის აზრით, ტაროტმა ასახა ბრძოლის ის ორი ფორმა, რომელსაც ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში ეწევა: ერთი ესაა „შის გზა“ - გაცნობიერებელი, აქტიური, სოციალური თვითდამკვიდრების, „სხვებთან ბრძოლის“ გზა; მეორე - „მთვარის გზა“ გულისხმობს საკუთარ თავთან ჭიდილს, პასიურ, ინტუიტურ თვითწვილობას, რომელიც „მზიური“ ექსტრავერტის ფსიქოლოგიური ტიპისაგან განსხვავებით, „მთვარისულ“ ინტრავერტებს ახასიათებთ. ეს ორი გზა - რეფლექსიასა და ინტუიციას განასახიერებს და, შესაბამისად, „პრაქტიკულ“ და „წმინდა“ გონებას. XIX საუკუნის დასასრულის ცნობილი თეოსოფოსის ელენე ბლავატსკაიას აზრით, ტაროტი საშუალებას იძლევა, უძველეს გადმოცემათა წიაღში ჩაგმანული საიდუმლოებანი ამოვხსნათ.

გარდა „ბოშების ვერსიისა“, არსებობდა კიდევ რამდენიმე მოსაზრება იმის თაობაზე, თუ როგორ გავრცელდა ტაროტი ევროპაში: ერთი თვლიდნენ, რომ ეს ჯვაროსნების დამსახურებაა; მეორენი ტაროტის წარმომავლობას ყმაწვილთათვის განკუთვნილ ძველებურ, დასურათებულ, იტალიურ ენციკლოპედიებს უკავშირებდნენ და მიიჩნევდნენ, რომ ტაროტი ამ ილუსტრაციებისა და ეპანური ბანქოს ნაჯვარია, მისტიკური სიმბოლიკის ელემენტებით გამდიდრებული...

ტაროტის მიერ ევროპის დაპყრობას თავისი ნიშანსებები აქვს: მეცნიერები ერთიანი აზრის არიან იმის თაობაზე, რომ ტაროტის ზღვისათვის ცნობილი გამოშახველობითი ალევორია იტალიაში შეიქმნა XIV საუკუნეში. იმავე საუკუნის ბოლოს ტაროტის კარტს ამზადებენ საფრანგეთის მეფის კარლოს VI-ის დაკვეთით; ინგლისში ტაროტი XV საუკუნეში ჩნდება ედუარდ IV-ის მეფობის დროს. მაგრამ მეფე ბანქოს არ წყალობდა და ტაროტის მოყვარულნი „ატაქაქვეშეთში“ იყვნენ, საზოგადოდ, ევროპაში ტაროტის ლეგალიზაცია საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდგომ მოხდა. ტაროტმა დღევანდელი სახე, ისევე და ისევე, საფრანგეთში მიიღო - „მარსელის დასტის“ სახელით, რომელსაც საფუძვლად დაედო კურტ დე გეპელინის 1773 წელს გამოქვეყნებული ნიმუშები.

„კაცობრიობის კოლექტიური მეხსიერების“ (იუნგი) ეს უნიკალური პროექტი დღეს მკითხავეებზე არანაკლებ ფსიქოლოგებს იტაცებს, როგორც განუმეორებელი ფსიქოლოგიური სავარჯიშო თუ ტესტი. ტაროტის პარაფსიქოლოგურმა და ეზოთერიკულმა ასპექტმა განსაკუთრებით მოხიბლა გასული საუკუნის 60-იანი წლების ამერიკული ახალგაზრდობის ის ნაწილი, რომელიც „პიპობაღ“ იწოდებოდნენ.

ახლა, შევეცდებით, თუნდაც ზოგადი წარმოდგენა შეგიქმნათ ამ, საუკუ-



ტაროტის მარსელის დასტის „დიდი არკანების“ „განდევლილი“, „ფორტუნას ბორბალი“, „მართლმსაჯულება“

ნოვანი იღუმალებით მოსილი ფენომენის შესახებ: ტაროტის თითოეული კარტი, სრულიად დამოუკიდებელ, თვითმპარ ალეგორიას წარმოადგენს, მაგრამ ისინი ერთიანდებიან ე.წ. „არკანებად“. რომელთაგან „დიდმა“ 22 კარტისაგან შემდგარმა, ადამიანის მთელი ცხოვრებისეული გამოცდილება უნდა განასახიეროს ( ერთი ფიქრობდნენ, რომ „22“ – ებრაული ანბანის 22 ასოს სიმბოლიკასთანაა დაკავშირებული. მეორენი – ვიშუს 22 გარდასახვასთან); „მცირე“ – 56 კარტიანი დასტა. თავის მხრივ, ოთხ სერიად იყოფა და ოთხ სტიქიას ასახავს (დღევანდელი ბანქოს დასტა სწორედ აქედან, „მცირე არკანისაგან“ მომდინარეობს).

„კოლექტიური არაცნობიერის“ ეს თავისებური პროექცია ითვალისწინებდა სიერტობრივ სიმბოლიკას: მნიშვნელობა ქჷონდა იმას – ზის თუ დგას კარტზე გამოსახული ადამიანი; საით იცქირება – მარჯვნივ თუ მარცხნივ; თავ-თავისი სიმბოლიკა აქვს სხეულის თითოეულ ნაწილს; ცალკე იყო გათვალისწინებული აგრეთვე სამოსის, ფერის და რიცხვთა სიმბოლიკა.

ეჭვგარეშეა, რომ ტაროტის წარმოსახვითმა სამყარომ აშკარა კვალი დააჩნია ევროპულ სიმბოლურ აზროვნებას.

ბასილისკო



ბასილისკო (ბერძნულად „პატარა მეფე“) – სიმბოლური, მითოლოგიური არსებაა, რომლის წარმომავლობაც დღეს ირონიულ ღიმილს იწვევს, ჩვენს შორეულ წინაპრებს კი შიშის ზარს სცემდა. ეს წარმომავლობა ერთობ ეგზოტიკური იყო: შუა საუკუნეების აღწერილობებით ბასილისკო გამოიჩენებოდა ბებური მამლის მიერ ფუნაში დადებული

გველის კვერცხიდან, რომელსაც კრუხოზას შხამიანი გომბეშო უწევდა. ესოდენ ორიგინალურად დაბადებულ ბასილისკოს გარეგნობაც შესატყვისი ქჷონდა: პლინიუს უფროსის ჩანაწერებში („ბუნების ისტორია“) ნათქვამია, რომ ბასილისკოს გველის ტანი აქვს, ხოლო თავზე სამეფო გვირგვინის მიხედვარი თითონი ლაქა ამჩნევია. დროთა განმავლობაში ეს აღწერილობა იცვლებოდა და XVII ს. ქრონიკებში ბასილისკო აღწერილია, როგორც ქიშკრა, რომელსაც ქათმის ან ინდაურის ტანი და გველის თავი და კული აქვს. რაც შეეხება ბასილისკოს „ზნესა და ქცევას“, იმაე პლინიუსის მტკიცებით, „პატარა ურჩხულის“ ერთ შებერეავს შეუძლია გადაბუგოს მთელი არემარე, ხოლო მზერას მომაკვდინებელი ძალა აქვს და ცხენსა და მხედარს ადგილზე აქეპავებს. არსებობდა სამი საშუალება, რომლითაც, უძველესი რწმენით, შეიძლებოდა ბასილისკოს უვნებელყოფა: სინდიოფალა, რომლის სუნთქვაც კლავდა ბასილისკოს, მამალი, რომლის ყოილსაც ვერ იტანდა „პატარა ურჩხული“ და სარკე, რომელიც ბასილისკოს მომაკვდინებელ მზერას ირეკლავდა... შუასაუკუნოვან „ალექსანდრე დიდის ისტორიაში“ მოთხრობილია, რომ ერთ ბნელ ზეობაში ალექსანდრე გადააწყდა ბასილისკოს, მაგრამ გადარჩა, რადგან სარკის მაგიერობა მისმა პრიალა ფარმა გასწია.


დღეს ძნელი დასაჯერებელია, რომ უახლეს ეპოქამდე მოგზაურებს ბასილისკოს შიშით, როგორც წესი, შორეულ გზაზე თან მიჰქონდათ სარკე და ცალკე დაწულ გალიაში – მამალი ან სინდიოფალა. ახლა, მთელი ამ „ბუკეტის“ შემხედვარეთ, ჩვენ არ გავივიკვრებთ, რომ ბასილისკოს სიმბოლური თვისებები გამომდინარეობდნენ მისი „მითოლოგიური ბიოგრაფიიდან“ და განასახიერებდნენ ბოროტებას, ცოდვას, ეშმაკს, ანტიქრისტეს, ავზორცობას, ბიწიერებას, ხიფათს და სახიკვდილო საერთხეს.

თავდაპირველად, ევკიპტეში

ბასილისკო გაიგივებული იყო გვირგვინიან გველთან, საფიქრებელია კობრასთან და მხოლოდ საუკუნეთა განმავლობაში შეიძინა ყველა ის „ძვირფასი“ თვისება, რომლებზეც ზემოთ მოგახსენებდით. ბასილისკო (მისი მეორე, გავრცელებული სახელი იყო „კოკატრისი“) შიშის ზარს სცემდა ევროპელებს ათეული საუკუნეების განმავლობაში და თითო-ორიოლა ადამიანი თუ მოძიებნებოდა, რომელსაც ეჭვი შეჰქონდა „პატარა ურჩხულის“ არსებობაში. ხორზე ლეის ბორხესის „ბესტიარიუმში“ ამგვარი „გაბეღლებოს“ მაგალითად მოხმობილია XVII ს-ის ესპანელი სატირიკოსი მწერლის ფრანსისკო კვედოს რომანი „ბასილისკო“.

ბატი

დღეს ძნელი წარმოსადგენია, რაოდენ მდიდარი ვახლდათ წარსულში ბატის სიმბოლიკა: ერთი მხრივ ეს იყო – სიფიზილე, სიყვარული და ოჯახუ-



ფრენკ პოპონი. „მისიერე ბატი“. 1908 წ. დიონი, ხელოვნების მუზეუმი (საფრანგეთი)



„ბატება“ აკლდამის მოხატულობის მუდღუშში. ძეწით 2700 წ. ძველი ეგვიპტე

რი ბედნიერება, ერთგულება; და მეორე მხრივ - ენაჭარტალობა, გონებაზე ზღუდულობა. ამპარტავენობა და ჭირვეულობა... ბატი იმ ფრინველთა რიცხვს განეკუთვნებოდა, რომელთა სიმბოლიკაც მზესთან იყო დაკავშირებული: აქ მისი სახისმეტყველებითი ატრიბუტიკა ძალზე უმსგავსება გედისას და ზშირად ეს სიმბოლური სახეები ურთიერთმონაცვლენიც არიან.

ჩვენი უშორესი წინაპრების აღქმაში ბატი იმ პირველადი სუბსტანციის სიმბოლოა, რომლიდანაც სამყარო შეიქმნა. მისტერიებში სამყარო „კოსმიური ბატის“ მიერ დადებული კვერცხის ანალოგად აღიქმებოდა. ამ ლეგენდას უმსგავსება მეორე: ოდესღაც კოსმოსში დაიღო „ოქროს კვერცხი“ (მზე), რომლიდანაც გამოიჩეკა „პირველადი ბატი“.

ძველ ეგვიპტეში, სადაც გარეული ბატების ზამთრის მზებუდობის დროს გამოჩენა მნათობთა აღორძინებას მოასწავებდა, ისინი ითვლებოდნენ შუამავლებად ცასა და მიწას შორის; იმავედროულად, ბატი ფარაონის სულსაც განასახიერებდა და ყოველი მომდევნო ფარაონის ტახტზე ასვლისას, ქვეყნის ოთხივე მხრის მიმართულებით ოთხ ბატს უშვებდნენ. ეგვიპტურ პანთეონში ბატი რამდენიმე ღმერთის ატრიბუტი იყო: კების, მიწის ღმერთის, რომელსაც ცის თალი ეკვირა; აგრეთვე თოთის, ოსირისის, ისიდასი; ბერძნულში - აპოლონ-


ის. პერმესის, დიონისესი, პერასი, ნაყოფიერების ღმერთის - პრიაპის; რომაულში - მარსის (რემისა და რომულის მამის).

ეგრეთ წოდებულმა „კაპიტოლიუმის ბატებმა“ (ისინი ქალღმერთ იუნონა მონეტას ეძღვნებოდნენ და კაპიტოლიუმის ბორცვზე ქურომები სწორედ ამ ბატების „ქეცვის“ მიხედვით წინასწარმეტყვე-

ლებდნენ), გამსაკუთრებული როლი შესრულეს რომის ისტორიაში: ჩვ. წ. აღმდე 350 წელს, როდესაც ვალეების ვაერი ღამით, მიპარეთ რომის ალებას აპირებდა, ბატები აყიყინდნენ და ქალაქის მცველნი გააღვიძეს. ამ დღის აღსანიშნავად, რომაელებს ყოველ წელს კაპიტოლიუმთან ოქროს ბატი მიჰქონდათ.

ერთი შუასაუკუნოეანი ისტორიის თანახმად, მტრისაგან ალყა შემორტყმული ციხე-სიმაგრის დამცველნი მომხდურთა გასამასხარავებლად, მათ ქონგურებიდან ბატებს ანახებდნენ. ამ დღიწინამ მტერი ისე განარისხა, რომ ციხე-სიმაგრისაგან ქვა-ქვაზე არ დატოვეს და არც არავინ დაუნდვიათ, ცხადია, ბატების გარდა.

შუა საუკუნეებში ასხვავებდნენ გარეულ - რუხ და შინაური - თეთრ ბატს. ერთი იმდროინდელ „ბესტიარიუმში“ წერია, რომ რუხი ბატი იმ დღისმოსავ ადამიანს ჰგავს, რომელიც მიწიერ ამოვებს განერიდა და რუხი სამოსი აცვია, ხოლო თეთრი შინაური ბატები ქალაქის ქუჩებში გამოფენილ, უხამსად მოყვანე ადამიანებთან არიან შედარებულინი.



ბაღი „რუხში“ კოტოში. XVI ს. დახაწვისი, იაპონია

ზომ გვახსოვს:

„სეველის ბაღს შევალ შენაღონები:  
მოკრეფა მსურდა ვარდის კონები“.

ბესიკია, რაღა თქმა უნდა („სეველის  
ბაღს შევალ“) თავის სიმბოლურ  
გარემოცვაში.

## ბალი


ბალი ძველთაგანვე იდეალური სამ-  
ყაროს, კოსმორი წესრიგისა და პარ-  
მონიის მიწიერი განსხეულებაა. ეს არის  
დაკარგული და ხელახლა აღმოჩენი-  
ლი სამოთხე. მსოფლიოს ძირითად კუ-  
ლტურათათვის ბალი წარმოადგენდა  
ღვთაებრივი ნების და ადამიანის სული-  
ერ მისწრაფებათა თანხვედრას.

ბალი ამავე დროს ცნობიერის სიმბო-  
ლოცაა, რომელიც უპირისპირდება  
ტყეს, როგორც არაცნობიერს. (მსგავსი  
დაპირისპირება – ოკენა და კუნძული).  
ძველი ეგვიპტის ნილოსისპირა ბაღები  
ეგზოტიკური ხეებითა და ყვავილებით,  
ფარშეანგებითა და აუზებით – უკედა-  
თა სამყოფელი ემსგავსებოდა. კლასი-  
კური სპარსული ბაღიც სამოთხის მი-  
წიერ ანალოგად იყო ჩაფიქრებული. ნი-  
შანდობლივია, რომ მსოფლიოს შვიდ სა-  
ოცრებათაგან ერთ-ერთად ძველმა ბე-  
რძენებმა ასურეთის დედოფლის – სემი-  
რამიდას „დაკიდებული ბაღები“ მიიჩ-  
ნიეს.

ჩინეთში „ხანის“ დინასტიის მმარ-  
თველობისას გაშენებულ ბაღებს თავი-  
სი ტბებით, გორაკებით, კლდეებით,  
უნდა განესახიერებინათ ის მითიური,  
იმქვეყნიური „ნეტართა კუნძულები“,  
სადაც ჩინელი იმპერატორები სიკე-  
დილის შემდეგ იმედოვნებდნენ მოხვე-  
დრას, ვითარც უკვდავნი.

თავისი, გამორჩეული სიმბოლიკა აქვს  
სახარებაში გეთსიმანის ბაღს – მოსა-  
ლოდნელი განსაცდელის წინათგარძო-  
ბით შეპყრობილი მაცხოვრის სულიერი  
მზაობის მოწმეს...

ევროპელის თვალთახედვით უცნა-  
ურია, რომ ადამიანს შეუძლია საათო-  
ბით იჯდეს და უცქიროს ათასგვარი  
ქვებით მოკირწყვულ „ბაღს“, მაგრამ



„ბალი“. მინიატიურა სპარსული პოეზიის ანთოლოგიიდან. XIV ს.

იაპონელთათვის ეს თვითჩარმავება  
და მედიტაცია ერთგვარი ნაწილია მა-  
თი მსოფლშეგრძნებისა. ეტყობა ამ  
ქვათა თანაწყობის სიმბოლიკა რაღა-  
ცით ასაზრდოებს თავის ფიქრებთან და  
პრობლემებთან დარჩენილ ადამიანს.

ქართულ რეალიებს თუ მივებრუნდებ-  
ით, ნიშანდობლივია, რომ „წმინდა ნინ-  
ოს ცხოვრებაში“ მეფე მირიანის სამეფო

ბალი სამოთხედა გააზრებული; საზოგა-  
დოდ კი, ქართულ მწერლობაში ბალის  
სიმბოლიკამ რუსთაველის მეტა-  
ფორებით დაწყებული და ოთარ ჭილა-  
ძის „ღარიბაჩანავის ბალით“ („გზაზე ერ-  
თი კაცი მიდიოდა“) დამთავრებული, თა-  
ვისი ადგილი დაიმკვიდრა და ახალი  
მტრისებრი შესძინა ბალის არსებულ, მი-  
თოლოგიურ არქეტყსს.

ბაყაყი



პლინიუსი წერდა, რომ ჯადოქრობას შეუძლია ბაყაყები ყოვლისშემძლენი გახადოს. შუა საუკუნეების რწმენის თანახმად, მძინარე ქალს ბაყაყის ენას თუ დაადებდი გულზე, იგი გულწრფელად გაიასუხებდათ ნებისმიერ კითხვაზე.

ძველ ეგვიპტეში ბაყაყი უკავშირდებოდა ბაყაყ-ქალღმერთს - ზეკეტს, რომელიც მშობიარეთა მფარველი იყო. პატარა ბაყაყები ნილოსში ჩნდებოდნენ მდინარის ნაპირებიდან გადმოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე და ამიტომ ბაყაყი ნაყოფიერების მაცნელი ითვლებოდა. ერთი პირობა „გაღმერთებულ“ ბაყაყებს სარკოფაგებშიც კი დებდნენ.

„ეთილისმარწმევლები“ ბაყაყის ანტიპოდს იყო გომბეშო. ისევე, როგორც ფუტკრისა - კრაზნაა. სხვა კულტურებში ბაყაყ ასევე იწვევდა ბუნების გაღვიძების, წყლისა და წვიმის ასოციაციას. ამ ამფიბიის „ემბრიონალური სიმბოლიზმი“ - მისი გარდასახვა ქვირილიდან - ჯერ თავკომბალად, ხოლო შემდეგ თავკომბალიდან იმ არსებად, რომელსაც ჰქონდა ოთხი კიდური და უცნაური სხეული, გასაგებს ხდის გაერცილებულ ზღაპრულ სიუჟეტს, რომელშიც ბაყაყი, კიდევ ერთი გარდასახვის შემდეგ, მშვე-

ნიერ მეფის ასულად მოგვევლინება. ქართული წარმოდგენა, რომლის თანახმად, ბაყაყის მოკლა წვიმას იწვევდა, სხვადასხვა კულტურებშიც გვხვდება: ჩინეთში მაგალითად, ბაყაყის გამოსახულებასთან მთელი რიტუალი ტარდებოდა, რომ როგორმე წვიმა წამოსულიყო. ღიმილის მომგვრელია ლეგენდა ერთ ჩინელ იმპერატორზე, რომელმაც საგანგებო კანონით ბაყაყებს ყიყინი აუკრძალა და, რაც მთავარია, ისინიც დაემორჩილნენ. ძველ ჩინეთში სჯეროდათ, რომ ბაყაყის ქვირილი ცის ნაშთან ერთად ცვიოდა და ამიტომაც, ბაყაყს რამდენადმე „ზეციური წარმომავლობაც“ მიეწერებოდა (შესაძლოა, ამითაც აიხსნება ჩინელი ბაყაყების „კანონმორჩილება“ - მათი იმპერატორებიც ხომ „ზეცის შვილებად“ ითვლებოდნენ).

ქრისტიანულ ცნობიერებაში ბაყაყთა ურიცხვი სიმრავლე, მუშლის მაგვარად, აღქმულია, როგორც „გვემანი ეგვიპტისანი“ (გამოსულათა, 8: 2-14), გამოცხადებაში (16:13) ბაყაყი მიჩნეულია უწმინდურ არსებად და მწვალეუბლობას განასახიერებს. თუმცა ცნობილია, რომ ბაყაყი გერმანელი წმინდანების - წმ. პერვეს და წმ. პირმინის ატრიბუტიც იყო.

ქართულმა მწერლობამ, სულ ხანსაბას ერთი იგავის მიხედვით თუ ეიმსჯელებთ („იხვი და მყვარი“; აქვე შევნიშნათ, რომ მყვარი, საბასეული განმარტებით, ბაყაყს ნიშნავს), ბაყაყის ბიბლიური, ნეგატიური სიმბოლიკა



ფაქრეჯის ნუფრატის ბაყაყი 1908-1917 წწ. (რუსეთი)

გაითავისა, და რამდენადმე განავითარა კიდევ, რადგან საბასთან ბაყაყი არა უბრალოდ უწმინდური და უსიამოვნო არსებობა, არამედ, ალუგორია იმგვარი ადამიანისა, რომელიც ჩასჭიდებია თავის „გუბებს“ (ანუ თავის დრომოკმულ წარმოდგენებს) და უაზრო სიჯიუტის მსხვერპლი ხდება.

ასევე მდიდარი სიმბოლიური დატივრთვა აქვს, უკვე XX ს-ის დასაწყისში დაწერილ სონეტს გრიგოლ რობაქიძისა - „კასაკა“.



ივანე ბილიბინი. ილუსტრაცია რუსული ხალხური ზღაპრისა „მეფის ასული - ბაყაყი“. 1899 წ. (ფრაგმენტი)

„უკარებელი. მიზანტროპი. ტანდაყოფილი. ხავსისფერ კანზე მზის ხაოთი სქლად მოწეითილი. სოფელში ცოცხით მკერდზე თითრად გადაცეითილი, ჩუმი. გვერდულა. ალმაცერა. ცქერაქურდული.“

თავისიანებს თავის ძულით ჩამოწევეტილი. მუხის წყალიან ფულუროში გადამუდრული. ქოსა. თვალკუსა. ლორწიანი. ცხვირდასუდრული. სოფლის ავიზნით ცხარე ტინში ზშირად წყვეტილი.

(გრიგოლ რობაქიძე, „კასაკა“, 1919 წ.)

ბაქაილი



უხასრულობისა და უწყვეტობის მზიური (სოლარული) სიმბოლიკა (ჩვეულებრივ, დისკოთი და წრით გამოხატული) ბეჭდის სახით - ყოფით, ხელშესახებ საგანში განიჭიდა. შედეგად, წარმოიშვა სიმბოლური მწკრივი: მარადიული კავშირი, სრულყოფა, რწმენა, ძალაუფლება, უპირატესობა, ფლობა...

ჩვენამდე მოღწეული უძველესი ბეჭდები ეგვიპტურია: შათზე, როგორც წესი, მარადისობის განმასახიერებელი ხოჭო - ფუნდურა (ფუნაგორია) იყო ამოტვიფრული და ერთგვარი პირადი ემბლემის ფუნქცია ჰქონდა. ქართული ომონიმი, როდესაც „ბეჭედი“ სამკაულსაც აღნიშნავს და შტამპის ნაირსახეობასაც, სწორედ იქიდან მომდინარეობს, რომ თავდაპირველად, ჩვენი მეფეებიცა და დიდებულნიც სწორედ საკუთარ ბეჭედს აჭდობდნენ სიველგუჯრებს.

ბეჭედს წარმოშობისთანავე ჰქონდა მეორე ფუნქციაც - ამულტისა, რომელიც მან ათასწლეულობით შეინარჩუნა: ოღონდ ცხადია, ეს „დამკაცი ფუნქცია“ დიდად იყო დამოკიდებული ქვასა და ზედ ამოტვიფრულ გამოსახულებაზე.

ჩინეთში ბეჭდის წარმოშობას საიმპერატორო პარამხანას უკავშირებდნენ: იმპერატორის მორიგი რჩეული მხევალი, გედის ბუმბულის საბურველში შეფუთული, ხელზე ატაბებული შეკყავდა იმპერატორთან მთავარ საჭურისს. ამ დროს ლამაზმანის ერთადერთი სამოსიც და სამკაულიც მარცხენა ხელზე გაკეთებული ვერცხლის ბეჭედი გახლდათ. გამოსვლისას - ბეჭედი უკვე მარჯვენა ხელზე უნდა ქეონოდა. იმაე ჩინეთში, ოქროს ბეჭდის ტარება ფეხშიძიე ქალების პრივილეგია იყო, ისიც ბოლო თვეს.

ძველ რომში საქორწინო ბეჭედი ქორწინების იურადიულ ატრიბუტს წარმოადგენდა და სიმბოლური მნიშ-



ფრანსუა დელ კოსა, „მაკაიცი ბეჭედი ზღვს“, 1472-1477 წწ. პარონ ტისენ-პორნემპის კოლექციიდან. ლუვანი, ბელგია. (მკვლევარების აზრით, პორტრეტზე გამოსახულია ერთ-ერთი წვერი დეტეს არისტოკრატიული ოჯახისა, რომელთა ემბლემაც - პრილაანტის ბეჭედი გახლდათ)

ვნელობა მოგვიანებით შეიძინა. აქ (ისევე, როგორც ძველ საბერძნეთში) რკინის ბეჭედებს საპატიო მოქალაქეები ატარებდნენ, ხოლო ოქროსას - იუპიტერის ქურუმნი; შედარებით გვიანდელ ეპოქაში - სენატორები, რაინ-

დები და ეპისკოპოსები (ეს უკანასკნელი ამთვისტოს თვლით), რომის პაპის ბეჭედი - ბაღემომარჯევებულ წმ. პეტრეს გამოსახულებით, ტრადიციისამებრ, მისი სიკვდილისთანავე უნდა დაიმტკრეს.

ბეჭედი კორპორატიული სიმბოლოც გახლდათ და პირველი ქრისტიანები ერთმანეთს სწორედ ერთნაირი ბეჭდით ამოიწნობდნენ ხოლმე.

მითოლოგიაში ბეჭედი ხშირად უკავშირდებოდა მაგიურ ძალეს. ავი თვალისაგან უენებელყოფას ან გადაძალეუნი განძემულის პოვნას („ნიბოლეუგების ბეჭედი“). ეს მითოლოგმა გვასწავნებს ბიბლიური სოლომონის ბეჭედს და მასთან დაკავშირებულ სასწაულებს. „დამკაიე ფუნქცია“ ერთმანეთთან აკავშირებდა ბეჭედს, სამაჯურსა და ყელსაბაზს - მათ სულისა და ხორცის ურელობა უნდა განესახიერებინათ; მაგრამ თუ ადამიანი კვდებოდა, პირველ ყოვლისა, სწორედ ბეჭედს ხსნიდნენ, რათა სულისათვის სხეულის დატოვება გაეადვილებინათ...


დღემდე შემორჩენილია რწმენა, რომლის თანახმად, ბეჭდის დაკარგვა (განსაკუთრებით კი საქორწინოსი) ავისმომასწავებელ ნიშნად ითვლება: ასევე არ შეიძლება ნაპოვნი ბეჭდის ტარებმა, რადგან ის მაგიურ კავშირშია თავის პატრონთან. ბეჭდის სწორედ ამ „ფენომენალური მესიერების“ გამო, ეს სამკაული გამოირჩეულ გავრეულობათა რელიკვიად იქცეოდა ხოლმე და ემბლემატურ მნიშვნელობასაც იძენდა. ის არაერთ მუხასაუკუნოვან არისტოკრატიულ გერბზეა გამოსახული.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ლეგენდაში რდეეობის, ურთიერთმიჯაჭვულობისა და ფლობის სიმბოლიკა ბეჭდისა აიხსნება იმით, რომ ბეჭედი - ესაა დარღვეული ჯაჭვის ერთადერთი, ბოლო რგოლი: აქედან გამომდინარე, პრომეთეს მითის ერთ-ერთ ვერსიაში იუპიტერი ნებას რთავს ჰერაკლეს, რათა მან პრომეთეს ჯაჭვები ახსნას, ოღონდ ღვთაებრივი ცეცხლის გამტაცებელმა, მორჩილების ნიშნად, უნდა ატაროს რკინის ბეჭედი შიგ ჩასმული კავკასიური კლდის ნატეხით.

ჩვენ, კავკასიის მკვიდრნი, ალბათ, უფრო მეორე მითოლოგიურ ბეჭედზე ვიცნობთ, რომელიც ნატურისთვისაა აღმშენებლ...

### ბზა

ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული, ბზას, კვიპაროსთან და ურთხელთან ერთად, სასაფლაოებზე გრავედნენ და ამიტომაც ის იმჭევიანიურ (ქტორურ) ღვთაებათა წმინდა ხედ ითვლებოდა. ბზას აკუთვნებდნენ აგრეთვე „ღმერთების ღედას“. ფრიგიული წარმომავლობის ღვთაებას - კიბელას (ბერძნები მას რეისთან, ზეუსის ღედასთან აიგივებდნენ, რომაელები „დიდ ღედას“ - „Mater“ - ს უწოდებდნენ).



ქართულ ცნობიერებაში ის მცენარე ბზობის საუფლო დღესასწაულთან არის დაკავშირებული, რომელიც მობრავია და აღინიშნება დიდი მარხვის მეექვსე კვირას - იერუსალიმში უფლის დიდებით შემოსვლის დღეს. იესო ქრისტეს შემობრძანების აღფრთოვანებული ხალხი, ნიშნად მოწიწებისა და თაყვანისცემის, მაცხოვარს ჰალმისა და ზეთისხილის ტოტებს უფენდა. შემდგომ, ამ საუფლო დღესასწაულის სიმბოლიკა დაუკავშირდა არა მხოლოდ ჰალმასა და ზეთისხილს, არამედ ძეწწნასაც (სლაეურ სამყაროში) და ბზასაც (მეტწილად მთიან რეგიონებში), რომელნიც ერთმანეთს უნაცვლებოდნენ, იმისდა მიხედვით, რომელ ქვეყანაში რომელიც მცენარე იყო გავრელებული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე შეიმჩნევა ერთგვარი აღრევა ამ მცენარის დასახელების მიმართ: ბზობის დღესასწაულის ანალოგიით, რუსული „ხერძა“ ყოფით მეტყველებაში მეტწილად ბზად ითარგმნება ხოლმე და არა ტირიდალ.

### ბორბალი (დისკო)



ყოფით ცნობიერებაში ბორბალი - პროგრესის სიმბოლიაა. ეს სახეობით ბუნებრივია; უცნაური და ძნელად ასახსნელი კი ის არის, რომ საკმაოდ განვითარებულ ცივილიზაციაში კოლუმბამდელი ამერიკისა, ეს ეპოქალური აღმოჩენა - ღერძზე მოძრავი დისკოსი, - ყოფაში არ დამჩვრავა, რადაც ამოუხსნელი ტაბუს გამო (მხოლოდ სათამაშო ურიკებს ჰქონდათ ბორბლები).

პრისტორიული ბორბალი, როგორც ცნობილია, მანების გარეშე იყო და წარმოადგენდა ხის დისკოს, ზუსტად ისეთვე ფორმისა, როგორც გამოსახავდნენ ვალმერთებულ მზესა და მთვარეს. 4000 წლის წინ მანებიანი ბორბლის გამოჩენამ (მანები მართლაც ემსგავსებოდა მზის სხივებს) საბოლოოდ „შეაზღო“ ბორბალი მზიურ სანთონში და მდიდარი სიმბოლიკით შარბანდელით შემოსა. ამ სიმბოლიკის კონცეპტუალური მოდელი, მცირედი განსხვავებით, მეორდება ყველა არქაულ კულტურაში, მაგრამ მას წინ უსწრებს საკუთრივ დისკოს სიმბოლიკას: დისკო მოგვსენებოდა, ღვთაებრიობისა და ძალაუფლების მზიური ემბლემაა. ამიტომაც, რომ ეგვიპტისა და ახლო აღმოსავლეთის სოლარული ღმერთების (რა, აშური, აპურნაზა და ანუ ორმუზი) განუყრელი ატარიბუტია - ფრთხილმსხველი დისკოა. ასევე ინდუსტური წარმოდგენებით, სადაც სხივმოსილი დისკო - ეიშნუ-სურაის უნივერსალური იარაღია (როგორც შექმნის, ასევე განადგურებს). განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბორბლის სიმბოლიკას ბუდიზმში: „წმინდა დისკო“ ღვთაებრივ სრულყოფას განასახიერებს, ხოლო სიცარიელე მის ცენტრში - შეუცნობელ არსს. ბუდისტური რიტუალის განუყოფელი ნაწილია ტარბის გარშემო განთავსებულ დისკოების („დხარმაჩაკრა“) მთელი წყების შემოვლა და ამ-



წმ კიორიკის წამება ბორბალზე ვიზიჯერის საკურთხეველს წინ აღმასრთავი ჯერის უფროსი კართული კედლებია 1439-1442 წწ. საქართველოს ბელონების მუზეუმის

ოდრავება. ამ სიმბოლოს კიდევ ერთი სახესხვაობაა „სანსარას ბორბალი“ – ბორბალი არსებობისა. „კანონის, ჭეშმარიტებისა და სიციცხლის ბორბალი“ ერთ-ერთია ბუდიზმის „იბღლიანობის რვა ემბლემათაგან“. ფრანგი ეზოთერიკოსის, რენე გენონის ინტერპრეტაციით, ამ მეტაფორულ ბორბალს ამოდრავებს ბრძენთაბრძენი, რომელიც უხილავად დგას მის ცენტრში, მაგრამ თავად უძრავია და თავისი „უმოქმედო ქმედებით“ განრიდებულია ცხოვრებისეულ ამოვებას.

ძველმა ბერძენებმა ბორბლის სიმბოლიკა ეგვიპტელებისაგან დაისესხეს და მათთანაც ტაძრებში, მზის ღვთაების განსაღიღებლად, საკურთხეველზე აღმოდებული ბორბალი იყო. ამ ცეცხლოვანმა ბორბალმა როგორღაც „აღაგზნო“ მითოლოგიური წარმოსა-

ხვა: რადგან ბორბალი ხშირილია მზისა, რომელიც ცაზე „მივორავს“ – აღმოდებულ ბორბლებს ზაფხულის მზებუდობისას ბორცივიდან მირს ავიორებდნენ – ეს ერთგვარი „სტრამულიარება“ იყო მზის ეტლისა... შოტლანდიასა და ნრდლილით ევროპაში, ამ რიტუალმა შობაზე გაღმონაცვლა, ოლიონდ აქ შობის დამემს ქუნა-ქუნა ავიორაეებდნენ აღმოდებულ კასრს ან მორს.

ღრთოა განმცვლობაში ევიპტურ-ბერძნული „მზის ბორბალი“ გარდაისახა „ფორტუნას ბორბალად“ (ქართული – „ბედის წარხი“). მასზე, ზეველებრივ, გამოსახებულია ბორბალზე მიამული ქალი („ფორტუნა“ – ანუ ბედისწერა), რომლის „ხეობას“ თუ „დაცემას“ (ბორბლის მდვიომარე-

ობისდა მიხედვით) ბედის ცვალებადობა უნდა განენახერებინა.

ასეც უნდა თიქვის, რომ ბედის ხისასტაკე ბორბლის მართლიც კანასახურა უკვე არა როვიორც ხისხლილი, არამედ როვიორც წამების არბალი (შეზატვისი ტერმინი) თი არხებობს – „და-ბორბლა“. კიორიგრაფიაში აღბეჭდა წმ კიორიკისა და წმ კატერინე ალექსანდრიელის წამების სცენებს, ხილი საწამებელი ბორბალი წმ კატერინეს ატრამებუდა თქვა. ლამაღებს „კიორი-ბიღენი“. ასთი, რომ ტკიობის წრეზე აღბეჭდეს ჯეუქისა და მახიორკის; რამი-მელებსა კანატელოების პირეკადან ავიორებდნენ კასრის შვე კანასწეველი ეზობელსაყოთი. ასეც კანაკლებს შუა საეკუტეების კვლამის კელთან მიკვირებული მატარა, კვირულია ოვალურა კვამბასთი (კვირულიაფი-ამს ვეხედეს ავიორც ეზობული მახი-ხანს ზეოქზე ასეკვირული მთავლია; შესდგომ ეს „დაღებს“ დაკიობს ექსი-ქამასთი კანსიკლებს შეცვალა).

აღსანიშნავია, რომ შუასაეკუნიკანი წარმოდებებით, ბორბალი, რომელიც მზის მოსრობის მამართლებით ტრიალებდა, – „სიკიობს ბორბლად“ თივლებოდა; ხილი საწამაღმდეგო მხარეს – „ბორბლებს“.

ღვეს ბორბლის ხშირილიკამ ერთომ პრიზუალი თერი მიადი და უმეტესად, საეკტომობილი ფირსების ემბლემებშია ვეხელება.



„ფორტუნის ბორბალი“ – სანსარა, კანას ნაკვიო კანასხელებს კანარკის მზის ტაძრში, იბლიყო

ბორჯღალი



ბორჯღალი ერთ-ერთი უძველესი სიმბოლოა, რომელიც სრულიად განსხვავებულ კულტურებში დამკვიდრდა. ბორჯღალი, მიუხედავად სხვათა წარუვლი ფორმის მრავალფეროვანი გამოსახულებათა წარმომავლობით ესაა - თავისი ღერძის ირგვლივ დატრიალებული სვასტიკური ჯვარი: საკმარისია სვასტიკას, - ამ

უძველეს ინდოიანულ სოღარულ სიმბოლოს, თუნდაც ერთი ფრთა მიემატოს. - ის ბორჯღალად გადაიქცევა (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მკვლევარი, მაგალითად, რენე გენონი, ბორჯღალს არ უკავშირებს მზის კულტს).

ბორჯღალის მზიური სიმბოლიკითაა გაჯერებული ქართული ორნამენტის კაც: სად არ ნახათ მას - საეკლესიო ხელოვნების ნიმუშებსა თუ კიდობანზე, მარცვლეულის საცავებზე, ტიხრებზე, საკამლოგინებზე, საყარძლებზე... მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ბორჯღალის გამოსახულებას ქართული სახლის უმთავრეს საყრდენზე - დედაბოძზე ენიჭებოდა. აქ ეს ემბლემა მზის მადლმოსილებით დატული კერის - ოჯახის სიმშვიდისა და უსაფრთხოების გარანტი უნდა ყოფილიყო.

ბუნებრივია, რომ მას შემდეგ, რაც XX ს. მიწურულს საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ამ ძველთა ძველმა ეროვნულმა სიმბოლომ ახალი სიცოცხლე შეიძინა და არაერთ ემბ-

ლემაში წარმოჩნდა.

ბორჯღალი უძველეს ეთნოკულტურათა უმეტესობისათვისაც გამორჩეულად უნივერსალური სიმბოლოა, რომელსაც წმ. გრიგოლ ნოსელი განიხილავს, როგორც ცეცხლის მარადიულ სწრაფვას ზენითიერი სასუფეველისადმი, რის გამოც მისთვის ესაა სახე-სიმბოლო ღვთისადმი სწრაფვის, „ხატი მორჩილებისა და სიყვარულისა...“

ბრინჯი

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების, ჩინეთისა და იაპონიის ეს ძირითადი მარცვლეული კულტურა, სიმბოლური თვალსაზრისითაც ფრიად გამორჩეულია. აზიაში ბრინჯი საზოგადოდ მარცვლეულის სინონიმია და როგორც ყოველდღიური, მიწიერი, ასევე სულიერი, „ღვთაებრივი“ საქ-

ვების სიმბოლოა. მითებში ბრინჯი იყო ღმერთ-გმირების საწუქარი ანდა ის მატერია, რომელიც ადამიანის სიცოცხლესთან ერთად ჩაისახა „პირველად გოგრაში“. ჩინეთში საქორწინო ცერემონიაზე ნეფე-დედოფლისათვის ბრინჯის მირამეკა ნაყოფიერებისა და გამრავლების სურვილის ტოლფასია; იგივე სიმბოლიკა აქვს ინდოეთში ახლად დაქორწინებულთათვის ბრინჯის მარცვლების შეყრას. ჩინეთში ბრინჯის არყის სმას რიტუალური მნიშვნელობა ჰქონდა - ამ სასმელს ერთგვარ ამბროზიად თვლიდნენ. ბრინჯის მარცვლებს მაგიური უნარი მიეწერებოდათ - ავი სულების განრიდება; „იმ-ქვეყნიური მგზავრობის“ გასაიღლებლად მიცვალებულებს პირში, ისევ და ისევ, ბრინჯის მარცვლებს უყრიდნენ. ჩინური ადათი კრძალავდა ბრინჯის ნარჩენების გადაყრას (აღბაით, არაა მწელი ჰარალელის გავლება ჩვენს პურთან). იაპონიაში ბრინჯს ორი მფარ-



ბორჯღალი, მზიური დეკორი, ახ. წით VI ს. სირია



ლაკმის (უხვი მთიანეთის ღვთისმშობლის) ღვთისმშობლისთვის სხვის კედლები ბრინჯის ვეჯედებით მოსაზრ. საღვთაიცი. ბრინჯის სასწრაფოება დამხატვლული. (ინდოთა)

ველი ღვთაება ჰყავს: მზის ქალღმერთი - ამატერასუ და ღმერთი - ინარი, რომელიც ღვგენდის თანახმად, ჩვ.წ.აღ.-მდე 800 წელს მოხუცის იერსახით მოველინა მიწას ბრინჯის ორი ძნით. აღსანიშნავია, რომ იაპონიაში ინარის 40000-მდე ტაძარი და სალოცავი აუგეს. იაპონიაშივე მიღებული წესის თანახმად, მღვდელმსახურის თანდასწრებით ადამიანისათვის ბრინჯის მირთმევას კეთილდღეობა და ბენიერება მოაქვს.

## ბროლი


ბროლი ებრაულ ენაზე არის „კერახი“, რაც სიტყვასიტყვით ყინულს ნიშნავს, ხოლო ბერძნული შესატყვისია „კრისტალი“. სულხან-საბას განმარტებით: „ბროლი ბუნებით თეორი ქვა არს...“ და ეს „ქვა“ ქართულ ცნობიერებაში სიწმინდის, სისპეტაკის, უზადო რეპუტაციის სიმბოლოდ დამკვიდრდა. ყოფა-ცხოვრებაში, XIX საუკუნიდან მოყოლებული (რუსული და ევროპული ტრადიციის გავლენით),

ბროლი, ბროლის ჭალები იქნებოდა ეს თუ ლარნაკები, სიმღერის, წარმატებულობისა და ფუფუნების უნივერსალური ნიშანი გახლდათ.

ბროლი, როგორც პოეტური მეტაფორა, განსაკუთრებული მრავალფეროვნებით წარმოჩნდა „ვეფხისტყაოსანში“, სადაც ის განასახიერებს: ნატიფ პირსახეს, თლილ თითებს, ქათქათა ყვლს და კბილებს, დაბოლოს, ცრემლსა და წვიმის წვეთებს.

ძველ რომში ძალზე ცხელი ზაფხული თუ დაღებოდა, წარჩინებული

რომაელი აუცილებლად დაიჭერდა ხელში ბროლის ბურთულას და ასე, „ფსიქოლოგიურად“ იგრილებდა თავს. შგავს ბურთულებს ხმარობდნენ რიტუალური და მაგიური მიზნებითაც, ხოლო ბროლის კრისტალებიდან გაკეთებული ღონებით ქურუმები „ღვთაებრივ ცეცხლს“ ანთებდნენ საკურთხეველზე. ქრისტიანობაში ბროლი ღვთისმშობლის სიმბოლოა, ხოლო ბროლის სფერო - ღვთაებრივი სინათლისა (სწორედ ამ მინიშნებითაა ჩახატული ბროლის სფერო პოლაიოლის სურათში).



საერო დელ პოლაიოლო. „ღვთისმშობელი ყრმა აესოსი“. დაახლ. 1470 წ. ღვთა

ბროწეული



ძველი ბერძნების რწმენით, ბროწეულის ხე დიონისეს სისხლზეა ამოზრდილი. ისევე როგორც ფრინტა (ანემონი) - აღონისის,

ხოლო იები - ატისისა. ბერძნულ-რომაულ პანთეონში ბროწეულის ეგზოტიკური ნაყოფი რამდენიმე ლეიპაებასთან იყო ასოცირებული: მას უკავშირებდნენ აფროდიტეს (ვენერას) - სიყვარულის ქალღმერთს; დედათა და მიწათმოქმედთა მფარველს - პერას (იუნონას), რომელსაც საჭორწინო ემბლემის ნაცვლად ბროწეული ეკავა; დემეტრეს (ცერერას) ან მის ქალიშვილს პერსეფონეს (პროზერპინას). ერთ-ერთი ანტიკური მითის თანახმად, მიწისქვე-

შა სამეფოს ღმერთმა ჰადესმა პერსეფონე მოიტაცა და მათი ქორწინების ნიშნად ბროწეული აიწუქა. პერსეფონეს ბროწეული რომ არ გაეხსნა, როგორც ქალღმერთს, შეეძლო საუბრად დაეტოვებინა მიწისქვეშეთი, მაგრამ რახან იგემა, იძულებული იყო წელიწადის ერთი შესამდე ჰადესის სამფლობელოში ანუ მიწისქვეშეთში გაეტარებინა. ანტიკური წარმოდგენებით, ბროწეულის ლალისფერი მარცვლები დიონისეს (ნაყოფიერების ღმერთის) სისხლით იყო გაჯერებული.

ქრისტიანობაში ამ სიმბოლიკამ ფერისცვალება განიცადა. აქ ბროწეულის წვენი იწვევდა პირველმოწამეთა სისხლის ასოციაციას. ხოლო პირველქრისტიანთათვის ბროწეულის კანქვეშ მოწინფერი მარცვლების თანაწყობა მათი საიღუმლო ძმობის გამსახიერება გახდა. ძველი აღთქმის მიხედვით, ბროწე-

ული, ლეღუთან და ვახთან ერთად, სიმდიდრისა და სიუხვის მანიშნებელი იყო. გარდა ამისა, ბროწეულის ნაყოფი ბიბლიაში სამკაროს ერთიანობას განასახიერებს. ამიტომაც იყო ბროწეული გამოსახული სოლომონის ტაძრის სვეტებზე, ისევე, როგორც პირველმღვდელმთავრის აარონის სამოსზე. არსებობს მოსაზრება, რომ ბიბლიის ძველ ბერძნულ და ლათინურ თარგმანში ბროწეული შეცდომით ვაშლად ითარგმნა და ამიტომაც „ხე ცნობადის“ ნაყოფი, ევას მიერ მოწვევტილი, ბროწეულია და არა ვაშლი.

ბაროკოს სიმბოლიკაში მწიფე, გაპობილი ბროწეულის ნაყოფი უსახლერო თანაღმობას განასახიერებდა (აქედან იკვეთება „მოწყალე ძმების“ საზოგადოების - კარიტასის ემბლემატიკა). ბროწეულის ხე, ნაყოფი და განსაცვიფრებელი ხილამაზის ყვავილი, არ-



„ემაწეული ბროწეულით“. ირანული მინიატიურა (ისპაჰანის სტილი), XVII ს.



ალბრეხტ დიურერი, მაქსიმილიანის პორტრეტი, 1519 წ.

აერთი ირანელი და არაბი პოეტისა თუ მხატვრის შთაგონების წყარო გახდა. ყურანის თანახმად, მუჰამედისათვის შურისა და სიძულელიისაგან განსკურნავე უებარი საშუალება სწორედ ბროწეული იყო.

ჩინეთში ბროწეული „ბულიზმის მადლმოსილ ნაყოფთაგან“ ერთ-ერთი გახლდათ და ეს „გამორჩეულობა“ შეუმჩნეველი არ დარჩენია ჩინურ ხელოვნებას.

ბუ




ბუ, ისევე როგორც კოტი, რომელსაც ჩვენ ერთმანეთისაგან პრაქტიკულად ვერ ვარჩევთ, თანამედროვე სიმბოლიკაში გონიერე-

ბას, გამჭრიახობას და წიგნიერებას განსახიერებს. ეს ჯერ კიდევ ძველი ბენძებებიდან მომდინარეობს, რომელთაც ბუ თავისი ქალღმერთის, ათენას (ათენა პრონოიას - ანუ წინასწარმკვირტის) თანამგზავრად და ატრიბუტად წარმოედგინათ.

ასე მოხედა ბუს ემბლემატური გამოხატულება ჯერ ძველბერძნულ მონეტებზე, შემდგომ კი - უკვე წიგნების დასტაზე შემომგდარი, მთელს ევროპაში დაკანონდა, როგორც განსწავლულობის სიმბოლო.

აბსოლუტურად განსხვავებული იყო ბუს სიმბოლიკა ეგვიპტურ სამყაროში: აქ ის „მკვდარი შშის სამეფოს“ მიეკუთვნებოდა და სიკვდილს, სიცივეს, პასიურობას განასახიერებდა. მსგავსი, ნეგატიური სიმბოლიკა ახასიათებდა ჩინურ, ინდურ, კოლუმბამდელი ამერიკის კულტურულ ტრადიციასაც. ძველ ჩინეთში რატომღაც სჯეროდათ, რომ ბუს ბარტყი დედამის თვალებს ჰკორტნის და, აქედან გამომდინარე, ბუსთან დაკავშირებული სიმბოლიკა მხოლოდ ნეგატიური იყო.

თანამედროვე სამყაროში ბუ ან „ტრადიციულ“ განსწავლულობას განასახი-



„ბუ“. პისის ლეკის მონასტრის კედლის მხატვრობა; XI ს. საყრდნეთი

ერებს ან, როგორც სიბნელეში ხედვის „დიდოსტატი“. ხშირად გეხვდება ოპტიკასთან დაკავშირებულ საგნებსა და საეაჭრო ნიშნებზე.

ბუდას ძაღლები

„ბუდას ძაღლები“ (სხვაგვარად, „კარაშიში“) იმ ლომ-ძაღლების ქეის ან ბრინჯაოს ფიგურებს ეწოდება, რომელნიც ბუდისტური ტაძრის კარიბჭის ორსავე მხარეს არიან განთავსებული. წარმომავლობით „ბუდას ძაღლები“ იაპონიიდან არიან, რადგან სწორედ სინთოისტურ ტაძრებში იყო განსაკუთრებით გამოკვეთილი კარიბჭის სიმბოლურ „დარაჯთა“ ტრადიცია; თუმცა, ისტორიკოსთა ვარაუდით, ლომ-ძაღლების ესოდენ ორიგინალური იერი მანინ ჩინეთში ჩამოყალიბდა; ჩინელებს არ ჰყავდათ ნანახი ლომი და ცხოველთა მეფეს მათ კარგად ნაცნობი ჰეკინესების (ძაღლის ჯიშია, მოგეხსენებათ) ფიზიონომია მიუსადაგეს. ტაძრის მარჯვენა „დარაჯს“, როგორც ხედას, ხაზა დაფრენილი უნდა ჰქონდ-

ეს, მუ-კარაშიში კი „აირმოკმული“ უნდა იყოს. თუმცა ლომ-ძაღლების იერის „აგრესიულობა“ ძალზე დეკორატიულია. მათი სიმბოლიკა სწორედ თავგანწირული მოღარაჯის იდეალს ეფუძნება.



კარაშიში იუკუუმის ტაძრის კარკეი (იაპონია)

## ბულაული

ბულაული და მისი მომავადობეული გალობა ძველთაძველი დროიდან სიყვარულის აღმაფრენასთან და ტანჯვასთან იყო ასოცირებული. „უკვდავი ფრთოსანი“, როგორც მას უწოდებს დიდი ინგლისელი პოეტი ჯონ კიტსი ოდესში „ბულაულისადმი“ (1819 წ.). აგრძელებს თავის მეტაფორულ არსებობას რომანტიკული პოეზიის ყალიბში, რომელსაც სათავე დაუდო კლასიკური აღმოსავლური პოეზიის მარადიულმა სიუჟეტმა ვარდისა და ბულაულის შესახებ. ბულაულის გალობის სევდიანი ელფერი ვეროპულ ტრადიციაში, უთუოდ, განპირობებულია ბერძნული მითით ფილომელაზე, რომელსაც ენა ამოგაღლიჯეს, რათა არაეისტან არ გაემზილა თავისი შეურაცხყოფლის სახელი. ღმერთებს შეეცოდათ ფილომელა და იგი ბულაულად აქციეს.

შუა საუკუნეების წარმოდგენების მიხედვით, ის, ვინც ბულაულის გულს შეჭამდა, სიმღერის ნიჭს შეიძენდა. არანაკლებ ამაზრზენი იყო რომაელი პატრიციების ჩვევა. განსაკუთრებულ სუფრაზე ბულაულის ენებისაგან დამზადებული კერძი მიერთათ.

ალორძინების პერიოდის ქართულ ლირიკასა და შემდგომ საუკუნეთა ქართულ პოეზიაში, რომანტიკოსების ჩათვლით, „ბულაულისა და ვარდის“ სახესიმბოლო (რალა თქმა უნდა, სპარსული პოეზიის გავლენით). შეიძლება ითქვას, „აუცილებელ“ მეტაფორულ სამკაულად იქცა. „ვარდბულაულიანის“ მომღერალთა ყოვლისმომცველი ნუსხა საქმაროდ ვრცელდა, მაგრამ ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ნიმუშს გავიხსენებთ: თეიმურაზის მიერ სპარსულიდან „ნათარგმანები“ და დამუშავებული რომანტიული სიუჟეტი „ვარდბულაულიანისა“, მისივე „ვარდისა და ბულაულის ამბავი“; ვახტანგ მეექვსის „სატრფიალონი“; ბესი-

კის „ბულაული მოდის მწუხარებითა“ (ეტყობა სწორედ ბესიკის გავლენითა დაწერილი ზაალ ბარათაშვილის „ბულაული მწუხარებს“); გიორგი თუმანიშვილის „ბულაულს მხვედა გულსა ლხენანი“; საიათნოვას „ბალი ბულაულით ავსილა“; ალექსანდრე ჭავჭავაძის „მაისის ვარდმან“, მისივე „ვარდსა გაყრილსა“, „როს ბულაული“; გრიგოლ ორბელიანის „ვაზაფხული“ დაბოლოს, ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბულაული ვარდზედ“... აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ „ბულაული ვარდზედ“ (1834 წ.) ბარათაშვილის საყმაწვილო ლექსებს მიეკუთვნება და შემდგომ მის პოეზიაში ბულაული გამორჩენილი უკვე, როგორც „ოქროს გალიის“ ტყვე – თავისუფლების კეთილდღეობაში გაცვლის სიმბოლო („ბედი ქართლისა“, 1839 წ.). ამავე თემას ეძღვნება ანდერსენის ცნობილი ზღაპარი – „ბულაული“ (1843 წ.). რომელშიც ცხოვრების უმთავრეს საიდუმლოს სწორედ ეს პატარა ფრინველია ნაზიარები.



ბულაული. ქალაქის ამონაქრების ნაკინის სკოლა. XX ს. 50-იანი წწ. ჩინეთი

# გ

## განსაღებო



როდესაც წარსულს გადავლებთ თვალს, გაიფიქრებ, რომ ადამიანი გასაღების მარადიული ძიებით არის გართული: ცხადსა თუ სიზმარში, ზღაპრებსა თუ ლეგენდებში ერთი ვიღაც დღენიადღვ ფიქრობს, როგორ იპოვოს გასაღები ან როგორ მოარგოს ის სასწუკვარ კარს... ცხოვრების უდიდესი საიდუმლო, უთუოდ, სწორედ იმ ერთადერთი კარის მიგნებაა, რომელსაც ავებს ბედისაგან ბოძებული გასაღები. ამიტომაც, რომ გასაღები განასახიერებს ფლობას, (და, აქედან გამომდინარე - ძალაუფლებას); თავისუფალ არჩევანსა და თავისუფალ ქმედებას; ცოდნას და თვისობრივ ფერისცვალებას - ინიციაციას; დაბოლოს, გასაღები იმ მისტიკური საიდუმლოს სიმბოლოა, რომელიც მისი „წილხვედრი“ კარის მიღმა დაუნჯებული.

ბერძნულ მითოლოგიაში ორსახოვანი იანუსი არ იშორებს გასაღებს, რომლითაც ავებს და კეტავს „მზის კარს“ მზებუღობის დროს. გასაღებები ზშირად გამოიყენებოდა სახელისუფლო ატრიბუტიკაში: ოქროს გასაღები მკერდს უმშვენებდა ქალაქის მერს, გასაღები იყო ჩახატული არაერთი შუა საუკუნეების თავისუფალი ქალაქის გერში (მაგალითად, გერმანული ბრემენის, შტადეს, რეგენსბურგის და ა.შ.). რადგან „ქალაქი“ და „გასაღები“ სიმბოლურ


ურიერთკავშირში იყვნენ, ოფიციალური სტუმრისათვის ქალაქის გასაღების საზეიმო გადაცემა განსაკუთრებულ პატივს ნიშნავდა, ხოლო მტრისათვის, თემოდრეკით - კაპიტულაციას.

ორი გადაჯვარედინებული ვერცხლისა და ოქროს გასაღები რომის პაპის გერბზე - შესაბამისად მიწიერ და სულიერ მუუფებას გამოხატავს; ამასთანავე, გასაღების სიმბოლოს ორ საწყისს: „ნებართვას“ („გახსნას“) და „აკრძალვას“ („ჩაკეტვას“). გასაღების ქრისტიანული სიმბოლიკა მათეს სახარებლდან მოდის: ზეციური სასუფეველის გასაღებს მაცხოვარი პეტრეს გადასცემს და ამიტომაც იკონოგრაფიაში გასაღები



ვატიკანის სახელმწიფო დროშა

სწორედ პეტრე მოციქულის („ზეციურ კართაღარაჯის“) ატრიბუტად იქცა. ბიბლიაში გასაღების სიმბოლიკას აქვს ერთი ასპექტიც: განკითხვის ფაშს სატანა უზარმაზარი გასაღებით უნდა ჩაიკეტოს ქვესკნელში, რათა ათასი წელი ვერ ამოაღწიოს იქიდან (გამოცხ. 20:1). ზოგჯერ გასაღების მაგიერობას ფოლკლორში მაგიური სიტყვები ასრულებენ („სეზამ, გაიღე!“) ან სხვადასხვა ჯადოსნური ნივთები - მაგრამ ეს არ არის მთავარი... მთავარი და გადამწყვეტი მაინც ჩვენი ინტუიციაა, რათა ერთმანეთში არ აგვეერიოს „ოქროს“ და „ვერცხლის“ გასაღებები...



ღვთისმშობელი ჩვილი იესოთი და პეტრე მოციქული ტრიანიკული ატრიბუტით - გასაღებებით. (ვიტრაჟი). XVI ს. შვეიცარია

ბავლი

გელი ანტიკურ მითოლოგიაში გამო-  
რჩეულია თავისი  
უზალო სისპეტა-  
კისა და ხილაშაზ-  
ის გამო და აქ მას  
ორსა წყისი იან  
მნიშვნელობა აქვს:  
იგი ითვლებოდა



ხილაშაზის ქალღმერთის - აფროდიტ-  
ეს (ვენერას) ემბლმატურ ფრინველად.  
მაგრამ, ამასთანავე მამაკაცური ხიბლ-  
ის განსაზიერებაც იყო. ვითარც აპო-  
ლონის თანმხლები სიმბოლო და ზევს-  
ის ერთ-ერთი გამსხეულება. ცნობი-  
ლია მითი, რომლის თანახმადაც, ეტ-  
ოლიის მეფის ფესტიოსის ასულის -  
ლედას მშვენიერებით მოხიბლული ზე-  
უსი თეთრ გელად გარდაიხაზა და სწო-  
რედ ამგვარად შეძლო ქალის ცდუნება  
(ზევისისაგან ლედას შეეძინა მშვენიე-  
რი ელენე და პოლიდეკოსი).

ინდუიზმში სამყაროს შემქმნელი ღმე-  
რთი ბრაჰმა და მისი მეუღლე - სარას-  
ვატი გელზე ამხედრებული მოგზაუ-  
რობენ (ამ კოსმიურ ფრინველს ჰამზა  
ეწოდება): ზოგჯერ პინდურ პოეზია-



ში გელს ბატი ან იხვი ენაცლება. მა-  
გრამ, ვველა შემთხვევაში, ეს ფრინ-  
ველი უნდა განასაზიერებდეს წყლის  
ყოვლისწამლეკავი სტიქიიდან სიცო-  
ცხლის გადარჩენის იდეას (ისევე, რო-  
გორც ბიბლიური წარღვნისას - ნოეს  
კიდობანი...).

გელი - ეს არის ერთ-ერთი ყველაზე  
რომანტიული, თუმცაღა წინააღმდეგობ-  
რივი სიმბოლო ხილაშაზის, კეთილშობი-  
ლების, სინათლის, ხიბლისა და სინატიფ-  
ის, მელანქოლიური განცდის, სიკვდილი-  
სა და ზელახალი გარდასახვის... სიმბო-  
ლოთა ამ წყებამ მკაფიო გამოხატულება  
პოვა ევროპულ ხელოვნებაში - დაწვე-  
ბული ანტიკური ქანდაკებიდან - ზევსისა

და ლედასი და დამთავრებული ვაგნერის  
„ლოუნგრინითა“ (სადაც გელი - კეთილ-  
შობილი რაინდია) და ჩაიკოვსკის „ველე-  
ბის ტბით“ (სადაც თეთრი და შავი გელე-  
ბი, შესაბამისად, ქალური ბუნების კეთილ  
და ბოროტ საწყისს განასახიერებენ).

ძველებერძნულ რწმენა, რომ „სიცო-  
ცხლემში თეთრი გელი მხოლოდ ერთხ-  
ელ მღერის“ და ისიც სიკვდილის წინ,  
მხოლოდ გალაკტიონს როდი შთააგო-  
ნებდა, ხელოვნებისათვის „გედის სიმ-  
ღერა“ საზოგადოდ გადაიქცა მშვენი-  
ერებისა და ტრაგიკულის მარადიული  
დაწვევების სიმბოლოდ.



განი



ყველა - ფერი რაც კი წვენ ვიცით გემის შესახებ. - ისტორიები მამაც მებღაურებსა თუ პირ-

ველადომიენ მოგზაურებზე, სახლკაო რომებსა და თავზეხელადებულ მეკობრეებზე, პირველ ყოვლისა, მამაკაცურ საწყისს უკავშირდება. ამისდა მიუხედავად, მითოლოგიურმა წარმოსახვამ გემს ქალურ (მთვარისეულ) სიმბოლოებს მიაკუთვნა. ეტყობა იმიტომაც, რომ ძველთაძველი ხომალდები ესოდენ გვაგონენ ნახევარმთვარეს რომ გემის კონტური თითქოსდა იმეორებდა ქალის პლასტიკას და მართლაც ქალური თეინიერებით ემორჩილებოდა კაპიტანსა და მის ეკიპაჟს.

ხომალდი (ისევე, როგორც ნაივი) გახლდათ აგრეთვე სარწებელის (აკენის) ერთგვარი ანალოგია და არაა გასაკვირი, რომ ერთ-ერთი უმთავრესი მისი სიმბოლოაგან - უსაფრთხოებაა: სწორედ დედის საშოში განაბულ ბავშუს ემსგავსებიან მტრული ოკეანეთი გარშემორტყმული, ბედსა და ხომალდს მინდობილი მისი მგზავრები. დაახლოებით ასეთი ხედვა იოვამიც, სადაც ხომალდი შედარებულია ადამიანის სხეულთან, რომელშიც სულმა ყოფიერების ოკეანე უნდა გადასეროს.

უძველესი დროიდან გემები ცის მნათობებს განასახიერებდნენ: ამ ასტრალურმა სიმბოლიკამ მზე და მთვარე მიაშვავესა ორ ხომალდს, რომლებიც ზეციურ ოკეანეზე დაცურავენ. ნავაძქეულ ნახევარმთვარეში მოკალათებული, ნებიერად დამოგზაურობდა ღამეულ ცაზე ბაბილონური ნანა-სინ - მთვარის ღვთაება; ძველ ეგვიპტელთა წარმოსახვაში იმქვენიური მოგზაურობა მხოლოდ „წყლის ტრანსპორტით“ იყო შესაძლებელი, ამიტომაც, ფარაონების აკლამათა „ინვენტარიში“ ნაივი აუცილებელი რამ გახლდათ; ზო-

გჯერ, თვითსარკოფაგს აძლევდნენ ნავს მიშვავებულ ფორმას.

მიღმიურ სამყაროში „ერთი მიმართულებით“ მგზაურობის მარშრუტი განსაკუთრებით დახვეწეს ბერძნებმა: საზღვარი ორ სამყაროს შორის აქაც, რაღა თქმა უნდა, მდინარე იყო (სტიქსე), რომელზეც მენავე ქარონს გადასყავდა სულეთის ახალი ბინადარი. „მგზავრები“ უპრობლემოდ რომ მოხვედრილიყვნენ „დანიშნულების პორტში“, ძველი ბერძნები თავიანთ მიცვალებულებს მგზავრობის საფასურად პირში მონეტებს უღებდნენ.

არ არის გასაკვირი, რომ უბადლო მებღაურების, ვიკინგების სამშობლოში - სკანდინავიაში გაფეტიშებული იყო ზღვაოსნობის ხელოვნებაც და საკუთრივ ხომალდიც: ნაყოფიერების, სიუხვისა და მშვიდობის მითოლოგიური ღვთაების - ფრიგის ერთ-ერთი ატრიბუტია ჯადოსნური ხომალდი - „სკიდბლადნირი“, რომელიც ნებისმიერი ოდენობის მეომრებს იტყვდა, ყოველთვის ზურგის ქარი ჰქონდა გარანტირებული და ამასთანავე, პატრონის სურვილისამებრ დაკეცილი, აბგაში ეტეოდა. უკვე რეალური საომარი ხო-



ურკულუ დე რობერტი. „ავონატები ტიკესენ კოლხისს“, დაახლ. 1480 წ. პარიზ ტანგ-პორნკოსას კოლექცია, ლუვარი, პარიზი




გუსტავ ლორე ვრატკოვა კონსტანტინის პიუბის „მოხუცი მეზღაურის“ ილუსტრაციათაგან. 1875 წ.

მაღლების გემბანზე დანთებულ რიტუალურ კოცონზე იფერფლებოდნენ მოკლული გმირები და ვიკინგთა ბელადები.

შორეულ წარსულში ახლადაგებული გემის „ნაილობა“ ადამიანის მსხვერპლად შეწირვას მოითხოვდა; შემდგომ, საუკუნეთა განმავლობაში, მსხვერპლი წითელმა ღვინომ შეცვალა, რომელიც სისხლს განასახიერებდა, ხოლო ახალ ისტორიულ ეპოქაში – წარმოსაჩენი ქალის ხელით გემის ქიმს მისხვერულმა შამპანურის ბოთლიმა...  
 ხომაღლს საკრალური მნიშვნელობა

ქონდა ქრისტიანულ ტრადიციამაც: ხომალდი, ჯვარს მიმგავსებული ანძითა და ასევე ჯვრისთავიანი ღუზით, – მაცხებერის ადრექრისტიანი ემბლემა იყო. გემი განასახიერებდა აგრეთვე საზოგადოდ ეკლესიას, რომელმაც მის ნებას მიწინააღმდეგობა გაუწია (მგზავრი) უნდა განარიდოს ამქვეყნიური ამოვების ბოძოქარ ოკეანეს (ამ იდეის არქიტექტურული განსხვავლება გახლავთ XX ს. დიდი ფრანგი ხუროთმოძღვრის – ლე კორბუზიეს პროექტი აგებული. გემს მიმგავსებული კაპელა რინშანში). ისიც საგულისხმოა, რომ ბაზილიკის სვეტებით გამოყოფილ გრძელ ნაწილს სწორედ „ნავი“ (ნაოსი, ნეფი) ეწოდება. მითოლოგიამ და მხატვრულმა წარმოსახვამ კაცობრიობის მესხიერებაში მარად ჩაუძირავი გემ-სიმბოლოები შექმნეს: ესაა იასონის „არგოც“; ესაა მკრეხელობისთვის ღვინისაგან დაწყველილი კაპიტანის ვან დერდექენის „მფრინავი პოლანდიელიც“; ესაა „სეკოდიც“ მელეილის „მოზი დიკდან“... ამ „ფლოტის“ შემყურე ადამიანთაგან, ვინმე უთუოდ გაიხსენებს პომპეუსის საოცარ, პარადოქსულ ფრაზას, რომელსაც პლუტარქე იმეორებს: „ზღვაოსნობა აუცილებელია, სიცოცხლე – არც ისე...“.



ლე კორბუზე. კაპელა ნიტრ-დამ-დიუი-რინშანში. 1950-1954 წწ. საფრანგეთი

# გველი




ადამიანის მარადიული, მისტაქური და იდუმალი მეზობელი - გველი ცხოველთა სიმბოლოთაგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და მრავალსახვანია: ეს ცივისხლიანი, საშიში, შხამიანი არსება, რომელიც ესოდენი სიმარდით მოძრაობს, თუმცადა კიდურები არა აქვს; რომელსაც თავისზე უფრო დიდი მსხვერპლს გადააყლაკავ შეუძლია; რომელიც ყოველ გაზაფხულზე იცვლის თავის „პერანგს“ და ამგვარად „ახლგაზრდავდება“ - საბოლოო ჯამში, ერთი ყველაზე გავრცელებული ანიმალისტური სიმბოლოა და მისი გამოსახულება, როგორც მფარველისა თუ როგორც მტრის, თან სდევს ადამიანს კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე. არ არის შემთხვევითი, რომ მიწიერი ცხოვრება „ძე ხორციელისა“ საღვთო წერილის მიხედვით, სწორედ გველის მაკდუნებელი კარნახით იწყება (დაბ. 3:1-14).

კერძოზე გარს შემოხვეული გველი, პირველყოფილ კულტურებში წარმოშობდა ანალოგიას უზარმაზარ რეპტილიასთან, რომლის სალტეც დედა მიწას უკიდევანო ოკეანის წალექისაგან იცადა... ეს კოსმიური სიმბოლიზმი მემკვიდრეობად მრავალმა კულტურამ მიიღო. ინდუიზმის მიხედვით, ვიშნუ უზარმაზარ კოსმიურ გველზე - ანტაზე განისვენებდა და ძალას იკრეფდა, რათა შივას მიერ წარმოქმნილი ქაოსიდან კიდევ ერთხელ შეექმნა სამყარო. უზარმაზარი გველი ვაზუკი (მიწისძვრათა ღვთაება) დაეხმარა დანარჩენ ღვთაებებსა და ტიტანებს, რათა აეთქიფათ ოკეანე და სხეულით შექმნათ; კიდევ ერთი მითოლოგიური გველი, რომელიც ინდუიზმში გვხვდება, ესაა კობრა მანასა - იგი დედაიწაზე მეფობს ვიშნუს ზანგრძლივი ძილქუმის დროს...

გველის საზოგადო სიმბოლიკაში

კობრას იმდენად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, რომ სიმბოლოთა ზოგიერთ ნიციკლოპედიაში ის ცალკე სტატიითაა წარმოდგენილი. სამეფო კობრა, თავდასასხმელად წამომართული, თავისი გადამლილი „კაპიუშონით“ და მომწუსხავი მზერით - საკრალური სიმბოლოა ეგვიპტურ და ინდურ საკულტო ხელოვნებაში. ძველ ეგვიპტეში ეს კობრა (უტო) ფარაონის გვირგვინზე იყო გამოსახული და მზის ღვთაების (რას) ანთებულ თვალად აღიქმებოდა. ტაძრების კედლებზე გამოსახული კობრა ემბლემა ყოვლისშემძლე ძალისა,

სიცოცხლის მინიჭებაც და წართმევაც რომ შეუძლია. ინდოეთის ბუდისტურ ტაძრებში შეხედვით ფეხმორთხმული ბუდას გამოსახულებას, რომელსაც მცველად თავს ადგას შეიღვთიანი კობრა. კობრას „კაპიუშონი“ იკონოგრაფიაში ზშირად დამშვენებული იყო ძვირფასი ქვებით, რომელნიც სულიერ ღირებულებებს განასახიერებდნენ. ეს არც არის გასაკვირი იმ ქვეყანაში, სადაც ფაკირი და ფლეიტის ხმით მოჯადოებული კობრა ლამის ემბლემატური მიზანსცენაა და სადაც გველი წმინდა ადგილების, წყაროებისა თუ საგანძუ-




„უფის ანგლოზი“ გველი. გამოსახული პომპეიში აღმოჩენილი ლარარიუმის (ოჯახის მფარველ სულთა საკურთხევის) კედელზე. ახ. წ. თი 1 ს. ნეაპოლი. ნაციონალური არქეოლოგიური მუზეუმი

რების დარაჯად და მფარველად გვეკვლინება. ინდოეთიდანვე უნდა მომდინარეობდეს რწმენა, რომ ძვირფასი ქვები გველის ნერწყვიდან წარმოიქმნენ. საკულტო ტრადიცია სახლში, მეფის სასახლეში თუ ტაძარში წმინდა გველის ყოლისა, კარგა ხანს იყო შემორჩენილი ზემელთაშუა ზღვის რაიონის ქვეყნებშიც (მათ შორის საბერძნეთსა და რომში).

თუ ახლა ისევ დაუბრუნდებიტ გველის საზოგადო სიმბოლიკას, დაეინახეთ, როდენ უკიდევანო ამ სიმბოლოს გეოგრაფია: აფრიკულ მითებში გველი-ციხარტყელა კუდიტ იმქვენიური სამყაროს წყლებს ებჯინება. ზოლო თავით ცარგვალს სწედება: სკანდინავიურში - ქარიშხლის უზარმაზარი მბრძანებელი გველი იორმუნგარდი დედამიწას საღტელაა შემორტყემლი და გასაქანს არ აძლევს: სამხრეთ ამერიკაში მზისა თუ მთვარის დაბნელება იმით აიხსნებოდა, რომ მნათობს გველი ყლაპავდა. არ არის გასაკვირი, რომ გვზომ გავრცელებულმა ანიმალისტურმა სიმბოლომ. ზოგიერთ შემთხვევაში, გრანდიოზული გამოსახულებების ფორმა მიიღო და დღეს ჩვენამდე მოღწეული „დიდი გველის ყურდანი“ ოპაიოს შტატში (აშშ) სიგრძით 400 მეტრს აღწევს.


გველისადმი ადამიანის დამოკიდებულება, რომელიც მერყეობდა თაყვანისცემასა და ზიზღს შორის, რაღა თქმა

უნდა, აისახა ამ ქვეწარმავლის „მითოლოგიურ ბიოგრაფიაში“: ის ხან „ღღ წინაპრად“ და „ფუძის ანგელოზად“ წარმოსახული. ხან ურჩხულად და ჩასაფრებულ მზაკვარმტრად. ნიშნდობილია ამ მხრივ ვაჟას „ბასტირონის“ ფინალი, სადაც გველი, - „ადამის ტომის მტერი“, სნეულ ლუხუმს ფეხზე დააყენებს, რადგან - „ბოროტების გზა გაუშვავ, კეთილი დაუჭერია!“ თუ ვაჟაცნობიერებტ, რომ ეს ეპიზოდი წარმართულ მითოლოგიურ პლასტს წარმოაჩენს სადაც გველი დეთაებრივი ძალის გამოვლინებაა, აუცილებლად დაუკავშირებტ მას საქართველოს მითაეთში გავრცელებულ უძველეს ლეგენდებს „ხეს ამოყოლილ გველზე“. ამ ლეგენდებში კერიაში ამოსული ხე, ისევე, როგორც მასზე შემორკალული გველი, საკრალურად ითვლებოდა და „უხსენებლის“ მოკვლა ადამიანს გარდაუეულ განსაცდელს უქადდა („ფუძის ანგელოზისადმი“ თაყვანისცემის უძველესი ტრადიცია, სვანეთში შემორჩენილი, აისახა კონსტანტინე გასახურდიას „მთვარის მოტაცებაში“).



ჯიორ დე კოზიო. სიმონეტა კესპუჩის პორტრეტი. დაახლ. 1500 წ. შანტი, კონტეს მუზეუმი (საფრანგეთი)

ანტიკურ სამყაროში გველი, რომელიც თავის კანს (პერანგს) იცვლიდა, მკურნალთა მფარველი დეთაების - ესკულაპეს ატრიბუტად მიიჩნეოდა (აქედანაა გველის გამოსახულება სამედიცინო ემბლემატიკაში); გველები, რომელიც პერმესის (მერკურის) კვერთხის - კადუცეის გარშემო არიან შემოგრაგნილი, ურთიერთგამომრიცხავ ძალთა სიმბოლოდ ითვლებოდნენ; გველი ვახლადტ აგრეთვე ერთ-ერთი ატრიბუტი სიბრძნის ქალღმერთისა - ათენასი. ლეგენდის თანახმად, ტროელი მისანი კასანდრა თავის გრძნეულ უნარს უმადლოდა აპოლონის საკურთხევის წმინდა გველებს, რომლებმაც მას ტაძარში ძილისას ყურები გამოულოკეს. მსგავსი სითუეტია მითში მელამპუსს - ლეგენდარული მისნისა და მკურნალის, დიონისეს კულტის დამფუძნებლის შესახებ. აქ, რაღა თქმა უნდა, გვახსენდება ქართული თქმულება, რომელიც საფუძვლად დაედო ვაჟა-ფშაველას პოეტურ შედევრს - „გველის მჭა-



„დიდი გველის ყურდანი“. ოპაიო, აშშ



სამაჯური (ოქრო). ნვ. წ. I ს. ძველი გველი

მელს“, ხოლო შემდგომ, კონსტანტინე გამსახურდიას მოთხოვნას „ხოვანის მინდია“ და გრიგოლ რობაქიძის პიესას „ლაშარა“.

აქვე დავსძენთ, რომ, იმავდროულად, ერთ-ერთი ყველაზე მომხიბლავი გმირი ბერძნული მითოლოგიისა ორფეოსის ცოლი, ევრიდიკე, შხამიანი გველის ნაკბენით კვდება; დაგრანგილ გველებდაა წარმოსახული მრისხანე მეღუზა გორგონასა და შურისმაძიებელ ერინიების თმები, ხოლო საშინელი ურჩხულები - ჰიდრა და ქიმერა გველი-სდაგვარი არსებანი არიან. თავის მხრივ, ის მითოლოგიური გმირები და სიმბოლური ცხოველები, რომელნიც სინათლეს (ანუ ცხოვრებისეულ საწყისს) განასახიერებენ, სიბნელესთან, ბოროტებასთან და იმქვეყნიურ ძალებთან ჭიდილში, სწორედ გველის (ან გველეშაპის) პირისპირ აღმოჩნდებიან (ლეგენდარული პერაკლე - ანტიკურ, არწივი ჰარუდა - ინდურ, დეკვირები თორი და ბეოვეულფი - გერმანულ,

ქარიშხლის დეთაება სუსანო - იაპონურ მითოლოგიაში; კიდევ მრავალი მსგავსი მაგალითია მსოფლიოს ნებისმიერი ენოსის ფოლკლორში). ყველაზე ცხადად გველ-გველეშაპის სიმბოლოთა შეწყვეილებასა და თანამონაცვლებობას აპოკალიფსში ვხვდებით: „გადმოვარდა დიდი ურჩხული, დასაბამის გველი, რომელსაც ეწოდება ეშმაკი და სატანა, მთელი სამყაროს მაცდური...“ (გამოცხ. 12:9). გამოცხადებისაგან განსხვავებით, მათეს სახარებაში გველის განსაკუთრებულ სიბრძნეზე თავად მაცხოვარი მიგვანიშნებს, როდესაც ის თავის მოწაფეებს დამოძღვრავს: „იყავით გონიერნი, როგორც გველი, და უშანკონი, როგორც მტრედნი“ (მათე, 10:16). მაგრამ, ჩვენ ცხადად ვხვდებით, რომ გველის ბიბლიურ ინტერპრეტაციათაგან მაინც უფრო „მაცდუნებელი“ და „სატანური“ არქეტიპი დამკვიდრდა. თავის მხრივ, ამ არქეტიპში „მაცდუნებელი“ გველი და „მაცდუნებელი“ ქალი დაწყვილებულია („ქალი-გველია!“) და ეს დაწყვილება მრავალ კულტურაში და მრავალ ენაში აისახა. ამის ერთ-ერთი ყველაზე მეტყველი მაგალითია დიდი ფრანგი სიმბოლისტი პოეტის - შარლ ბოდლერის „გველის ცეკვა“. ამ სიმბოლური სახის ორსაწყისიანობა - შიშისმგვრელი,



ცნობადის ხეზე შემორჩენილი გველი. კვილიანოსის კოლექტი, ესპანეთი, ახ. წ-ით VI ს.

მისტიკური, მომუნუსხველი და იმავდროულად, რაღაც იდუმალი ხიბლის შემცველიც, იშვიათი ხატოვანებით წარმოჩნდა ანა კალანდაძის ლექსში, რომელშიც „გველის როკვა“ ერთგვარ მისტერიალურ სცენად არის წარმოსახული:

„გასრიალდება ხეში ზმორებით  
ტანმოხატული უცხო ზოლებით,  
მუხლებს მოიფრის და, შიშის მგვრელი,  
ლოცულობს გველი...  
აღბათ, ცოდვილ სულს ავედრებს ღმერთსა,  
რომ იდუმალგებს,  
სევიდან თვალებს  
მიაპყრობს ზეცას,  
ჩუმად ჩურჩულებს გესლიან ენით...  
გრილი ნიაკი ფოთლებთან მრკენი  
შეარჩევს ბაღბას, შრიალებს ღელი  
და, შიში მგვრელი,  
ლოცულობს გველი...  
.....“  
(ანა კალანდაძე, „ლოცულობს გველი...“, 1946 წ.)

**გოგაგო**

გომბეშო ბაყაყის „შებრუნებული“, ინვერსიული სიმბოლოა – ყველაფერი, რაც ბაყაყთან დაკავშირებით დადებითად აღიქმებოდა, აქ უარყოფითი ნიშნითა წარმოიჩინილი. ევროპული ცრურწმენების თანახმად, გომბეშო უღიანებისა და აღქაგების განუყრელი თანამგზავია – ჯოჯოხეთში ცოდვითა გარდაუვალი წამების ზიზღისმომგვრელი მაცნე. ეს „დემონური“ სიმბოლიზმი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნიდან მიღის და აიხსნება არა მხოლოდ გომბეშოს არცთუ სიმპათიური გარეგნობით, არამედ მის ღორწიან კანზე ამოზრდილი მუქეჭვიდან გამაოგონილი შხაბითაც. ყოველივე ამის გამო, საწყალი გომბეშო, როგორც ვთქვით, ითვლებოდა შავი მაგიის განუყოფელ ატრიბუტად.

ევროპაში ანტიკური დროიდან სწამდათ, რომ ადამიანი, რომელმაც სიცოცხლეში ერთხელ მაინც დაარღვია ფიცი ან აღთქმა, გარდაცვალების შემდეგ მიწაზე დაბოლავდა სწორედ ამ საძულველ ამფიბიად გარდასახული. სულის გადასარჩენად მას ერთადერთი შანსი ემდებოდა – როგორმე, სხვათა შემწევილად, ტაძრის საკურთხეველამდე მიტოვებულიყო. სწორედ ამ წარმოდგენების ანარეკლს ვხედავთ დიდი ნიდერლანდელი მხატვრის პიერონიმუს ბოსხის ნამუშევრებში.

ძველ ჩინეთში სწამდათ, რომ არსებობს ერთი უზარმაზარი, სამეფხა გომბეშო, რომელიც მთვარეზე ცხოვრობს და დროდარო ყლაპავს კიდეეც დამნის მნათობს – ასე იყო განმარტებული მთვარის დაბნელება. ევროპული ტრადიციისაგან განსხვავებით, ჩინურ სიმბოლიკაში გომბეშო და ბაყაყი ხშირად გაიგივებულია და გომბეშოს მიაწერენ კეთილისმყოფელ უნარს უხვი ნალექიანობისა, ნაყოფიერებისა და, აქედან გამომდინარე, სიმდიდრისა და ბარაქიანობის: „ინისა“ და „აინის“ ჩინურსავე ტრადიციულ სისტემაში, გომბეშო „ინის“ ნიშნას აქვთენის.

აფრიკისა და კოლუმბამდელი მექსიკის ფოლკლორში გომბეშო საკულტო არსებადაა მიჩნეული, ხოლო მისი თავგადასავალი და „გმირული საქმენი“, ისევე და ისევე, მის „მთვარეულ“ წარმოშობაზე და ამინდზე მაგიური ზემოქმედების უნარს უკავშირდება.

რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, ქართველი სიმბოლისტი პეტეებისათვის, მათი ფრანგი კოლეგების ზეგავლენით (ლოტრეამონის „მალღორრის სიმღერები“, 1890 წ.) გომბეშო – მისტიკური ელფერის მქონე მეტაფორად დამკვიდრდა: ტიციან ტაბიძის „ორპირის სეზონი“ ჩნდება საკვირველი გომბეშო, რომელიც „კოსმოურ ტალახს დასტიროდა ჩვენს ორღობეში. ასეთი პეიჯაზი, მისწერი ათვისება სამყაროსი – იმედით აუსებს ჩვენს გულს“, – წერდა ქართული სიმბოლიზმის აღიარებული თეორეტიკოსი, პეტეი ვალერიან გაფრინდაშვილი („პეიჯაზი უკულმა“, 1922 წ.).

**გრიფონი**  
**(ლომ-არნისი)**



გრიფონი (ქართული ტრადიციით, ლომ-არწივი) მითოლოგიური ცხოველია, რომელსაც თავი, ფრთები და ბრტყალები არ-წივისა აქვს, ხო-


ლო ტანი – ლომისა. რადგან ეს ჰიბრიდული არსება განასახიერებდა დედამიწაზე მიწისა და ცის მბრძანებლობას, იგი მზის გაორმაგებულ ემბლემად ითვლებოდა ჯერ კიდევ ჩ.წ.წ. აღ-მდე II ათასწლეულში მთელს დასავლეთ აზიაში. შემდეგ კი, ახლო აღმოსავლეთში, საბერძნეთსა, დაბოლოს, ევროპაში.



„გრიფონი“. სამთავისის ტაძრის აღმოსავლეთის ფასადის რელიეფი

იუდეაში გრიფონი სპარსეთის ასოციაციას იწვევდა; ასურეთში დემონური მნიშვნელობა ჰქონდა; კრიტოსზე მისი გამოსახულება ამშვენებდა (ჩაეთვალთ – იცავდა) სასახლეებს. საბერძნეთში გრიფონი აპოლონისადმი იყო მიძღვნილი, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში კი, შურისძიების ქალღმერთს, ნემეზიდას განასახიერებდა. ლეგენდების თანახმად, ლომ-არწივები იცავდნენ ინდოეთისა და სკითების ოქროს; ხოლო მფრინავი გრიფონების საშუალებით ალექსანდრე მაკედონელს ეწადა ზეცაც დაეპყრო...

ქრისტიანულ სიმბოლიკაში გრიფონს ორგვარი არსი აქვს: ადრეული ტრა-



პ. მტილი. „გომბეშო“. ილუსტრაცია „ბესტიარუმისათვის“. 1548 წ. ვენცია



გრეფონი „სიმპეტაკორ მაქსიმოლიანეს ტრიუმფალურა მსკელეობა“. XV ს. დასაწყისი.

დიციის მიხედვით, ის წარმოდგენილი იყო, როგორც ადამიანთა სულებზე მონადირე სატანა, შურისძიებისა და გადაულახავი წინააღმდეგობის სიმბოლო, მაგრამ XIV საუკუნიდან (და ამაში დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ დამსახურებაცაა) იკვეთება პარალელი ლომ-არწივის ორსახოვნებასა და ქრისტეს ღვალისტურ (ადამიანურ და ღვთაებრივ) ბუნებას შორის. წინა პლანზე წამოიწია აგრეთვე „უშიშარი მღვიძარების“ და „ერთგული მოდარაჯის“ ელემენტმა, რომელიც უმთავრესი გახდა გრიფონის, პერალდიკური მნიშვნელობისთვის.

სმეგბლო უზრუნველობის სინონიმად იქცა. აქ „გუგულის კვერცხად“ დღემდე მონათლულია საეკვო ღირებულების საჩუქარი ან „მეორე მამისაგან“ ჩასახული ბავშვი. თუმცა, ევროპაშივე გავრცელებულია გუგულის პოზიტიური სიმბოლიზმიც – მისი მონოტონური ხმის გაცონებაზე პრაგმატული ევროპელები ხურდა ფულს აჩხარუნებდნენ – ეს მომავალი გამდიდრების მომასწავებელი ნიშნად ითვლებოდა. იმვე ხალხური

რწმენის მიხედვით, გუგულს შეეძლო ემცნო, სიცოცხლის კიდევ რამდენი წელი დარჩა ადამიანს, ან, თუ გუგულს დაეურადებელი არსება გასათხოვარი ქალიშვილი იყო, კიდევ რამდენი წელი მოუწევდა მას თავისი „რაინდის“ ლოდინი...

აქ, ალბათ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ გუგულის სიმბოლიკის დაკავშირება ქორწინებასთან ანტიკური მითოლოგიიდან მოდის: ქალღმერთ ჰერას სკიპტრა გუგულის გამოსახულებით იყო დამშვენებული, რადგან ზეესი, ქორწინების წინ, ჰერას სწორედ გუგულ-

ად გარდასახული მოეველინა. გაცილებით უფრო მისტიკურია ამ ფრინველის სიმბოლიკა ტიბეტურ ტრადიციაში: „წიგნში ფრინველთა შესახებ“, რომელიც ფილოსოფიურ-რელიგიური ლირიკის ნიმუშებისაგან შედგება, გუგული წარმოსახულია ერთ-ერთ განსხვავებულად ცით მოვლენილი მხსნელი ღვთაებასა, რომელიც ზოგჯერ დალაი-ლამად გარდაისახება ხოლმე.

იაპონურ სინთოიზმში, რომელშიც ძლიერია შამანიზმის გადმონაშთები, გუგული ავისმომასწავებელ ფრინველად ითვლება – იაპონელს ურჩენია საერთოდ არ გაიფიქროს მისი ხმა. რადგან შამანიზმში ფრინველებს ორ სამყაროს შორის „შიკრიკის“ როლი აკისრიათ, იაპონურ მითოლოგიაში გუგული „ამ ქვეყანასა“ და „იმ ქვეყანას“ შორის დაფრინავს. თუმცა, იაპონური პოეზია უფრო „ღმობიერი“ აღმოჩნდა და აქ ეს მითოლოგიაში „დაჩაგრული“ ფრინველი ხან შეეკვრებულთა შიკრიკია, ხან გაზაფხულის მაცნე.

აქვე უნდა გაეიხსენოთ „გუგულები“ ქვეყნის“ ეპიზოდი ზევსურულ თქმულებაში „ხოვანის მინდის“ შესახებ, როდესაც ქაჯავეთიდან გამოპარული ხოვანის მინდი გზად ცეროდენა კაცუნებად გარდასახულ გუგულების სოფელში მოხვდება.

## გუგული


ფრინველი, რომელიც თვითონვე ახმოვანებს თავის სახელს (ბერძნული „კუკკოსი“, ლათინური – „კუკულუსი“ – „cucullus“), ტრადიციულ კულტურათა ერთ ნაწილში სულიერებასა და მომავლის წინასწარჭერებას, გაზაფხულის დადგომას განასახიერებს. კულტურათა მეორე ნაწილს ეურადლება გუგულის „უსულგულობაზე“ გადააქვს და მისი თვისება – სხვას შეუცუროს და გამოაჩეკინოს თავისი კვერცხები, ინგლისში მაგალითად, ავანტიურიზმის, უსაქმურობის, უპასუხი-



ტატინა პატა. „გუგული მახველის ტოტზე“. 1968 წ. სოფ. პეტრიკოკა, უკრაინა

ბუთანი


ქართველებისათვის, ისევე, როგორც სხვა არაერთი მიწათმოქმედი ერისათვის, გუთანი არ არის მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო იარაღი - მის გაცილებით უფრო ღრმა სიმბოლიკა აქვს: შეიძლება ითქვას, რომ „გუთანი“ და „გუთნისდედა“ საზოგადოდ ქართველ გლეხკაცს, მიწათმოქმედს, მეურნეს განასახიერებენ და ასე წარმოსდგენენ კიდევ ჩვენს ფოლკლორსა და მხატვრულ ლიტერატურაში. ამის საპირისპიროდ, მომთაბარე ეთნოსები აზიასა თუ ამერიკაში, გუთანს ამრეზით უცქერდნენ, რადგან ხვნა გაღმერთებული დედა-მიწის ქალური ღირსების სულყოფად მიაჩნდათ. ეს ეროტიული ასპექტი უძველესი მიწათმოქმედი ერების მითოლოგიაშიც წარმომჩნდა და ხვნა-თესვაჲ მამაკაცური (გუთანი) და ქალური (მიწა) საწყისების შერწყმა განასახიერა: ძველინდურ ეპოსში „რამაიანაში“ ამაზე მიგვანიშნებს მთავარი გმირის რამას (ღუთაება ვიშნუს განსხეულების) ცოლის სახელი - სიტა. რაც მინდორში გაველებულ ხნულად ითარგმნება. ინდოეთის მეზობელ ჩინეთში ყოველ ახალ წელს აღმოსავ-



ხვნა-თესვა შესასუენუანი ვროპელი მხატვრის თვლით. 1335-1340 წწ. (ფრაგმენტი)

ლური კალენდრით ანუ გაზაფხულს, იმპერატორი, საზეიმო რიტუალის ფარგლებში, რამდენიმე სიმბოლურ კვალს გაავლებდა მინდორზე, რაც მომავალი მოსავლის სიუზის გარანტი უნდა ყოფილიყო. აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ სწორედ „ღმერთების რჩეულს“ ეძღოდა „პრივილეგია“ („პირველი ღამის“ უფლების მსგავსი) ცნო-

ბიერების სიღრმეში არსებული ტაბუს დაძლევისა. ის ეთნოსები, რომელთაც ხსენებული ტაბუ ვერ დაძლიეს, მომთაბარეებად დარჩნენ. ისე რომ, შეიძლება ითქვას, გუთანი კაცობრიობის ისტორიის გზისგასაყარზე დევს...



ხენუტენის აკლამის მოხატულობის ფრაგმენტი. დაახლ. 1300 წ. ძე-წით. დეირ-ელ-მელინე. ძველი ეგვიპტე



საპრული მინიატიურა (მირაზის სტილი). კალვარაფი - პირ შუკამედ აღ-ქათობი. 1598 წ.

# დ

## დათვი



პირველყოფილი ადამიანის ნახატებში გამოქვაბულის კედლებზე დათვი ისე ხშირად არ გვხვდება, როგორც გარეული ცხენი ან ხარი, მაგრამ აზიისა და ამერიკის კონტინენტის ჩრდილოეთ მხარეებში ის საკულტო ცხოველად იყო მიჩნეული და იქ მოსახლე ტომთა ფოლკლორისა და რიტუალების განუყოფელი პერსონაჟი გახლდათ. მითოპოეტურ წარმოსახვაში დათვი აღქმულია, როგორც ადამიანთა წინაპარი, მათი უფროსი ნათესავი, დაბოლოს, ტოტემი. აქედან მოდის მრავალრიცხოვანი სიუჟეტები დათვებისა და ადამიანების დანათესავებაზე, დათვებისაგან მონუსხულ ქალებზე და - პირიქით. (ამ ფოლკლორული სიუჟეტის ლიტერატურულ ვარიაციას ვხვდებით პროსპერ მერიმეს მითზრობაში - „ლოკისი“).

დათვი საგვარეულო ტოტემია იაპონიის ძირძველ მოსახლეთათვის - აინებისათვის; ჩრდილოამერიკელ ინდიელთათვის - ალგონკინთათვის; შამანები, ციმბირშიც და მრეალ სხვა ჩრდილოეთის მხარეშიც, დათვის ნიღაბს იკეთებდნენ და მის ბაჯბაჯს განასახიერებდნენ რიტუალური როკებისას, რომლის დანიშნულებაც ტყის მფარველ სულთან კონტაქტში შესვლა იყო.

რაც შეეხება ცივილიზებული ერების მითოლოგიას, აქაც გამოიძენა რაღაც გარკვეული ადგილი ტყის ამ ბინადარსათვის: როგორც ცნობილია, დათვი ჰყავდათ მის ტაძრებში და, საკულტო დღესასწაულის დროს, ქურუმი ქალები სწორედ დათვის ტყავებით იმოსებოდნენ. არტემიდეს თანმხლებთაგან ერთ-ერთი - ნიმფა კალისტო, ნადირობის ქალღმერთმა დათვად გადააქცია. ეს სწორედ ის დათვია, რომელსაც ზევსმა ცაში მიუჭინა ადგილი და რომელსაც ჩვენ „დიდი დათვის თანავარსკვლავედად“ ვიცნობთ. დათვი დაკავშირებულია არაერთ მითოლოგიურ ღვთაებასთან თუ გმირთან. მათ შორისაა სკანდინავიური მითების ოდინი; გერმანულის - თორი; კელტურის - არტიო. დათვი ევროპულ ტოპონიმშიცაა დამკვიდრდა: მაგა-

ლითად, ქალაქი ბერნი (შვეიცარია) სიტყვასიტყვით „დათვი“ ნიშნავს.

ქრისტიანულ, ისევე, როგორც ისლამურ ტრადიციაში, დათვი გაიგივებულია ბნელ, დაუნდობელ, შურისმაძიებელ, ავზორც ძალასთან. ძველ აღთქმაში ჭაბუკი დაეთის დათვთან შეკრინება ბიბლიური სახისმეტყველებით მოასწავებს ქრისტეს მომავალ გამარჯვებას ბნელეთის ძალებზე. უთუოდ, აქედანვე მომდინარეობს შუასაუკუნოვან იკონოგრაფიაში გავრცელებული ბიბლიური კომპოზიცია, სადაც ზე ცნობაზე აბოღებული დათვი დასცქერის ადამსა და ევას, როგორც მათი მომავალი ცდუნების სიმბოლო.

დათვებზე ბევრი ანეკდოტური ისტორია არსებობს, რომლებშიც ისევე



როგორც ფოლკლორში, ტყის ამ ბინადრის „პორტრეტი“ უკვე ერთგვარი სიმპათიითა და იუმორით არის წარმოდგენილი. მაგალითად, ცნობილია შუა საუკუნეების ევროპაში გავრცელებული ლეგენდა წმინდა პალეზე: მას გაჭირვების ჟამს სწორედ ის დათვი დაეხმარა, რომელსაც წმინდანმა თავის დროზე თათიდან ეკალი ამოუღო. ამგვარი ლეგენდების ანარეკლია დათვის ემბლემატური გამოსახულება ევროპისა თუ რუსეთის ქალაქების გერბებში. რუსეთს რაც შეეხება: ძნელია თქმა, რუსული იმპერიული პოლიტიკის აგრესიულობამ განაპირობა თუ რუსული ენოფსიქოლოგიის ირაციონალურიობამ. მაგრამ „დათვი“ სიმბოლურად განსუერვლად დაუკავშირდა რუსულ ფენომენს და რუსეთის სახელმწიფოს.



იან-ლავის დრავუნთა პოლის ასეულის დრომ. 1727-1732 წწ. რუსეთი

ორიოდე ლიტერატურულ ილუსტრაციასაც მოვიხმოთ: XX საუკუნის ამერიკული პოეზიისა და პროზის დიდოსტატებმა – რობერტ ფროსტმა და უილიამ ფოლკინერმა შთამომავლობას დაუტოვეს თითო „დათვი“, ისევე როგორც მათმა ფრანგმა თანამედროვემ – რობერტ ლესოსმა. ჩვენი ბუნების დიდი მესაიდუმლე – ვაჟა-ფშაველაც არ დარჩენილა ვალში და მისი ლიტერატურული ზღაპარი „დათვი“ სიმბოლოთა მთელ იმ სპექტრს ითვალისწინებს, რაზეც ზემოთ მოგახსენებდით.

ფსიქოლოგები, რომლებიც საკანგებოდ სწავლობენ სიზმრის სიმბოლიკას (კარლ იუნგი), ამტკიცებენ, რომ დათვი განასახიერებს არაორდინარული პიროვნების ქვეცნობიერების ნეგატიურ მხარეთა მანიფესტაციას.

## დაფნა



ოთერიულ ცოდნასა და უკვდავებას. დაფნის ტოტი და დაფნის გვირგვინი – წარმატებისა და დიდების ემბლემა გახლდათ.

ძველბერძნული მითის თანახმად, მშენიერი ნიმფა – დაფნა, რომელსაც სურდა გამოდევნებული აპოლონისაგან თავი დაეხსნა, მარადმწვანე ბუჩქად გადაიქცა. გრძნობამძალებულ აპოლონს ხელში შერჩა სურნელოვანი ტოტები, რომლებითაც მან შუბლი დაიმშვენა და თავისი ქნარი შეამკო. მის შემდეგ, დაფნის ფოთლები ხელოვნების განსუერვლ ატრიბუტად იქცა და ძველ საბერძნეთში პოეტებს, მუსიკოსებს, მოცეკვავეებს, რომელთა მფარველიც აპოლონი იყო, სწორედ დაფნის გვირგვინებით ამკობდნენ. ძველ რომში ამ სიმბოლიკამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა შეიძინა და დაფნის გვირგვინი ახლა უკვე მხედარ-



დაფნის გვირგვინი: ვითარც ნენოსის სამკაული (დასტე ალავიერი) და ქვედა სურათზე – მეფური ზეობის დასტური (ლუდოვიკო XIII)

თმოაერების, დიდმოხელეებისა და თვით იმპერატორის განმასხვავებელ ნიშნად იქცა. იულიუს კეისარი დაფნის გვირგვინს ყველა ოფიციალურ ცერემონიაზე ატარებდა, ხოლო იმპერატორი ტიბერიუსი, გადმოცემის თანახმად, ჭეპა-ჭეხილის დროს თავის დაფნის გვირგვინს ჩააფრინდებოდა ხოლმე, რადგან საუკუნოვანი რწმენით, დაფნა ერთადერთი ხეა, რომელსაც მეხი არ ეცემა. და კიდევ – რადგან ითულებოდა, რომ დაფნას შეუძლია დაღვრილი სისხლისაგან განწმენდა, იმავ რომაელებს წესად ჰქონდათ, მორიგი ბრძოლის შემდეგ, დაფნის ტოტებით შემკული საომარი საჭურველი იუპიტერის ქანდაკებასთან მიეტანათ და ღვთაების მუხლებზე დაედოთ (დაფნა ხომ იუპიტერისა და აპოლონის საკულტო ხე იყო). ქრისტიანული სიმბოლიკითაც დაფნა ერთ-ერთი გამორჩეული მცენარეა, რომელიც გამარჯვებას, კეთილშობილებას, სიუხვესა და ცოცხლად მიტევებას განასახიერებს.

ჩრდილო აფრიკაში დაფნის ფოთოლს თილისმად ხმარობენ; აი, ჩინური წარმოდგენებით კი, დაფნის ხის ქვეშ ზის მითოლოგიური „მთვარეული კურდღელი“ და უკვდავების ელექსირს ამზადებს.



# დალფინი



დელფინი – რო-  
მლის საზრისიანობა,  
ადამიანისადმი კე-  
თილგანწყობა, ხა-  
ლისიანი და ლაღი  
ხასიათი ძველთაგანვე იყო ცნობილი, გა-  
მორჩეულად დადებით სიმბოლოთა  
რიცხვს მიეკუთვნება. უმთავრესი ამ სი-  
მბოლიკაში გახლავთ გადარჩენა, გარ-  
დასახვა, სიქარე, ენერჯია და სიყვარუ-  
ლი. ბერძნულ, ეტრუსკულა და კრი-  
ტოსის მითოლოგიაში თვით დემეტრი  
მოგზაურობდნენ დელფინებზე ამხედ-  
რებულნი. დელფინი იყო პოსეიდონის  
(ნეპტუნის), აფროდიტეს (ვენერას), ერ-  
ოსის (კუპიდონის) და დემეტრეს (ცერ-  
ერას) ატრიბუტი.

მრავალი ისტორიული წყაროებით  
დასტურდება, რომ დელფინები მართ-  
ლაც იყვნენ დღევანდელ „ზღვის მამ-  
კელთა“ თავისებური წინაპრები. ან-  
ტიკურ მითოლოგიაში ისინი ხან გმი-  
რების მხსნელებად გვევლინებიან. ხან  
კი უცოდველთა ხელებს მიაცილებენ  
„ნეტარების კუნძულებამდე“. ეს სიმ-  
ბოლიკა განაგრცო ქრისტიანულმა ტრა-  
დიციამ: აქ, ქრისტეს – კაცობრიობის  
სულიერ მხსნელსა და მფარველს, – ემ-  
ბლემატურად სწორედ ეს ზღვის რჩე-  
ული ბინადარი მიუხადავს და სამკა-



დელფინზე მოკალათებული ნერეიდა. ანტიკური კამეა.  
ჩასმული ოქროს ველსაბაში. ახ.წ-ით III ს. საქართველოს  
სახელმწიფო მუზეუმი (ძირითადი ფრაგმენტი)



ანტუა დელ პერუკია ბიჟი დელფინთი. 1475 წ.

პით დაჭრილი ან ღუზას (რომელიც  
ჯვრის სახესხვაობა გახლავთ) შემო-  
ხვეული დელფინი მაკზოვრის მოწა-  
მეობრიობას განასახიერებდა.

განსხვავებული სურათი იყო ანტი-  
კურ სამყაროში, სადაც ღუზაზე შე-  
მოხვეული დელფინი მოძრაობის შე-  
ჩერების, სიფრთხილის, წინადახედუ-  
ლობის და აგრეთვე ამ ღუზის საიმე-  
ლოობის ნიშანი გახლდათ. ერთ-ერთ  
მითში დელფინმა ნაპირზე გა-  
მოიყვანა მშვენიერი აფრო-  
დიტე; მეორე ანტიკური  
ისტორია მოგვითხრო-  
ბს, რომ დელფინებმა  
ნაპირზე გაიყვანეს მე-  
კობრეების მიერ გემი-  
დან ზღვაში გადაგდე-  
ბული პოეტე არიონი.  
არაა გასაკვირი, რომ  
ეს საზრისიანი ცხოვე-  
ლი საზოგადოდ ზღვაო-  
ნსობის სიმბოლოდაც იქცა  
და არაერთი საპორტო ქა-  
ლაქისა თუ ზღვისპირა ქვე-  
ყნის ემბლემატკაში დაძკვი-  
დრდა.

# დრაკონი




დრაკონი – მი-  
თოლოგიური ცხო-  
ველი და უნივერსა-  
ლური სიმბოლოური  
ფიგურაა, რომელიც  
კულტურათა უმე-  
ტესობაში გვხვდება.

მაგრამ გველუშაის სიმბოლიკა აღმო-  
სავლურ და დასავლურ კულტურულ  
ტრადიციამი იმდენად განსხვავებულია,  
რომ ზორზე ღუსი ბორხესი თავის „ბე-  
სტიარიუმში“ („წიგნი გამოგონილ არ-  
სებათა შესახებ“), სავსებით სამართლი-  
ანად ცალ-ცალკე განათავებს „დრაკ-  
ონს აღმოსავლურს“ და „დრაკონს და-  
სავლურს“. ჩვენც მის მაგალითს მივს-  
დევთ.

**დრაკონი აღმოსავლური:** ჩინე-  
რი გველუშაი („ლუნ“) ერთ-ერთია  
ოთხ სიკეთისმომტან ჯადოსნურ ცხო-  
ველთაგან (დანარჩენი სამია – კალქა,  
ფენიქსი და კუ) და ჩინური მითოლო-  
გისა თუ სახეითი ხელურების ძირი-  
თად მოტივს წარმოადგენს: აქ გველუ-  
შაი ბედნიერების უნივერსალური სი-  
მბოლოა. იმავდროულად, სამყაროს ჩი-  
ნურ სისტემაში დრაკონი განასახიე-



„მინის“ დინასტიის იმპერატორების საჯიბო  
სამოსი „ხუბრჭკვიანი“ დრაკონებით.  
XV-XVII სს. (ჩინეთი)



რებს „იანის“ პირველსაწყისს (ანუ – შექმნას. ნაყოფიერებასა და აქტივობას); მას წარმატება მოაქვს და დემონებს ამარცხებს. მისი ძირითადი მოწინააღმდეგეა ვეფხვი (აქედანაა წარმომდგარი ჩინური მეტეფორა – „ქაღალდის ვეფხვი“, რომელიც დაჯაპნილ მეტოქეს გულისხმობს).

ჩინურ ტანსაცმელზე ამოქარგული დრაკონი, რომელიც ყოველ მოძრაობაზე იკლავს, განასახიერებს ბუნების ცხოველყოფილ ძალთა რიტმს. წვიმისა და ჭექა-ქუხილის სტიქიას (რომლის ემბლემადაც ითვლებოდა გველეშაპის ხაზაში მოთავსებული მარგალიტი). აქედან მომდინარეობდა რწმენა, რომ მრავალრიცხოვანი პროცესია ქაღალდის უზარმაზარი დრაკონებითა და ფეიერვერკით, აუცილებლად მოაუღებს წვიმასა და ჭექა-ქუხილს (არ არის გასაკვირი, რომ ხატოვანებით აღსავსე ჩინურ მეტყველებაში გამოთქმა – „მიწა უერთდება დრაკონს“ – წვიმას აღნიშნავს). ჩინეთში არსებობდა მთელი სისტემა გველეშაპის გამოსახულებათა ფერისა და დეტალების ზუსტი განსაზღვრებით: ჯერ კიდევ ხანის დინასტიიდან (206–220 წწ. ძვ. წ-ით), ფირუზისფერი დრაკონი ითვლებოდა სამეფო ძალაუფლების სიმბოლოდ და იმ დროიდან მოყოლებული, ჩინურ მეტყველებაში დრაკონი და იმპერატორი ხშირად სინონიმულად იხმარება. საიმპერატორო „პრივილეჯია“ იყო აგრეთვე, სადღესასწაულო სამოსზე ცხრა გველეშაპის გა-

მოსატყუება. ამასთანავე თუ კარისკაცების სამოსზე „ოთხ“ ან ნაკლებბრწყალიანი დრაკონი იყო გამოხატული (წოდებისადა მიხედვით), სამეფო გველეშაპს ხუთი ბრწყალი უნდა ჰქონოდა. იაპონელი იმპერატორის („მიკადოს“) კარზე განსხვავებული პირობითობა სუფევდა – აქ მიკადოს ემბლე-

მატურ გველეშაპს ყოველთვის სამი ბრწყალით გამოხატავდნენ.

აღმოსავლური რწმენის თანახმად, დრაკონი დაჯილდოებულია უზარით ნებისმიერ, ყველაზე წარმოუდგენელ არსებად გარდასახოს. თუმცაღა, ძირითადად, მისი „ტრადიციული“ იერი ასეთი გახლდათ: ცხენისმაგვარი თავი, გველის კული, ღამურას ფრთები და ნიანგის კიდურები არწივის ბრწყალებით; გველეშაპის უზარმაზარ სხეულს თეზის ფარფლებისნაირი ჯავშანი იცავს; ბანჯგვლიანი, ცეცხლისმფრქვეველი ხაზიდან ბასრი ენაა ამოზრდილი. ამ „ჰიბრიდულ გარეგნობას“ თავისი წარმომავლობა ჰქონდა: დრაკონს უნდა განესახიერებინა ყველა იმ სტიქიის ერთიანობა, რომელთა ბინადარიც მისი „კომბინირებული პორტრეტის“ შექმნაში მონაწილეობდნენ. ჩინური ტრადიციისათვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო გველეშაპის ფერი: წითელი



ბუღას ლეგენდარული მოგზაურობის ამსახველი ფერწერული პანოს ფრაგმენტი, XVIII-XIX სს. მიჯნა. ლამაისტური მონასტერი ერდნო-უ, მონღოლეთი



მ. კეკელიძე „დრაკონი“ 1952 წ.

დრაკონი სიბრძნის მცველად იყო მიჩნეული; თეთრი მთვარის სიმბოლოდ ითვლებოდა და იმპერიული ძალის განსახიერებდა. ერთადერთი, რაც აერთიანებს აღმოსავლურ და დასავლურ „გველეშაპურ ტრადიციას“, ეს გახლავთ მსოფლიო ფოლკლორისათვის უნივერსალური და უძველესი სიუჟეტი გველეშაპისათვის ხარკად უღამაზესი ასულის შეწირვისა. იმავე ჩინეთში, უძველესი ტრადიციის თანახმად, ქვეყანაში ყველაზე ღამაზე ქალიშვილს გაზაფხულის პირს „დრაკონის კუთვნილ“ მდინარე ხუანხეში ავდებდნენ. ზუსტად ასევე იქცეოდნენ ძველი ეგვიპტელები, რომლებიც ნილოსის ტალღებს ატანდნენ საპატარძლო სამოსში გამოწყობილ ღამაზმანს, რათა მდინარის ნაპირთა დატბორვა – მოსავლიანობის მთავარი პირობა – გარდაუვალი ყოფილიყო.

გველეშაპის უძველესი, არქეტიპული კავშირი წყლის სტიქიასთან ჩინურ (ისიეე, როგორც იაპონურ, ფაქტიურად მთელი აღმოსავლეთი აზიის) კულტურულ ტრადიციაში უახლეს საუკუნეებში იერს იცვლის: ახლა გველეშაპმა განსახიერა ყოვლისშემძლე ძალა, რომელსაც ადამიანებისათვის მოაქვს წყალი, მოსავალი, სიუხ-

ვე და სიკეთე. ამ თვალსაზრისით, ევროპული ტრადიცია არქეტიპული წარმოდგენების ტყეობაში დარჩა.

**დრაკონი დასავლური:** „გველეშაპის“ სიმბოლიკა დასავლურ ტრადიციაში ხშირად თანხლებს გველისას. ძველი ბერძნები, როგორც ეტვობა, დრაკონს ნებისმიერ გიგანტურ ქვეწარმავალს უწოდებდნენ. ეს მითოლოგიური ცხოველი ბოროტ, პირველად ძაღვს განსახიერებდა. ამიტომაც მისი დამარცხება უდიდეს სიმამაცეს მოითხოვდა და გამირობად ითვლებოდა. დრაკონის დამორჩილება ნიშნავდა წესრიგის (კოსმოსის) გამარჯვებას უწესრიგობაზე (ქაოსზე), სულიერებისა

მიწიერზე, დაბოლოს, სიკეთისა – ბოროტებაზე. სწორედ ამ სიმბოლიკამ განსაზღვრა სიუჟეტები, რომელთა მიხედვით, ბიბლიური წმინდა გიორგისა და მთავარანგელოზ მიქაელის მიერ გველეშაპის განგმირვა სატანურ, დემონურ ძალთა დამარცხებას მოასწავებდა.


ალქიმიკოსებისათვის ერთმანეთთან მებრძოლი დრაკონები განსახიერებდნენ putrefactio-ს (ელემენტთა დაწვევრებას ან ფსიქიკურ დეზინტეგრაციას).

კარლ ონგის მიმდევარი ფსიქოანალიტიკოსები დრაკონს განიხილავენ, როგორც სიმბოლოს ბოროტებისა, რომელიც ადამიანსათვის თავში უნდა დასძლიოს.



ჯილო ურლო „წმ. გიორგი და გველეშაპი“ (ფრაგმენტი) XV ს. დასაწყ. ლინდისი, ნაიონალური გალერეა

დროშა



ეგვიპტე-სა და ბერსხვა ისტორიულ ქვეყანაში მოძიებული არქეოლოგიური მასალა მოწმობს, რომ ალაში იმ ტოტემური ემბლემიდან უნდა მომდინარეობდეს. რომელიც დროთა განმავლობაში შტანდარტად იქცა. ხოლო ბოლოს - დროშად. სპარსელები გრძელ ტარზე წამოცმულ მოოქროვილ არწივებს ატარებდნენ: მიდიელები - სამეფო გვირგვინებს; პართელები - მახვილის პირს; ბერძნებთან და რომაელებთან ხმარებაში უკვე სამხედრო ემბლემებიც იყო - შტანდარტები და დროშები. საერთო მათ ის ჰქონდათ, რომ აუცილებლად თვალსაჩინო ადგილას უნდა ყოფილიყვნენ აღმართულნი - ანძაზე, ჭოკზე, შუბის ბუნიკზე... დროშის „ზეაწეულობას“ ხაზი უნდა გაესვა სიმბოლოს მნიშვნელობისათვის, როგორც მეფის ან ღმერთის ემბლემისა: ეს ფუნქცია განსაკუთრებით საგრძნობი იყო სახეიმი-ტრიუმფალური პროცესიების დროს ან ღიბტანიობისას, როდესაც სამღვდლოებას საეკლესიო ბაირალები მოჰქონდა.

რომაელებმა ეტრუსკელებთან შთამომავლობით მიიღეს - „ვექსილუმი“ (აქედანაა - „ვექსილოლოგია“ - მეცნიერება დროშების შესახებ). - სა-



ქროლი სასარგებო დროშებითი მუფრუნეს მიერ მოქმედი რაინდო ტურნირზე. 1450 წ. საფრანგეთი



ულრენტეული დროშა (ე.წ. „Popolo Fiorentino“) უკირავს ასევე „ულრენტეული ლომი“. ულრენტის სანიონის პალატის „შროშნის დარბაზი“ კედლის მხატვრობა (დომენიკო ვარლანდაი)

მხედრო შტანდარტი, რომელზე გამოსახული ემბლემაც ამა თუ იმ ლეგიონს მიანიშნებდა. აი, რომის იმპერატორს კი უკვე არწივის გამოსახულებიანი დროშა ჰქონდა. ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა (რომელმაც ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა) თავის შტანდარტზე („ლაბარუმზე“) რომაელთა ზოომორფული სიმბოლოების ნაცვლად ქრისტე-ს მონოგრამა და თავისი გამოსახულება ამოაჭარგვინა და ამით ხაზი გაუსვა ბიზანტიამ სისულიერო და სახელმწიფოებრივი მეუფების ერთიანობას. დროშა დღევანდელი გაგებით ანუ ტარზე დამაგრებული ნაჭერი ემბლემატური გამოსახულებით, ბერძნებმა

და რომაელებმა აღმოსავლეთის ქვეყნებიდან გადმოიღეს. დადასტურებულია, რომ თანამედროვე დროშის ისტორიული პროტოტიპი პირველად გამოიყენა ჩინელმა იმპერატორმა ჯოუმ (ჩვენი წელთაღრიცხვამდე XII საუკუნეში). უკვე IX საუკუნისათვის დროშა მთელს ევროპაშია გავრცელებული, ხოლო XII საუკუნიდან ჰერალდიკის, როგორც მეცნიერების, წარმოშობასთან ერთად, დაიხვეწა დროშის სიმბოლიკა და კლასიფიკაცია; ამ დროიდან უკვე არსებობს სამეფო, სახელმწიფო, ცალკეული საგრაფოებისა თუ სამთაურების, სამხედრო, საზღვაო დროშები და ალმები.

სამხედრო ალაშს რაც შეეხება, მას

დღე (სინათლე)



კორეა XII-ის საუფლისწულო დროს. 1754 წ. (ვ. იახვლიანის საკუთრება)

გამოცალკეებული ისტორია აქვს, როგორც სამხედრო შენაერთის სიმბოლოს და იდენტიფიკაციის ნიშანს. საფიქრებელია, რომ შემადღებული ადგილიდან ბრძოლის ველის მომზიდარ სარდალს ასისთავების შუბზე დამაგრებული აღმები დიდად ეხმარებოდა ბატალიის რეალური სურათის შეფასებაში.

მთელი ამ მდიდარი ისტორიული „პიორაფის“ მანძილზე დროშამ განზომილი სიმბოლური მნიშვნელობა შეიძინა. ამას ჩვენი უახლესი ისტორიაც ცხადყოფს: ერთი შეხედვით, ნებისმიერი ქვეყნის პატრიოტს უნდა ეამაყებოდეს მისი ქვეყნის ზეაღმართული დროშის ზილვა. მაგრამ ისტორიის გამოცდილებაში გამართლა ინგლისელი მწერლის პიტერ უსტინოვის სარკასტული გამოხატვაში: „მე ვერ ვუერთვლებ დროშას, თუ არ ვიცი, ვის ხელშია იგი“. ცხადია, რაოდენ ხატოვანიც არ უნდა ყოფილიყო (თუ არ იყო, ეს სხვა საქმეა) საბჭოთა საქართველოს დროშა - ჰერმარიტი მამულიშვილი მას ვერ უერთვლებდა; სხვათა შორის, ბევრი ჩვენი თანამემამულე დათრგუნა „მენშევიკური“ საქართველოს მძიმე ბიორაფიამაც და იმდროინდელი დროშის დამამძიმებელმა ფერთა სიმბოლიკამაც. დღევანდელმა ქართულმა, ხუთჯერინანმა, თეთრწითელმა დროშამ სწორედ ეს „კერადლიკური ბურუსი“ გაფანტა და გრაფიკული გამოსახულების ისტორიულ სიმბოლიზმთან ერთად, თავისი ფერთა-მეტყველებით პოზიტიური საწყისი განასახიერა.

ნათელი - ის უნივერსალური ფენომენია, რომელიც თითქმის ყველა რელიგიურ სისტემაში სამყაროს შეცნობასა და აბსოლუტურ სიკეთეს განასახიერებს. სულისა და ღვთაებრიობის ამ მეტაფორას ჩვენ აღვიქვამთ სისპეტაკისა და სიფაქიზის, გონიერებისა და ინტელექტის, ზეამაღლებისა და ბედნიერების, უკვდავებისა და სრულქმნილების, სამბოლო ვაჟში, თავად სიცოცხლის სიმბოლოდ.


ზეციური ნათელი თავის თავში მოიცავს არსსაც და სიცოცხლესაც: მისი დანახვა შეუძლებელია, ისევე, როგორც შეუძლებელია რაიმეს გარჩევა აბსოლუტურ სიბნელეში. შესაძლებელია მხოლოდ მათი გონების თვლით წვდომა, რადგან ნათელი განხორციელებული ღვთაებრიობაა, ხოლო წყვილადი - განუხორციელებელი. ამგვარი დუალიზმი ახასიათებს იმ ეთიკურ-რელიგიურ სისტემებს, რომლებშიც „ნათელი“ და „ბნელი“ ურთიერთდაპირისპირებულ საწყისთა მთლიანობა მარა-

დიული ურთიერთქმედებითა და ურთიერთშენაცვლებით („ინი“ და „იანი“). ამიტომაც, ძველი ჩინელების წარმოდგენით, სამყაროს განეთარებას და ნებისმიერ სასიცოცხლო პროცესს ნათელ-ბნელის თანაფარდობა განაპირობებს.

ახლო აღმოსავლეთში წარმოშობილი რელიგიები - მანიქეველობა და ზოროასტრიზმი ნათელისა და ბნელის ფენომენს ეთიკურ ცნებათა კატეგორიას აკუთვნებენ: ნათელი სიკეთეა, სიბნელე - ბოროტება და მათი ურთიერთქმედება, მით უმეტეს, ურთიერთთანაცვლება საყვებით გამოიჩენება.

სინათლე, ბერკლის ხატოვანი თქმით, - ეს ღმერთის ენაა, რომელიც ჩვენთვის ბოლომდე შეუცნობელია. ყურადსაღებია ის გამონათქვამიც, რომლის მიხედვითაც, სულიერი უპირატესობა მისი გამონათების ინტენსივობით აღიქმება.

ნებისმიერი მსჯელობა სინათლის ფენომენზე არასრული იქნებოდა, თუ არ მოვიხმობთ კლასიკურ სახარებოსეულ დოქტრინას, სადაც თავად მაკიხოვარი ამბობს: „მე ვარ ნათელი ქვეყნისა; ვინც გამომყვება, არ ივლის ბნელში, არამედ ექნება სიცოცხლის ნათელი“ (იოანე, 8:12).



მიქელანჯელო. „დღე“ (ფრაგმენტი ლორენცო მედიის აკლამბია მედიის კაქელაში). 1520-1534 წწ. სან-ლორენცოს ეკლესია, ფლორენცია

# ე

## ეპალი



ლის კარებზე ან აივნის ბოძზე ჩარკო-

ეპალი შავი მაგი-  
ის გამაუვნებელყო-  
ფელი სიმბოლოა. შე-  
საძლოა, ახლაც ნახ-  
ოთ რომელიმე სახ-  
ლის კარებზე ან აივნის ბოძზე ჩარკო-

ბილი ეპალი, რომელმაც ავი თვალის  
უნდა „დაავსოს“.


ძველ ეგვიპტეში, საიდანაც მოდის  
ეკლის სიმბოლიცა, აკაციის ეპალი -  
ადამიანთა მფარველი ეგვიპტელი ქა-  
ლმერთის - ნეიტის ატრიბუტია. ეკ-  
ლის გვირგვინი, რომელიც ჯარისკა-  
ცებმა დაცინვის ნიშნად, თავს დაადგეს  
ქრისტეს. ვითარც „მეფეს იუდაველითა“.

ბიბლიის მკვლევართა უმეტესობის აზ-  
რით, კვრინჩხის ბუნქისა იყო (Prinus  
spinosa), რაც „ტყევის გვირგვინად“ მო-  
იხსენიება ხოლმე. მაგრამ ბიბლიის ქა-  
რთულ თარგმანში სრულიად მაროებუ-  
ლად დაინერგა „ეკლის გვირგვინი“  
(Paliurus spina Cristi).


ყოველივე აქედან გამომდინარე, ეკ-  
ალიზა ორგვარი სიმბოლური მნიშვნე-  
ლობა შეიძინა და განასახიერა არა მხო-  
ლოდ მაცხოვრის მოწამეობრივი გზა,  
არამედ, საზოგადო წამება და განსა-  
ცდელი, მაგრამ, ამასთანავე, სიმბო-  
ლური ინვერსიით - ამ განსაცდელის  
უვნებელყოფა და მისგან თავდაცვა.

## ეპალი

ძალაუფლების დინამიური სიმბოლო  
- ეტლი განყოფილი ატრიბუტია იმ  
მიოლოგიური და იკონოგრაფიული  
სიუჟეტებისა, რომლებშიც დეოთეანი,  
გმირები თუ ალეგორიული პერსონა-  
ჟები მონაწილეობენ. ეტლის სიმბოლი-  
ცა, უთუოდ, დაკავშირებულია საბრძო-  
ლო ორთვალასთან, სრულიად გამოგ-  
ნებელ შთაბეჭდილებას რომ ახდენდა იმ  
ხალხებზე, რომელთაც ჯერ კიდევ არ  
ქონდათ ამგვარი „სამხედრო ტექნი-  
კა“. ბუნებრივია, რომ სამხედრო დანი-  
შნულებასთან ერთად, ეტლი წარჩინე-  
ბულთა - მეფეთა, დიდებულთა, მხედა-  
რთმთავართა გამორჩეულობის ყოფითი  
ატრიბუტი იყო; ისიც ცხადია, რომ ამ  
პრივილეგიით მიოლოგიურმა წარმო-  
სახვამ საკრალური პანთეონის დიდი  
ნაწილი აღჭურვა (არსებობს ძალზე სა-



გუსტავ ლორე. „ჯერუს ტვირთვა“



ელია წინასწარმეტყველი თავისი ეტლით მინაზე ხატუნების რუმბანული სკოლა XIX ს. ი. მუნდუცკუს კოლექცია, ბუქარესტი



ალბერტო გაკომბტი. „ეტლი“ (ბრინჯაო). 1950 წ. კუნსტჰაუზი, ტიურინგია

ინტერესო სქემა „ოლიმპიური ფარე-ხისა“, რომელიც მომდევნო გვერდზე უცვლელად მოგვყავს).

აქვე აღსანიშნავია, რომ ეტლის „გამწეე ძალასა“ და მის მეზვერს შორის სრულიად გარკვეული შესაბამისობა არსებობდა: ასე მაგალითად, უმანკოების ალეგორიული ფიგურის ეტლს ცალრქა ეზიდება. მარადისობისას - ანგელოზები; დიდებისას - სპილოები, ხოლო ღამისას და სიკვდილისას - შავი ცხენები. მნიშვნელობა აქვს მითოლოგიური ეტლის ფერსაც: ინდუსტრიული ქაღალდმერთვის ინდრას ეტლი ოქროსფერია; ცეცხლოვანია ელია (ილია) წინასწარმეტყველის ზეციური ეტლი (ცეცხლოვანი ანუ მზიური ეტლი იმდენად მდგრადი არქეტიპია, რომ მისი კვალი მსოფლიოს მითოლოგიათა უმეტესობაში მოიძებნება).

ეტლის ასტროლოგიურ ასპექტზე (ეტლი - ზოდიაქო) ჩვენი ენციკლოპედიის სათანადო სტატიაშია საუბარი, ისევე, როგორც ბორბალზე, რომელსაც სრულიად დამოუკიდებელი სიმბო-

**ღვთაებათა სახელები:**

**კულტურა:**

**ატლში შემული არიან**

აფროდიტე (ვენერა)  
 აპოლონი  
 არესი (მარსი)  
 არტემიდე (დიანა)  
 პადესი (პლუტონი)  
 გალათეა  
 პერა (იუნონა)  
 პერმესი (მერკური)  
 ჰეფესტო (ველკანი)  
 დიონისე (ბახუსი)

ანტიკური  
 ანტიკური  
 ანტიკური  
 ანტიკური  
 ანტიკური  
 ანტიკური  
 ანტიკური  
 ანტიკური

ზევისი (იუპიტერი)  
 კიბელა  
 პოსეიდონი (ნეპტუნი)  
 თორი  
 ფრეია  
 შივა

ანტიკური  
 ანტიკური  
 ანტიკური  
 სკანდინავიური  
 სკანდინავიური  
 ინდუსტური

მტრელები  
 თეთრი ცხენები  
 მგლები  
 ირმები  
 შავი ცხენები  
 დელფინები  
 ფარშევანგები  
 მამალი ან ყანჩები  
 ძაღლები  
 ვეფხვები, ლეოპარდები,  
 თხები ან კენტაურები  
 არწივები ან ხარები  
 ღოშები  
 ზღვის ცხენები  
 ვაცები  
 „მოვარის კატები“  
 ქურციკები

დიულ დაპირისპირებაზეა დაფუძნებული: აბოლუტური გამარჯვება აქ წარმოუდგენელია – ეს ცხოვრების წრებრუნვას შეაჩერებდა.

„Ubique daemon!“ – „ეშაპი ყველგანაა!“ – ამ გამაფრთხილებელმა შემახილმა ჩვენამდე შუა საუკუნეებიდან მოაღწია. იმ დროისათვის ეშაპის „სიტყვიერი პორტრეტი“ საგულგულად იყო შემუშავებული: მოკაუჭებული ცხვირი, წაწვეტებული, ცხოველისებური ყურები, ღოჯები, ღამურას ფრთები, თხის ფეხები (ბერძნული ღვთაების პანის მსგავსად); რალა თქმა უნდა, რქები და კული. ყველა ამ „სიკეთესთან“ ერთად, მას გოგირდის სუნიც ასდიოდა.

არც ერთ სხვა რელიგიაში ბოროტება არ ყოფილა პერსონიფიცირებული იმგვარი ექსპრესიით, როგორც ქრისტიანობაში. შეიძლება ითქვას, რომ სატანას პორტრეტი – ესაა თავისებური „კონცენტრატი“ იმ ნეგატიური სიმბოლიკისა, რომელიც ყველა წინარე

ლური მნიშვნელობა აქვს. აი, სადავეების სიმბოლიკაზე კი აქ უნდა ითქვას: იმ ფსიქოლოგიურ სურათში, სადაც ეტლი ადამიანის სხეულია, ცხენები კი – ცხოვრებისეული ძაღლები, სადავეებს დაკისრებული აქვთ ემოციებისა და ნებისყოფის, სულისა და სხეულის წონასწორობის შემანარჩუნებელი ერთგვარი რეგულატორის ფუნქცია (ეს სიმბოლიკა ჩვენს ყოფით მეტყველებაშიც აისახა). სხვათა შორის, შორეულ წარსულში გადაჭრილი სადავეები სიკვდილის სიმბოლოდ აღიქმებოდა...

რთი სიცოცხლეს განასახიერებს. ხოლო სატანა – სიკვდილს. სამყაროს სიმბოლური მოდელი სწორედ ამ მარა-

**ეშაპი  
 (ღემონი, საბანა)**

სატანა ღმერთის მარადიული მოქიშე და მისი ანტითეზაა: ღმერთი – სამყაროს შემოქმედი; სატანა აღმრევი და დამანგრეველი; ღმერთი სიკეთის პრინციპს განასახიერებს და მისი შეცნობაც სწორედ ამ გზით შეიძლება; სატანა პირიქით – ბოროტებას ბაღებს და ადამიანებს „გონების თვალს უბრმავეს“ (საბა). რადგან ამასთანავე ღმე-



ერთ-ერთი ყველაზე „აპოკალარული“ ეშაპი შოფლიოში პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის ლავარდანზე



ქ. კემაკი ხელებდაა ცნობილი, თუქილა  
ტრახალეს შიამშვედაცა

რელიგიაში არსებობდა (ყველაზე ცხადლივ აქ ზოროასტრიზმის დუალის-ტური კონცეფციის „ანტიგმირის“ – არამანის გაელენა იგრანობა).

ანტიკური დემონები – ამით გამსხვავდებოდნენ ღმერთებისაგან, რომ მათ ადა-

მიანური (ანტროპომორფული) სახე არ გააჩნდათ. ძველ ბერძენთა ფანტაზია ყველა აუხსნელ და მძვინვარე მოვლენათა შემოქმედელ დემონებს მიიწვედა“. არის სატანის „პორტრეტში“ რაღაც ნიშნები სკანდინავიური „ავი დუთაების“ – დიოსკა ბიბლიური „ბიოგრაფიით“ კი „ემშაკმა შესცოდა ღმერთის წინაშე“, ის „არის თავი დაცემული ანგელოზებისა“ და „გადმოვდებულა ზეციდან ბოროტ სულებთან ერთად“; დაბოლოს, „ემშაკი სტატეებს ადამიანს გულადან ღმერთის სიტყვას“.

დაცემამდე მისი სახელი იყო ლუციფერი, ხოლო შემდეგ, მის შრაკელ სახელდებათა შორის, გეგედება ბელზებელიც, „წველიადის მეუფეც“, „აპოკალიფსური მხეციც“, რომლის რიცხვია – „666“, დემონიც, უბრალოდ „ბოროტი სულიც“ (აქ, უთუოდ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი გაგახსენდებათ). ეშმაკი, გოეთეს „ფაუსტის“ წყალობით საყოველთაოდ ცნობილი მე-

ფისტოფელიც, ეოლანდიც მიხეილ ბულგაკოვის რომანიდან „ოსტატი და მარგარიტა“ და ა.შ.

აქვე უნდა ითქვას, რომ სატანა და დემონი მთლად იდენტურნი მაინც არ არიან: დემონი უფრო ტრაგიკულ-მისტერიული ფიგურაა (აქ დიდი გავლენა იგრანობა ლიტერატურისა და მხატვრობის), ხოლო სატანა მხოლოდ ბოროტების განსახიერებაა. ასე რომ არ ვოფილიყო, ტერენტი გრანელი არ დაწერდა: „გალაკტიონში არის დემონი და ჩემში უფრო ანგელოზია“ („შე და გალაკტიონი“, 1924 წ.).

ხალხური ფანტაზიით სატანას თავისი ხელქვეითნი ჰყავდა – ჭინკები, ქაჯები, კუდიანები და ეშმაკმა უწყის, კიდევ რამდენი ამგვარი „ასისტენტი“, რომელთა დახმარებითაც იგი აგვარებდა (და, ეგებ, ახლაც აგვარებს?!) თავის შავებულ საქმეებს...



შ.ა. ერუბელი „დემონი“ 1890 წ. მოსკოვი, ტრეტიაკოვის გალერეა


# პ

## ვაზი



ვაზი ბუნების სი-  
უხვის ერთ-ერთი  
უძველესი სიმბოლო  
იყო მიუღწეველად  
მოსავლეისა და ეგვი-

პტეში. ძველ აღთქმაში ვაზმა განასახი-  
ერა - „ხე ცხოვრებისა“. ეს იყო პირვე-  
ლი მცენარე, რომელიც ნოემ წარღვნის  
შემდეგ დარგო. ხოლო გამოსვლათა წი-  
გნში - პირველი ნიშანი იმისა, რომ ეგ-  
ვიპტიდან გამოსულმა ებრაელებმა აღ-  
თქმულ მიწას მიაღწიეს. „ქრისტიანუ-  
ლი ვაზი“ ძირეულად გამსხვავდება იმ  
დიონისური სიმბოლიზმისაგან, რომელ-  
იც ღვინის ღმერთს ბახუსის (დიონის-  
ეს) სახელს უკავშირდება და გრძობა-  
დი, პედონური, ეროტიული კულტურის  
მთელ პლასტს ქმნის. ყურძენი და ხო-  
რბლის მარცვალი (ღვინო და პური) ეე-  
ქარისტული სიმბოლოებაა - იესო ქრი-  
სტეს სისხლისა და სხეულის აღმნიშვნე-  
ლი. ქრისტიანულ ხელოვნებასა და  
არქიტექტურაში ყურძნის მტევანი, ვა-  
ზი, პირველ ყოვლისა, სწორედ მკედრე-  
ითი აღდგენის სიმბოლო იყო და მხოლოდ  
ამის შემდეგ - სიუხვის, სტუმართ-  
მოყვარეობის, შემოდგომის განსაზიერ-  
ება. ვაზი იოანეს სახარების მიხედვით  
თავად ქრისტეა; ქრისტე თავის თავს ხომ  
ვაზს უწოდებს, ხოლო მოწაფეებს კი ლე-  
რწამს: „მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი, და მამა  
ჩემი მევენახეა“ (იოანე, 15:1). რადგან  
ვაზის სიმბოლიკა ღვთის მადლს მოას-  
წავებდა, ამიტომაც სოღომის ცოდვილ  
მიწაზე ყურძენი საჭმელად უვარგისი



ვაზი. სვეტიცხოვლის ტაძრის ფასადის რელიეფი



სწიფურის აკლდაძის ქერის მოხატულობის ფრაგმენტი  
ძეწითი 1448-1422 წწ. თბუკი, ძველი კავკასია

**ვაზო, შვილიწიით ნაზარდო**

(ქართული ხალხური პოეზიიდან)

\*\*\*

ვაზო, შვილიწიით ნაზარდო,  
მოეკვდები მე შენს ძირშია.  
შენით ვარ მხნე და გულადი  
იმედი გასაჭირშია.

\*\*\*

მალე დამხეილდი ყურძენო,  
თავს ნუ დაიხვეუ რამ ჭირსა.  
შენი იმედით ვაპიროფ  
ამ შემოდგომით ქორწილსა.  
ტალიკ-ტალიკი მაყრები,  
ყნწით დავიწვევენ სმასო,  
თამაშ, ფანდური, დიარა,  
რომ ჩემი სჯობდეს სხვასაო.  
მტყევენბო, მალე დამწიფდით,  
არ შევამინოთ ქარმაო,  
მაჭარზედ ისე კიმღერებ,  
რომ ბანი მოგეცეს მთამაო.

\*\*\*

უნდა წავიდე ვაჯახეთს,  
შენ მენანებო, ვენახო,  
ვევლამ გვა დამილოცეით,  
ვისაც რომ თვალით გენახო.

ლუკას კრანახი (უფროსი). „ლეოსმშობელი ჩვილი იესოთი ჰეიზაფის ფონზე.“ დაახლ.  
1514 წ. ბარონ ტინენ-ბორნემისის კოლექცია, ლუგანო, იტალია

იყო. მოსეს რჯულდებით, ნებისმიერ გამგულეს შეეძლო ეჭამა ყურძენი სხვისი ვენახიდან, ოღონდ სახლში არ უნდა წაეღო ნაყოფი, მხოლოდ და მხოლოდ წყურვილი უნდა მოეკლა. რთველი - ყურძნის მოსავლის აღება, ბიბლიური გაგებით, დღესასწაულად ითვლებოდა: არ შეიძლებოდა ყურძნის უსიხარულოდ კრეფა, ხოლო უწმინდურებს ეკრძალებოდათ რთველში მონაწილეობის მიღება.

საქართველოში ვაზის ბიბლიურ სიმბოლიკას შეერწყა ჩვენი ეროვნული თავყენისცემა ვენახისა. „ქართველთა წარმოდგენით ის არის სიცოცხლის ხე. ამიტომაც ჩააწნეს ქართულ ჩუქურთმაში ვაზი, ამიტომაც არსებობს საოცარი საგალობელი „შენ ხარ ვენახი“. ამიტომაც მისცა ჯვარს ნინომ ქართული სახე და გააკეთა ვაზისაგან“ (რევაზ სირაძე).

## პარდი



ვარდი ყველაზე პოპულარული სიმბოლოა ყვავილთა სახისმეტყველებიდან ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში. დასა-

ვლური ტრადიციით ვარდი სრულყოფილი ყვავილია, რომელიც სამყაროს ცენტრსა და კოსმიურ ბორბალს განასახიერებს; ამასთანავე – ღვთაებრივ, რომანტიკულ თუ გრძნობად სიყვარულს. თეთრი ვარდი უბიწოების, სიწმინდის, ქალიშვილობის სიმბოლოა, ხოლო წითელი კი – ენებისა და ღტორლის. ამასთან ერთად, ის განასახიერებს დაღვრილ სისხლს, განცდას, სიკვდილსა და აღორძინებას. ნახევრად გადაშლილი ვარდის უზადო ფორმა იქცა სიმბოლოდ სასმისისა მარადიული სიცოცხლის ელექსირით. ალბათ ამიტომაც, ძველი რომაელები, როზარიუმის დღესასწაულზე, ვარდის ფურცლებს მიმოფანტავდნენ საფლავებზე, ხოლო რომაელი იმპერატორები ვარდებისაგან დაწნულ გვირგვინს ატარებდნენ. აი, გადახსნილი ვარდი კი სიკვდილის სიმბოლო გახლავთ.

ძველი რომაული მითები წითელ ვარდს ომის ღმერთს მარსს, მის ცოლს ვენერას (აფროდიტეს) და მშვენიერ აღონისს უკავშირებენ. ამ მითის ბერძნული ვერსიის თანახმად, აღონისი სასიკვდილოდ დაჭრა ვარდულმა ტანმა. როდესაც აფროდიტე თავის დაჭრილ სატრფოსთან ვარბოდა, ფეხში თეთრი ვარდის ეკალი შეერჭო და სწორად აფროდიტეს სისხლმა გააწითლა ეს ყვავილი.

ვარდი საიდუმლოსა და მღუმარების სიმბოლოც არის, ამ სიმბოლოს სათავე ამ მითშია, რომლის თანახმადაც, ერთ დელიკატურ სიტუაციაში, ევენერამ რეპუტაციის გადასარჩენად, მღუმარების საზღაურად, თეთრი ვარდი გაიღო; აქედანაა ტერმინი „sub rosa“ (ვარდებს ქვეშ), რაც კონფიდენციალობას ნიშნავს და თუ ევროპაში რო-



ხუბუკე დე რიბრა. „წმ. ეკატერინეს ნიშნობა“. (დეტალი). 1643 წ. ნიუ-იორკი, მეტროპოლიტენ-მუზეუმი (კალები წმ. ეკატერინესთვის მასობრივ ვარდზე მინისმებაა წმინდანის მოწამეობრივი ხელებისა)

მელიმე ოთახის ან დარბაზის კარებზე ვარდის გამოსახულებას ნახავთ, ეს ნიშნავს, რომ თავყრილობა მხოლოდ განდობილთათვის არის გამოიწველი.

„ოქროს ვარდი“ რომის პაპის ემბლემად ითვლება, იმავდროულად, ეს გამორჩეულობის ნიშანია, რომლითაც რომის პაპი XI ს. დაწყებული აჯილდოებს მათ, ვისაც განსაკუთრებული წვლილი აქვს შეტანილი კათოლიციზმის გავრცელების საქმეში.

ვარდი შედიოდა XVII ს. მსტიკური ორდენის – „როზენკრიცერების“ ემ-

ბლემატიკაში (იხ. ჩვენს ენციკლოპედის II ტომი). ასევე საინტერესოა ვარდის პერალდიკა. ვარდი დღესაც არის ინგლისის არაოფიციალური სიმბოლო, ინგლისის ისტორიიდანვე გვახსოვს „ალისფერი და თეთრი ვარდების“ ომი: ალისფერი ვარდი ლანკასტერების დინასტიას განასახიერებდა; თეთრი – მათი მოქიშე იორკებისა.

აღმოსავლურ პოეზიაში, განსაკუთრებით სპარსეთში, ვარდი სიღამაზის უნივერსალური სიმბოლოა. აღარაფერი რომ არ ვთქვათ „ვეფხისტყაო-



„ნელსის მუჟის - ელვარ VII-ის (იორკის ლინსტაიდიან) აღმაშენებლის ჩახატული თეთრი კარდიან

სანზე“, აღორძინების პერიოდიდან დაწყებული (XVI - XVIII სს.) და ჩვენი რომანტიკოსებით დამთავრებული (XIX ს-ის დასაწყისი) - ქართული პოეტური მეტაფორების ტარდის მომაჯადოებელი მეტაფორის ტყვეობაშია მოქცეული: საკმარისია, გავიხსენოთ თუნდაც ბესიკის „ვარდო სასურო, მამისურო, გრწყავს წვიმა, დარი!“...

ქრისტიანებისათვის მეწამური ფერის ვარდი და მისი ეკლები მაკხოვრის მოწამეობის სიმბოლოა. ადრექრისტიანული ტრადიციების მიხედვით კი ვარდი უეკლო იყო პირველ ცოლვამდე. ქრისტიანობამ ვარდი ღვთისმშობელს



სალვადორ დალი. „მედიტაციური ვარდი“. 1958 წ.

დაუკავშირა და სიმბოლურად ის უეკლო ვარდად იყო მიჩნეული. ძველი აღთქმის წიგნებში ვარდი, ეს უმშვენიერესი ყვავილი, სიმბოლოა სილამაზის, სრულყოფის, სიზარუნის, ხობტის, ღვთიურობის, სიბრძნის, იდუმალების, სიამაყის, მღუმარების; ამასთან მასში სიმბოლოზირებულია მზე და ვარსკვლავები... „ვარდი ეკალთაგან გამოჩეული“ იყო წმინდანის ატრიბუტი. ამავე ანალოგიითაა „წმინდა ნინოს ცხოვრებაში“ მოიქუელთასწოროს მეწამულ ვარდთან გაიგივება.

თანამედროვე ევროპაში წითელი ვარდი სოციალისტური მოძრაობის ემბლემად დამკვიდრდა.

### პარსკვლავი

ერთ ლიტერატურულ ზღაპარში პატარა უფლისწული ეუბნება თავის ახლადშემძინილ მეგობარს: „ღამეულ ცაზე აყვავებულ ვარსკვლავთა შორის, ჩემი ვარსკვლავი ყველაზე უფრო პატარაა და ამიტომაც, შენ ვერ დაინახავ. გახსოვდეს, ის უბრალოდ ანათებს. შეიყვარე, დატკბი ვარსკვლავთცქერით და ვარსკვლავებიც მეგობრებად გაგიხიბებიან...“ (ანტუან დე სენტ-ეგ ზიუპერი, „პატარა უფლისწული“).

ვარსკვლავი, როგორც წყვილიაღში მოციმციმე სხივი ხულის სიმბოლოა; ესაა ხატება სამყაროს შემქმნელი ღვთაებრივი ნებისა; იდეოგრამა, რომელიც განასახიერებს „ღმერთისა“ და „ის“ ცნებებს. ამიტომაცაა, რომ სახარებაში იესო ქრისტეს შობის ფაშს ცაზე გამაჩნდება „ბეთლემის ვარსკვლავი“ - მესიის მეუფების მანუწყებელი...

ძველმა ბერძნებმა ღამეული ცა ღმერთებისა და მითოლოგიური გმირებით დაასახლეს და ღამეულ ვარსკვლავებისა თუ თანავარსკვლაველების უმეტესობას ჩვენ სწორედ მათი „ნათლობის სახელებით“ ვიცნობთ. ვარსკვლავებთან დაკავშირებით ორი უძველესი წარმოდგენა არსებობდა: ერთის თანახმად, ადამიანის დაბადებისას მისი „ბე-

ღის ვარსკვლავი“ ცაზე აკიოფდებოდა და სიკვდილისთანავე უმაღ ქრებოდა; მეორე გააზრებით, ვარსკვლავები ცაღამეული სულებია.

ვარსკვლავს ძალზედ იშვიათად აქვს ერთსახიანი სიმბოლური მნიშვნელობა - ის პრაქულსაწყისიანობისაკენ ისწრაფვის; აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ გარდა ვარსკვლავის უნივერსალური სიმბოლიკისა, თავ-თავისი შესატყვისი მნიშვნელობა გააჩნია ვარსკვლავთა განსხვავებულ გამოსახულებებს:

**სამთიზიანი ვარსკვლავი** - ბიბლიური ნიშანია, რომელიც ყოვლისმჩენ თვალს, ღვთის განგებას და სამებას განასახიერებს (იკონოგრაფიაში წარმოდგენილი იყო სამკუთხედში ჩახატული თვალით).



ფირმა „მერსედეს-ბენციის“ ემბლემა

**ოთხთიზიანი** - მზის მესოპოტამიური ღვთაების, შამაშის ნიშანი - ქვეყნის ოთხ მხარეს განასახიერებს და გზისმანათობელ მეგზურად ითვლება.



წრილი ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციის (NATO) ემბლემა

**ხუთთიზიანი (პენტაგრამა)** - შუბერთა ქალღმერთის ითიარის ემბლემა; ანტიკურ სამყაროსა და აღორძი-



პენტაგრამა. შუასაუკუნოვანი რელიეფი მარმარილოს ფილაზე სიბერნის კათედრალში (დალმაცია)

ნების ეპოქაში პენტაგრამა ითვლებოდა სამყაროს მშვენიერების სიმბოლოდ. რადგანაც ის „ოქროს კვეთზეა“ დამყარებული და ბუნებაში პროპორციასა და პარმონიას განასახიერებს; ქრისტიანობაში ხუთი სხივით გამოისახებოდა „ბეთლემის ვარსკვლავი“ (იმავედროულად, ხუთი ქიმი მაცხოვრის ხუთ ჭრილობას განასახიერებდა). ხუთქიმიან ვარსკვლავს აქვს „დამკავი“ სიმბოლიკაც: ამიტომ, რომ ის არაერთი ქვეყნის სახელმწიფო თუ სამხედრო ემბლემატიკაში ფიგურირებს (ყოფილი საბჭოთა კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, ჩინეთი და ა.შ.). ამბორუნებული პენტაგრამა ასოლუტურად საპირისპირო მნიშვნელობას იძენს და სატანურ სიმბოლოდ ითვლება.

**ამაღსიმიანი** (ქეჟსაგრამა) – დავითის ვარსკვლავი („მაგენდავილი“) – იუდაიზმის გრაფიკული დევიზია. – დღევანდელი ისრაელის სახელმწიფოს ოფიციალური ემბლემა. უძველესი დროიდან ეს სიმბოლო სულისა და მატერიის კავშირს განასახიერებდა. ორი ერთმანეთზე დადებული სამკუთხედი ერთსა და მიწის შეუღლების ნიშანი იყო. იმავედროულად, ღმერთისა და სატანის ჭიდილისაც. ევროპულ ოკულტიზმში ჰეჟსაგრამა „სოლომონის ვარსკვლავად“ მოიხსენიება. რადგან სოლომონის ჯაღოსნურ ბეჭედზე სწორედ ეს ვარსკვლავი იყო გამოსახული.



ისრაელის სახელმწიფო დროშა

**შიდლითიანი** ვარსკვლავი სიყვარულის სემიტიური ქალღმერთის ასტარტას (ანტიკურ ტრადიციაში – ეენერას) ემბლემა გახლდათ; ქრისტიანობაში ის სულის შეიდ ნიჭს (იხ. „პტ-

რედი“) განასახიერებდა; ასტროლოგიაში – შეიდ მნათობს, ადამიანის მიწიერ გზასა და ბედისწერას. სწორედ შეიდქიმიან ვარსკვლავში იყო ჩახატული წმინდა გიორგი საქართველოს გერბში (1918–21 წწ.), რომელიც 1991 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, კვლავ გამოცხადდა სახელმწიფო ემბლემად.



საქართველოს სახელმწიფო ვერტი 1918-1921 და 1991-2004 წწ.

**რამატიანი** ვარსკვლავი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ემბლემა ორდენებისათვის: ორი ერთმანეთზე დადებული ოთხკუთხა ვარსკვლავი – (ორი ჯვარი) ქრისტიანულ სიმბოლოს წარმოდგენს.



თამარ მეფის ორდენი. დაარსებული ქართული ლევიონის მიერ პერსიში. 1915 წ.

**თორვატსხივიანი** ვარსკვლავი ასევე ბიბლიური სიმბოლოა (თორმეტ მოციქულსა და ისრაელიანთა თორმეტ შტოს განასახიერებს) და ტრადიციულად საპატიო (ან საზვიამო) მნიშვნელობა აქვს.

ჰერალდიკაში ნებისმიერი ვარსკვლავი, რომელსაც თხუთმეტზე მეტი სხივი აქვს, უკვე მზეა. ამიტომაც, თექვსმეტსხივიანი ვარსკვლავი, რომელსაც



ქანი IV-ის საუფლისწულო სამოსი. 1563 წ.

პირობითად „ანგლინგების მზე“ ეწოდება (შეეციაში აღმორჩენილი VIII–IX სს. გამოსახულების მიხედვით) მზის სიმბოლოდ ითვლება.

ჩვენს შორეულ წინაპრებს სწამდათ, რომ ვარსკვლავები ადამიანთა ბედს განაგებდნენ და ამ ასტროლოგურ სხეულთა ადამიანზე „მეურვეობის“ იშვიათ უნარს მიაწერდნენ: XVIII საუკუნიდან ევროპულ სინამდვილეში ვარსკვლავები კეთილშობილ მისწრაფებებს განასახიერებენ. ხოლო XIX ს-ის დასაწყისიდან, რომანტიკოსებთან, ბედნიერების სიმბოლოებად აღიქმებიან (ამის მეტყველი ნიმუშია ნიკოლოზ ბარათაშვილის „ჩემს ვარსკვლავს“).

აი, „**კუდიანი მარსკვლავი**“ (კომეტა) კი ესპატოლოგიურ შიშს ბადებდა, მომავალი კატასტროფის, უამიანობის, მეფეთა აღსასრულის ავისმომახსავეებელი ნიშანი იყო... „როდესაც მათხოვრები კედებიან, – ამბობს შექსპირის პიესის „იულიუს კეისარის“ ერთ-ერთი პერსონაჟი, – კომეტები არ ჩანან, ზეცა მხოლოდ მეფეთა სიკვდილს გვაუწყებს“.

ღღეს კომეტები აღარ იწვევენ მისტიკურ შიშს; მაინცდამაინც არც ვარსკვლავთმეტყველების გეგვარა, მაგრამ, ხანდახან, მოწვევითი ვარსკვლავის დანახვისას, ჩავიფიქრებთ ხოლმე რასმეს და იმავე ინერციით, მარტოსულობის ვაშს, მირიადი ვარსკვლავებით მოჭვდილ ცაზე პატარა უფლისწულის „მოცინარ ვარსკვლავს“ ვეძებთ...

# პარხვი



ეს ეგზოტიკური წყლის ფრინველი, არცთუ „რომანტიკული“ იყო, გულისამაჩუყებელ ასოციაციებს იწვევდა ჩვენს შორეულ წინაპრებში და თავგანწირული სიყვარულის სიმბოლო გახლდათ.



კარხვი, რომელიც თავისი გულით კვებავს ბარტყებს უნგრელი დურგლების ნახტაკაჲ. 1732 წ. ტონია ინოსის მუზეუმი, პოდმუკეაჲსხრე, უნგრეთი

ვარხვი, რომელიც თავის ბარტყებს ჩიჩახეში დაგროვილი თევზით კვებავს. შორიდან მაცქერალ ადამიანს უქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ ის თავისივე მკერდიდან იგლეჯდა ხორცს. სწორედ ამ ოპტიკურმა ილუზიამ წარმოშვა ვარხვის „მოწამეობრივი“ სიმბოლიკა და ადრექრისტიანული ტრადიციის მიხედვით, ეს ფრინველი იქცა ემბლემად მაცხოვრისა, რომელმაც თავისი თავი კაცობრიობის გადასარჩენად გაწირა. ამიტომაც, ხშირად, ჯვარცმის სცენებში ვარხვია გამოსახული, ხოლო XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის დასაწყისის დიდი პოლანდიელი ფერმწერის პიერონიმუს ბოსხის „სიმბოლურ ხელოვნებაში“ ეს ფრინველი ქრისტის სამოცდამეთევ ემბლეად წარმოსახება. ამ სიმბოლიკას უთუოდ უკავშირდება აგრეთვე შუა-

საუკუნოვან „ბესტიარიუმებში“ აღწერილი ამგვარი სურათი: დღევარხვი ისეთი გატაცებითა და თავდაიწყებით ეფერება თავის ბარტყებს, რომ ბოლოს და ბოლოს, ისინი დედის კლანჭებისა და ნისკარტის მსხვერპლი ხდებიან. სამი დღის შემდეგ გამოჩნდება მამაკარხვი, რომელიც სიმწრისაგან ნისკარტით მკერდს გადაისერავს. სწორედ მამის მკერდიდან გადმონაჩქეფი სისხლი გააცოცხლებს ბარტყებს. რამდენადმე განსხვავებული ვერსია მოკვავს ლეონარდო და ვინჩის: „მამაკარხვს არაჩვეულებრივად უყვარს თავისი ბარტყები და როდესაც მათ ბუდეში გველისაგან დაგესლილთ პოულობს, მკერდს გადაიაბოს და თავისსავე სისხლით უბრუნებს სიცოცხლეს“.

ამავე „ბესტიარიუმებში“ ხაზგასმით აღინიშნებოდა ვარხვის ერთი გამორჩეული თვისება - საკვების მინიმუმით არსებობისა. ცხადია, ეს ხაზგასმა მორალურ ქვეტექსტს შეიცავდა და ნიშანდობლივია, რომ ერთი იმდროინდელი ავტორი ასკვნის: „ასევე იქცევა ვანდგვილი, რომელიც მხოლოდდა პურით იკვებება, რომელიც ცხოვრობს არა იმი-სათვის, რომ ჭამოს, არამედ ჭამს იმიტომ, რომ იცხოვროს“ (უნტერკირხეი).

## ვაშლი



ვეროპულ სიმბოლიკაში „ვაშლი“ ხშირად „ნაყოფის“ სინონიმად იხმარება და ორსაწყისიანი მნიშვნელობით აღიქმება: პირველი - სრულყოფისა, ცხოველყოფილობის, ჯანმრთელობის, ღვთაებრივი მადლმოსილების (აქედან - „მბრძანებლის



ბოსიურ სიმბოლიკაზე აგებული ნახტაკი 10 წლის კაცო ნუშაძისა - „ადამი და კვა“ (2004 წ.)

ვაშლი“ სამეფო რეგალიებში). მეორე მნიშვნელობა ვაშლის პირველის ხაპირისპიროა და, თავის მხრივ, ორი მითოლოგიური არქეტიპიდან მომდინარეობს: ანტიკურ არქეტიპის ის ცნობილი ბერძნული მითი უდევს საფუძვლად, რომლის მიხედვითაც, პარისის მიერ ქალღმერთი აფროდიტესთვის ვაშლის ბოძებამ ტროას ომი გამოიწვია და ურიცხვ უბედურებას დაუღო სათავე; ბიბლიური არქეტიპით კი - ვაშლი ადამის პირველცოდვას განასახიერებს. იკონოგრაფიაში ვაშლი ხშირად გვევს უჭირავს პირში. იმავდროულად, ჩაკეტილი ვაშლი ცნობისწადილის სიმბოლოდ იქცა და, ნიშანდობლივია, რომ ერთ-ერთ პირველ ამერიკულ კომპიუტერულ ფირმას „ეპაპლ“ (ინგლ. - „ეაშლი“) ერქვა. ხოლო მის მიერ წარმოებული კომპიუტერების სერია „მაკინტოშის“ სახელითაა ცნობილი („მაკინტოშიც“ ვაშლის ჯიშია).

სკანდინავიურ მითოლოგიაში ღმერთები შეექცევიან ვაშლს, რომელიც ლევინარული ასგარდის ბაღებში ხარობს. ვაშლის ყვავილი ყმაწვილი ქალის სილამაზეს განასახიერებს ჯონ ვოლსურთის ერთ ცნობილ მოთხრობაში („ვაშლის ყვავილობა“). სხვათა შორის, იგივე სიმბოლიკა აქვს ვაშლის ყვავილს ჩინეთში, ხოლო თავად ვაშლი აქ მშვიდობის ემბლემა გახლავთ.

## პერხვი




ვერხვი ბიბლიურ სიმბოლიკაში სინანულისა და ცოდვის განცდის სიმბოლოა. ერთი ლეგენდის თანახმად, როდესაც ამ ხემ გაიგო, რომ მისგან უნდა გაეკეთებინათ ჯვარი მაცხოვრის ჯვარცმისათვის, ათრიოლდა და მას შემდეგ მისი ფოთლები დღემოდამ თრთიან. მეორე ლეგენდის თანახმად, ვერხვის მარადიული თრთოლვა სასჯელია. რადგან ის ერთადერთი ხე იყო, რომლის კენწეროც არ დაიხარა გლოვის ნიშნად. თავი არ მოიდრიკა იესო ქრისტეს ჯვარცმის უამს.

ვერხვის სრულიად განსხვავებულ, პოეტურ სახეს ხატავს ვეა-ფშაველა თავის პროზაულ მინიატურაში. ვერხვი აქ მარტოსული, მიუსაფარი არსებაა, რომლის ფოთლების შრიალმაც უნდა გვაგრძობინოს მისი ფარული დრამა: „მარტოდ-მარტოკა იდგა ერთ მწირს გორაზე; მის ახლო-მახლო სხვა ხის ჭკაწანება არ იყო; ხოლო შორს, გაღმა, მოჩანდა დიდი, დაბურული ტყე, ქვევით, ჭალაზე, მთა-ფერდობებზე, გაღმა-გამოღმა მრავლისაგან უმრავლესი ხეები იდგა, - ათასი, ათასნაირი ჯურისა, საბრალო ვერხვის ახლოს კი ერთიც არა, გასცქეროდა შორიდან ტყეებს და ილეოდა სულით. იქ ვერხვებსაც მხედავდა, უფრო იმაქვენ მიუწევდა გული“ („ვერხვი“).

## ვეფხვი

„ვეფხვის ტყაოსნის“ სამშობლოში უთუოდ მარაბული იქნება, ვეფხვის სიმბოლიკა სწორედ რუსთაველისეული სახისმეტყველებით დაიწყო: ვეფხვის „მშვენიერი სახე“ ამ პოემაში ნესტანის სიმბოლოა და სასოწარკვეთი-




არაკლი თოძო. „ტარიელის შერკინება ვეფხვთან“ 1935-1937 წწ.

ლი, „ველად გაჭრილი“ ტარიელიც ამ ეგზოტიკური ცხოველის უცნაური სამოსითაა შემოსილი; როგორც ვხედავთ აქ ვეფხვი სრულყოფილ სიღამაზე, მაგრამ, იმედროულად, მრისხანე, შეუპოვარ, დაუმორჩილებელ ბუნებას განასახიერებს. სწორედ ამ თვისებათა ერთობლიობა დაინახა ტარიელმა მის ერთგულებაში დაკეცებულ, „პირ-გამეხებულ“ ნესტანში. თავის მხრივ, კანონზომიერია, რომ ნესტანის კვალს დადევნებული ტარიელი, პირდაპირი და გადატანითი მნი-

შენელობითაც, ვეფხვის სიმბოლიკითა მოსილი.

ვეფხვის სიმბოლურ დაბრუნებას ჩვენს პოეზიაში ხელი შეუწყო ერთმა დაუჯერებელმა ფაქტმა: დილომში, 1922 წელს, საიდანაც, უთუოდ ირანიდან, გადმოხვეწილი ვეფხვი მოკლეს. ამ ვეფხვის მითოლოგიზირებული „ბიოგრაფია“ დაედო საფუძვლად იმავე წელს ჟურნალ „მეოცნებე ნიამორებში“ გამოქვეყნებულ გიორგი ლეონიძის ლექსს „ვეფხი“. არაა გამორიცხული, რომ იმავე ეპიზოდმა შთააგონა ვალაკ-




„შურისმასხველი ვეფხვი“ შალვა ამიშაშვილის ანდერძი მინიატიურის პედაგოგიური სკოლა 1770-1800 წწ.

ტიონიძე („გაფთრებული რომ იყოს ვეფხვი“. 1925), ხოლო მისი ცნობილი „პოემა ვეფხვისას“ (1926 წ.) პირველწყარო. სათაურშივეა ვაცხადებული. საინტერესოა აგრეთვე პოეტი-სიმბოლისტის - ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსი „ვეფხვები საუზმობენ საშხეოში“ (1928 წ.). რადგან ვეფხვის სიმბოლიკა ლიტერატურული მაგალითებით დაიწყო, აქვე მოვიხმობთ ერთ საყოველთაოდ ცნობილ ნიმუშს - ინგლისური პოეზიის კლასიკოსის, უილიამ ბლეიკის პოემას „ვეფხვი“ (1794). რაც შეეხება ვეფხვის საზოგადო სიმბოლიკას, ის ამგვარი გახლავთ: ძალა, მკინფარება, მრისხანება, სილამაზე და სისწრაფე. ეს თვისებები იკვეთება ვეფხვის, როგორც ცხოველურ, ასევე ღვთაებრივ საწყისში. ვეფხვის „ორსაწყისიანობა“ განსაკუთრებით მკაფიოდ აისახა აზიისა და კერძოდ, ინდოეთის კულტურულ ტრადიციებში, სადაც ვეფხვი ხშირად ენაცვლება ლომს, როგორც დიდებულებისა, მაგრამ, იმაედროულად სიველების სიმბოლო (სხვათა შორის, სწორედ ეს გარემოებაა აქცენტირებული ბლეიკის პოემაში).

ინდუიზმში სამყაროს დამანგრეველი ღვთაება - შივა, სწორედ ვეფხვის ტყავითაა მოხილი, ხოლო მისი აგრესიული მუდღე - შაქტი ვეფხეზე ამხედრებული დანაჯარობს. ასევე „დამოჯნაურობს“ სიმდიდრის ჩინური ღვთაება, რომელიც ამ შემთხვევაში აზარტსა და რისკს

განასახიერებს. ჩინეთში, ცენტრსა და ქვეყნიერების ოთხ მხარეს, ხუთი ლეგენდარული ვეფხვი იცავდა: წითელი მეფობდა სამხრეთში, მისი წვლიწადის დრო ზაფხული იყო, ხოლო სტიქია ცეცხლი; შავი - ჩრდილოეთში, მისი შესატყვისი წელიწადის დრო ზამთარი იყო, სტიქია

- წყალი; ლურჯი მეფობდა აღმოსავლეთში, გაზაფხულზე, სიმწვანეში; თეთრი - დასავლეთში. შემოდგომაზე, მეტალებს შორის; დაბოლოს, ყითელი ვეფხვი (მზისფერი) მიწაზე ბინადრობდა და ყველა სხვა ვეფხვის სულიერ მეუფედ ითვლებოდა. ეს ყითელი ვეფხვი განათავებულა „ცენტრში“, მსგავსად იმისა, როგორც იმპერატორი იმყოფება ჩინეთის შუაგულში, ხოლო თეთი ჩინეთი - შიოფლიოსი. სწორედ ამ ხუთი ვეფხვის გამოსახულება მოგვყავს ჩვენს ენციკლოპედიაში (ცნობისათვის: ბორხესის ბესტიაროუმში ისინი „ანამის ვეფხვებად“ მოიხსენებიან). როდესაც ვეფხვი ჩინურ მითოლოგიაში სხვა ცხოველების გვერდეგვერდ ჩნდება, მისი სიმბოლური მნიშვნელობა სიტუაციისდა მიხედვით იცვლება: ქვეწარმავალთან მებრძოლი ვეფხვი უმაღლეს პრინცივს განასახიერებს, ხოლო ლომთან ან დრაკონთან დაპირისპირებისას. პირიქით - უმდაბლესსა და ბორცტს.



„ხუთი ვეფხვი“. ქაში ამოტყორღული ბარელიეფი. XVII ან XVIII სს. ვიეტნამი

ვეშაპი

ბიბლიური სიმბოლიკით, ვეშაპის მუცელში სამი დღე და სამი ღამე მყოფი იონა წინასწარმეტყველი მოასწავებდა მაცხოვრის მობავალ მისტერიას, ჯვარცმას და სამი დღის შემდეგ მკვდრეთით აღდგომას (მათე. 12: 40). ამ ზეგავლენით, ქრისტიანულ ტრადიციაში, ვეშაპის გაღებულ ხახა ჯოჯოხეთის კარიბჭის, ხოლო გიგანტის მუცელი თვით ჯოჯოხეთის ასოციაციას ბადებდა. შუა საუკუნეების „ბესტიარიუმები“ მკითხველს მოუთხრობდნენ ვეშაპებზე, რომელთა ზურ-



როკუელ ვანტი. ილუსტრაცია ჟერმან მელვილის რომანისთვის „მოზი დიკი“. 1929 წ.

გზე ბუჩქებიც კი იზრდებოდნენ და რომლებიც ძირავენდნენ მათთან მიახლოებულ გემებს. არანაკლები მზაკვრობით გამოირჩევა ვეშაპი. სახელად მოზი დიკი, დიდი ამერიკელი მწერლის. პერმან მელვილის ამავე სახელწოდების რომანში. მას შემდეგ, ლიტერატურაში ვეშაპისადმი რაიმე განსაკუთრებული ინტერესი არ შეიმჩნევა: გამოჩალისად შეიძლება ჩაითვალოს XX საუკუნის გამოჩენილი ფრანგი პოეტის რობერ დენოსის საბავშვო ლექსი „ვეშაპი“.

ვიროთხა



ვიროთხის „რეპუტაცია“ ყოფით ცნობიერებაში არცთუ საზარბილოა: ღამის ქურდი, სურსათის გამჩანავებელი, ფრთხილი, შავი ჭირის გადაშტანი ეს მღრღნელი კაცობრიობის მთელი ის-



მ. შკროცინა. „აონა და ვეშაპი“. მინაზე ფერწერის სლოვაკური სკოლა. 1975 წ.

ტორიის მანძილზე ადამიანის განუყრელი, ზოგჯერ საბედისწერო მეზობელია და ვიროთხის სიმბოლური აღქმა სწორედ ამ მეზობლობის სხვადასხვა ასპექტს მოიცავს.

ხმელთაშუა ზღვისა და ახლო აღმოსავლეთის მიწათმოქმედი ეთნოსებისათვის „ბედელთა მტერი“, როგორც წესი, უწმინდურ ცხოველად ითვლებოდა და ქტონურ სამყაროსთან - მი-



ჰიერონიმუს ბოსი. ფრანკმენტი საკურთხევის მოხატულობისა - „წმ. ანტონის ცდუნება“. XV ს. დაახლ. ლისაბონი, ნაიონალური მუზეუმი

წისქვეშეთთან, ავადმყოფობასთან და სიკვდილთან ასოცირდებოდა. ქრისტიანულმა ტრადიციამ ვირთხა საერთოდ ეშმაკის მოციქულად მიიჩნია.

როგორც ყველთვის, სამხრეთ და აღმოსავლეთ აზიის კულტურულ ტრადიციაში სრულიად განსხვავებულ სურათს უხედავთ: ინდოეთის მთელ რიგ პროვინციებში ვირთხა საკულტო ცხოველდაა აღიარებული: მას საგანგებო ტაძრებს უგებენ, ქურუმები ემსახურებიან და, როგორც იტყვიან, „ციე ნიავს არ აკარებენ“; იაპონიაში ვირთხა ბედნიერების ღვთაების თანამგზავრია და აქ, ისევე როგორც ჩინეთში, სახლიდან ვირთხების გაქრობა ავისმომასწავებელ ნიშნად ითვლება; სამხრეთ ჩინეთში ვირთხა ითვლებოდა იმ ლეგენდარულ ცხოველად, რომელმაც აღამიანებს ბრინჯის კულტურა მოუტანა.

ქართული სიმბოლიკა ამგვარადაც დასავლურ ტრადიციას იზიარებს და ამის ჩინებული დასტურია ჩვენი ყოფითი მიმართებანიც და მრავალრიცხოვანი გამოთქმებიც. ნიშანდობლივია აგრეთვე ის პასაჟი ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიდან“, რომელიც, პირობითად, ვირთხაგების „აღზრდის“ უნიკალურ, საგვარეულო მეოთხედ შეიძლება მოვანთოთ.

3080

ჩვენთვის ვირი სიჯიუტისა და სიბრიყვის განსახიერებაა, თუმცაღა მისი სიმბოლიზში ვაცილებით უფრო მეტყველია და მრავალფეროვანი. ბიბლიაში მოთხრობილია ბალაამის სახედარზე, რომელიც აღამიანზე ადრე იგებს ღვთის ნებას. (რიცხ. 22); გარდა ამისა, ახალი აღთქმიდან ვიცით, რომ ბზობის დღესასწაულზე იერუსალიმში შესასვლელად მაცხოვარმა ვირს („ჩოჩოროს“) მიანიჭა უპირატესობა ამ ცხოველის თვინიერების გამო. მას შემდეგ, ქრისტიანულ ტრადიციაში სახედარი მორჩილების, თმენის, სისადავისა და სიღარი-



თუცხ ნეკროპოლი. უცნობის აკლდამი. ძვ.წთი 1448-1422 წწ ძველი ავჯიკთ

ბის სიმბოლოდ იქცა. ამის საპირისპიროდ, ანტიკურ მითოლოგიაში ვირი ერთთავად ავხორცობასთან, უზუნობასთან, უჭკუობასთან, სიზარმაქესთან და სიჯიუტესთან არის ასოცირებული. აღორძინების ლიტერატურული შედეგური - აპულის „ოქროს ვირი“, აღსავე-

სე თამაში სასიყვარულო სიუჟეტებით, სწორედ ანტიკურ ტრადიციას აგრძელებს. და პირიქით, უკვე XX ს. ესპანური პროზის ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუში - ხუან რამონ ხიმენესის „პლატერო და მე“ - ბიბლიურ „სიმპათიებს“ აეთარებს და პატარა, ჭკვიანი ჩოჩოროს - პლატეროს თავგადასავალზე იშვიათი სითბოთი და თანაგანცლით მოგვითხრობს. ეკატერინე გაბაშვილის გულისამაჩუყებელი „მაგდანას ლურჯასაგან“ განსხვავებით, აქ აქცენტი სოციალური მოტივებიდან, აღამიანისა და ცხოველის ურთიერთშეცნობაზეა გადატანილი.

ეს ერთბაშე უწყინარი ცხოველი, რაღაც ღემონურ, უცნაურ ინტერპრეტაციას იძენს ძველევკვიპტურ წარმოდგენებში, რომელნიც სახედარს უკავშირებდნენ ოსირისის მკვლელს - სიკვდილის ღვთაებას სეტს. ამიტომაც, ვირის აღმნიშვნელი იეროგლიფი წარმოადგენდა მხარში ჩაკეპულ დანას.

ვირის სიმბოლიკის ნეგატიური ასპექტები იმ შუა საუკუნეების ადამშიც გამოიხატა, რომლის თანახმადაც, მოლაღატე ცოლს, ბუნტყვებში ამოგანგლულს, უკულმა სვამდნენ ვირზე და ქუჩა-ქუჩა დაატარებდნენ. მსგავსი სცენა აღწერილია გიორგი ლეონიდის „ნატურის ზემი“ („მართა“).



გრავი უინ ცეკელინის საგვარეულო გერბი

# ზ

## ზარი



სულხან-საბასთან „ზარი“ ამგვარადაა განმარტებული: „რვალის დიდი სარეკელი; ზარი - საზარელისაგან შიში“. ამგვარად, ჩვენ სწორედ „რვალის დიდი სარეკელის“ სიმბოლიკა გვაინტერესებს. აქვე ვიტყვი, რომ სამონასტრო ზარები VI საუკუნიდანაა ცნობილი, ხოლო განსაკუთრებით შთამბეჭდავი ეგ ზემჰლარების ჩამოსხმა მხოლოდ შუა საუკუნეთა ბოლოს დიწყებს. მანამდე პირველ ქრისტიანებს პა-



ქვის ზარებს ხმას ქვისგან მართო თუ გაიკონებს... დანარჩენები სრულიად მართებულად ხელავენ აქ ზარის სიმბოლიკის ეთნოლოგიური წარმოსახვის ცდას

ტარა ვერცხლის ზანზალაკები რომის კატაკომბებში ერთმანეთს მიგნებას უადვილებდა და შესაწირავის გაღებად უხმობდა. იუდეაში იმავე ვერცხლის ზანზალაკებს, კაბაზე მიკერებულს, ქალიშვილები ატარებდნენ უმანკოების ნიშნად. საზოგადოდ, ზარი პასიურ, ქალურ საწყისს განასახიერებდა, მის „თაღს“ ხშირად ცარგვალს უდარებდნენ, ხოლო „ენას“, სარეკელს - მქადაგებელს. ამიტომაც, სწამდათ, რომ ზარის ხმა აფრთხობს ავ სულებს, განარიდებს ღმერთებს და მათ საშუალებას არ აძლევს ძე ხორციელნი წარიტაცონ.

არაა გასაკვირი, რომ ზარის „ღვთაებრივი ხმა“ მსოფლიოს დანარჩენ, დიდ რელიგიებშიც მოისმის: ისლამსა და ინდუიზმში, როგორც ღმერთის გულისცემის გამოძახილი; ბუდიზმში - როგორც ჭეშმარიტების მაუწყებელი, კოსმიური პარმონიის მაცნე. რელიგიათა უმეტესობაში ზარი მრევლის სალოცავად შეკრების ნიშანიც არის, მაგრამ ბუდიზმში მისი საკრალური მნიშვნელობა გაიცლებით ღრმავა: აქ ზარის ხმა მორჩილებისა და თავმორღეუცისაკენ მოუწოდებს, თავად ზარი სამყაროს განასახიერებს და ამიტომაც, ბუდას „მიწიერ სადგურის“ გარშემო განათავებული ზანზალაკების აწყარუნება ბუდისტური სამლოცველო რიტუალის ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილია (ეს ტრადიცია რამდენამდე იერცხლილი, მეორდება იაპონელთა ტრადიციულ რელიგიაში - სინთოიზმში).

ზარის სიმბოლიკა მოიცავს „შიშის ზარსაც“, გლოვის ზარსაც და, საზოგადოდ ყველა იმ მისტიკურ ელემენტს,



ელენე ახელუიანი. ილუსტრაცია მარკ ტვენის რომანისათვის „ტომ სოიერის თავგადასავალი“. 1933-1934 წწ.

რომლითაც მითოპოეტურმა წარმოსახვამ დააჯილდოვა ცასა და მიწას შორის „გამოკიდული“ საგნები. ზარის სიმბოლიკაზეა აგებული XVII საუკუნის ცნობილი ინგლისელი მოძღვრის, ჯონ დონის ქადაგება - „სასიკვდილო ორთაბძოლა“ (ეპიგრაფი ამ ნაწარმოებიდან ამშვენებს ერნესტ ჰემინგუეის რომანს - „ეის უხმობს ზარი“). მისტიკური ელფერი ამ სიმბოლიკის განსაკუთრებით საგრძობია იმქვეყნობი

ანრდილებსა და ბედისწერის მომნუხ-  
ხავი შიშით გასჭვალულ სტრიქონებ-  
ში გალაკტიონისა:

და ორი ზარი საბედისწერო.  
ერთმანეთისთვის მიუწედომელი.  
დაცინვა იყო, ვით ორი სული,  
ვით ის ქვეყანა და ეს სოფელი...  
და დიდხანს, დიდხანს ვისმენდი  
გუგუნს,  
და დიდხანს, დიდხანს ზარი  
პვლდებდა...  
მვგრამ ამაოდ მოეუწოდებდი  
მათ, ვინც ამაოდ მოიწოდებდა...“  
(„ორი ზარი“, 1914 წ.)

ზეთისხილი



კურთხეული ხე  
ანტიკურ, იუდეურ,  
ქრისტიანულ და ის-  
ლამურ ტრადიცი-  
ებში, ზეთისხილი  
თავიდანვე იყო მიჩნეული მშვიდობის,  
სიუხვის, უბიწოების, უკედავების, სი-  
ხარულისა და გამარჯვების სიმბოლოდ.  
ეს იმკვითად უხვმოსავლიანი ხე, ერთ-  
ერთი ცნობით, კუნძულ კრეტაზე იყო  
კულტივირებული, ხოლო მეორე ვერ-  
სიით - ლიბიაში. ასეა თუ ისე, ფარაო-  
ნების დროინდელი ეგვიპტე უკვე ზე-  
თისხილის ქვეყანადა ცნობილი, ხოლო  
ძველი საბერძნეთის, რომის (ისევე, რო-  
გორც ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების უმ-  
ეტესობის) მეურნეობის უზინშველო-  
ვანეს ნაწილს შეადგენდა ზეთისხილ-  
ის მოშენება, მოვლა და ზეთის გამოხ-  
და. არ არის გასაკვირი, რომ ძველ სა-  
ბერძნეთში (პლატონის დროს) ზეთის-  
ხილის ხის მომჭრელი სიკვდილით ის-  
ჯებოდა. პატარძლები საკომწილო კა-  
ბაზე იმაგრებდნენ ზეთისხილის ტოტს  
ან ხელში ეჭირათ მათი უბიწოების ეს  
სიმბოლო; ზეთისხილის გვიგინებით  
ამკობდნენ ოლიმპიურ თამაშებში გა-  
მარჯვებულებს. მშვიდობის სიმბოლოდ  
ზეთისხილის რტო ძველ რომში დამკ-



ანტუან-ლუი ბოდე. „მშვიდობის ალეგორია“, 1805 წ.

ვიდრდა, როდესაც დაპყრობილ ხალხ-  
თა ელჩებს ზეთისხილის რტო მოპ-  
ქონდათ რომაელ მპრძანებლებთან მო-  
რჩილებისა და მათი ქვეყნების საბო-  
ლოლო დამოშინების ნიშნად. ეს ტრა-  
დიცია უთუოდ დაკავშირებულია ბიბ-  
ლიურ სიმბოლიკასთან, რომლის თანა-  
ხმადაც, წარღვნის შემდეგ ნოეს კილო-  
ბანში მოფრენილ მტრედს ნისკარტში

ზეთისხილის რტო ეჭირა. ამიტომაც,  
ზეთისხილის რტო ითვლება არა მხო-  
ლოდ მოახლოებული ხსნის მაცნედ, არ-  
ამედ ღმერთსა და ადამიანს შორის და-  
ზავების სიმბოლოდაც.  
გეთისიმანიის ბაღში ღღემდე დგას ორი  
ათასწლოვანი ზეთისხილის ხე, რომლის  
ქვეშ მდგარა, გაღმოცემის თანახმად, მა-  
ცხოვარი, სანამ მას იუდა გასცემდა.

## ზოდიაქოს ნიშნები

ზოდიაქო ყველა დიდ უძველეს კულტურაში გვხვდება სხვადასხვა ემბლემებითა და ინტერპრეტაციებით. მაგარამ, ძირითადად, მსგავსი სიმბოლიზმით, ზოდიაქოს ენციკლოპედიური განმარტება ასეთი გახლავთ: ზოდიაქოს წრე - ესაა ეკლიპტიკის (მზის ზილული წლიური გზის) გასწვრივ განლაგებული თორმეტი თანაეარსკვლაველი. ამ თანაეარსკვლაველების გასწვრივ გადის აგრეთვე მთვარისა და მზის

სისტემის მნათობთა ზილული გზა. ზოდიაქოს წრე (რადიუსით, მოგვხსენებთ 360 გრადუსით) 12 წარმოსახვით სეგმენტადაა დაყოფილი (თვეების რაოდენობისდა მიხედვით), სადაც თითოეულ სეგმენტს 30 გრადუსი უკავია (ე.წ. „ზოდიაქური სახლები“).

ზოდიაქოს „ზეციური წრე“ შეესატყვისებოდა კოსმიურ ბორბალს და დროის ემბლემად იყო აღქმული; საკუთრივ სიტყვა „ზოდიაქო“ ბერძნული წარმომავლობისაა („zodiakos“) და ცხოველთა წყებას, რიგს აღნიშნავს. ბერძნული (დასავლური) ზოდიაქო ბაბი-

ლონურ ასტრონომიურ ტრადიციაზე იყო დაფუძნებული. ხოლო თითოეულ „ზოდიაქურ სახლს“ სახელწოდება იმ თანაეარსკვლავედამა უწილდა, რომელშიც მზე იმყოფება წლის მოცემულ მონაკვეთში. ესენია: ვერძი, კურო, მარჩბივი, კირჩხიბი, ლომი, ქალწული, სასწორი, ღრიანკალი, მშვილდოსანი, თხის რქა, მერწყული და თევზი. ჩინურ (აღმოსავლურ) ტრადიციაში ასევე 12 ზოდიაქური ნიშანია: ვირთხა, ხარი, კუფხვი, კატა, დრაკონი, გველი, ცხენი, ცხვარი, მამუნი, მამალი, ძაღლი და ღორი. სწორედ ეს თორმეტი ცხოველი დაესწრო, ლეგენდის თანახმად, ბუდას საახალწლო წვეულებას. დანარსენები არ გამოცხადდნენ და დაისაჯნენ კიდევ - ზოდიაქოში ვერ დაიმკიდრეს ადგილი.

ზოდიაქოს ნიშნები გარკვეული მახასიათებლების მიხედვით რამდენიმე ჯგუფად იყოფა: აქედან ძირითადია: კარდინალურ თვისებათა ნიშნები - ვერძი, კირჩხიბი, სასწორი, თხის რქა; ფიქსირებული ნიშნები - ლომი, ღრიანკალი, კურო, მერწყული; ცვალებადი ნიშნები - მარჩბივი, ქალწული, მშვილდოსანი, თევზი. ეს დაყოფა სამ ძირითად მდგომარეობას ასახავს: შექმნა-წარმოქმნა (კარდინალური); შექმნილის დაცვა (ფიქსირებული) და ნგრევა (ცვალებადი). კარდინალური ნიშნები აქტიურნი არიან და მოვლენებს წარმოშობენ; ფიქსირებულნი, პასიურნი ამ მოვლენათა მსვლელობას უზრუნველყოფენ; ცვალებადი ნიშნები ნიადაგს უქმნიან ნებისმიერ ფერისცვალებას.

სტიქიების მიხედვით ზოდიაქო ასე ნაწილდება: ცეცხლის სტიქიას ეკუთვნის ვერძი, ლომი, მშვილდოსანი; წყლისას - კირჩხიბი, ღრიანკალი, თევზი; მიწის - თხის რქა, კურო, ქალწული; ჰაერისას - მერწყული, მარჩბივი და სასწორი.

სეზონური დაყოფა შემდეგია: გაზაფხულისა ვერძი, კურო, მარჩბივი; ზაფხულის - კირჩხიბი, ლომი, ქალწული; შემოდგომის - სასწორი, ღრიანკალი, მშვილდოსანი; ზამთრის - თხის რქა, მერწყული და თევზი.



ალფონს მუხა. „ზოდიაქო“. 1896-1897 წწ. (ჩეხეთი)

ასტროლოგიაში ზოდიაქო ვახლ-  
ავთ ის ანუშუქელი, რომელზეც ავა-  
ბულია ინდიოდის, მთლიანად სოციუ-  
მის, სახელმწიფოს, საზოგადოებრივ-  
როს არსებობის სიმბოლური მოდელი.  
ადრეკრისტიანულ ლიტერატურაში  
ზოდიაქოს ნიშნები ესადაგებოდა ამა  
თუ იმ ბიბლიურ იგავს ან ქრისტიანუ-  
ლი კულტურის ელემენტს: მაგალით-  
ად, ვერძი განასახიერებდა ქრისტეს,  
ლომი - აღდგომას, მარჩბივი - ძველსა  
და ახალ აღთქმას, ღრიანკალი - მაც-  
დუნებელ გველს და ა.შ.

ზოდიაქოს თორმეტ ნიშნს ქრის-  
ტიანობაში თორმეტი მოციქული შე-  
ესაბამებოდა, რის შესახებაც, ქაშეე-  
თის ეკლესიის მაგალითზე, წერდა კა-  
თალიკოს-პატრიარქი კალისტრატე  
ცინცაძე: „ქაშეეთის ეკლესიის გუმბა-  
თის თორმეტ სარკმელს შორის მოხა-  
ტული იყო თორმეტივე ეტლი - (ზო-  
დიაქო), რომელთა ქვევით ეწერა მა-  
თი შესაბამისი თევების სახელები, კი-  
დეუ ქვევით ეწერა თორმეტივე მოცი-  
ქულის სახელები და მათ ქვევით მო-  
ხატული იყო თორმეტივე მოციქუ-  
ლი...“ („ქაშეეთის წმინდის გიორგის  
ეკლესია ტფილისში“).

ცალკეული ზოდიაქური ნიშნის კო-  
ნკრეტულ სიმბოლიკას კოსმიურ რგო-  
ლში მისი ადგილიც განაპირობებს, მის ემ-  
ბლემატურ ფიგურასთან დაკავშირებუ-  
ლი ასოციაციებიც და მთლიანად პლანე-  
ტარული სიმბოლიზმიც. სქემატური სა-  
ხით, „კიურ ეტლთა“ (როგორც წინათ  
იტყოდნენ ჩვენში; ისიც ნიშანდობლივია,  
რომ „ეტლი“ ზოდიაქოსა ნიშნავდა და  
ბელსაც) სიმბოლიკა ამგვარი გახლავთ:


**ვერძი (Aries) 21** მა-  
რტი - 20 აპრილი: ცე-  
ცხლოვანი ნიშანია, რო-  
მელსაც მარსი (მარიხი) განაგებს; აღ-  
ამიანის სხეულში მისადაგება - თავი,  
სახე; ცხოველთაგან - რაღა თქმა უნ-  
და, ცხვარი; მცენარეთაგან - გვიძრა  
და მიხაკი; ძვირფას ქვათაგან - ლა-  
ლი; მეტალი - რკინა; კვირის დღე -



სამშაბათი; ფერი - წითელი, ნარინ-  
ჯისფერი; თილისმა - ოქროს ვერძი...  
ტიპიური „ვერძები“ გაბედული, ენ-  
ერგიული, იმპულსური არიან. მათი  
ენთუზიაზმი ზოგჯერ ზომიერებას კა-  
რგავს და ავტორიტარულ პიროვნე-  
ბათვის დამახასიათებელ შეუწყნარე-  
ბლობაში გადადის...



**კურო (Taurus) - 21**  
აპრილი - 21 მაისი: „მიწა-  
სმიჯაკუელი“ ხარი, რაღა  
თქმა უნდა, მიწიერი ნიშა-  
ნია; რომელსაც ვენერა (ასპიროზი) მარ-  
თავს; ადამიანის სხეულში მას მისა-  
დაგება კისერი, ყელი; ცხოველთაგან -  
ხარი, ძროხა; მცენარეთაგან - შროშა-



ნი და ისამანი; ძვირფას ქვათაგან - აქ-  
ატი; მეტალი - სპილენძი, ბრინჯაო;  
კვირის დღე - პარასკევი; ფერი - მწვანე;  
თილისმა - ბუ. ეს ნიშანი განასახი-  
ერებს ძალზე მეგობრულ, კეთილგან-  
წყობილ, უღალატო, პრაქტიკულ, ძლი-  
ერ, მაგრამ, იმპედროულად, საკმაოდ  
კონსერვატიულ და ხისტ ხასიათს.

**მარჩბივი (Gemini) 22**  
მაისი - 21 ივნისი: არაბული  
ენიდან მე-12 საუკუნეში ქა-  
რთულად თარგმნილ ასტრო-  
ლოგიურ თხზულებაში „ეტლთა და  
შვილთა მნათობთათვის“ ეს ზოდიაქო  
მოსხენიებულია, როგორც - „ტყუპე-  
ბი, ბურჯი ოტარიდისა“. მართლაც,  
მარჩბივის (ანუ - ტყუპების), „მმართ-  
ველი“ პლანეტა მერკურია (ძველქა-  
რთულად - ოტარიდი). ადამიანის სხე-  
ულში მას მისადაგება მხრები; ცხო-  
ველთაგან - მაიუნთი; მცენარეთაგან -



ყაყაჩო, ვერბენა; ძვირფას ქვათაგან -  
ძოწი და აქატი; მეტალი - ვერცხლი-  
სწყალი; კვირის დღე - ოთხშაბათი;  
ფერი - ნარინჯისფერი და იისფერი;  
თილისმა - გველი ან ნიღაბი. ადამი-  
ანები რომელნიც ამ ზოდიაქოს განეკუ-  
თვნებიან, ადვილად შედიან კონტაქ-  
ტში, ადვილადვე იგზნებიან და საერ-  
თოდ, ძალზე ცოცხალი და ელასტიუ-  
რი ხასიათი აქვთ; თუმცა, რამდენადმე  
ზედაპირული და, ზოგჯერ, ინფანტი-  
ლური...



**კირჩხიბი (Cancer) -**  
22 ივნისი - 22 ივლისი:  
„ესე ეტლი სარკინოზთაი  
არის“ - გვაუწყებს შუა საუკუნეების  
ეტრათი. ვარდა ამისა, კირჩხიბის (რო-  
მელიც ასტროლოგიურ ატლასებში ხან



კიბოდ გამოისახებოდა, ხან კი - კიბო-  
რჩხალად) სიმბოლიკა მრავალ ელემ-  
ენტს მოიცავს: ის წყლის ნიშანია, მთვარის  
მიზიდულობით „მართული“; ასტ-  
როლოგიამ ადამიანის სხეულში კირ-  
ჩხიბი მკერდს დაუკავშირა; ცხოველთა-  
გან - ისევ და ისევ კიბორჩხალებს; მცე-  
ნარეთაგან - უმეტესად თეთრ ყვავილ-  
ებს - ფაქისის, შროშანს... ძვირფას ქვა-  
თაგან - ზურმუხტს; მეტალი - პლატინა-  
ნა, ვერცხლი; კვირის დღე - ორშაბათი;  
ფერი - თეთრი. თილისმა - გული ან სა-  
მურა. „ვინც ამას ეტლსა ზედა იშვას“,  
ასტროლოგთა მტკიცებით, - ემოციუ-  
რი, გრძობიერი ბუნებისანი არიან; ამ-  
ასთანავე საკმაოდ ჭკვიანი და პრაქტი-  
კული, რაშიც ძალზედ განვითარებული  
ინტუიცია ეხმარებათ... ზოგჯერ ეს პრა-  
ქტიციზმი მომჭირნებოდაში გადადის,  
ხოლო ემოციურობა - აკეიატებაში...

**ლომი (Leo) - 23** ივლი-  
სი - 23 აგვისტო: „ლომისა  
ბურჯი მზის სახლი არს“,  
წერს - ასტროლოგი. ეს ცე-  
ცხლოვანი ნიშანი ადამიანში გულს ეს-  
დაგება; ცხოველთაგან - ლომსა და  
გელს; მცენარეთაგან - ლავანდას, გლა-



დიოლუქსს, ქრიზანთემას; ძვირფას ქვათაგან - ლალს, ცირკონს; მეტალი - ოქრო; კვირის დღე - კვირა; ფერი - ყვითელი, ოქროსფერი; თილისმა ჭიამაია, ლომი, არწივი... ამ ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანები გამოირჩევიან კეთილშობილებით, გონიერებით, ხიკოცხლისმოყვარეობით. სტუმართმოყვარეობით, ღირსების გრძნობითა და შეუპოვრობით. ამასთანავე, ხშირად ამპარტაუნობით, აგრესიულობით, ზედმეტი თავდაჯერებულობით...




**დაღმწალი (Virgo)** - 24 აგვისტო - 23 სექტემბერი: „ქალწული - ბურჯი ოტარიდისა“ - მართლაც მერკურით წარიმართება. ეს მიწიერი ნიშანია და ადამიანში უფრო „მიწიერ“ ნაწილს - სტომაქს (მუცელს) შეესატყვისება; ფუნქციონირებს ეშვიანი ცხოველები; ფლორიდან - ვა-



სმინი, ვალერიანა; ქვათაგან - კაფი, იასპი; მეტალი - ვერცხლისწყალი; კვირის დღე - ოთხშაბათი; ფერი - ნაცრისფერი; დაბოლოს, თილისმა - კალა. ეს ნიშანი განასახიერებს პრაქტიკულ, უღალატო, ქმედით და გულწრფელ ხასიათს.



**სასწორი (Libra)** - 24 სექტემბერი - 23 ოქტომბერი. პაეროვანი ნიშანი, რომელსაც ეწეწრა (ასპირი) მართავს; ადამიანის სხეულში მას თირკმელები



და მენჯები მიესადაგება; ფაუნდიან - ფრინველები; ფლორიდან - ია-ვარდი და შროშანი; ძვირფას ქვათაგან - ბრილიანტი; მეტალთაგან - ხაილენძი; კვირის დღე - პარასკევი; ფერი - ვარდისფერი; თილისმა - გული, წივნი. ამ ნიშნის ქვეშ დაბადებული ხაზგასმულად დელიკატური არიან, რაციონალური, სამართლიანი; ისინი აღვილად ეგუებიან ნებისმიერ პირობებს, რაც მათი მსოფლმხედველობიდან გამომდინარეობს. მათი ზოგიერთი მინუსიუ აქედან მოდის...



**ღრინასაღი (Scorpio)** - 24 ოქტომბერი - 22 ნოემბერი: მარხით მართული წყლის ნიშანია, რომელიც ადამიანის რეპროდუცირების, გამრავლების ხისტემას მიესადაგება; ცხოველთაგან უპირატეობა მტაცებლებს ენიჭება; მცენარეთაგან - კუნწეს და მანანას; მინერალებში მისი შესატყვისი ტოპაზია; მეტალებში - რკინა, ფო-



ლადი; კვირის დღე - ხამშაბათი; ფერი - წითელი; თილისმა - ფუნდურა (ფუნგორია ხოჭო) და რაღა თქმა უნდა, მორიელი, რომელიც ღრინასკვად იწოდებოდა ძველქართულად. ამ „მორიელებს“, ასტროლოგების მტკიცებით, ძალზედ განვითარებული აქვთ ინტუიცია, მიზანწრაფა, შეუპოვრობა; მაგრამ, ამასთანავე შერიანობა და ხისსტიკე.



**შვილწუსანი (Sagittarius)** - 23 ნოემბერი - 21 დეკემბერი: ცეცხლოვანი ნიშანია, იუპიტერი (მეშვარი) მართული. ადამიანის სხეულში ლეიქი და ბარძაყები ესადაგება; ფაუნში - მტაცებლები; ფლორაში - ფასმინი, ლეკოინი; ძვირფას ქვათაგან - ფირუზი; მეტალი - კალა; კვირის დღე - ხუთშაბათი; ფერი - ლურჯი, იისფერი; ავგაროზი - ნალი.



„მშვილწოსნებს“ ვაბედულება, მიზანსწრაფა, ოპტიმიზმი, კეთილგანწყობა ახასიათებთ. იმედლოვლად, არცთუ იშვიათად - მოუთმწნლობა, ენაშწარეობა, იმპულსურობა...



**თხრას რაბ (Capricornus)** - 22 დეკემბერი - 20 იანვარი: მიწიერი ნიშანი, სატურნით (ზუალით) მართული; ადამიანის სხეულში - მუხლები მიესადაგება; ფაუნდიან - მცოხწვლი ცხოველები; ფლორიდან - თეთრი მი-



ხაკი, სურო, კირისტერიფა; კეთილშობილ ქვათაგან - ონიქსი; მეტალი - ტყვია; კვირის დღე - შაბათი; ფერი - შავი; ავგაროზი - შავი კატა. ამ ნიშნის ქვეშ დაბადებული განსაკუთრებით მიწებრივებული არიან; ფრთხილნი და კონსერვატიულინი, სამართლიანი, შრომისმოყვარენი, პასუხისმგებლობის გრძნობით აღსავსენი; ამასთანავე, ხშირად - ვიუტნი, ხისტინი, სასტიკნი, ეჭვიანი და ეგოცენტრულინი...



**მარტხალ (Aries)** - 21 იანვარი - 18 თებერვალი: ამ ზოდიაქოს, რომელსაც ძველად „წყლის საქანელას“ უწოდებდნენ, სატურნი (ზუალი) მართავს და ის პაერის ნიშნად ითვლება. ადამიანის სხეულში მას წვივები ესადაგება; ცხოველთაგან - ზღვის თევზები; მცენარეთაგან - ია, მირტა, ნარგიზი; ძვირფას



ქვათაგან – საფირონი და შავი მარგალიტი; მეტალი – ტყვია; კვირის დღე – შაბათი; ფერი – შავი; ამულეტი – გასაღები ან ხატი... „მერწყულნი“ ძალზე შემოქმედებითი, მებაზოხე, ორიგინალური ნატურები არიან, კარგი ინტუიციით დაჯილდოებულნი, თუმცა არც გონიერება და ცნობისწადილი აკლავთ. მათი დამოუკიდებელი ხასიათი ზოგჯერ კარნაქტილობაში გადადის, ან სიჯიუტესა და გულცივობაში...



**თევზი (Pisces) – 20 თებერვალი – 20 მარტი:** აგვირგვინებს ზოლიაქურ წრეს.


მისი „მფარველი“ პლანეტა იუპიტერია (მუსთარი), ხოლო ღვთაება – ნეპტუნი, თავის საკრალურ სამკაბს რომ ურტყამს წყალს (ბევრგან შეცდომით, „მფარველ“ პლანეტადაც ნეპტუნია მითითებული, რომელიც მხოლოდ 1846 წელს აღმოაჩინეს). აღამიანის სხეულში თევზს მიესადაგება ფეხი მუხლს ქვემოთ; ფაუნიდან – თევზები, ცხადია, ოღონდ მდინარისა და



ტბისა; ფლორიდან – ნარგიზი. კესანე, ბეგქონდარა; ძვირფას ქვათაგან – მარჯანი; მეტალი – ცინკი; კვირის დღე – ხუთშაბათი; ფერი – ცისფერი, ლურჯი; თილისმა – ნასკვი, კვანძი. ტიპიური „თევზები“ გამოირჩევიან ფანტაზიითა და ემოციურობით, ოპტიმიზმით; ისინი სენტიმენტალურნი და რომანტიულნი არიან; მაგრამ, ამასთანავე, არცთუ იშვიათად, არამდგრადნი, არასანდონი და ორპირნი...

### ზღარბი

ეს ჩხველტია გორგალი ძველთაგანევი შვის (და, შესაბამისად, ცეცხლის), შეუპოვრობის, მიუკარებლობის, უწმინდურებასთან ბრძოლის, იღუმალე-



მანჯღარბი ლუდოიკო XII-ის გერბზე (ისრებად განფენილი კვლები მიანიშნებს, რომ მეფე ვანგმარავს თავის ნებისმიერ მტერს)

ბისა და სიამაყის განმასახიერებლად აღიქმებოდა. ჯერ კიდევ ძველ ბაბილონში, ზღარბი ომის ქალღმერთის – იშთარის ატრიბუტი გახლდათ.

იმ მომთაბარე ეთნოსთა ფოლკლორში, რომელთაც მიწათმოქმედებას მიჰყვებოდა (მუა აზიაში, ჩრდილო აფრიკაში) ზღარბი გამოჩენულ გმირთარიცხვს განეკუთვნებოდა, რადგან ის ნაიდაგს აფხვიერებდა, გველებს აფრთხობდა და მიწასთან მიბრუნებულადამიანს ყოფას უმარტივებდა.

რალა თქმა უნდა, ზღარბის ეკლიანობას (ისევე, როგორც მისი აფრიკელი „გარე ბიბაშვილის“ – მანჯღარბისა) უკვალოდ არ ჩაუვლია და გამოთქმა „ზღარბივით ხასიათი“, ამის დასტურია. ამავე ანალოგიით მორინთლა „ზღარბად“ მოკლედ გაკრევილი თმა, სხვადასხვაგვარი საჩხველეტი მოწყობილობანი და ა.შ. ზღარბთა მოდგმის სიმბოლურ არსებობას ნამდვილად მატებს „პრესტიჟს“ ის, რომ მაჩეზღარბი გამოსახული იყო საფრანგეთის მეფის – ლუდოიკო XII-ის გერბზე.

სხვათა შორის, სწორედ ზღარბმა შთააგონა მოსკოველი რეჟისორი და მხატვარი ფელიქს ნორენშტეინი შექმნა პატარა ანიმაციური შედეგის – მულტფილმი „ზღარბი ნისლში“ („Ежик в тумане“).


### ზღვა (ოკეანე)

ზღვა – მოზღვეებულ, მოძალებულ, მოულოდნელ, დაუმრეტელ და ხშირად უმართავ ძალთა ძველთაძველი სიმბოლოა, კულტურათა უმეტესობაში სიცოცხლისმშობ საწყისთან ასოცირებული. სრულიად განსხვავებულია ბიბლიური ზღვა (დაბ.1:10) – ღვთის ნებით შექმნილი და შემოსაზღვრული „შესაკრებელი წყალთა“, ღვთისავე სიტყვით დამცხრალი და დამოშმინებული (ფს. 64:7; 88:9; 106:29).

უძველეს ცივილიზაციათა მითოლოგიაშიც ზღვა, ოკეანე სიცოცხლის პირველსაწყისია ამორფული და უკ-



რენე მაგრიტი. „მაკუნებელი“. 1953 წ.



აკუსიკა ხუკუსა „ტალღა“ (სერიდანი - „უღვის ოცდაოცმეტეტი ზედი“). 1823-1831 წწ.

იდეგანო: ბაბილონურ მითში „მლაშე პირველად ოკეანეს“ განასახიერებდა მღვდრი გველეშაპი თიამათი, ხოლო მტკნარს. „ტკბილ ოკეანეს“ - ღვთაება აფსუ. ამ წყალთა შერწყმამ დასაბამი მისცა სიცოცხლეს, რადგან სწორედ თიამათის ორად გაპოხილი სხეულისიგან წარმოიქმნა ცა და მიწა; ინდუიზმში კოსმოური ოკეანე დაკავშირებულია ვიშნუსთან, რომელსაც ნეტარად სძინავს უნააპირო წყალში მოტივტივე დაგარანგილი გიგანტურ გველ ანანტაზე; ძველევრატიკური მითის თანახმად, სიცოცხლისა და პირველღმერთების წარმოქმნამდე არსებობდა პირქუში, უსასრულო ოკეანე. - სახელად ნუნი, რომლის კიატური ენერგია მოიცავდა მომავალი სიცოცხლის ყვე-

ლა ფორმათა პოტენციალს; ძველ ბერძნებს კი ოკეანე წარმოედგინათ გიგანტურ მდინარედ. რომელიც გარს უვლიდა დისკოსმაგვარ დედამიწას.

მითოპოეტურ წარმოსახვაში ზღვა, ოკეანე, როგორც სიცოცხლის წარმომქმნელი წიაღი, ასოცირებული იყო ქალურ საწყისთან - „დიდ დედასთან“; თუ ზღვიდან ნაპირზე გადმოსვლა, ანტიკური აფროდიტეს მსგავსად, დაბადებას ან ცხოვრების ახალ ეტაპს მოასწავებდა, ზღვისიქნ მიბრუნება - სიკვდილს...

მითოლოგიური ოკეანე ამავე დროს ამბივალენტური სიმბოლოა: მის იღუმალ სიღრმეში ბინადრობენ ურჩხულები, კიდევ უფრო საშიშნი და ამოუცნობნი, ვიდრე მიწაზე; ზღვის მშვიდი და მოლილეივე ზედაპირის გარ-

დასახვამ ბობოქარ და დაუნდობელ სტიქიად, ასევე შეიძინა სიმბოლური შინაარსი: ფსიქონალიტიკოსების აზრითაც ოკეანე ასოცირდება „კოლექტიური არაცნობიერთან“, რომლიდანაც ამოიწვევება სულიერების მზე. ამგვარივე ანალოგიით აზვირთებულ ზღვას სიზმრებსა თუ პოეტურ მეტაფორაში უკავშირებენ სულის შფოთვის (გაცნობიერებულსა თუ გაუცნობიერებულს).

ზღვის სიმბოლიკის ამ ფსიქოლოგიური ასპექტის თვალნათელი ილუსტრაციაა გალაკტიონის ლირიკა: ზღვა იყო გალაკტიონის თანამოსაუბრე, მისი პოეტური ხილვების სტიქია. ახალი იდეალებით შთაბერილი იაღქნების ასპირეზიც და. იმადროულად, ყმაწვილური ილუზიებში აკიაფებული სანთლებების სამარცხ.

# თ

## თაგვი

თაგვის სიმბოლოა მიუხედავად (ან, ეგვიპტის, სწორედ ამიტომ) თავის ტრადიციულ ხალხურ წარმოდგენებში ფრიად მნიშვნელოვან სიმბოლურ როლს ასრულებდა.

შუა საუკუნეების რწმენით, სიკვდილის ჟამს ადამიანის სული სწორედ თავკივით შეუმჩნევლად ქრებოდა: წი-



გუბტაე ღორე თაგვართი ივკუესის წიგნისათვის თელი თაგვი მალაღზნეობრივი ადამიანის სულს განანახიერებდა, ხოლო შავი - ცოდვილის (აქ, რაღა თქმა უნდა, შეინიშნება ტენდენცია იმ ქვეყანაზეც მიუჩინონ ადამიანს „თაგვის ადგილი“: წმინდანთა სულები, როგორც ვიციით, აღსასრულის ჟამს მტრედებად გარდასახულნი აღველინებოდნენ ზეცას).

ანტიკური ეპოქის ზოოლოგებს არ გამოჩენიათ აღენიშნათ, რომ ამ პატარა მღრღნელს საილოს შემინება შეუძლია. რადგან თაგვები ესოდენი სისწრაფით მრავლდებოდნენ, ითვლებოდა, რომ ისინი „ავხორცი არსებანი“ იყვნენ და ეს რწმენა აისახა უძვე-

ლეს მონეტებზე, რომლებზედაც სიყვარულის ქალღმერთის, აფროდიტეს ფერხით თაგვია გამოსახული.

კიდევ ერთი მითიური ვერსიის თანახმად, თაგვები წარმოიშვნენ მდინარე ნილოსის შლაბიდან. რადგან თაგვები, ჩვეულებრივ, ბნელ სოროებსა და სარდაფებში იშალებიან, მათ დემონურ თვისებებს მიაწერდნენ და ხწამდათ, რომ იმქვეყნიურ ძალებთან კავშირი აძლევს წინასწარმეტყველურ უნარს აძლევდა: თაგვის წრუსნი ქარიშხალზე მიაჩნებდა, ხოლო რომელიმე საკულტო საგანი თუ აღმოჩნდებოდა დაღრღნილი, ეს დიდი უბედურების მომასწავებელი იყო.

სხვათა შორის, თაგვების ქცევით მომავლის განჭვრეტა დღევანდელ გავრცელებულია ბევრ აფრიკულ ტომში, სადაც სწამთ, რომ თაგვებმა იმქვეყნიური სამყაროს საიდუმლოებანი იციან.

მფრთხალი ბუნების გამო, თაგვის უნივერსალური სიმბოლური არის სიმხდალესა და სილარეს უკავშირდება (აქედანაა, ჩვენში გავრცელებული გამოთქმა - „თაგვივით მფრთხალი“).

ჩვენს ეპოქამდე მოაღწია ძველბერძენი ავტორის სატირულმა თხზულებამ „თაგვიანა და ბაყაყების ომი“ („ბატრახოიომოქია“), რომელიც წარმოადგენს ანტიკურ პაროდისა კერძოდ ეპიკურ ნაწარმოებებზე. იგივე სათაური აქვს დიდი იტალიელი რომანტიკოსის ჯაკომო ლეოპარდის (1798-1837) პოემას - მისი თანამედროვეობის სატირულ პანორამას.

ნიშანდობლივია, რომ დღეს ესოდენ გავრცელებულ მულტიპლიკაციურ პერსონაჟს - ეშმაკს, ანც. მოუხელთებელ, მაგრამ ძალზე საყვარელ თაგუნას, თითქმის ერთი საუკუნით უსწრებს წინ ვაჟა-ფშაველას საყმაწვილო პროზის პატარა შედევრი - „სათაგური“.



ქვის თაგვი ეგვიპტის ტაძრის ფასადზე, ახ.წ-ით X-XI სს. ინდოეთი

თასი

ქრისტიანული ვერსიით, თასი - ესაა სულის ხსნისა და კურთხევის წმიდათაწმიდა ჭურჭელი და, როგორც ნაკურთხი ღვინისთვის (რაც ქრისტეს სისხლის სიმბოლური ანალოგია) განკუთვნილი ბარძიმი, ღვთისმსახურების (ლიტურ-

რგის) ერთ-ერთი უმთავრესი ატრიბუტი. მსოფლიოს უმეტეს ქვეყნ-



ბში ერთობლივად დაცლილი თასი დამეგობრების, დამოყვრების, ერთგულების სიმბოლური აქტია (შეადარეთ ქართულ ადათს ძმადნაფიცობისა). განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა თასს ჩინურსა და იაპონურ საჭურჭლისოცერემონიალში. ინდუისტური რიტუალით თასი - ესაა სამყაროს სივრცითი



„მიკრო-მოდელი“, რომელშიც ხორცილდება „ავახანა“ - ანუ ღვთაებრივი სუბსტანციის („სომა“) გარდმოქცევა. ცხადია, რომ ამ საკალური ჭურჭლის მფლობელი თავადაც უკავშირდება ზეციურ ძალებსა და იძენს მათ მადლობისილებას.

კელტებთან რიტუალური თასი სახელისუფლებლო რეკვიზიტს განეკუთვნებოდა, ხოლო მათსავე მითოლოგიაში თასი გახლდათ ერთგვარი „რქა უხვებისა“ და ეს სასწაულებრივი უნარი შემდგომ გრაალის სიმბოლიკაშიც იკვეთება (იხ. „წმინდა გრაალი“ ჩვენი ენციკლოპედიის II ტომში).

ზეკით: ღვთა დელა რიბია. „ანგელოზი თასით“. სან-მანაატის ელვისის კახლის თასის ფრაგმენტი (მაიოლკა). ფლორენცია დაახლ. 1466 წ. მარკ ხნიე: საეკლესიო ნაჯარგობა (დაფარნა) კატმოსის იოანე ღვთისმეტყველის მონასტრიდან. 1703 წ. (საბერძნეთი)

თევზი




მითოლოგიის ოკეანე არაა ისე მჭიდროდ დასახლებული თევზებით, როგორც ოკეანე რეალური, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თევზს მსოფლიოს კულტურათა უმეტესობაში განსაკუთრებული საკულტო და სიმბოლური როლი აქისრია.

თევზი, ბიბლიური სამყაროს მეხუთე დღის ქმინლება, იუდეველთათვის მესიის სიმბოლო გახლდათ; მათი რწმენით, მესია (მხსნელი) დაამარცხებს ლევიათანს - ზღვის მონსტრს და სამოთხის მომავალ ბინადართ დაუნაწილებს. სწორედ ამიტომაც მართლმორწმუნე ებრაელებს სუფრაზე შაბათობით თევზი. ეს სიმბოლოცა განაგრძო და გაამდიდრა ქრისტიანულმა ტრადიციამ. ჯერ კიდევ პირველქრისტიანებთან, რომელნიც



სომხური მინიატიურა: ფრაგმენტი „ახატის სახარებლად“. 1211 წ. (მხატვარი - მარკარე)




საიდუმლო სერობა, ანტიქრისტიანული მოზაიკა, სანტ-აპოლინარე ნეოვის ეკლესია, რავენა (იტალია), VII ს.

მღვიმეებსა და კატაკომბებში იმაღლებოდნენ. თევზი განდობილია ნიშანი იყო – მონაცველ ჯვრისა. ამ სიმბოლიკას თავისი წინარე ისტორია აქვს: თევზი, როგორც დუმილის განსახიერება; აგრეთვე იმ მორწმუნის სიმბოლო, რომელიც „ზეციურმა ბაღემ“ ურწმუნოების შორევიდან სულიერი სინათლისაქენ აიტაცა. (ლუკა, 5:10; მათე, 3:47); დაბოლოს. ბერძნული სახელწოდება თევზისა – „ichthus“ აღიქმებოდა, როგორც აკრონიმი ბერძნულივე სიტყვებისა – „Iesus Christos Theou Huios Soter“ ანუ – „იესო ქრისტე ძე ღვთისა და მხსნელი“. რაღა თქმა უნდა, არც ისაა შემთხვევითი, რომ იესო ქრისტეს პირველ მოწაფეთაგან სიმეონ (იგივე პეტრე) და მისი ძმა მებადურები არიან, რომ ცნობილ სასწაულებრივ პასაჟში სახარებისა მაცხოვარი სწორედ თევზსა და პურს გაუმრავლებს დამშეულთ...

ურწმუნოთა დეტაბრიე სინათლესთან ზიარების მეტაფორა ტრანსფორმირებულია ნათლისღების მისტერიაში, რომელშიც წყლისა და თევზის სიმბოლიკა ერთმანეთს შეერწყა. აქვე აღსანიშნავია, რომ ახლად მონათლულთ ლათინურად „თევზუკები“ ეწოდებოდათ („pisciculi“). იკონოგრაფიულ გამოსახულებებში თევზი იყო ატრიბუტი ღვთისმშობლის, ანდრია პირველწოდებულისა და პეტრე მოციქულის; სამი

სხვათა შორის, ასეთივე „თევზის დღე“ იყო პარასკევი ძველ რომშიც, მაგრამ აბსოლუტურად განსხვავებული სიმბოლური ახსნი: პარასკევი რომაელთათვის სიყვარულის დღე იყო – კენერას ეძღვნებოდა და თევზი კი, სიყვარულის ქაღმერთის ატრიბუტად ითვლებოდა (ლეგენდის თანახმად, ერთხელ, გასაკვირის ფაშს, აფროდიტე ანუ კენერა სწორედ თევზად გადაიქცა). ისიც უნდა ითქვას, რომ ელინისტურ სამყაროში (იგივე, როგორც ასურეთსა და ბაბილონში, ჩინეთში) თევზი, მისი ქვირითის სიუხვისა და იერის გამო, ნაყოფიერებისა და ეროტიულობის სიმბოლო გახლდათ; ათრულ-ბაბილონურ სიყვარულისა და ნაყოფიერების ქაღმერთის იმთარის სახელი გამოისახებოდა ნიშნით – „სახლი, რომელშიც თევზი ბინადრობს“; ეტიპტუმი თევზს ასევე

საკრალური მნიშვნელობა ჰქონდა და ნილოსის ღვთაების ოსირისის განსხვავებად აღიქმებოდა; ამიტომაც ფარაონთათვის და ქურუმთა კასტისათვის აკრძალული იყო მისთვის პირის დაკარება. ინდუსტურ მითოლოგიაში თევზები იმ არსებებად ითვლებიან, რომელთაც აბსოლუტური თავისუფლება მოიპოვეს, – წარღვნა არ ეშუქრებათ; მეტიც, ისინი თავად არიან სხვათა მხსნენნი, რადგან ეიშნუსა და ვარუნას ასახიერებენ. ბუდის ფეხისგულებზე გამოსახული თევზები მიწიერი ენებათაღელევისაგან სრულ განდგომაზე მეტყველებდნენ. ძველ ჩინეთში (ეტყობა, ჯერ კიდევ ბუდეიზმის შემოსვამდე) თევზი ბედნიერებისა და სიუხვის სიმბოლო იყო, ხოლო წყალში მოდგაფუნე თევზები – სატრფიალო სიხარულისა... იაპონიაში, ქარაფებთან მებრძოლი თევზი სიმამაცისა და მიზანსწრაფვის ტრადიციული სიმბოლოა, ხოლო ოქროსფერი კობრი აუზში – ნაციონალური სანახაობა. ასე სიმბოლურად უბრუნდებოთ იაპონელებს ის „ოქროს თევზი“, რომელზედაც ჩვენც ხშირად გვიოცნებია ბავშვობაში...



ზღვის ბინადარი. მოზაიკა კოსპიდან, დაახლ. 100 წ. ძვ. წ-ით ნაპოლი, ნაიონალური არქეოლოგიური მუზეუმი

## თითისტარი

თითისტარს და ჯარას მსგავსი სიმბოლიკა აქვთ. ისევე, როგორც ობობას ნაქსოვი ბაღე, ისინი განასახიერებენ სიცოცხლის წარმავლობასა და დღეთა უღმობელ სრბოლას. ამავე დროს, თითისტარი ქალისა და დედის მფარველ ღვთაებათა უძველესი ატრიბუტია. ბერძნულ მითოლოგიაში ის უსყრიათ ქალღმერთებს, რომელნიც რთავენ ან, პირიქით წვეეტენ ადამიანის ბედის გორგალს. თვით სახელი ამ ქალღმერთებისა - მოირები ძველბერძნულად ზევდრის ნიშნავდა. რომაულ მითოლოგიაში ამ „ფუ-

ნქციას“ ასრულებდა საში პარკა: პირველი, კლოთი სიცოცხლის ძაფს რთავენ, მეორე, ლაქისისი ძაფს ეწეოდა, ხოლო მესამე, ატროპოსი კი ჭრიდა. აქედან გამომდინარე, თითისტარი, ჯარა, მეტიცი, თვით პროცესი დართვისა ცხოვრების მდინარების სიმბოლოდ იქცა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ძაფის სიმბოლიკა არ ამოიწურება მხოლოდ ამ ერთი მითოლოგიური კონტექსტით: ძაფი (თმის მსგავსად) ერთ-ერთი უძველესი სიმბოლიკა, რომელიც განასახიერებს დროსა თუ სივრცეში უწყვეტობას ან არსობრივ კავშირს ურთიერთგანსხვავებულ სულებერ, ბიოლოგიურ, სოციალურ ფენომენებთან; ასე მაგალითად, ძველი-

ღურ „უანიშადებში“ ნახსენებია ძაფი („სუიტრა“), რომელიც მატერიალურ სამყაროს ზეცასთან, კოსმოსთან აკავშირებს.

„არიადნეს ძაფი“, ცნობილი მითიდან თუ ზეცის შესახებ, ცხოვრების ლაბირინთიდან თავის დახსნის, გადარჩენის სიმბოლოდ იქცა. ასეთივე საბედისწერო მნიშვნელობა აქვს ძაფს (ძუას), რომელზეც, ლეგენდის თანახმად, დამოკლეს მახვილი იყო დამაგრებული. სიტუაცია, როდესაც „ვისმე ცხოვრება ბეწვზე ჰკიდა“... ხშირია მსოფლიოს ხალხთა ზღაპრებში, ხოლო იკონოგრაფია ბედისწერის ქალღმერთთაგან უპირატესობას კლოთის ანიჭებს, სწორედ იმას, - ესოდენი მონდობებით რომ რთავს ჩვენს ცხოვრების ძაფს...

## თოლია



თოლიას სიმბოლოდ, რომანტიკულ ფრინველად აღქმას ისევე, როგორც ამფრინველის სრულიად საპირისპირო, ამაზრზენ არსებად წარმოსახვას, დიდად შეუწყო ხელი ლიტერატურამ და კინომატოგრაფმა.

გასული საუკუნის 50-60-იანი წლების მიჯნაზე, ჩვენში დიდად პოპულარული იყო, ბელგიური ფილმი „თოლიები ნავსადგურში კედებიან“, რომელიც ტრავიკულ სასიყვარულო ისტორიაზე მოგვითხრობდა; მთელი იმდროინდელი ახალი თაობისათვის ერთგვარ ნიშანსვეტად აღიქმებოდა და „საკულტო“ ნაწარმოებად იქცა რიჩარდ ბახის ალგეორიული მოთხრობა „თოლია, სახელად ჯონათან ლივინგსტონი“, სადაც თოლია თვითდამკვიდრებისადმი დაუოკებელი ლტოლვის სიმბოლოდ იყო დასახული.

ქართულ სინამდვილეში თოლია „მეფრინდა“ ჯერ კიდევ XX ს-ის 30-იან წლებში გიორგი ლეონიძის ლექსით („თოლია“), რომელშიც ზღვის ეს წარმტაცი



ჯოტო. „წმ. ანას გამოცხადება“ (ფრესკის ფრაგმენტი). 1305 წ. პალატი, კაპელა დელა არენა (იტალია)



ნაიალა ნაცვლიშვილი. „ფრინველები“. 1988 წ. (რუსეთი)

ფრინველი პოეტმა მისი სატრფოს. მისი ცხოვრების თანამდევნი სიყვარულის სიმბოლოდ წარმოისახა. გაცილებით ნაკლებ რომანტიკულია გიორგი ლეონიძის ფრანგი თანამოკალმის ევენ გილვიკის „თოლიები“ (1966 წ.), სადაც ყურადღების აქცენტი „პროზაულ“ დეტალებზეა გადატანილი და ფრინველის ხრინწიანი ხმა გამუდმებული შიმშილის ნიშნად აღიქმება. ეს ხმა საერთოდ დაგზაფრავთ, თუ ნახეთ ალფრედ ზინკოვის „საშინელებათა“ ფილმს - „ფრინველები“ (1963 წ.), რომელშიც თოლის ერთ-ერთი ყველაზე ამაზრხენი როლი აქვს მინიჭებული.

საბოლოო ჯამში, თოლიამ, რომელსაც ჩვენ ესოდენ ხშირად ვხვდებით ნაპირზე, გამორჩეული თევზების ჯიჯგნით გართულს, თავისი რომანტიკული ელფერი დაკარგა და შორი, თეთრი სილუეტი ცისა და ზღვის ზღვარზე დაუკავშირდა თოლიას „ახლო ნათესავს“ - ალბატროსს, რომელიც ბევრს, შესაძლოა, არც უნახავს, რადგან მიწაზე იშვიათად ჯდებ-

ა, ოკენათა ბინადარია და რომლის სიმბოლოც ლიტერატურაში პირველად ჩნდება ს.ტ. კოლრიჯის (1772-1834) პოემაში „ამბავი მოხუცი ზღვაოსნისა“, ხოლო შემდეგ - უკვე ფრანგულ პოეზიაში - შარლ ბოდლერის პოეტურ შედეგში - „ალბატროსი“.

## თოჯინა

თოჯინა ფსიქოლოგიურ სიმბოლოთა რიგს განეკუთვნება. ადამიანის იერსახის ეს უსულო განსხეულება ყველა შემთხვევაში ვირტუალური რეალობის წარმოსახვას ემსახურება: პატარა გოგონასათვის ესაა მისი მომავალი დედობის ერთგვარი „რეპტიცია“, თუმცაღამ ამ თამაშის გახანგრძლივება ფსიქონაალიტიკოსების თქმით, ინფანტილიზმის ნიშანია და გარკვეულ სოციალურ იზოლაციაზე მეტყველებს. აღწერილია ისეთი შემთხვევებიც, როდეს-

საც უკვე ზრდასრულ, მაგრამ უკიდურესად მარტოვალ ადამიანებს დაუძლეველი ლტოლვა უჩნდებათ თოჯინებისადმი (ზოგჯერ - აგრესია) და მთელი მათი გრძნობა, ენება თუ ეჭვიანობა ამ გაფეტიშებულ არსებაზეა კონცენტრირებული. ეს ფენომენი, რომელიც პირველად აღწერა თავის ავტობიოგრაფიულ „აღსარებაში“ ჟან ჟაკ რუსომ. XX საუკუნის დასასრულსათვის კინემატოგრაფის არეალშიც მოექცა, როგორც უნიკალური ფსიქოლოგიური მოვლენა (რალფ კინგის „მომრავი მამაკაცი“). ქართულ პროზაში ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია ნაირა გელაშვილის მოთხრობა „სერსო“, სადაც მთავარი და ყველაზე მრავალისმეტყველი სიმბოლო თოჯინა „მარინაა“.

ხალხურ „დედოფალს“, რომლის სადღესტრაციო ნიმუშიც აქ მოგვყავს, ის განუმეორებელი ხიბლი ჰქონდა. თოჯინების სერიული წარმოებით რომ ამოიძირკვა და პატარა, ხელნაკეთი შედეგების ნაცვლად, მსოფლიოს უმეტეს



დედოფალა. სოფ. ატენა, XIX ს., II ნახ. (ჩანახატი ნინო ბრაილაშვილის კონსერვაციული აღმოსაზრდა)



თამარ კვეციანი „მოახლენი“. 1998 წ.

ნაწილში დამკვიდრდა ამერიკული „ბარბი“, რომლის იერი, ზმანი და დგამი იქცა მილიონობით გოგონას ესთეტიკურ იდეალად და ბედნიერების სიმბოლოდ.

თოჯინები, რომელთა აქტორები თანამედროვე მხატვრები არიან, ხელისუფლების ნიმუშებად უფრო აღიქმებიან, ვინემ სათამაშოდ. ცხადია „სააქტორო თოჯინები“ ვერ ცვლიან საერთო სურათს, მაგრამ პრინციპული დაპირისპირება „მასიურსა“ და „ინდივიდუალურ“

ენარებს შორის, რაღა თქმა უნდა, არსებობს: ეს დაპირისპირება არა მხოლოდ ესთეტიკური, შეიძლება ითქვას, იდეოლოგიური ხასიათისაცაა, რადგან „მხატვრის თოჯინაში“, როგორც წესი, ღრმა კულტუროლოგიური პლასტი და გამიზნული სიმბოლური მინიშნებანია ასახული. სწორედ, ამგვარი ნიმუშია თამარ კვეციანის თოჯინები, რომელთაგანაც ერთ-ერთი აქაა წარმოდგენილი.

## თუთიყუაზი

თუთიყუაზის ძირითადი სიმბოლიკა აიხსნება ამ ფრინველის იშვიათი უნარით, მიბადოს ნებისმიერ ხმას. ვერ კიდევ ძველ ეგვიპტეში თუთიყუაზი განასახიერებდა მაცნეს ადამიანსა და იმპერეციურ სამყაროს შორის; ძველი ბერძენი აქტორები თუთიყუაზად ნათლადენენ უთავბოლოდ მოლაპარაკე ორატორებს; შუასაუკუნოვან „ბესტიარიუმებში“ კი თუთიყუაზი ძალზე თავნება ფრინველად ითვლებოდა და რეკომენდირებული იყო მისი დასჯა „სწავლებლის“ დროს. ამავე დროს თუთიყუაზის ნისკარტი ამულეტად მიიჩნეოდა ციებისა და დემონების წინააღმდეგ.

ფრაიდ საინტერესოა თუთიყუაზის სიმბოლიკა ჩინეთსა და იაპონიაში: ჩინურ ზღაპრებში თუთიყუაზები მგზავრობიდან დაბრუნებულ ქმრებს ამცნობდნენ ცოლების ღალატის შესახებ. იგივე მოტივი საფუძვლად უდევს ძველი ინდური მითოზობების ცნობილ კრებულს - „შუკასაპატატის“ და მის სპარსულ ვარიანტს - ზია ად-დინ ნახშაბის „თუთიყუაზის წიგნს“ („თუთი-ნამე“), რომელშიც გონებაბაძვილი თუთიყუაზი „ათას ერთი ღამის“ შექერაზადას როლში გვევლინება. ჩინეთში სამხრეთული თუთიყუაზი მოწყალეების ქალღმერთის გუანინის საკულტო ფრინველი იყო, ხოლო ნისკარტში მარგალტით გამოსა-



თუთიყუაზი (მომინანქრებული ოქრო და ძვირფასი ქვები). რაკაბატანის მოგოლური სკოლა. XVIII ს. (ინდოეთი)



თუთიყუმზე ამხედრებული ინდუსტური ლეთაჟა კამა

ხული მისი იაპონელი „კოლეგა“ ქალღმერთ კენონს ემსახურებოდა. სხვათა შორის, ჩინურ სლენგში დღემდეა შემორჩენილი ცეკტი „რესტორნის გოგონების“ „თუთიყუმებად“ მონათვლა.


ინდურ მითოლოგიაში თუთიყუმს უფრო „ზეაწული“ ფუნქცია აქვს დაკისრებული: ის პოეზიის სიმბოლოდ ითვლება, რადგან სწორედ თუთიყუმზე ამხედრებული სიყვარულის ლეთაჟა კამა.

საკმაოდ მოულოდნელად წარმოჩნდა ეს ენაჭარტალა ფრთოსანი არაბულენოვანი ქვეყნების თანამედროვე სლენგში, რომელშიც „მწკანე თუთიყუმი“ ოპიუმის მნიშვნელობით იხმარება.

თუთიყუმის მითოლოგიური ფუნქცია იმიტით იუმორით შეაჯამა ერთმა კოლორიტულმა ამერიკელმა კოეობმა: „უნდა იცხოვროთ ისე, - ამბობდა იგი, - რომ შეგეძლოთ დაუფიქრებლად მიჰყიდოთ ოჯახის თუთიყუმი ქალაქის პირველ კორიკანას“.

## თხა (3530)

მოდ, ენახოთ, როგორია თხის სიმბოლიკა: პირველ ყოვლისა, უნდა აღანიშნოს, რომ კულტურულ ტრადიციათა უმეტესობაში, ერთმანეთისაგან გა-



Joboss ლუკას მინისტრის შიზიკა. XI ს. I ნახ. (საქართველო)

მიჯნულია თხა და ვაცი. თხა ის მზრუნველი არსებია, რომელმაც ჩვილი ზევისი გამოკვება (ამალთა), და ასატონაც მისი რქეც აღიქმებოდა - „რქედ საუბუხისა“ (იხ. სეუნი ერეკლესიელის II ტომი); თხის ტყეფითაა მისილა ქალღმერთი აოენა-პალადა.

ქართული ტრადიციით თხის სწორედნენ უნა წამსწამაზგჯეცლა დაიადრას განსწესობებულს“. დღევანდელ ცნობიერებაში თხა საკმაოდ „აო-ასილადღურა“ მისაბოძებაა წაბადგენილი და, ხშირ შემთხვევაში, „ახეზად“ სეუნი ამხატებულ ხატობებს ვაილად.

**ვაში** - მასჯაკელო ეხეიკას ძაძაღებს უბეჯეჯეს სიმბოლიკა: სწორედ ისე უნდა აღიქვათ ძეგლი კვამლ

ტვლების ღვთაებრივი ვაცი მენდესი, ანტაკურა ფაცები და სატირები. პანი, ღვინის ღვთაების - დიონისეს თანმზღვთა ვაცებს. საქანდინავიური მითოლოგიის უმთავრესი ღვთაება მეხთმტყორცელა თორი (ზექვის ანალოგი) სწორედ ვაცებს შერშულა ეტლით დააკოალკს (აბუ. ინდურ კედებში ვაცი ასევე ცეცხლოვანი ღვთაების - აგნის ატაბუტაა. ხოლო ჩანეთში - სიკობა და მასჯაკელო ეხეიკის პირკელსწავის - „აანს“ განახაბიერებს (სხვათა შორის, ჩანერში „აანი“ და „აკაცი“ ობობებია - ანუ ერთნაირი ეპოქალაფია კამახახება).

საბაკელო, ქანსტიახუნდ ტრადიციას კაცს ძალზე არასახარბიელო არებუტაცა“ აქვს: აქ ვაცი ერთმნი-

შენელოვნად განასახიერებს ეშმაკისეულ საწყისს – ავხორცობას, აგრესიულობას, თავშეუკავებულობას და უწმინდურობას. ვაცები ცოდვილთა მეტაფორად აღიქმებიან განკითხვის დღის ბიბლიურ სურათში, როდესაც ქრისტე კრავთაგან გამოაცალკეებს მათ და

„საუკუნო ცეცხლს“ (ჯოჯოხეთს) განუმზადებს. სხვათა შორის, მათეს სახარების (25:32–41) ქართულ თარგმანში, ერთი ტრადიციული უზუსტობა გვხვდება: სახარების ამ ეპიზოდში ქრისტიანული სახისმეტყველებიდან გამომდინარე, უნდა ეწეროს სწორედ

„ვაცი“ და არა „თხა“.

საქსებით ბუნებრივად დამკვიდრდა ბიბლიური სიმბოლო „განტყევის ვაცისა“, რომელიც ძველებრაული ადათიდან მოდის და გულისხმობს სხვათა ცოდვების გამოსყიდვას ვილაც ერთის, უღანაშაულოს მიერ.



ჰაბლო ჰიკსო. „თხა“ (ბრინჯაო). 1950 წ. პარიზი, ჰიკსოს მუზეუმი

# ი

ი ა

ია - ევროპული ტრადიციით, კდე-მამოსილებას განასახიერებს, რადგან თავისზე გაცილებით მაღალი ხეების ჩრდილში იზრდება. ყუავეილთა ენაზე თეთრი ია უმანკოების სიმბოლო იყო და

გავრცელებული რწმენის თანახმად, ქალწულთა საფლავებზე სწორედ თეთრი ია იზრდებოდა. ლურჯი ია, რომელსაც დიდი ინგლისელი პოეტი ჯონ ქიტისი „ჩაგმანულ დეოდოვალს“ უწოდებს, თავდადებულ სიყვარულზე მია-ნიშნებდა.

ქრისტიანულ ხელოვნებაში ია მოკრძალების სიმბოლო გახლდათ და ნიშანდობლივია, რომ წმ. ბერნარდი მარიამ ღვთისმშობელს „თავმოდრეკილ იად“ მოიხსენიებს.

„ი ია“ - ის პირველი სიტყვებია. რითაც იაკობ გოგებაშვილის „ღეღაენის“ წყალობით, ყველა ქართველი ბავშვი წერაკითხეს იწყებს. ასევე, ბავშვობის დროიდან, ახსოვს ბევრ ჩვენგანს ვაჟა-ფშაველას ნატიფი პროზაული ჩანახატი - „ი ა“. ია, საზოგადოდ, ვაჟა-ფშაველას უსაყვარლესი პოეტური სახეა („გაზაფხულს ია ამოდის“; „ათასჯერ მოხვედ ია“; „ი ა ჭია“; „ი ა, შე საწყალობლო“; „ი ა თალხ-

პაშა-ფშაველა

ი ა ს შიხარიძე ტურფასა

ი ა ს უთხარით ტურფასა:  
 მოვა და შეგვჭამს ჭიარო,  
 მაგრე მოხდენით, ლამაზო,  
 თავი რომ ავილიაო!  
 შენ თუ გკონია სიცოცხლე  
 სამოთხის კარი ღიაო:  
 ნუ მოხვალ, მიწას ეფარე,  
 მოსვლაში არა ყრიაო.  
 ნუ ნახავს მზესა, ინანებს.  
 განა სულ მუღამ მზეაო!  
 მიწავე, შენ გეპარებოდეს  
 ეს ჩემი ტურფა იაო.  
 შენ უკატრონე, ეშვობლე,  
 როგორაც შენი ზნეაო.

1903 წ.



ი ა ბი. ნიკოლოზ II-ის უფროსი ასულის - ოლღას სიმეონის დროინდელი ნახატი. 1913 წ.

კაბა ამოვა“ და ა.შ.). მაგრამ არის ერთი ლექსი, 1903 წელს დაწერილი. „ი ა ს უთხარით ტურფასა“, რომელშიც ამ ფაქიზი ყვავილის სიმბოლიკას უნდა გამოეხატა ის გაუნელებელი ტკივილი, სევდა (და, რამდენადმე, დანაშაულის გრძნობაც), რომლითაც ვაჟა ეთხოვებოდა თავის პირველ ცოლს - კეკე ნებიერიძეს.

ვაჟას პოეტური ნათლულის - გიორგი ლეონიძის შემოქმედებაში კი ია დედის ცრემლდაცრემლ ამოიზრდება. ვითარც მარადიული სიყვარულისა და განცდის სიმბოლო („ნატერის ზე“).


# იხილეთ და იანგი



ერთ-ერთი უძველესი ნიშანი ცენტრალური აზიის და შორეული აღმოსავლეთის ხალხების

კულტურაში. ჩინურ, ტიბეტურ, კორეულ, იაპონურ ტრადიციაში „იანი“ და „იანი“ სამყაროს ორი საწყისის დაპირისპირებულ ერთიანობას განასახიერებს. ჩინური ფილოსოფიის თანახმად (საიდანაძე მოდის ეს სიმბოლიკა). „იანი“ ადინიზებულია (კ. მზე, სითო, სინათლე, აქტიური, მამაკაცური და რაციონალური საწყისი: „იანი“ კი, პირიქით – პასიური. ქალური, მთვარისეული, ინტიუიტიური: აგრეთვე – სინოტივე, სიბნელე, მარჯვენა მხარე.

ჩვეულებრივ, ეს სიმბოლური წყვილი გამოისახება „სიგმასდაკვარი“ კლასიკით – ორად გაყოფილი წრით (ჩინ. „ტაი-ძი“): აქედან „იანი“ თეთრი ფერითაა გამოსახული, ხოლო „იანი“ კი – შავით; თუ გამოსახულება ფერადია, „იანი“ წითელია, ხოლო „იანი“ – ლურჯი.



კორეის რესპუბლიკის სახელმწიფო დროშა

ითვლებოდა, რომ ეს ორი საწყისი ერთმანეთის „მარცვალს“ შეიცავდა: გრაფიკულად ამან გამოხატულება კპოვა „იანი“ ნათელ მხარეს ჩაახატული შავი წერტილით და პირიქით. ითვლებოდა აგრეთვე, რომ განვითარების ზენიტის მიღწევისას, „იანი“ „იანად“ გარდაისახება, ხოლო „იანი“ „ინად“. ამ ორ საწყისის შორის თანაფარდობის შენარჩუნება ჩინური რელიგიური ფილოსოფიური სკოლის – დაოსიზმის ერთ-ერთ ძირითად ცნებას წარმოადგენს. „იანი“ და „იანი“ ხშირად გვხვდება

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ემბლემატიკაში, ხოლო სამხრეთ კორეის რესპუბლიკის საკრალური ტრიგრამებით გარშემორტყმული „ინ-იანი“ სახელმწიფო დროშასა და გერბზე აქვს გამოსახული.

## ირემი



კეთილსაწყისანი სიმბოლო, რომელიც აღმოსავლეთთან, მზის ამოსვლასთან, სინათლესთან, სისვეტუაქესთან, აღორძინებასთან დასულიერებასთან არის ასოცირებული.

ზრდადარსებული ხარ-ირემი სიუხვის მზიური ემბლემა. მისი დატოტვილი რქები ზოგიერთ ეთნოსში (ინდიელებთან მაგალითად) „ცხოვრების ხეს“ განასახიერებდა; სხვებთან – მზის სხივებს, დღეგრძელობას, განახლებას (რქების ცვლის გამო), სიმამაცესა და ენებიაობას. ჩინეთში ირემი სიმდიდრისა და წარმატების სიმბოლოა და ომონიმა „სიუხვისა“.

კელტებს, მაგალითად, სწამდათ, რომ დემეტების კუთვნილი ჯოგები სწორედ ამ კეთილშობილი ცხოველებსაგან შედგებოდა (აქედან მომდინარეობს რწმენა, რომ სანტა-კლაუსის მარხილში სწორედ ირემბია შემტული). ასეთივე „სამსახურს“ უწევენ ირემბი ღვთაებათა მთელ წყებას – იქნება ეს ხეიური, შუმერულ-სემიტური თუ სინთოსტური პანთეონი: სწორედ ირემბია ჯადოსნური ზღაპრებისა და მიუთების გმირთა მეგზური და დამხმარენი; ზოგჯერ – მათი ახალი განსხეულებანი; საყოველთაოდ ცნობილი მაგალითებიდან გავიხსენოთ ნადირობის ქალღმერთის – არტემიდესა და ოქტონის ძველბერძნული მითი, სადაც დაუნდობელი ქალღმერთი ირემად გადააქცევს მონადირეს, რომელმაც მას პანაობისას თვალი შეავლო. ქართველმა მკვლევარებმა მართებულად შენიშნეს არტემიდეს მსგავსება ნადირობის ქალღმერთ დასლისთან, რომელიც ირემთა მფარველ-

ად ითვლება და თავადაც დროდარო ირმის იერს იღებს.


ირმის იშვიათმა ზიბლმა, მისმა გრაციამ, ელვისებურმა გაუჩინარებამ და წყლიანმა თვალეზმის ის აქციეს მარტოსულობისა და სეველიანობის სიმბოლოდ, როგორც ევროპულ, ასევე იაპონურ ტრადიციაში. ევროპულ ხელოვნებაში ისარი და ჭაჭირი ირემი, რომელსაც პირში სამკურნალო ბალახის კონა უჭირავს სასიყვარულო ჭმუნვის სიმბოლოა.

საღვთო წერილში სიმბოლიზირებული ირმისათვის დამახასიათებელი თვისება მუდმივი წყურვილისა (ფს. 41:2) და ანკარა წყაროს დაწაფებული ირემი მორწმუნე ადამიანის ღვთისადმი ლტოლვას განასახიერებს (ეს ფსალმუნისეული სახე, იერცვლილი, აჟღერდა გალაკტიონის სტრიქონებში – „თავისუფლება სულს ისე მოწყურდა, ვით დაჭრილ ირემბის გუნდს წყარო ანკარა“). ქრისტიანულ იკონოგრაფიაში ირემი, რომელიც გველს ჩლიქით თელავს, ბოროტების მოშობის აღეგორიად აღიქმება. ისიც სიმბოლურია, რომ წმ. ევსტათი პლაკიდა ჯვარს დაინახავს ირმის რქებს შუა.

ირმის სიმბოლური გამოსახულება საქართველოში უკვე ენოლითის ხანიდან ჩნდება. გამორჩეული მითოლოგიური და ისტორიული პირები ირემთან არიან წილნაყარნი: ამირანი ირმის ფა-



„ჯვარახაზოანი ირემი“ – წმ. ევსტათი პლაკიდას ხატი იოანე ღვთისმეტყველის მონასტრიდან (პატმოსი, საკრძნეთი). 1620-1640 წწ. (ფრეგმენტები)



საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

შესი იყო გადომუშებული, ღამა-გიაორგი. ერეკლე მეორე ირმის ძუძუნაწოდ ითვლებოდნენ (საგულისხმოა, რომ ბაგრატიონები ირმის ხორცს არ ჭამდნენ იმის გამო, რომ გადმოცემის თანახმად, მათი წინაპრის გამხრდელი - ძუძუს მასოელები სწორედ ირემი იყო).

ირემი, სიცოცხლის ზესთან ერთად, უცვლელი ატრიბუტია ქართულ სასულიერო ძეგლებსა და უცვლელ მხატვრულ კომპოზიციებში (მაგალითად, ირემები ატენის ხიონის რელიეფში). ნიშანდობლივია, რომ ქართულმა მითოლოგიამ, მისი უცვლელი პერსონაჟი ირემი ქრისტიანულ რიტუალს დაუკავშირა („უსანეიობის ირემი“, რომელიც თავისით მოდიოდა ეკლესიაში მეჯვრისხეუთან, რათა მსხვერპლად შეეწირათ; ჩოხის წმ. გიორგის ირემი ანთებული სან-

თლებით რქებზე და ა.შ.). ირმისადმი მიმართებას ქართულ ცნობიერებაში ერთგვარად აკვირგებენს ვაჟა-ფშაველას ძალზედ სვედიანი და პუშანური მონოლოგი საყმაწვილო მოთხრობაში „ირემი“, რომელიც, დღესაც, ასი წლის შემდეგ, სავედურივით ჩაგვეხმის: „საბრალე ირემი ზღვაში იმალებოდა და ეხვეწებოდა ღმერთს: „ღმერთო, როდემდის უნდა ვიყო დეეხილი, დაჩაგრული, შურეაცხვიფილი? როდემდის უნდა ვიცოცხლო შიშით და მოკრძალებით?... ეჭამდე - ეკანკალებდე, მესინის - ვერუარტელი მუელიდეს შიშისა, საცაა, მოვლენ და მომკლავენო... ღმერთო, გარდაქმენ გრნობა, ფიქრი და ენება ადამიანისა ისე, რომ მე არ შემტერებოდეს, ჩემი მოკვლა არ ედვას გულში, მეც შემეტლეს ცხოვრება თავისუფლად მზე-ქვეყანაზე“ („ირემი“, 1906 წ.).

ივანი

ივანი, რომლის „ტოტემიკემ ღმერთები ჰეობენ“ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სკანდინავიურ მითოლოგიაში: აქ ის საკრალური კომპიური ხეა, სახელად „იგდრასილი“. - მრავალეულ სიცოცხლეს, უბერებლობას და უკვდავების წყაროს რომ განაახიერებს, მისი



ივანის ხე მის ძირში აკრული კატარა ნიშნით - ფურუხის ზატით“ (ჩანახატი ნინო მრავალეულის ეთნოგრაფიული აღმოდინან)



იფანს აკედრასილი

ფესვები ქვესკნელს წვდება. ტანი ზესკნელშია ამოზრდილი. კენწერო კი ცას ებჯინება... სკანდინავები იფანს თაის უზენაეს ღვთაებას - ოდინს აკუთვნებდნენ. ძველ საბერძნეთში კი ეს ხე ზევსთ-

ან იყო დაკავშირებული და სიმღერის სიმბოლო გახლდათ. გამორჩეული ადგილი ეჭირა იფანს ძველ ინგლისშიც. სადაც ის მუხასთან ერთად წმინდა ხედ იყო მონწეული.

ქართული მითოლოგია იფანს („იფანის ხე“) კერის სიმბოლიკასთან აკავშირებს: უძველესი წარმოდგენებით, კერიაში ამოზრდილი ეს წმინდა ხე ხელშეუხებელია და მის შოკრას ღვთის რიხეა მოსდევს.

### იხზი

იხვი ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე, დაახლოებით 1500 წელს, მოაშინაურეს ძველ ეგვიპტეში და ეს ფრინველი არცთუ იშვიათად გვხვდება იმდროინდელ სახვით ხელოვნებაში. სხვათა შორის, ბერძნულშიც, სადაც, საფიქრებელია, იხვს რამდენადმე ეროტიული სიმბოლიკა ჰქონდა, რადგან სიციქარულის ღმერთთან - ეროსთან (ამურიან) ერ-

თად იყო გამოსახული. ამ მხრივ, მისი ბერძნული სახელიც ნიშანდობლივია - „იქნელოქე“.

იხვის ძირითადი სიმბოლიზმი მაინც უფრო ჩინეთის და მის კულტურულ ტრადიციას უკავშირდება. რომელშიც იხვის ჩინური ნაირსახეობა (ძალზე ეგზოტიკური „მანდარინთა იხვები“) ოჯახურ პარამონიას და ერთგულებას განასახიერებს, რადგან მართლაც გულისამაჩუქებელი სანახავია იხვების ამ ჯიშის დაწვეილებული „სინქრონული ცურვა“. სვედიანი ისტორიები „მანდარინთა იხვების“ დაცვილებულ წყვილებზე უაღრესად პოპულარულია ჩინურსა და იაპონურ ფოლკლორში. იხვის სიმბოლურ გამოსახულებას დეკორატიული ელემენტის სახით ხშირად შეხვდებით საქორწინო მორთულობებში, საზეიმოდ გაწყობილ ინტერიერში. ხოლო თვით ახლად შეუდლებულებს ერთობ პოეტურად უწოდებენ „მანდარინთა იხვებს ცვირთან ბალახში“.



„იხვები“. პომპეის მოზაიკა. ძვ. წ-ით I ს. ნეაპოლი. ნაციონალური არქეოლიგიური მუზეუმი

# პ

## ქალაქი



ქალაქი (ბერძნული „კრიკიონი“) – ჰერმესის, ოლიმპოს ბინადართა შიკრიკის ოქროს კვერთხი იყო გარს შემოგრაგნილი ორი გველით და დამშვენებული ფრთებიანი მუზარადით ან მხოლოდ ფრთებით. ერთი ვერსიის თანახმად, ქალაქი ჰერმესს ღვთაება ჰეფესტომ გამოუჭედა; მეორე ვერსია მოგვითხრობს, რომ ქალაქი ჰერმესს აპოლონმა გაუცვალა სალამურში. ეს მაგიური კვერთხი მოხსტიქას აერთიანებს: თავად ღერძი მიწის სიმბოლოა, ფრთები – ჰერმესის, ხოლო გველები – ცეცხლისა და წყლის. ქალაქის მაგიური ძალა იმამიც ელინდებოდა, რომ მიღმიური სამყაროს კარს აღებდა და ამიტომაც, ჰერმესის ერთ-ერთი „ფუნქცია“ მიცვლებულთა სულების იმ ქვეყნად გაცილება გახლდათ.

რეალური ქალაქი ზეთისხილის ან დაუნის ხისა, სუროთი შემოგრაგნილი, ჰერმესის მიწიერი „კოლეგების“ ატრიბუტი იყო და, იმაედროულად, მათი ხელშეუხებლობის გარანტიც. შიოფლიოს სხვადასხვა კულტურებში ათასწლოვანი ტრადიცია არსებობდა ჰერმესის საგანგებო კვერთხით აღჭურვისა და ყველგან ამ ტრადიციას თავისი მითოლოგიური საწყისი გააჩნდა.

რომულ პანთეონში ჰერმესი ვაჭრობის ღვთაებად „დაწინაურდა“ მერკურ-

ის სახელით და ქალაქის სიმბოლიკაც გამდიდრდა აღებ-მიცემობისათვის აუცილებელი ელემენტებით. ითვლებოდა, რომ ჯადოსნურ კვერთხს ჰქონდა უნარი მრისხანების დაცხრომისა და ამიტომაც, ქალაქის მომრიგებელ-პარლამენტარებსაც ეკუთრათ ხელთ. დღემდე ის სამშეიღობო შუამავლობის სიმბოლიკაც გახლდათ. ისე რომ, ფრიად საჭირო საგანია...

## ქალი

ეს პატარა, სწრაფი და გაუმამლარი მწერი ჯერ კიდევ ძველი აღთქმის წიგნებშია მოხსენიებული, როგორც ღვთის რისხვის მიწიერი გამოვლინება. (გამ. 10:4-15). ახალი აღთქმის ერთობ ხატოვანი აღწერა აძლიერებს და ამბა-

ფრებს კალიის ნეგატიურ სიმბოლიკას: „ხოლო კალიები მსგავსებით ცხენებსა ჰგავდნენ, საომრად გამზადებულთ; თავს ეღვათ გვირგვინი, როგორც ოქროსი; და სახე მათი, როგორც სახე კაცთა“ (გამოცხ. 9:7); მათეს სახარების მიხედვით (მათე, 3:4) ეს მწერი სახეებით მოულოდნელად, იოანე ნათლისმცემლის საკვებად გვევლინება: „... და საზრდელი მისი იყო კალია და ეულური თაფლი“. ეს დეტალი ყოველად რეალისტურია, რადგან ახლო აღმოჩენილთა ქვეყნებსა და ეკვიპტეში მწერი კალია დღესაც დელიკატესად ითვლება.

კალიის სიმბოლიკა, პირველ ყოვლისა, უკავშირდება ამ მწერის მრავალრიცხოვნებას, ელვისებურ გამრავლებას, მოსავლის ერთიანად განადგურების უნარს. აქედანაა თვით ამ სიტყვის ეტიმოლოგიაც: კალია, რომელიც „მკის“ ნა-



„კალია“. პირემესის აკლამა ძეწით (1422-1411 წწ.). თებ. ძველი ეგვიპტე

თესს, ძველ ქართულად იწოდება – „ქალი“.

რადგან კალიის შემოსევა (რომლის ურიცხვ რაოდენობას ჩვენ ვოფაში – „სარანას“ ვეძახით) უახლეს საუკუნეებამდე დემონური ძალების შემოტყუასთან იყო ასოცირებული, ეკლესია შესატყვის ზომებს მიმართავდა – ეგზორციზმს ანუ ეშმაკის განდევნის ცერემონიალს.

ჩინური ტრადიცია ამჟერადაც სრულიად ორიგინალურია და კალია ნაყოფიერებასთან დაკავშირებულ, კეთილისმყოფელ სიმბოლოს წარმოადგენს.

## ხამელია

ალექსანდრ დიუმა-შვილის რომანმა „ქალი კამელიებით“ (1848 წ.) ამ ყვაილს რომანის გმირი ქალის – მარგარიტა გოტიეს ხიბლის, იდუმალების და ტრაგიზმის ელფერი შესძინა. ეს თვალნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ იხადება ახალი სახე-სიმბოლო.

განსხვავებით ევროპისაგან, სადაც ამ ყვაილს დიუმამდე გამოკვეთილი სიმბოლიკა არ ჰქონია, ჩინურ და იაპონურ კულტურებში კამელია საკმაოდ მკაფიოდაა წარმოდგენილი, თან, სრულიად ურთიერთგამორიცხავად: ჩინეთში ის სილამაზეს, ჯანმრთელობასა და სულიერ სიმბუნევეს განასახიერებს (შესაძლოა იმიტომაც, რომ კამელიამ შემოდგომასა და ზამთარში მრეულენდელი აყვავილება იცის); ხოლო იაპონიაში მწუსარების სიმბოლოა და, რატომაც, უეცარ სიკვდილთან არის ასოცირებული.

## ხამეჩი

კამეჩი ნამდილად არ მიეკუთვნება ევროპულ სიმბოლოებს. ეს უწყინარი, ზანტი შინაური ცხოველი აზიის მდინარისპირა ჭალებში, ბრინჯის დატბორილ ნათესებში გვევლება. ამის საპი-



ალფონს მუხა „ქალი კამელიებით“ – სარა ბერნარდის საესტრალი აფიშა. 1905-1906 წწ. ზეზონი

რისპირო სურათებიც შეგვიძლია წარმოვიხსნათ: მრისხანე, საშიში გარეული კამეჩისა აფრიკის სავანაში და თვალუწვეფეი ჯოჯები ბიზონებისა (კამეჩის ნაირსახეობის) ამერიკის პერიებში, რომელთა მოსპობაც ამ კონტინენტის ახლადმოსახლენმა ლამის ნაციონალურ მიზნად დაისახეს.

კამეჩის სიმბოლიკა აზიასა და აფრიკაში, ისევე, როგორც ამერიკის კონტინენტის აბორიგენებთან – ინდიელებთან, ძირითადად ორსაწყისიანია და თვინიერების, სიმშვიდისა, თუმცა, იმ-

ავეროულად მრისხანე ძაღლის ასოციაციას ბადებს. ინდიელებთან ბიზონი განასახიერებდა ქარბორბალას წიამლეკე ენერგიას, მაგრამ ამასთანავე კეთილდღეობასა და ნაყოფიერებას, სწორედ ამიტომ, თეთრ ბიზონებს ინდიელები მსხვერპლად წირავდნენ თავიანთ ღმერთებს. მას შემდეგ, რაც ბიზონების 600-მილიონიანი ჯოჯები ერთიანად გაწყვიტეს თეთრკანიანმა მონადირეებმა, ინდიელებმა ნაყოფიერების სიმბოლიკა სიმინდის ტაროზე გადაიტანეს.

ინდოეთში, ჩინეთში, მთელს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში სამეურნეო ცხოვრება სრულიად წარმოდგენელია ამ ძლიერი, თვინიერი შინაური ცხოველის გარეშე. გასაკვირი არაა, რომ კამეჩი ჩინური პეიზაჟის განუყოფელ ნაწილად იქცა და ასე ხშირად გვხვდება კიდევ ჩინურ ხელოვნებაში. ისიც ბუნებრივია, რომ კამეჩი სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის საკულტო ცხოველად იქცა. ჩინეთში კამეჩი მჭვრეტელობითი ცხოვრების ასოციაციას იწვევდა: ლევენის თანახმად, ბრძენმა ლაო-ძიმ (კონფუცი) ჩინეთი კამეჩზე შემჯდარმა დატოვა. რადგან ამ შინაურ ცხოველს უკიდურეს შემთხვევაში განრისხებაც შეუძლია, ხოლო მისი ველური სახეობა კი ერთ-ერთ ყველაზე საშიშ ცხოველად ითვლება,



„ლაო-ძი ტოვებს ჩინეთს“. შუასაუკუნოვანი ჩინური ნახატია

ბუნებრივია, კამეჩის სიმბოლიკაში ეს ნეგატიური ასპექტიც აიხაზა: კამეჩის გული სიკვდილის სიმბოლოა ტიბეტში, ხოლო ინდუსტური და ბუდისტური რელიგიის სიკვდილის ღეთაება იამა სწორედ კამეჩზეა ამხედრებული.

ქართულ ისტორიაში, სამწუხაროდ, კამეჩი ტრაგიკომიკურ ასოციაციას იწვევს: საქართველოს უკანასკნელ მეფეს გიორგი მეფორმეტეს, მისი ბიოგ-

რაფების თქმით, თურმე უზომოდ უყვარდა ზაქის (ანუ კამეჩის ხბოს) ხორცი, რომელიც მრავალთა აზრით, სხვა გონების სიზანტესთან ერთად, სულისა და მოცხენზე ამხედრება აღარ შეეძლო და ქვეყნის ბედიც ასევე მდორედ და უღიმამოდ წარმართა, მეტსახელად „ზაქიჭამია“ შეერქვა.

## პარიზში (თალი)



კარის ყოველად პროზაული ფუნქცია გაღება-დახურვის არაერთ მითოპოეტურ თურეღვიურ სისტემაში აიხაზა და კარიბჭე


შეცნობისა და ფლობის უნივერსალურ სიმბოლოდ იქცა. გამონაკლისი არც საზარებისეული სახისმეტყველებაა, სადაც კარი თავად იესო ქრისტეს სიმბოლოა - „მე ვარ კარი (ამბობს მაცხოვარი) ჩემ მიერ თუ ვინმე შეიღებს ცხონდეს“ (იოანე, 19:7-10). აქედან გამომდინარე, მართლმადიდებლურ ტაძარ-



იაპონური საკრალური თალი - თორია


ში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აღსავლის კარს, რომელიც საკურთხევის სიმბოლოა კის თანახმად „ზეციური სასუფეველის კარიბჭეს წარმოადგენს“ (ლ.ა. უსპენსკი). კარიბჭე ამასთანავე ღვთისმშობლის სიმბოლოცაა („ბჭე-დახშული“ ქალწულობის სიმბოლო და აგრეთვე სასუფეველში შესვლის საშუალება).

კარის (კარიბჭის) სიმბოლური დიპაზონი საკმაოდ ვრცელია სხვადასხვა ეთნოკულტურებში. უძველესი წარმოდგენებით, სწორედ კარიბჭის მეშვეობით ხდებოდა ერთი სამყაროდან მეორეში გადაადგილება ანუ ამქვეყნიური ცხოვრებიდან მიღიორ (ქტონურ) სამყაროში აღმოჩენა. საკრალური კარის არათუ უნებლედ გაღება, არამედ მიახ-



石門清玉秋風吹下紅雨  
 丙子年秋  
 吳昌碩

ლი კოიანი. „შემოდგომის კარი“. XX ს. 40-იანი წწ. (ჩინეთი)



იშთარის კარიბჭე ბაბილონი. დაახლ. ძვ წით 580 წ. (რეკონსტრუქცია). ბერლინი, სახელმწიფო მუზეუმი

ლოკებაც კი საბედისწერო ხდებოდა მათთვის. ვინც წინასწარ არ იყო სათანადოდ მომზადებული ამ ქმედებისათვის.

ესოდენ მნიშვნელოვან „საზღვარს“, კარიბჭეს, როგორც წესი, სჭირდებოდა მცველნი - რეალური ან სიმბოლური: თუ აღსავლის კარის მიჯნას კრეტსაბმელი იცავს, უძველეს რელიეფებში ეს მისია, „სიმბოლური მცველისა“ ქვის ან ბრინჯაოს ლომ-არწივეებსა და დრაკონებს აკისრიათ...

ტაძრის კარიბჭე ერთმანეთისაგან მიჯნავდა ორ სამყაროს - პროფანულს (ყოფითსა) და საკრალურს, ხოლო „სამეფო კარს“ უკვე ძალაუფლების ყოვლისშემძლეობა უნდა განესახიერებინა და ამიტომაცაა ესოდენ შთამბეჭდავი სრა-სასახლეოთა კარიბჭეების ჩვენამდე მოღწეული ისტორიული ნიმუშები. ამითვე აიხსნება, რომ ძველთაძველი რწმენით, მეფემ, ხელისუფალმა სწორედ სასახლის კარიბჭესთან უნდა „ჰქმნას სამართალი“...

**თაღის** სიმბოლიკა ხშირად ემთხვევა კარიბჭისას და ამიტომაც, რომ

ზოგჯერ ის ნაგებობა, რომელიც არქიტექტურულად თაღია, ისტორიაში კარიბჭის სახელითაა დარჩენილი (მაგალითად, „იშთარის კარიბჭე“ ბაბილონიში). ამასთან ერთად, თაღს, რაღა თქმა უნდა, მინც აქვს საკუთრივ თავისი სიმბოლიკა.

დიდი ხნით ადრე ტაძრების აღმართვამდე, ადამიანს სურდა თავისი მფარველი ზებუნებრივი ძალებისათვის ისეთი ხელშესახები სიმბოლო მოეძებნა, რომელიც ვიზუალურად განასახიერებდა ამ ზეგარდმო ძალთა წინაშე თავმოდრეკას: ამგვარ ნაგებობათაგან ყველაზე პრიმიტიული სტრუქტურის დოკუმენტია ინგლისში - მათ ქვეშ გავლა საკრალურ ქმედებად მიიჩნეოდა; ასეთივე დანიშნულება აქვს ორ ბოძზე გადებული ძელს, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია სინთოისტური ტაძრის სიმბოლური კარიბჭის - „თორიას“



„ბულანდ-ღარეაზა“ („დიდებული კარიბჭე“). შოლოთა დინასტიის დროინდელი ძეგლი. (XVI ს. დასასრული). ფატიხპურ-ხიკრი, ავრა. ინაოთი (ამგვარი ტიპის კარიბჭეს ისლამურ არქიტექტურაში „ბეშთაქი“ ეწოდება)



ჭებოლა თაღის სიმბოლიკას ძველ რომში: ტრიუმფალურ თაღქვეშ უნდა გაველოთ გამარჯვებულ მხედართმთავრებსა და მეომრებს. ამავე თაღქვეშ ატარებდნენ ტყვეებსაც (ეს სიმბოლური აქტი მათი უარყოფითი ენერგეტიკის უნებელსაყოფად იყო გამოიხვეწილი).


უძველესი რომაული ტრიუმფალური თაღები ხისა იყო და არ შემორჩენილან. ხოლო უფრო გვიანდელნი – ქვისა (სეპტიმიუს სევერისის, კონსტანტინუს, იანუსის, ტიტუსის, დრუზის...) რომის ისტორიული ხობლის განუყოფელი ნაწილი გახდა.

ზოგიერთი თაღი (ისეთი, როგორც პარიზის ტრიუმფალური თაღია) ეროვნული ღირსების სიმბოლოებად აღიქმებიან. ზოგიერთს (მაგალითად, აქ, ქვევით გამოსახული) მხოლოდღა არქიტექტურული ნოვაციიაა. რომელიც ისევე წარმოშობს „ტყუარისცალებს“, როგორც თავის დროზე ბაბილონისა თუ რომის დიდებული კარიბჭენი, მაგრამ, სამწუხაროდ, ყოვლად უსახურსა და ულაზათოს.

„თორმეტი ქუჩა სხივებადაა განფენილი ვარსკვლავის მოედნიდან, რომლის ცენტრი – ტრიუმფალური თაღია. ამ ქუჩათა უმეტესობა, წესისამებრ, მეომართა სახელებს ატარებს. გრანდ არმეს პროსპექტი მოედნის შემდეგ ელისეს მიწოდებში გადადის და ნუიამდე აღწევს. ცხადია, ერთ მსუენიურ დღეს, აქ პორიზონტი უნდა დაემშვენებინა ამ ტრიუმფალური გეზის საკადრის თაღს“.

ანდრე მორუა, „პარიზი“

სახით, ყველაზე დახვეწილი არქიტექტურული ფორმა მაინც თაღია, რომლის ნიმუშები შემოგვინახა შუმერულ-ბაბილონურმა და ანტიკურმა ხუროთმოძღვრებამ. ძველ ბაბილონში გამოირჩეულად შთამბეჭდავი იყო იშთარისა და მარდუქის თაღები; იერუსალიმის „ოქროს კართან“ ელოდებოდნენ იუდეველნი მესიის გამოცხადებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენი-



„საქორწინო კოშკი“, არქიტექტორი იოზეფ მარია ოლპრაზა, მატრილენაქე, დარმშტადტი, გერმანია (1907-1908 წწ.)

ხატა

კატა, ძალღთან ერთად, ჩვენი ყოფის იმდენად განუყოფელ ნაწილად იქცა, რომ ჩვენ ერთგვარი ძალდატანება გვეჭირდება მისი დამოუკიდებელი „სიმბოლური არსებობის“ გასაცნობიერებლად.

კატა ჩვენს ერამდე დაახლოებით 2500 წელს მოაშინაურეს ძველ ეგვიპტეში და მან მოკლე ისტორიულ პერიოდში „მოახერხა“, რომ ლომის ნაცვლად, ეგვიპტის ერთ-ერთი მთავარი ღვთაების - ბასტეტის იერით წარმოჩენილიყო. ბასტეტი, რომელსაც ახლა უკვე ქალის ტანითა და კატის თავით გამოსახავდნენ, მთვარის ღვთაებად ითვლებოდა და ნეტარებასთან, ნაყოფიერებასთან, ბუნების დამცავ ძალებთან იყო ასოცირებული. ამიტომაც, კატებს ეთაყვანებოდნენ. ხოლო მათ მუშიებს გვერდით თავგებს უდებდნენ, რათა ამ ოთხფეხა კერპებს იმ ქვეყანაზეც შეეძციათ თავი და საკვები არ მოკლებოდათ. ძველეგვიპტური ტრადიცია ბერძნულმა და რომაულმა პანთეონმა განაგრძო და კატა არტემიდეს (დიანას)

ატრიბუტი ხდება. ამასთანავე, ძველ რომში კატები, თავნება ხასიათის გამო, თავისუფლების სიმბოლოდ მიიჩნეოდნენ.


ინდურ მითებში კატას ასევე პოზიტიური სიმბოლიკა აქვს: ახლადბადებულთა ქალღმერთი სწორედ კატაზეა ამხედრებული და ამიტომაც, ინდუიზმის მიმდევარნი ცდილობენ არ აწვეინონ ამ ცხოველს. კატას ბუდისტებიც რიდით ეპყრობიან, მიუხედავად იმისა, რომ გადმოცემის თანახმად, კატებმა, ისევე, როგორც გველებმა, უარი თქვეს ბუდას დატირებაზე.

ჩვენ ახლაც არ გვსიამოვნებს, შაეი კატა რომ გადაგვიჭრის გზას. ამ „შიშს“ უშორესი წარმომავლობა აქვს: შაეი კატებს ძველ დროში იშვით მაგიურ უნარს მიაწერდნენ, რაც შედეგდება ძველბერძნულ ადათში, რომლის თანახმადაც, შაეი კატის ფერფლს მინდორში გაფანტავდნენ მოსავლის სიუხვისათვის. ძველ კელტებთან კატა ბოროტი ძალების სიმბოლოდ მიაჩნდათ და შესაბამისად, უსწორდებოდნენ კიდევ. ეს კელტური ცრურწმენა გაძლიერდა შუა საუკუნეების ევროპაში და „კუდიანებზე ნადირობა“ ხშირად




ცნობილი „ჩემირის კატა“ ლუის კეროლის ზღაპრიდან „ალისა ხაოცრებათა სამყაროში“ (მხატვარი ჯონ ტეილი, 1865 წ.)

კატებზე ნადირობასთან იყო გაიგივებული, რადგან კატა თავისი მისტიკური თვისებებით, სიბნელეში ხედვის უნარით, თვალების ცვალებადი ფერი-თა და კაპასი ხასიათით „კუდიანების“ განუყრელ ატრიბუტად ითვლებოდა. კატებს ასამართლებდნენ, კოცონზე წვავენდნენ და მიაშიტურად სჯეროდათ, რომ „კუდიანებს“ ნებისმიერ დროს შეეძლოთ კატად გადაქცევა. შუა საუკუნეების იტალიაში სწამდათ, რომ სწორედ ასეთი, კატადქცეული „კუდიანები“ წელიწადში ერთხელ იკრიბებო-



კატა მონადირეული ფრინველით. ქობის მრზაიკა. ძე. წით. I ს. ნეაპოლი, ნაციონალური არქეოლოგიური მუზეუმი



კატის მუშა ბუბასისის კატა სამარხიდან (სტელო ვეიკიტი)

დნენ ვერონის მახლობელ მთაზე.

არანაკლებ პირქუში სურათია ქართულ მთიანეთში: „ჯვარ-ხატა საყმობში კატა უწმინდურ ცხოველად არის შერაცხული, რომლის სისხლს მაგიურ საშუალებად იყენებდნენ... კატა ანტიმ-სხვერპლია. მისი სისხლი აუწმინდურებს ყველაფერს, რასაც კი მიესხურება. წმინდა სისხლით განათლულ თას-ვანძს კატის სისხლი მალას ართმევს და ჩვეულებრივ საგნად აქცევს“ (ზურაბ კიკნაძე). ქართულმა მითოლოგიამ შემოინახა სიუჟეტი, რომელშიც ღამსარის ბერძენის მოჭრა მხოლოდ მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც ზეს შავი კატის სისხლი აკურეს.

ფსიქოლოგებისათვის კატა „ტიპირად ქალური ცხოველია“, რადგან


„ქალს გაცილებით უფრო ღრმა და იდუმალი შინაგანი ბუნება აქვს, ვიდრე მამაკაცს“ (აეპლი). აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ამა თუ იმ საზოგადოებაში კატის უარყოფითი სიმბოლო ხშირად ქალისადმი დამოკიდებულებაში დამკვიდრებული ნეგატიური სტერეოტიპების ქვეცნობიერი ჩანაცვლებაა. ეს მშვენიერად აისახა ინგლისურ ეპითეტში „catfish“, რომელიც ცბიურ, გესლიან, დვარძლიან ქალს გულისხმობს... („cat“ - მოგეხსენებათ, ინგლისურად - კატა); ასევეა გერმანული სიტყვა „კურტიკოსის“ ეტიმოლოგიაში. („კურტიკოსი“ - „ketzer“, ხოლო „კატა“ - „katze“).

## პატარა

კატკაკი ვეროპაში ის სიმბოლური ფრინველია, რომელიც ენაჭარტალობასთან, ჭორიკანობასთან და ხელმრულობასთან არის დაკავშირებული. ოგილიუსის „მეტამორფოზებში“ აღწერილია, თუ როგორ გადაიქცა ერთი ენაჭარტალა დედაკაცი კატკაკად.

ეს ცნობისმოყვარე და დაუდგომე-

ლი შავ-თეთრი ფრინველი, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩინურ ტრადიციაში გამოირჩეულად კეთილისმყოფელ სიმბოლურ მნიშვნელობას. ითვლებოდა, რომ „ხალისიანი კატკაკის“ ხმა მოასწავებდა სასიხარულო ამბავს, ან ნანატრი სტუმრების მოსვლას. ჩინეთში კატკაკთან დაკავშირებული იყო ერთი ტრადიცია: ხანგრძლივი განშორების წინ, მეუღლენი სარკეს ორად ყოფდნენ და დალატის შემთხვევაში კატკაკად გადაქცეული სარკის ნატეხი აუცილებლად ჩამოუჭიკჭიკებდა „დაზარალებულს“ ყოველივეს. ამიტომაც, სარკეების ბრინჯაოს ჩარჩობებზე ხშირად იყო გამოხატული კატკაკი. კატკაკის სარკესთან დაკავშირება, უთუოდ, არ არის მხელი ასახსნელი, რადგან, როგორც ვიცით, ამ ფრინველს ბრჭყეილა ნიეთები იზიდავს. დაბოლოს, ჩინეთში ორი კატკაკი ბამბუკისა და ქლიავის ხეზე დღემდე საქორწინო ბედნიერების სიმბოლოა, ხოლო თორმეტი კატკაკი - საახალწლო მილოცვის იდეოგრამა. ისე რომ, თუკი ამ ქვეყნიდან მიიღებთ ღია ბარათს თორმეტი კატკაკის გამოსახულებით, ჩათვალეთ, რომ უახლოეს ერთ წელიწადს თქვენს კეთილდღეობას ეს თორმეტი კატკაკი უდარავებს.



კატკაკი ქლიავის ვეაილეში. ჩინური ინდიო. XX ს. 50-იანი წწ.

ქედარი



კედარი - შუმერებთან „სი-ცოცხლის ხე“ - უკვდავებისა და ძლევაშობილუების სიმბოლოა. ამ მარადმწვანე

ხის შთაბეჭდვამა სიმაღლემ, ხნოვანებამ და კეთილსურნელებამ კედარის ბიბლიურ სიმბოლიკაშიც პოვა ასახვა. სადაც ის მოუყვიფველობას, ძლიერებასა და დღეგრძელობას განასახიერებს.

ლიბანის კედარი (რომლის სინონიმად ბიბლიაში იხმარება „ნაძვი ლიბანისა“) გამოიყენეს სოლომონის ტაძრის მშენებლობისას. აღსანიშნავია, რომ ამ ხისა და ლიბანის ბუნებრივი თანაშეწყვილება ქვეყნის სიმბოლოდ გადაიქცა და კედარი, როგორც ლიბანის სახელმწიფო ემბლემა მის დროშაზეა გამოსახული.



ლიბანის სახელმწიფო დროშა

ანტიკურ ეპოქაში კედრისაგან მზადდებოდა რიტუალური ჭურჭელი; ძველ ათენსა და რომში, აგრეთვე ღვთაებათა და გამოჩენილ ადამიანთა ბიუსტები. ბიბლიის მიხედვით, უფლის კეთილგანწყობა იუდეველთადმი უდაბნოში კედრის გახარებაში გამოიხატა. ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა წიგნებში (ეზეკიელი) კედარი მესიას (მხსნელს) განასახიერებდა. ეს სიმბოლიკა ქრისტიანულმა ტრადიციამ გაითავისა და „ღუთის ხე“ შემდგომ, უკვე თვით იესო ქრისტეს ერთ-ერთ სიმბოლოდაა მიჩნეული.

ქენტავრი

ხორხე ლუის ბორხესი წერს, რომ „ქენტავრი - ყველაზე ჰარმონიული ქმნილება ფანტასტიური ზოოლოგისა...“. არქული გამოსახულებანი წარმოგიდგენენ შიშველ ადამიანს, რომელსაც უკნიდან ცხენის გავა აქვს მიმაგრებული. ოლიმპიაში ზევსის ტაძრის დასავლეთ ფრონტონზე ქენტავრებს უკვე ცხენის ფეხები აქვთ გამოზმული, ხოლო იქ, სადაც ცხენის კისერი უნდა დაიწყოს - მამაკაცის ტორსია ამოზრდილი.

მითიური ქენტავრები „წარმოქმნა“ თესალიის მეფემ იქსიონმა და ღრუბელმა, რომელსაც ზევსმა ჰერას (იუნონას) იერი მისცა: უფრო „დაძინებული“ ვერსია გვამცნობს: „არდგანაც პომეროსის დროინდელი ბერძენებისათვის ცხენოსნობა ჯერ კიდევ უჩვეულო რამ იყო. პირველივე სკითხი მხედარი, რომელიც მათ დაინახეს, შორიდან რაღაც ერთარსებად - ცხენკაცად მოეჩვენათ“. ამ მოსაზრების მომხრენი საბუთად იშველიებენ დადასტურებულ ფაქტს, რომ კონკისტადორი-ცხენოსნები ინდიელებს ქენტავ-

რები ეგონათ. მაგრამ ბერძენებისათვის, ინდიელებისაგან განსხვავებით, ცხენი უცხო რამ არ იყო: ამიტომ, უფრო დამაჯერებელია ვიფიქროთ, რომ ქენტავრი - ესაა საგანგებოდ შექმნილი სახე-სიმბოლო და არა გაუგებრობის ნაყოფი.

როგორც სიმბოლო, ქენტავრი მხედრის აბსოლუტური ანტიპოდი გახლავთ ანუ განასახიერებს ბნელ, ირაციონალურ, ინსტიქტურ ძალებს. დიქტატს სულსა და გონებაზე. სწორედ ასეთ ავხორც არსებებად არიან წარმოდგენილი ქენტავრები იკონოგრაფიაშიც.


მაგრამ ქენტავრს განსხვავებული სიმბოლიკაც აქვს და ბერძნული მითოლოგიიდან ჩვენს გვახსოვს ქენტავრი ქირონი, ჰერაკლეს ბრძენი მოძღვარი და მკურნალი, რომელმაც თავისი უკვდავება პრომეთეს გათავისუფლებას შესწირა და საიუდედოდ დამკვიდრდა სამხრეთის ცაზე ქენტავრის თანგავარსკვლავედის სახელით.

კერა

კერა განასახიერებდა ქართული სასიძლერო მეტაფორისა - „მზვე, შინ შემოდიო“. ეს „კერაში ჩამდგარი მზე“ დასაბამიდან უქმნიდა ადამიანს ერთიანობის, უსაფრთხოების, ოჯახური სიმკუდროვისა და სიმშვიდის განწყობას. ამიტომაც ყველა კულტურაში, ისტორიულად, - „კერას“ საკრალური მნიშვნელობა ენიჭება და ოჯახური ტრადიციის უწყვეტობას განასახიერებს. აქედან გამომდინარე - „გაციებული კერა“, - გაწყვეტილი ტრადიციაა. მოსხვილი გენეალოგიური (საგვარტომო) ხე და მომავალზე დასმული წერტილი.

კერას, მოგვხსენებთ, უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს, როდესაც ლაპარაკია კულტურისა თუ ცივილიზაციის კერაზე, მაგრამ ჩვენთვის ამჯერად, არა განზოგადოებული, არამედ მისი თავდაპირველი სიმბოლიკაა საინტერესო: კერის მფარველ ანგელოზთა და ღვთაებათა ტრადიცია დაავკი-





კიტ სტეპი. ღვთისმშობლის ტაძრის საკურთხეველი კრაკოვი. ფრაგმენტი (1477-1489 წწ.)

რკვინა ქალღმერთ პესტიას (რომაელებთან - ვესტას) კულტმა ბერძნულ-რომაულ პანთეონში. ვესტას ტაძარი რომში ყველაზე საპატიო ადგილზე იყო აღმართული - ფორუმზე. აქ წლის დასაწყისში (1 მარტს) უზენაესი ქურუმი („Pontifex maximus“) ლინზით ან-


თებდა ღვთებრივ ცეცხლს, რომელსაც მთელი წელი უნდა გაფრთხილებოდნენ ქურუმი ქალები - ვესტელები (ჩაქრობის შემთხვევაში - გაროზვეით ისჯებოდნენ).

მართალია, ძველი რომი განსაკუთრებული მალაღზნეობრიობით არ გა-

მოირჩეოდა, მაგრამ ოჯახის ინსტიტუტი სასუბით სამართლიანად ითვლებოდა სახელმწიფოს საფრენად. სწორედ ეს გამიზნული პოლიტიკა განაპირობებდა ვესტას კულტის ყოვლისშემძლეობას: როგორც პლუტარქე მოწმობს. ძველ რომში 230 წლის განმავლობაში, ცოლ-ქმარი არ გაყრილა და ყველას პირზე ეკერა სახელი კაცისა, რომელიც პირველი გაყვარა ცოლს - ეს კარგილუს სპურიოსი გახლდათ.

ქართული წარმართული პანთეონიდან არ შემოგვრჩენია ვესტას ანალოგიური ღვთაება. შესაძლოა იმიტომაც, რომ ეს „მფარველობითი ფუნქცია“ გადანაწილებული ქქონდათ სხვადასხვა „კეთილ სულებს“. ზომორფულ არსებებსა თუ საკრალურ საგნებს. ასეა თუ ისე. „კერის“ ტრადიციურ არქტიპი ქართულ ცნობიერებას დღემდე შემორჩა და ისტორიული მეტამორფოზების მიუხედავად, თავისი სიმბოლიკის უმთავრეს შინაარსს ინარჩუნებს.

ხანძი



ჩვენთვის კვანძი, ნასკვი, ზონარი, კანაფი ან თოკი, - გადაბმული თუ გაუნასკევი, -

ყოფის პროზაული დეტალებია. მხოლოდღა სათავგადასვალო ფილმში თუ მოეკრათ თვალს, რომ უხეიროდ გადანასკეულმა სამაშველო თოკმა პერსონაჟის სიკოცხლე იმხზვერაპლა. კინემატოგრაფისისაგან განსხვავებით, კვანძის სიმბოლიკა ესოღენ უმუალოდ არ გამოსახავს მის საბედისწერო ასპექტს. მაგრამ, ძნელი არაა დაერწმუნდეთ, რომ მითოლოგიურ წარმოსახვაში მნიშვნელობა ენიჭება უმთავრესად დეტალებს: რა რას გადაეკლო, რამდენი ნასკვია ამა თუ იმ ზონარზე, დაბოლოს - რომელი უხზლავი არსების გულის მოსაგებად „აღიძრა ეს საკვანძო საკითხი“...

კვანძის სიმბოლიკა განსაკუთრებით მკაფიოდ აისახა დეკორატიულ ხელო-

ენებაში და, თუ თქვენ დააკვირდებით საკულტო ნაგებობათა ფრიზებზე გაყოფულ ღვივოს. არ გაგივიწყლებათ ამოიცინით ურთიერთგადაჭობილი კვანძები, რომელთა თავ-ბოლო ერთმანეთს ერწყმის მითიური გველის - ურობოროსის (იხ. ჩვენი ენციკლოპედის II ტომი) მავკვსად. უწყვეტობის ესოდენ თვალნათელი ხაზგასმა ჯერ კიდევ „ისიდას მარწყუიდან“ მომდინარეობს - ძველი ეგვიპტიდან. სადაც ოვეალურად განასკეული ზონარი უსასრულობას განასახიერებდა. შემოხვევითი არც ისაა, რომ ფარაონის სახელის აღმნიშვნელ იეროგლიფს შემოვლებული ჰქონდა „კარტუში“ - უწყვეტი, ოვალური ჩარჩო.

თუ ღვივორტიულ მოტივად ქცეული ე.წ. „თავისუფალი კვანძები“ უსასრულობასა და მარადიულ სიცოცხლეს განასახიერებენ. მჭიდროდ განასკეულნი რისმე ფიქსაციას და სამუდამო კაცშირს (ზოგჯერ ძალდატანებითს). ამგვარი კვანძის მითოლოგემა გახლავთ მუფე გორდაისის მიერ დახლართული კვანძი, რომელიც ხმლის ერთი დაკვრით ჩაჭრა აღუქსანდრე მაკედონელმა. აქედან მოდის გამოთქმა - „გორდაისის კვანძის გახსნა“. რაც რთული, ჩახლართული საკითხის მარტივ და თამამ გადაჭრას გულისხმობს. აქვე უნდა ითქვას, რომ უძველესი ლეგენდის თანახმად, გორდაისის კვანძის გამხსნელი მთელ აზიას დაიპყრობდა და, ერთი შეხედვით, აღუქსანდრე ედიღმა აღასრულა ეს წინასწარმეტყველება. მაგრამ, თუ ხატოვანი გამოთქმებიდან ისტორიულ რეალობას დაევუბრუნდებით, დავინახავთ, რომ მიუხედავად ესოდენ ეფექტური მიზანსცენისა, აღუქსანდრე მაკედონელმა ვერ მოახერხა აზიის შენარჩუნება და, შეიძლება ითქვას, რომ გორდაისის კვანძი განასკეული დარჩა... ამგვარი სიტუაციებიდან მორალური გაკვეთილი გამოაქვს ბუდიზმში, რომლის მიხედვითაც, ჩახლართული კვანძი მოთმინებით და არა ძალმომრეობით უნდა გაიხსნას. არაა გასაკვირი, რომ კვანძი შერწყმული თავ-ბოლოთი ერთ-ერთ


თია ბედნიერების რვა სიმბოლურ ნიშანთანაა ბუდიზმში.

ანტიკური მეცნიერების საკარლური სიმბოლო - განასკეული ზონარი - ეზოთერიულ ცოდნას. გარემოთათვის მიუწვდომელ საიდუმლოს განასახიერებდა; მხოლოდ კვანძის გამანსკევა იცოდა ის ხერხი, რომლითაც შესაძლებელი იყო მისი გახსნა.

ინდური „უჰანიშადები“ განმარტავენ, რომ არსებობს ერთგვარი სულიერი ძაფი, რომლითაც ერთიანდება ყოველივე ამ სამყაროში - დაახლოებით ისე, როგორც ძაფზე ასხმული მარგალიტები. ამიტომაც, რომ უმადლეს ინდურ კასტას - ბრამინებს - განმასხვავებულ ნიშნად დაბადებიდანვე უკეთი-

ათ ყელზე განასკეული წმინდა ზონარი. აქსელბანტები სამხედროთა საპარალელ მუნდირებზე, ოქრომკედით გაწყობილი ნაირგვარი ზონარები, განასკეული შარფები, დაბოლოს, - ყოველად ტრივიალური ქალსტუხიც კი, - სწორედ ამ სიმბოლური იდეის საკუნძონობრივი ევოლუციის შედეგია.

„კვდების“ ეპოქის ინდოელთა მდიდარი წარმოსახვითი ცხოვრება იმ მარიონეტების თეატრს ემსგავსებოდა. სადაც თოჯინებს უხილავი ხელი ამოძრავებს და სადაც ძაფს და ყოველ ნასკვს ამ ძაფზე მაგიური მნიშვნელობა აქვს. „კვდური“ ღმერთები (ვარუნა, იამა, ნირტი და სხვები) სწორედ იმ „ძაფთა-მპრობებლებად“ იყვნენ წარმოსახულნი,



ჯილო ურელი. ბრძოლა სან რომანოსთან. ფრანკენტი. 1475 წ. ლონდონი, ნაციონალური გალერეა (წრებაში მოქცეული კვანძი - ფლორენტიელთა ბელადის, ნიკოლო და ტილენტინოს ემბლემა)



ქვეყნის ა. ბიზანტის ხანმეფობის სტრატეგია 1702 წ.

რომელთა ნება-სურვილზეა დამოკიდებული ცხოვრებისეული თეატრის „რეპერტუარიც“ და „რეჟისურაც“.

თუ ცხოვრების ჩვეული მდინარება ძაფად წარმოისახებოდა, ნასკვი ამ ძაფზე ის კაშხალი იყო, რომელიც გზას უღობავდა ცხოვრებისეულ ნაკადს. მეორე მხრივ, თუ ამ ცხოვრებისეულ მდინარეს რაიმე საფრთხე მოჰქონდა, სწორედ კაშხალს უნდა შეეჩერებინა. ამ ორი ძირითადი წარმოდგენიდან გამომდინარე, ნასკვი ხან „თეთრ“ მაგიას მიეკუთვნებოდა. ხან კი - „შვს“. ითვლებოდა, რომ ბაბილონელ მოკვებს შორ მანძილზე შეეძლოთ ადამიანის მოკვდინება მხოლოდღა მაგიური ზონარის სათანადო განასკვით. ამ სიმბოლიკიდან გამომდინარე, პლინიუსი ცუდ ტონად მიიჩნევდა საზოგადოებაში გულზე ხელდაკრფილ ან ფეხი-ფეხ გადადებულ ჯდომას. დოსტატიკები და ექიმბაშები ცდილობდნენ მარყუქში მოეკციათ მტკიცეანი ორგანოები, ხოლო მათი პაციენტები კისრიდან არ იცილებდნენ საგანგებოდ განასკველ თასამთილისმებს.

ფრანცისკანელი ბერების წელზე შემორტყმული თოკის სამი ნასკვი მათ სამ აღთქმას განასახიერებდა: უპოვრობისა, უქორწინობისა და მორჩილების...

ქორწინებას კვანძი თავისი „თეთრი მაგიითაც“ უკავშირდება და „შვიტოაც“: ერთი მხრივ, ის კუბიდლის ატრიბუტი იყო და ნასკვი ქორწინების სიმბოლო გახლდათ; ძველ რომში, პატარძ-

ლის ტუნეის სარტყელს საგულდაგულად კრავდნენ - ამას „პერკულეის ნასკვი“ ერქვა. „პირველი ღამის“ პრობლემა ამ მზაკრულად შეკრული ნასკვის გახსნით იწყებოდა... მაგრამ, იმავ რომში იოვალისწინებდნენ ნასკვის „შავნულ მხარესაც“ და ამიტომაც, არც ერთი კვანძი არ უნდა ჰქონოდა იუპიტერის ტაძრის ქურუმის სამოსს ან ნებისმიერ საგანს, რომელიც მშობიარეთა მფარველის - იუნონა ლიუსინას „თვალსაწიერში“ აღმონდებოდა...

ისტორიამ შემოგვინახა სრულიად ოლიზური ფაქტებიც: 1705 წელს მოტლანდიაში მიკელი მიუსაჯეს ორ კაცს, რომელთაც მოჯადოებულები მარყუქების მოპარვა ბრალდებოდათ.

მორწმუნე მაჰმადიანები საგანგებოდ განასკევდნენ ხოლმე თავის გრძელ, პატრიარქალურ წვერს, რათა „გზა გადაეკეტათ“ ეშმასათვის. მაგრამ მექაში, წმინდა ქალაქში მომლოცველობისას, ეს სიფრთხილე ზედმეტი იყო და ამიტომაც ტრადიციამ კრძალავდა „წვერგადანასკველ“ ჰაჯს.

ნასკვის სიმბოლუმა ისტორიამ ჩვენამდე საკმაოდ სახეცვლილმა მოაღწია: დღეს ჩვენ ჰალსტუხისა თუ შარფის განასკვისას არ ვფიქრობთ მათ მაგიურ ძალაზე და გაკვანძული ზონარებით არ ეცდილობთ ვისმეს დასჯას. ჩვენი სასჯელი ჩახლართული ურთიერთობებია, რომელნიც არანაკლებ გვთრგუნავენ, ვინემ ნებისმიერი მაგიური ნასკვი და რომელთა არსში წვდომა ჩვენ ესოდენ გვიჭირს და გვეზარება ხოლმე...


### კვერცხი

კვერცხი - ესაა სიცოცხლის დაბადების ხილული მისტერია, ვიზუალური ფენომენი შექმნისა თუ წარმოშობისა. ამიტომაც, უძველესი კოსმოგონიური წარმოდგენებით, სწორედ „წინარეკვერცხიდან“ იშვა თავად სა-მყარი: ევეიპტური ტრადიციის მიხედვით, ქაოსიდან (არარსიდან) წარმოიქმნა კოსმიური კვერცხი, რომლიდა-



პირო დელა ფრანჩესკა. „ღვთისმშობელი ჩვილი იესოთი“. ფრანკენტი (დაახლ. 1475 წ.). მილანი, ბერა

ნაც, თავის მხრივ, იშვა ყოვლისშემქმნელი ღმერთი (ღემიურგი). კვერცხი ძველ ეგვიპტეში ქალღმერთ სიდას ეძღვნებოდა და ამიტომაც ქურუმებს ეკრძალებოდათ მისი ჭამა; ევეიპტეშივე გვხვდება მუმბის თავზე პაერში გამოკიდული კვერცხის გამოსახულება - ეს ხელმეორედ დაბადების სიმბოლო გახლდათ. ვარაუდობენ, რომ სწორედ ამ სიმბოლოსაგან არის წარმომდგარი მარყუქისდაგვარი ევეიპტური ჯვარი -



უაბრავს კვერცი (ნეფრიტი, მინანქარი, ოქრო). 1901 წ. რუსეთი

„ანკრი“ (იხ. „ჯვარი“). ეგვიპტური ცნობისწადილი და სიცოცხლის ფენომენის წვდომის სურვილი მკაფიოდ აისახა კვერცხის – ბუნების ამ პატარა საოცრების გაფეტიშებაში: ეგვიპტელთა განცვიფრებამ სიფრიფანა ნაჭუჭის ქვეშ დამალული სიცოცხლით. წარმოშვა ანალოგია, რომ თვალთაგან დაფარულ, უჩინარ საგნებს (ჩვენ „ოკულტურს“ რომ ვუწოდებთ) თავისი, დამოუკიდებელი ცხოვრების რიტმი აქვთ. ამიტომაც, სიცოცხლის კოსმიურ მოდელს მათთვის ყველაზე სრულყოფილად სწორედ კვერცი განასახიერებდა.

ბაბილონური მითოლოგიის თანახმად, „პირველკვერცი“ მდინარე ეფრატში ციდან ჩავარდა და სწორედ ასე იშვა ქალღმერთი იშთარი: ინდუიზმში კოსმიური კვერცი „პირველწყალზე“ დაღო ღვთაებრივმა ფრინველმა, ხოლო გადაპობილი კვერცხის ორმა ნახევარსფერომ წარმოშვა ცა და დედამიწა; ირანული წარმოდგენით, კვერცი სამყაროს შექმნისა და სასიცოცხლო საწყისის სიმბოლოა, ხოლო ცა – გიგანტური კვერცხის მოელვარე ნაჭუჭს წარმოადგენს; იმავე ირანში ჩვ. წ-მდე VIII ს. აღმოცენებული ზო-

როასტრიზმის მიხედვით, სამყაროს ორი, ურთიეროსაწინააღმდეგო აბსოლუტური საწყისის განსახიერებანი – ორმუხდი და არიამანი ერთმანეთს პირიდან სტაცებენ „მსოფლიო კვერცხს“; ჩინელებს სწამდათ, რომ პირველი აღამიანი იმ კვერცხიდან გამოიჩეკა, რომელიც, ციდან ჩამოვარდნილი, „პირველწყალზე“ ტოვტივებდა; ანტიკური ვერსიით, კვერციდან იშენენ პოლიდეკეხი და მშვენიერი ელენე (სპარტის ერთ-ერთ ტაძარში ამ „ისტორიული“ კვერცხის ნაჭუჭს ანახებდნენ...); კვერცხს საკრალური მნიშვნელობა აქვს იუდაიზმშიც; მოსოუული კვერცი, იმედისა და მარადიული სიცოცხლის ეს სიმბოლო, აუცილებელია სედერის (გბრაული პასექის) თუ სულის მოსახსენიებელ სარიტუალო სუფრაზე.

კვერცი, ვითარც უკვდავებისა და ნაყოფიერების თვალნათელი განსახიერება, გაზაფხულისა და შემოდგომის ბუნიობის დღესასწაულების უციოლობელი ატრიბუტი გახლდათ იმ ქვეყნებში, სადაც გავრცელებული იყო მითრიაზმი: ბუნიობისას, ქურუმები სამსხვერპლო ხარის სისხლს აკურებდნენ ყოველივეს, რასაც კი ამ სისხლის სიწიფითი („მზისფერობით“), – სწორედ მზის ცხოველყოფილობა უნდა შესძენოდა. ამ ანალოგიით, აღდგომის დღესასწაულზე წითლად შეღებილი კვერცი უკვე ორმაგ სიმბოლიკას იძენს – გაზაფხულისა და მაცხოვრის აღდგომის, ხელახალი დაბადებისა...

„კოსმიური კვერცი“ ამასთანავე შუალედურ მდგომარეობასაც განასახიერებს – ქაოსსა და სამყაროს წესრიგს შორის, როგორც სიცოცხლის სიმბოლური პირველწყარო, არ არის გასაკვირი, რომ ძველი კელტების მისტიკური ქურუმები – დრუიდები ამუღეტებად კისერზე შებმულ ბროლის კვერცხებს ატარებდნენ. ასეთივე საკრალური მნიშვნელობა ჰქონდა მრავალ კულტურასა და მითოლოგიას კვერცხლისა თუ ოქროს კვერცხს.

რუსული ფოლკლორის ჯადოსნური პერსონაჟის – უკვდავი კაშჩეის სუ-

ლი კვერცხშია მომწვევდელი; რუსეთშივეა აღმოჩენილი პრეისტორიული სამარხები, მიცვალებულთათვის ჩატანებული თიხის კვერცხებით. ეტყოფა, სწორედ ხლავურ სამყაროში ჩაისახა ხაიდგომო კვერცხის მოხატვის ნატიფი ტრადიცია და შემოსხვევითი არ არის, რომ სწორედ რუსეთში შეიქმნა საიუკელირო ხელოვნების ისეთი უნიკალური ფენომენი, როგორც „ფაბერჟეს კვერცხი“ იყო.

ადამიანი, რომელიც არ დაუფლებია სიმბოლოების ენას, უთუოდ გაიკვირებს, რიღესაც პიეტრო დელა ფრანკესკის ნამუშევარში – „ლუთისმობელი ერმა იესოთი“ (1450 წ.) საკურთხეველის თაღქვეშ ოქროს ძეწკვზე დაკიდებულ სირაქელმას კვერცხს დაინახავს; ხოლო მინისმებათა ენის მცოდნე კი მიხედება, რომ ეს ქათოთა კვერცხი უმანკო ჩასახებას განასახიერებს.

ასეთი გაზღავთ სამყაროს შექმნის საიდუმლოსა და პირვანდელ სიცარიელეში სიცოცხლის წარმოშობის ეს უნივერსალური სიმბოლო.

## ჰვიპაროსი

ოვიდიუსის პოემაში „მეტამორფოზები“ ერთი ასეთი ლეგენდაა გადმოცემული: საბერძნეთში, კუნძულ კელსის მეფისწულს, სახელად კვიპაროსს



სალვადორ დალი. „კვიპაროსი“ ფრაგმენტი. 1934 წ.



პინტურაიკო. ჯვაროსანთა ლაშქრობის წინ რანდუსი კურთხეას აცემენ რომის პაპისაგან, აპოლონისის ხაიდლოთიკის კელას მოხატულობა. დელოზი, სენა (იტალია). 1503-1508 წწ.

ჰყავდა მოწინაურებული ირემი – ძალიან საყვარელი და ღამაზი. ერთხელ, ნადირობისას კვიპაროსმა შუბი ისროლა შეტოკებული ბუჩქის მიმართულებით, რომლის ძირში თურმე, სიციხეს აფარებდა თავს მისი პატარა მეგობარი. მოკლული ირმის ხილვისას, შეძრწუნებულმა ყმაწვილმა აპოლონს შესთხოვა, მისთვის მარადიული გლოვის უნარი მიეჩინებინა. მართლაც, აპოლონმა კვიპაროსის აშოლტილი ტანი ხედ აქცია, ხოლო მისი ხშირი კულულები მარადმწვანე ტოტებად. ასე იქცა კვიპაროსი სიკვდილისა და გლოვის სიმბოლოდ. ძველ საბერძნეთში ამ ხის ტოტს

მიცვალებულის სახლის კარიბჭეზე ამ აგრებდნენ. ხოლო საფლავზე კი თითხეს რვაკუნდენ. კვიპაროსისგანვე ანთებდნენ კრემაციისათვის განკუთვნილ კოცონს. ალბათ, ამიტომაც და კიდევ იმიტომ, რომ კვიპაროსს მუქი მწვანე, თითქმის შავი წიწვი აქვს, ხოლო მისი სილუეტი ცეცხლის ენას ვეავონებს, ამ ხეს „მკვდარი ცეცხლის ალის მოღანდებსაც“ უწოდებდნენ. ბერძნულ-რომაულ პანთეონში, გარდა „ბნელეთის გაგებულ აიდისა“ (პლუტონისა), კვიპაროსი კიდევ რამდენიმე ღმერთსა და ქალღმერთს ეძღვნებოდა (ზევსის, აპოლონის, აფროდიტეს, პერმესს...), რად-



შვილი კვიპაროსი და თორმეტი ტოტი განასახიერებენ სამყაროს თავისი მარადიული კემშირაცებების მოზაიკა ტოტიკას სასახლე, სტამბული

გან ხე „იმქვეყნიურ“ ძალებთან იყო დაკავშირებული, სჯეროდათ, რომ კვიპაროსის ტოტს შეუძლია ბოროტ ძალთაგან დაიცვას ადამიანი ამ და იმ ქვეყანაზე.

აღსანიშნავია, რომ კვიპაროსი არის ერთი იმ სამ ხეთაგან „რომლისგან იქმნა ჯვარი პატიოსანი“ და ამასთანავე ის ღვთაებრივი ხე, რომელიც მეფე მირიანის სამეფო ბაღში იყო ამოსული. წმინდა ნინოს შეგონებით, ამ კვიპაროსის

სის ძირიდან აღებული მიწა უშვილო ცოლ-ქმარს სასწაულებრივად დაეხმარება და მათ შვილი მიეცემათ.

კვიპაროსის სპარსული სახელწოდება - ხარო, ფრიად გავრცელებული მეტაფორაა ძველ ქართულში და ჩვენს პოეზიას შემორჩა საროსტანიანი ქალიშვილების მომხიბლავი სილუეტები... კვიპაროსის პლასტიკის და მისი იდუმალების იშვიათი წვდომაა გალაკტონის ერთ პოეტურ სტროფში:

„რა ამოძრავებს კიპაროსის ტანს,  
ჩუმი შრილი საიდან არი?  
ქარი არა სხანს, ქარი არა სხანს:  
მაინც მწვერვალებს ედება ქარი.“  
(„ასევეფებრა“)

## კიბე (საფხეხურები)



კიბე ზეაღსკის სიმბოლოა და ამ ზეაღსკისაში სულიერ სიმადლეოთა დაუფლებობა იგულისხმება და სოციალური იერარქიაც. სიმბოლოთა სისტემაში კიბე ერთგვარი ანალოგი იყო „მოცილიო ხისა“, რომლის კენწეროც ცას ეჯახებოდა, ხოლო ფესვები ქვესკელამდე იყო ჩაზრდილი. აქვე უნდა ითქვას, რომ იმქვეყნიური სამყაროსკენ დაღმავალი კიბე უკვე გვიანდელი ფენომენია, თავისი საწყისი სიმბოლიკით კი კიბე, საფეხური, მხოლოდ და მხოლოდ ზეაღსკისის ეტაკებად აღიქმებოდა. ამის დასტურია საფეხურებრივი პირამიდები და ტაძრები ეგვიპტეში, ძველ პერუსა და მექსიკაში; მესოპოტამიური ზიკურატი; მრავალი არუსიანი ბუდისტური ტაძარი ბირობულური კუნძულ ავაზზე, როგორც წესი, კიბის საფეხურთა რიცხესაც ასევე სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭებოდა: მაგალითად, ეგვიპტური ტრადიციით - ასეთი საფეხური ცხრა იყო; მითრიაზმში კი - შვიდი; ბიბლიის თანახმად, იაკობს ჰქონდა ხილვა ღვთაებრივი კიბისა,



მ. კუტი „ანდრეასული და ამბროსიული“. 1955 წ.

ქობორჩხალა



„სუკური კიბე“. ხატი წმ. ეკატერინეს მონასტრიდან. XII ს. დასასრული. სინა. ვევიკტე

კიბო (რომლის ზოდატერ ორეულს - ძველ ქართულიდან შემორჩენილი სახელი კირჩხიბი ქვეა ) და მისი ბიოლოგიური „ბიძაშვილი“ - ქობორჩხალა მითოლოგიაში ერთარსებად აღიქმებიან.

კიბოს ერთი მთავარი, განმასხვავებელი ნიშან-თვისება ისაა, რომ უკუხელით დაიარება. ამ „ორიგინალობამ“ განაპირობა მისი სიმბოლური ბიოგრაფია: ითვლებოდა, რომ ის უბედურების მომტანი და რეგრესს განასახიერებს. ეტყობა, ძველ საბერძნეთში ავადმყოფობის დემონს კიბოს ფორმით წარმოსახადნენ და სწორედ ამიტომ უწოდა „პიპოკრატემ“ (V ს-ში ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ერთ-ერთ ყველაზე ფატალურ სენს ამ პატარა, უჩვეულო არსების სახელი. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ შორეულ წარსულში ბერძნებისათვის კიბო თუ ქობორჩხალა - ზღვის ემბლემა იყო. მისი გამოსახულება ზღვითა ქალღმერთის თეტიდის ატრიბუტი გახლდათ და არაერთი ზღვისპირა ქალაქის გერბს ამშვენებდა (სხვათა შორის, ქობორჩხალას დღესაც იხილავთ საეპკორო ფლოტის მეზღვაურთა ქუდებზე). მაგრამ ამ „დამსახურებამ“ ქობორჩხალას ვერ უშველა. რადგან მას კიდევ ერთი მითოლოგიური „ცოდვა“ მიეწერებოდა: ეკრძოდა, მითში, რომელშიც შეაკვლეს საშინელი. ცხრათაივინ პიდრას ებრძვის, ათენასაგან მიგზავნილი კიბო ქუსლში ჩააფრინდება დევგმირს. იმავე ლეგენდის თანახმად, შეაკვლემ პიდრას კიბოც მიაყოლა. მაგრამ, ამ უკანასკნელს თავგანწირვა და-

რომელზედაც „უფლის ანგელოზები აღი-ჩამოდიოდნენ“ (დაბ. 28:12), საფიქრებელია, ამ ანალოგიით აიხსნება ყურანის ის ეპიზოდი, სადაც მუჰამედი ხედავს ცადმიბჯენილ, ალაჰთან მისახლებელ კიბებს.

მისტიციზმში კიბე აღქმულია იდუმალ სიბრძნესთან მიახლოებად და ამასთანავე, თითოეული საფეხური ადამიანის სულიერი ზრდის მორიგ ეტ-

აპს განასახიერებს.


ემბლემატურ ასპექტში კიბე ძლიერების, რაინდული სიმამაცისა და საზრისიანობის სიმბოლოა, - სწორედ ამ თვისებათა ერთობლიობა და უკვე რეალური, კარგი საიერიშე კიბე განაპირობებდა ალყა შემორტყმული ციხე-სიმაგრის აღებას. ასე „ჩაიხატა“ სააღყო კიბე შუა საუკუნეების პერალდიკაში.



საღვადორ დალი. სამაჯურის ეპიკზი

უფასდა (შესამლოა, ოლიმპიურმა „ნა-  
ცნობობამაც“ გაჭრა) და პერაკლეს  
მსხვერპლი თანაეარსკლავედად მო-  
გვევლინა.

ქრისტიანულმა ტრადიციამ კიბოს  
არცთუ სახარბიელო სიმბოლიკას პო-  
ზიტიური ელფერი შესძინა და რადგან  
კიბო პერიოდულად თავის რქოვან გარსს  
იცვლის, ყურადღება ამ გარემოებაზე  
გადაანაცვლა და მკვდრეთით აღდგომი-  
სა და სულიერი ფერისცვალელების სიმ-  
ბოლიკა მიანიჭა.



სჯულის კილოზანი (თანამედროვე მოდელი, შექმნილი პიბლის მინიშნებითა  
ვათეალისწინებით). ისრაელი

## ხილოზანი

ცოლვით დაცემა, გადარჩენა, ხსნა,  
სულიერი დამკვიდრება და კვლავ აღ-  
მოცენება, საღეთო წერილის მიხედვე-  
ით, ბიბლიურ სჯულის კილოზანში გა-  
ცხადებული. ამიტომაც, ქრისტიანუ-  
ლი სიმბოლიკით, ის თავად ტაძარია -  
უფლის სახლი და იმავედროულად, ყრმა  
იესოს მომლოდინე ღვთისმშობელიც.


ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ,  
სჯულის კილოზანი ისრაელიანთათვის

მათი ღმერთის - მიწიერ საუფლოდაა  
მიჩნეული: აკაციის ხის, ოქროს სახუ-  
რავიან ამ ყუთში ესვენა „ათნი მცნე-  
ბანი ორთა ფიცართა დაწერილნი მო-  
სესანი“. ბიბლიურმა დავითმა ამ კილო-

ბნისათვის ააგო „კარაი“, ხოლო სო-  
ლომონმა საზეიმოდ დაასვენა მის მიერ  
აგებულ ტაძარში, სადაც ეს რელიქვია  
ებრაველთა წარმოსახვაში იყო ცენტრი  
იერუსალიმისა, ისრაელისა და მთელი  
მსოფლიოსი.

ამგვარად საკრალიზებული საგნი-  
საგან განსხვავებით, ნოეს კილოზნის სი-  
მბოლიკაში ფუნქციონალური ასპექტ-  
იც იკვეთება (კილოზანი-ხომალდი-სი-  
ერი) და წინარე მითოლოგიური პლას-  
ტიც: ბიბლიური წარდენის არქეტიპი  
გვხვდება მესოპოტამიურ ეპოსში გი-  
ლგამემის შესახებ; შგავსი სიუჟეტებია  
ინდურ და ჩინურ გადმოცემებში; კო-  
ლუმბამდელი ამერიკის მითოლოგია-  
მაც შემონახა წარმოდგენა დედამი-  
წაზე სიცოცხლის საყოველთაო წალე-  
კისა და ხელახალი აღმოცენების შე-  
სახებ.

მთელი ამ მითოლოგიური მასალის  
შეჯერება კილოზნის სიმბოლიკას ამ-  
დიდრებს ხსნის სიხარულითაც, რომე-  
ლიც უთუოდ დაეუფლებოდა ნოეს კი-  
ლოზნის მთელ „ეკიპაჟს“, როდესაც მათ  
ბოლოს და ბოლოს მყარ მიწას დაადგეს  
ფეხი არარატის კალთაზე...



ნოეს კილოზანი: „ჩახსოვომა დაიწყო“. იოსტ ამანის გრავეურა. 1564 წ. (შვეიცარია)

# კობრი

კობრი გამოკვეთილად აღმოსავლური სიმბოლია. ჩინეთში კობრი გახლდათ ემბლემ ვაჟკაცობისა და მამაკაცური ენერჯის; იაპონიაში ის ერთ-ერთი მთავარი სიმბოლოთაგანია, რაიმე-ლიც საუკუნოვანი იაპონური სამხედრო კასტის - სამურაე-ბისათვის დამახასიათებელ უდრეკ სულს განსახიერებს; შესაძლოა იმიტომაც, რომ დაუოკებელი ენერჯით ამოპობს ხოლმე წყლის ზედაპირს, მაგრამ მკვიფრის ბადეში მოხვედრილი, გაუმრეკლად წვეს და ბედს შეგუბულა. უდრტკინელად, თითქოსდა სამურაისებრი ღირსებით ელოდება



სიკვდილს... ჩინეთშიც, იაპონიაშიც, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის იმ ქვეყნებშიც, სადაც ჩინური თუ იაპონური კულტურული ტრადიცია მძლავრობს - კობრი აგრეთვე დღევრძელობისა და წარმატების უნივერსალური სიმბოლოცაა. არაა გასაკვირი, რომ კობრის გამოსახულება მრავალგზის გვხვდება გრაფიკულ თუ ფერწერულ ნამუშევრებში. მაგრამ განსაკუთრებით შთამბეჭდავით უზარმაზარი, ფერადოვანი, გასართლული ქალაქისაგან გაკეთებული კობრი - სართულალო ზემიებისა და კარნავლების აუცილებელი ატრიბუტი.

# კობაი (გოდოლი)




ნებისმიერი კომპის აღმართვისას, ბაბილონის გოდოლის მსგავსად, იკვებება უდღესი სამშორება განადგურებისა და მოსპობის ანუ სულიერი დაცემის. ამ საფრთხეს წარმომბობს კომპში ჩაგმანული, მიწიერიდან სტიქიურად შემოჭრილი უარყოფითი ენერჯია - ესაა ამბიცია, სხვათაგან გამორჩეულობა, აღმატებულობა, რომელიც წინააღმდეგობრივად უპირისპირდება კომპის პოზიტიურ სიმბოლოთა მწკრივს: ზეადსელსა, ძალას, განდგომას, სიფიხლესა და უმანკობას. ამიტომაც, მიუხედავად პოზიტიურ სიმბოლოთა სიმრავლისა, მაინც შესაძლებელია ზეატყორცილი კომპის დაცემა.

მთისა და კობის მსგავსად, კომპის სიმბოლიცა განსახიერებდა კავშირს ცასა და მიწის შორის. კომპი - ესაა არქიტექტურული განსხეულება მსოფლიო ხისა და ამდაგვარად, - სამყაროს კოსმიური საყრდენი. ევკლიტურ იეროგლიფთა სისტემაში კომპის ნიშანი-დეტერმინანტი, აღნიშნავს სიმბოლეს, ანდა სოციალურ ზეალგვას. გალავანშემოკლებული კომპი ქრისტიანულ სიმბოლიკაში ღვთისმშობლის სიმბოლია. რომელიც ხშირად სპილოს ძელის კომკად მოიხსენიებოდა. დროთა განმავლობაში, ამ გამოთქმამ განზოგადებული მნიშვნელობა შეიძინა და „სპილოს ძელის კომპი“ ზელოვანის ზახვასმული გამორჩეულობის, ყოველდღიურობისაგან დემონსტრაციული განდგომის სიმბოლიად იქცა.

მითოლოგიური კომპი, ხშირად ჯადოსნური თუ ბრძნული თვისებებით დაჯილდოებულ მბრძანებელთა საშფოლებლო; მიუვალ კომკებში არიან გამომწვედელნი მზეთუნახავეები და ამის თვალნათელი ილუსტრაციაა „ეფიხისტყაოსანი“: ნესტან-დარეჯანი ყმაწვილქალბას მისთვის საკანგებოდ ავებულ კომპში ატარებს, რომლისგან თა-



კობრი ჩინურ სიმბოლიკაში: ზეკით - ნანკინური ამონაგვრები; ქვეკით - ჩინური იხილიც, XX ს. 50-იანი წწ.



ვალაკტონ ტაბიძე. „კოშკი იფნისაში“. ხანსაჲ დიათრიდებულა ავროსის მკერ 16 ნოემბერი. 1954 წ.



კრავი ჩვენთვის სიწმინდის, მსხვერ- პლშეწირვის, უბი- წილების, თეინიერე- ბის, ცოდვთა გამო- სჯიდვის სიმბოლოა. ახალ აღთქმაში

კრავი (ტარიგი) თავად მაცხოვრის სი- მბოლოდ გვევლინება: „მეორეს დღეს დაინახა იოანემ მისკენ მომავალი იესო და თქვა: აჰა, ტარიგი ღმრთისა, რომე- ლიც იტვირთავს ქვეყნის ცოდვებს“ (იოანე. 1:29). ჯერ კიდევ რომის კა- ტაკომბებს შეფარებული პირველი ქრისტიანები კელეზზე გამოსახუ- ნენ კრავს და მხოლოდ განდობილებმა იცოდნენ ამ სიმბოლოს ჭეშმარიტი მნი- შნელობა. შემდგომ ამ ტრადიციას წინ აღუდგა მართლმადიდებლური იკონო- გრაფია და VII ს. ბოლოს საეკლესიო კრებამ აკრძალა მაცხოვრის გამოსახუ- ლება კრავის სახით. კათოლიციზმში კი ეს ტრადიცია დღემდეა შემორჩენილი და ხშირად შეხედებით ჯვარს წარწე- რით „Agnus Dei“ („ტარიგი ღმრთისა“), ხოლო ადღვამაზე კათოლიკურ სუფ- რას აუცილებლად ამშვენებს კრავის გა- მოსახულებას. რაც შეეხება მაცხოვრის გამოსახულებას კისერზე მოვდებული ცხვრით, ამ შემთხვევაში ცხვარი მის სამწყსოს განასახიერებს, თავად უფა- ლი კი წარმოგვიდგება ვით „მწყემსი კეთილი“. ეს არქეტიპიც ბიბლიური წარმომავლობისაა და უკავშირდება „ღვთაებრივ მწყემსს“ – მოსეს, რომე- ლც თავისი განუყურელი „სამწყსო“ კვერთხით წინ უძღვის ევგატიტიდან გა- მოსულ ისრაელიანთ აღთქმულ მიწი- საკენ. აქედანაა ტრადიცია პასექის დღესასწაულზე კრავის შეწირვისა.

აქ, უთუოდ, უნდა გავმიჯნოთ საკუ- თრიე კრავი და ცხვარი, რომელსაც რამდენადმე განსხვავებული სახისმე- ტყელება აქვს და ქრისტიანულ ცნო- ბიერებაში, პირველ ყოვლისა, უფლ- ის, მაცხოვრის (ანუ „მწყემსის“) ნებას მიმდობლივ სამწყსოს განასახიერებს, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, უმეტრე-

ვდაღწევის მცდელობაც, კიდევ უფრო მიუღვამელ. მოკვდავთაგან აუღებელ „გრძნულ კოშკში“ – „ქაჯეთის ცი- ხეში“ გამოამწყვედევს. აქ იკეთება კოშკის სიმბოლიკის კიდევ ერთი ასე- ქტი – საიდუმლო, მისი არგათქმა, დუ- მილი...

შუა საუკუნეების პერალდიაში ქონგურებიანი კოშკი ხშირად გვხვდება ქალაქების გერბებში. საზოგადოთაც, მისი პერალდიკური მნიშვნელობა სი- მტკიცესა და შეუპოვრობას ნიშნავს. აქ- ვე უნდა ითქვას, რომ ყოფილა შემთხ- ვეები, როდესაც სწორედ ციხე-სიმა- გრის ცენტრში გამაგრებულ მთავარ გოროლს („დონჟონს“) გადაურჩენია ციხის მცველნი.

„იმედიაწობის ფენომენი“ კოშკის სი- მბოლიკაში, გარდა მისი „საბრძოლო ბი- ოგრაფიისა“, მომდინარეობს კოშკის კი- დევ ერთი დანიშნულებიდან – როგორც შუქურისა, რომელმაც, დროთა განმავ- ლობაში, დამოუკიდებელი ალექიკურილი მნიშვნელობა შეიძინა, ვითარც ცხოვერე- ბის ბობოქარ ოკეანეში გზადანებულია მხსნელმა მანათობელმა ლამპარმა.



კონდლიტერ ფრანსუკო სფორცას კოშკი მლანში. XV ს. I ნახ. (გერბი კოშკის კელეზზე სფორცას სიმაგრის - პერეკო ვისკონტისა)



წიკო ფეროსონი „სატყანი და საადგილო სუფრა ძვინთაი ანგელოზბოი“.  
საქართველოს ხელოვნების მუზეუმი



ის, გზააბნეულობის, პიროვნულ საწყისის მოკლებული არსების სახე-სიმბოლოდაც გვევლინება.

ცხვრის, კრავის სამხვევრლო ცხოველად მიჩნევას უძველესი ტრადიცია აქვს და ახლო აღმოსავლეთის იმ მომთაბარე ტომებიდან მომდინარეობს, რომლებიც გაზაფხულის დადგომას ახლად დაბადებული კრავის შეწირვით ვგებებოდნენ. ყველაზე მაკაფიოდ ეს ტრადიცია აღიბეჭდა ძველი აღთქმის იმ სცენაში, სადაც მსხვევრალ-შეწირვისას აბრამს ღმერთი შვილს ტარიგით (ცხვრით) შეუნაცვლებს. ცხვრის მსხვევრალ შეწირვის რიტუალი დღემდე შემორჩენილია ჩვენს ხატობა-დღეობებში. პირველ ყოვლისა აღდგომისას, აგრეთვე - ისლამურ რამადანში.

ცხვრისაგან განსხვავებული სახის-მეტყველება აქვს აგრეთვე ვერძს (ანუ მამულ ცხვარს), რომელიც ძველითაგანვე ძლიერების, ცხოველმყოფელი ძალის, მიზანსწრაფვის სიმბოლოდ გვე-

„მწვერსი კვილია“ (მარბარია), III ს. რომი, კატიკანის მუზეუმი

ლინება: ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში ვერძის თავით გამოხატავდნენ ღვთაება ხნუმს; ძველ საბერძნეთში ვერძი პერმესის ატრიბუტი იყო, ზოლო ინდოეთში - ინდრასი. ნიშანდობლივია, რომ ასტროლოგიური სიმბოლიკაც სწორედ ვერძს აძლევს უპირატესობას, ისევე, როგორც „თხის რქას“ - ანუ ვაცს.

უ

კუ, რომელიც ჩვენთვის მხოლოდდა გულის შემადონებელ აუჩქარებელ ტაატს განასახიერებს, ძველ ეგვიპტესა და საბერძნეთში სიყვარულის, სინაზის, ნაყოფიერებისა და დღევრძელობის სიმბოლო გახლდათ. დროთა განმეულობაში, ეს სიმბოლიზში ნელინელ შემოიპირცვა და უკვე აღორძინების დროინდელი ევროპისათვის ნიშანდობლივია კოზიმო მელჩის გერბი: იალქანდამაგრებული კუ დევიზით - „Festina lente“ („იჩქარე ნელა“).

და მაინც, კუ, როგორც სიმბოლო-



ველსაბაში ვანის საკანძვრიდან, V ს. ძვ. წ.-ით, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

რი არსება, ძირითადად სწორედ აღმოსავლური ფენომენია - აქ ის კოსმიურ წესრიგს განასახიერებს და იშვიათი მოწინებითაა ვარემოსილი: უმთავრესი „სიმბოლოურ კუთაგან“ გახლდათ ჩინური - აო, რომლის ჯავშანზეც ესეენა დედამიწა. აოს ქვის გამოსახულებებს, ბაკანზე შემოდებული თლილი მონოლითებით, თავისი მაგიური ძალით უნდა შეენარჩუნებინათ კოსმიური წესრიგი. აო, ამასთანავე ცეცხლის შთანთქმის უნარით იყო დაჯდ-



ქაშანურისაგან გაკეთებული კუ ზურგზე დასაჯერებელი სამსხვერპლო ხავეხლურით. ხანის ისტორიული მუზეუმი (ვიეტნამი)

ბოდა, ხდება ან მოხდება ცისქვეშეთში. ჩინეთიდან ეს რწმენა გავრცელდა ლაოსში, ვიეტნამსა და კამბოჯაში, სადაც კუ დღემდე ერთ-ერთი ყველაზე მითოლოგიზირებული არსება და დეკორატიული ხელოვნების განუყოფელი ელემენტია.

ინდური მითოლოგიის მიხედვით, გიგანტური, ბრძენი, ათასწლოვანი კუ „კურმა“ ვიშნუს ერთ-ერთი განსხეულება გახლდათ. ხილო მის ჯავშანზე ამოზრდილ მთას გარს შემოხვეოდა ვიშნუს უზარმაზარი გველი ანანტა; ამასთან ერთად, ინდოეთში კუ, რომელიც თავის ბაკანში გარე სამყაროს ემალება, შინაგანი კონცენტრაციის, განსჯის, მედიტაციის სიმბოლოცაა.

აფრიკის კონტინენტზე კუ კეთილისმყოფელი თილისმა იყო და აფრიკულ ოჯახში მისი შორიახლოს ყოფნა სიმშვიდის ერთგვარ გარანტად აღიქმებოდა.

დობეული და მთელ ჩინეთში სახურავის კეხზე დამაგრებული კუს გამოსახულება, საყოველთაო რწმენით, სახლს ხანძრისაგან იცავდა. კუ, როგორც სულის უკვდავების სიმბოლო, ჩინურ სამარხებზეც გვხვდება. ამ სიმბოლიკას იზიარებს იაპონური მითოლოგიაც.

კუს ჯავშნის სეგმენტები მკითხაობისას გამოიყენებოდა; მით უმეტეს, რომ მისი მოხატულობა მხოლოდ განდობილთათვის საცნაურ იდეოგრამად აღიქმებოდა. ჩინელებს ჰქონდათ თეორია, რომ 64 სეგმენტი კუს ბაკანზე – ე.წ. „კუა“, წარმოადგენს იდუმალ ჩანაწერს ყოველივესი, რაც კი ხდე-



ანტონიო გაული. „საგარდა ფაშილია“ (წმინდა ოჯახი). ტაძრის დეტალი. 1926 წ. ბარსელონა, ესპანეთი

# კუნძული

კუნძული, როგორც სიმბოლო, ურ-  
იცხვ მითებსა და ლეგენდებში გვხვდე-  
ბა: იუნგის მიხედვით, ის თავშესაფა-  
რია არაცნობიერის ბოხოქარ ზღვაში  
მოხვედრილი ადამიანისათვის. ამ სიმ-  
ბოლოს რამდენიმეწილი ინტერპრე-  
ტაცია არსებობს: ინდუსიტურ მითო-  
ლოგიაში აღწერილია ზღაპრული კუ-  
ნძული - ოქროსი, თვალ-მარგალიტ-  
ით მოფენილი ნაპირებით... (ერთგვა-  
რი პროტოტიპი სტივენსონის ცნობი-  
ლი რომანისა „განძის კუნძული“ და  
მსგავსი სიუჟეტებისა); ჩინური მითო-  
ლოგიის „ნეტარია კუნძულები“ მარ-  
ილატ ნეტარი სულებისათვის იყო გა-

სწუთინილი და ფაქტიურად სამოთხის  
ანალოგიას წარმოადგენდა დაოსიზმის  
მიმდევრთა წარმოსახვაში.

მაგრამ, კუნძულს განსხვავებული,  
სეგატიური სიმბოლიკაც აქვს: ასეთია  
ნიმფა კალიფსოს კუნძული „ოდისეა-  
ში“: „დაწველილი კუნძული“ „იოს-  
ებ არიმთიელის ცხოვრებაში“, ცო-  
დელითათვის განსწუთინილი კუნძული  
პროსპერო - შექსპირის „ქარიშხალ-  
ში“. კუნძული, როგორც მეტაფორა  
ძალზე საინტერესოდ წარმოიხდა აკა  
მორჩილამის პროზაში: აქ სწორად  
კუნძულია ერთგვარად „აკუნძული-  
რებული წარსულის“ (მადათოვის კუნ-  
ძული) ან დროსთან და სივრცესთან  
ვირტუოზული „ლიტერატურული

თამაშის“ („სანტა-ესპერანსა“) ასპა-  
რეზი.

კუნძულის სიმბოლო თითოეული  
ადამიანის ცნობიერებაში ამოტივტი-  
ვდება ხოლმე სულიერი შეჭირვების  
კაშხ, როდესაც მის სუვერენულ არსე-  
ბობას რაიმე საფრთხე ემუქრება, რო-  
დესაც სულიერი თუ ფიზიკური თვი-  
თგადარჩენის ინსტიინქტი გარეშემო-  
თავან განრიდებას და იზოლაციას კა-  
რნახობს. ამ იზოლაციის იდეალური  
სახე, მოგუხსენებათ, კუნძულია. კუნ-  
ძული - რეალური ან წარმოსახული,  
სულიერი ავტონომიის ერთგვარი მე-  
ტაფორაა. მაგრამ თუ ადამიანი ვერც  
ფიზიკურ, კერც სულიერ კუნძულს ვერ  
აღმოაჩენს, მითოლოგია მას უკვე მე-  
სამე, ტრაგიკულ ვარიანტს წარმოუ-  
სახავს იმ კუნძულის სახით, რომელ-  
ზედაც სამი ურჩხული სახლობს: მარ-  
ტოობა, უმოქმედობა და სიკვდილი...



იპანონის მითოლოგიურ „მშობლია“ - იხანაკისა და იხანამის განმასახიერებელი კუნძულები  
საიბედოდაა „დაბოული“.

## ხერხეული



„საწყალი კუ-  
რდელი! სძინავს,  
თვალები უჭყე-  
ტია. - თუ ფიზიკე-  
ლია, ხომ უჭყე-  
ტია და უჭყეტია.

- დარბის და აბრიალებს, რაც ძალი და  
ღონე აქვს, დიდროს, საცოდავს თვალ-  
ებს, თანაც „კნუსკნუსებს“, - ნამეტნა-  
ვად თუ მტერი მოსდევს, და როდის არ  
მოსდევს საბრალის მტერი?!... („კურ-  
დელი“). კაყა-ფშაველას ამ სტრიქო-  
ნების კითხვისას, შეიძლება გავიფიქ-  
როთ, რომ ერთადერთი ადგილი, სადაც  
საბრალე კურდელს არაფერი არ ემ-  
უქრება, მთვარეა, პოდა, სწორედ მთვა-  
რეზე მიუჩინეს კურდელს ადგილი  
უშველესმა მითებმა, რომელთა ავტო-  
რებიც მთვარის ლაქების („ზღვების“)  
კონტურს მორბენალ კურდელს აშს-  
გავსებდნენ. ამიტომაც, მრავალ კულ-  
ტურაში კურდელი (და ბოცკერიც,  
რომელსაც მითოლოგია კურდელისა-  
გან არ განასხვავებს) „მთვარის ცხოვე-  
ლად“ იყო მიჩნეული.



„თეთრი ბოცვერა“ ლუის კეროლის ზღაპრიდან „აღლის საოცრებათა სამყაროში“. მხატვარი ჯონ ტენილი, 1865 წ.

აფრიკულ, კელტურ, ინდოუღის-ტურ, ეგვიპტურ, ბერძნულ თუ ტეტონურ სამყაროში კურდღელი ასოცირებული იყო მთვარესთან და ნაყოფიერების ქალურ საწყისთან. ძალზე საპატიო ადგილი ეჭირა მას ამერიკელ ინდიელთა და იაპონელთა წარმოდგენებში: ასე მაგალითად, იაპონელთათვის საკულტო თეთრი კურდღელი, - გონებაშეიღობილი ოკი, დარწმუნებს ნიანგებს, რომ მათი გადათვლა უნდა, ზღვაში თავშეკეცვით ჩამოაშკრივებს და ამ ორიგინალური „ხილით“ ცდილობს გააღწიოს მეორე ნაპირამდე.

ძველ ჩინეთში „მთვარის კურდღელი“ ქვასანაყში მიხაკ-დარიჩინს ნაყავს და ეს მიზანსცენა დღევრძელობას განასახიერებს. ინდოუღისტურ სიმბოლიკაში, ჩვეთთან ესოდენ დაჩაგრულ ყურცქეტას, პრივილეგირებულ ადგილი უჭირავს, რადგან ბუდისტური ლეგენდის თანახმად, ის შეგნებულად ჩახტა კოცონში, რათა დამშეული ბუდა გამოეკეცა. ამიტომაც კურდღელი აქ წარმატებას განასახიერებდა და ჩინეთის იმპერატორის თორმეტ ემბლემათაგან მეორე იყო.

ინდიელი ალგონკინები - „მთვარის კურდღელს“ თავისი უდიდესი ღვთაების - მანიტუს შვილად და ბუნების შემოქმედ ძალთა მეუფედ მიიჩნევდნენ. მსგავსი წარმოდგენები კურდღელზე ჰქონდათ ძველ ეგვიპტელებსაც.

ევროპაში თუ გადმოზინაცვლებთ, ენახავთ, რომ კურდღელთანაა ასოცირებული ძველი ბერძნების ღვთაება ჰეკატა, რომ ის აფროდიტეს საყვარელი ცხოველია, ეროსის ატრიბუტია და ჰერმესის მალემსრობლი მაცნე. აი, იუდეველებთან კი კურდღელი „უწმინდურად“ ითვლებოდა, საფიქრებელია ამ ცხოველის ჭარბი „ეროტიულობის“ გამო. მასში აფროდიტისა და უსასრულო შობადობის სიმბოლოს ხედავენ. თავდაპირველად ეს ნეგატიური ხედვა გაითავისა ქრისტიანობამაც, მაგრამ შემდგომ კურდღელმა „მოახერხა“ პოზიტიურ სიმბოლოთა წყებაში „გადაერბინა“: ის საკმაოდ ხშირად გვხვდება

ქრისტიანულ იკონოგრაფიაში, სადაც მისი უმწეობა ღვთის ანაბარა დარჩენილი ადამიანებს განასახიერებდა, ხოლო მარადი ღვთისმშობლის ფერთხ მოკალთებული თეთრი კურდღელი სულიერის ხორციელზე ზეობის სიმბოლო იყო.

ცენტრალური ევროპის საეკლესიო რიტუალებში სააღდგომო კვერცხთან ერთად, გამორჩეული ადგილი უჭირავს „სააღდგომო კურდღელს“.

კურდღლის სიმბოლიკას ერთობ იუმორისტული ელფერი შესისნეს „გადარეულმა მარტის კურდღელმა“ და „თეთრმა ბოცვერმა“ ლუის კეროლის ზღაპრიდან - „აღლის საოცრებათა ქვეყანაში“.



კურდღლები ფრანსესკო დელ კოას „სასიყვარულო სცენის“ ამ ფრაგმენტში სწორედ სიყვარულისა და მომავალი დროჯახება-გამარჯვების სიმბოლო გახლავთ

# ლ

## ლაშქარი



ლაშქარს ჩვენს ცნობიერებაში ყოველთვის ექნება ის ზღაპრული

შარაკანდელი, რომელსაც „ათას ერთი ღამის“ უკუდავი პერსონაჟის – ალადინის ჯადოსნური ლაშქარი ასხივებს.

სიმბოლოთა სისტემაში ლაშქარი ტრადიციულად განასახიერებდა გონებისა და სულის გასხივოსნებას, სიმარ-

თლეს, თავად სიცოცხლეს; ყოველივეს, რაც სინათლესთან, ნათელთანაა დაკავშირებული და რაც სიბნელეს, უკუნეთსა და არყოფნას უპირისპირდება.

თუ ყოფაში ლაშქარი ადამიანს გზის გაგნებაში ეხმარება, მეტაფორულ აზროვნებაში ის სულიერ გზას ანათებს და უმეცრების სიბნელე უნდა გაფანტოს. ამ გასხივოსნებაში მორწმუნე ადამიანისათვის ღმერთის ხელი ერია და ამიტომაც, საკრალური ელფერი ქიქინდა არა მხოლოდ საკურთხეველს კანდელს, არამედ ლაშქარსაც და სახანაურსაც, რომელთა გამოსახულება


აკლდამებზე უფლისადმი ერთგულების ნიშანი იყო.

ლაშქრის, ფანრის სიმბოლიკას საუკუნოვანი ტრადიცია აქვს ჩინურსა და იაპონურ კულტურაში. „ჩინური ფანრის“ ესთეტიკისა და მითოლოგიის ცოდნის გარეშე შეუძლებელია ჩინური კულტურის ერთი დიდი პლასტის შეცნობა.

ევროპელთათვის, მილიონობით ელნათურებით გაჩირადდებულ მეგაპოლისებში, ლაშქარი დაეწეებულ საგნებს მიეკუთვნება, - უიშვიათეს შემთხვევაში, - სიბნელეში თუ გაახსენდება ვისმეს ეს არქაული რარიტეტი, რომლის ციმციმა მუქუქეც გარდასულ საუკუნეთა სურათები ცოცხლდებიან...

## ლავიათანი

ლავიათანი ებრაული სიტყვაა და აღნიშნავდა, როგორც ვეშაპს, ასევე ნებიერი ზღის მონსტრს. მითოლოგები თვლიან, რომ ამ ზღაპრული არსების სიმბოლიკა მესოპოტამიური და ფინიკიური მითებიდან მომდინარეობს, სადაც ღვთაება-გმირი ერკინება ზღვათა მფლობელ ღმერთს, რათა სამყაროში პირველყოფილი ქაოსის ნაცვლად წესრიგი და პარმონია დამყარდეს. ლავიათანი იმ პირველყოფილი მონსტრების ანარეკლია, რომელნიც კოსმოგონიურ მსხვერპლშეწირვასთან არიან დაკავშირებულნი. ზოგჯერ ის განასახიერებს უნივერსალურ ძალას, სამყაროს რომ იტაცებს და მას სიცოცხლეს ანიჭებს. ამ უზარმაზარი მითური თევზის სიმბო-



ილი დელიუზ ტაძარი, 1949 წ.



გუსტავ დორე. „კოლისმპორიკლი აპარკტეს ლეკიათან“ (გრაიკურა ბობლის ილუსტრაციებიდან). 1864-1866 წწ.

ლიკა მოიკავს, როგორც ბუნების სტიქიას, ისევე იმ ზეადამიანურ, დამაოკებელ ენერჯიასაც, რომელსაც შეუძლია ეს სტიქია დაიმორჩილოს.

## ლეოპარდი



ლეონარდო და ვინჩი თავის „პესტიარიუმში“ წერს: „აფრიკული პანტერა ლომს წააგავს, ოღონდ ტანი აქვს უფრო გრძელი და გრაციოზული, ბეწვი თეთრი აქვს, შავი ლაქებით და-


წინწკლული. მისი სილამაზე ხიბლავს ყველა სხვა ცხოველს, რომლებიც მუდამ მის გარშემო იქნებოდნენ. - ჯიქის მომწესსხავი მზერისა რომ არ ეშინოდეს. იცის რა ამ თავისი თვისებების შესახებ, პანტერა თვალებს დახრის, ცხოველები ნელნელ უახლოვდებიან და სწორედ ამ დროს სტაცებს კიდე პირს ყველაზე ახლოს მყოფს“.

ლეოპარდი (რომელსაც იოანე ბაგრატიონი „ლომ-ეფუხვს“ უწოდებს, მისი თანამედროვენი კი ხან სპარსული-საგან ნასუსებ „ბაბრს“, ხან „ჯიქს“, ხან კი „ავაზას“) ევროპულ „პესტიარიუმებში“ მეტწილად „პანტერად“ მოიხსენიება. სიმბოლიკა პანტერისა საკ-

მაოდ შთაბეჭდავია: მრისხანება, დაუნდობელი ძალა, სიამაყე, შეუდრეკელობა და სისწრაფე.

ჯიქის გამოსახულება, ჯერ კიდევ ნეოლითურ კულტურებში ჩნდება. ჯიქი და ლომი - ძველხეობრივი მეფის ორი ზოომორფული სიმბოლოა. არაერთ აფრიკულ ტრადიციაში - ლეოპარდი, მარტორქასთან, სპილოსთან და გარეულ კამეჩთან ერთად, - იმ საკრალურ ცხოველთა რიგს მიეკუთვნებოდა, რომელთაც რიტუალურ ცეკვებში გამოსახავდნენ. ძველ აფრიკულ სახელმწიფოებში (მაგალითად, ბენინში) მეფის კარზე აუცილებლად აკავდათ წმინდა ლეოპარდი, რომელსაც საგანგებო მოახლე უწვლიდა. იმავე აფრიკაში, უახლეს დრომდე არსებობდნენ საიდუმლო „სამოიოები“, რომლებიც „ლეოპარდად“ იწოდებოდნენ. ისინი რიტუალურად ავიცილებდნენ თავის თავს ამ ცხოველთან და მრავალ მკვლელობასა და კანიბალიზმში იყენებდნენ შექმნეული, ლიკანტროპიის ამ ფენომენს მშვენიერად ხსნის მირჩა ელიადე: „როდესაც ადამიანი გარეულ ცხოველს ბაძავს, - ეს მინიშნებაა, რომ მასში ზეგარდმოულენილი რელიგიური ძალა განსხეულდა და გარკვეულწილად, ის თავად ანიმალისტურ დეოთებად იქცევა. არ უნდა დაგვაიწიფდეს, რომ რელიგიური ცნობიერების პრიმიტიულ დონეზე „ნადირად გარდასახული მონადირე“ არსებობის უმაღლეს ფორმად მიიჩნევა“. ასეთი უძველესი ძირები აქვს არქტიკოსს, რომელიც საფუძვლად უდევს „ჯიქისტყავიან“ მიოთოლოგიურ გმირთა საარაკო ქმედებებს: ესაა ორფეოსიც, იასონიც, ანტიკონორიც, მენელაოსიც კომპეროსთან. გარდა ამისა, ლეოპარდს ვხვდებით დიონისეს, აფროდიტეს და გრძნეულ კირქეს „ამალაში“.

ძველ გვიპტეში ეს „წინწკლებიანი მკვლელი“ იმქვენიერი საშაროს მუუფის - სეტის ერთ-ერთ გამსხეულებას წარმოადგენდა. ქრისტიანულ სიმბოლიკაში ლეოპარდის ნეგატიურად ქმად ძირითადად ემყარება დანიელ წინასწარმეტყველის ღამის ხილვას.



შაკ პანტერაზე მდგომი ფარაონი (ტონირებული ხვ. მოსკოვო). რიტუალური სტატუეტი ფარაონ ტუტანხამონის აკლამფიანი. ძვ. წ-ით XIV ს. I ნახ. (ტელეკ ვეპობტე)

(..... აპა. ავაზის მსგავსი მხეცი, ზურგზე ოთხი ფრთა აქონდა, ფრინველისა; ოთხი თავი აქონდა ამ მხეცს და ხელმწიფება მიეცა მას" (დან. 7:6). აქედან მომდინარეობს ლეოპარდისა და სტაუნის (ცოდვის, ავზორცობის) ერთგვარი ჩანაცვლება. მაგრამ, რაც არ უნდა უცნაური იყოს, იმავე ქრისტიანული ტრადიციის ფარგლებში ლეოპარდის სრულიად საპირისპირო სიმბოლიკაც გვხვდება და ადრექრისტიანული „ფიზიოლოგი“ ("Physiologus") ჯიქს ახასიათ-

ებს, როგორც ყველაზე კეთილგანწყობილ ცხოველს. „გველების მტერს... რომლის სურნელოვანი ხმაც იზიდავს დანარჩენ ცხოველებს...“ და პარალელს აუღებს იესო ქრისტესთან, რომლის ხმაც მადლმოსილების სრულყოფილი სურნელია „მათვისაც, ვინც მის გვერდზეა და მათთვისაც, ვინც შორით არის“. მაცხოვრის ღირსებაში, - უბიწოება, სიწმინდე, სათნოება, რწმენა, დიდსულოვნება, ამ ტექსტის თანახმად, ისევეა აღბეჭდილი უფლის კეაროზე.

როგორც წინწყლები ლეოპარდის ქათათა ბეწვზე. შუა საუკუნეების „ბესტიარიუმებში“ შეეხედებით კიდევ ერთ ამგვარ ანალოგიას: „ვაიგონებს თუ არა პანტერის ხმას დრაკონი - მიწის სიღრმეში, გამოქვაბულში იმალება, რადგან ჯიქის სუნს ეერ იტანს. ზუსტად ასევე, ქრისტე ციდან ჩამოეშვა. რათა ადამიანები დაეხსნა დრაკონ-ეშმას კლანჭებისაგან“.


ვეროპულ ჰერალდიკაში ლეოპარდი, არტოუ იშეითად, საკმაოდ იერცვლილი გეხდება. ის დღესაც ინგლისის სამხედრო ემბლემას წარმოადგენს, რადგან სწორედ ჰერალდიკაში ჯიქი მამაცობის და შეუპოვრობის სიმბოლია. არაა შემთხვევითი, რომ XX საუკუნის იტალიური პროზის ერთ-ერთი შედეგის - ჯუზეპე ლამპედუზას რომანის „ლეოპარდის“ გმირის ფაბრიციო სალინას საგვარეულო გერბზე სწორედ ლეოპარდია ამოტიფრული.

ძველ ჩინეთში ჯიქის სიმბოლიკა ასევე ერთობ წინააღმდეგობრივი იყო: ერთი მხრივ, ლეოპარდის კულს საომარ ეტლებზე ამაგრებდნენ, როგორც მხედრულ ნიშანს, მეორე მხრივ, ცნობილია ჩინური გამოთქმა. „წინწყლებიანი პანტერა“. რომელიც აგრესიული და ანხელი ქალის უპოთეტად იხმარებოდა.

## ლერნაში

ათასეული წლების განმავლობაში ლერწამმა განასახიერა მორჩილების, სისუსტის, დელიკატურობის, მოქნილობის, თავმოდრეკის და ამავე დროს - მუსიკის, დამწერლობის, ცოდნის სიმბოლიკა. ორი გადახლართული ლერწამი იშთარის - სიყვარულისა და ნაყოფიერების ბაბილონიელი ქალღმერთის სიმბოლიო იყო.

როდესაც ჩვენ რომელიმე ტანწერწეტა ქალიშვილს ლერწამს ვადარებთ, ჩვენი უშორეუი წინაპრების მეტაფორას მიემართავი: მღინარის ნიძვები, თავად ლერწმის მსგავსნი, თავსმკაულად ლერწმისავე გვირგვინებს ატარებდნენ.



ლერწამი - როგორც მეტაფორა და როგორც სიმბოლო ხშირად გვხვდება ჩინურ პოეზიაშიც და ჩინურ მხატვრობაშიც; ლინ ფანგ-მინი. „წერობები“

ლერწმის კალამი - „კალამუსი“, ბატის ფრთასთან ერთად, XVIII საუკუნის ბოლომდე მთელ ცივილიზებულ სამყაროში იხმარებოდა და დროთა განმავლობაში მწიგნობრობის, მწერლობის სიმბოლოდ გადაიქცა.

ღრმა და პოეტური მეტაფორა ბლუზ პასკალისა, სადაც ადამიანი „მოაზროვნე ლერწამადაა“ წარმოსახული, საყოველთაოდაა ცნობილი. კიდევ ერთი ასოციაცია, ლერწამთან დაკავშირებული, - ეს არის ლერწმის სალამური, რომელზეც უკრავდნენ როგორც მიოთოლოგიური ღვთაებანი და გმირები, ასევე ქართული ხალხური ზღაპრის პერსონაჟები.

არ შეიძლება აქ არ ვახსენოთ ის ძალზე ექსპრესიული პასაჟი „აბოს მარტივობისა“, სადაც იოანე საბანისძე ქადაგებისას ამბობს, რომ რწმუნებულები მორწმუნენი: „ირწეოდნენ ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლეულნი“.

## ლაღვი

ლღევის ხე სამოთხის ამსახველი სურათების განუყოფელი ატრიბუტია, რადგან, როგორც გვახსოვს, სწორედ ლღევის ფოთოლი იყო „ცოდვადშთავარდნილი“ ადამისა და ევას ერთადერთი სამოსი. ლღევი, ყურძნის მტკეანთან ერთად, ანტიკურ ეპოქაში ღვინის



ვ. ხ. ფონ ზოხბერგი. ლღევის ხე. ემბლემა სპილენძის ფირფიტაზე. 1675 წ.

ღვთაების - დიონისეს (ბახუსის) და ასევე ფალიკური ღვთაების - პრიპაის ატრიბუტი გახლდათ. ეს ყველაფერი ერთგვარ ეროტიულ ასოციაციებს იწვევდა, რომლებიც ქრისტიანულმა წარმოდგენებმა დანრდილეს.

ქრისტიანულ სიმბოლიკაში ლღევის ხეს ორგვარი და სრულიად განსხვავებული სიმბოლიკა აქვს: ქრისტესაგან დაწვევლილი, უნაყოფო ლღევის ხე განასახიერებს მწვალებლობას (ერესს); ამის საპირისპირო სიმბოლიკა ძველი აღთქმიდან მოდის და ვაზთან, ზეთისხილთან, ბროწეულთან ერთად, ლღევის - ნაყოფიერებას, სიუხვესა და გამრავლებას უკავშირებს. მგავსი სიმბოლიკა იყო ძველ ეგვიპტეშიც, სადაც ლღევის ნაირსახეობა (სიკიმორო) სიცოცხლის ხედ ითვლებოდა. ინდოეთში ლღევი განასახიერებდა ვიშნუსა და შივას ცხოველმყოფელ ძალას; ამასთანავე არსებობდა რწმენა, რომ ბუდამ სულიერ გასხივოსნებას სწორედ ლღევის ხის ქვეშ მიაღწია. ამიტომ ბუდისტებისათვის ეს ხე - განწმენდისა და უკუდაბრუნის სიმბოლიკაა.

ისლამური ტრადიციის თანახმად, ლღევი - სამოთხის ხეა, რომელიც აკრძალულ ნაყოფს იხსამს.

ქართულ ყოფით წარმოდგენებში ლღევი თავისი ორაზროვანი სიმბოლიკისა და ტოტის სიმეფის გამო „ცოდვის ხედ“ ითვლება და საკურთხ ხილში, ტრადიციისამებრ, ლღევის ნაყოფს არ შეუტრევენ ხოლმე.

## ლითონთა სიმბოლიკა

ლითონთა სიმბოლიკის წარმომავლობა უშუალოდ არის დაკავშირებული მეტალურგიის ჩასახესთან (თავისი ცეცხლის კულტი) და ალქიმისტთან, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი პრაქტიკული მიზანი არაკეთილშობილ მეტალთან კეთილშობილ ლითონთა წარმოქმნა იყო.

ალქიმია ცნობდა შვიდ მეტალს და


შეიღვევს სიმბოლიკა „ასტრალურ ორ-  
ეულთანაა“ დაკავშირებული: ოქრო -  
მზესთან; ვერცხლი - მთეარესთან;  
ტყვია - სატურნთან; კალა - იუპიტერ-  
თან; რკინა - მარსთან; ვერცხლის-  
წყალი - მერკურთან; სპალენძი (თი-  
თბერი) - ვენერასთან.

არაკეთილშობილ მეტალეებში ად-  
ამიანის ქვენაგრძნობები და აგრესიუ-  
ლი სწრაფვანი იყო სიმბოლიზირებუ-  
ლი; კეთილშობილში კი პირიქით -  
განწმენდილი და ამაღლებული. ეს სი-  
ბოლიკა აისხნებოდა იმით, რომ უძვე-  
ლესი წარმოდგენებით, ლითონები, ის-  
ვეე როგორც ადამიანები, მიწიდან იშ-  
ვნიენ და სასწაულებრივი თვისებები მი-  
ეწერებოდათ. ამიტომაცაა, რომ ყვე-  
ლგან, სადაც კი განვითარებულა მე-  
ტალურგია (მით უმეტეს ალქიმია),  
ლითონების მოძიება თუ დაწმენდა-  
გამოდნობა მისტიკურ პროცესად მი-  
იჩნეოდა და უამრავ ტაბუსთან იყო და-  
კავშირებული. ეს მისტიციზმის „მა-  
რავანდელი“ იმ ეთნოსებსაც გადაწვდა  
(მაგალითად, ხალიბები), რომლებიც  
ანტიკურ სამყაროში „რკინის გამოძ-  
გონებლებად“ ითვლებოდნენ.

იუნგი ამტკიცებდა, რომ ძირითა-  
დი მეტალეები შეესატყვისებთან ზორ-  
ციელ სურვილებსა და ვნებებს. ნიშან-  
დობლივია ისიც, რომ ინიციაციის ზო-  
გიერთ რიტუალებში ნეოფიტს უნდა  
მოეშორებინა ნებისმიერი ლითონი -  
მონეტები იქნებოდა ეს, ვასალებები თუ  
სამკაულეები, - ყოველივე, რაც ამაო-  
ების ასოციაციას იწვევდა. პერალდი-  
კაში ორად-ორი მეტალი გამოიყენე-  
ბა: ოქრო (მისი გრაფიკული ექვივა-  
ლენტია ყვითელი ფერი, - როგორც  
განწმენდილი და განახლებული ადა-  
მიანის სიმბოლიკა) და ვერცხლი (თეთ-  
რი ფერი, - ვითარც კუმშირიტი სი-  
სადავისა და თავმდაბლობის გამოხატუ-  
ლება).

შედი სიმბოლიური ლითონის უფ-  
რო დეტალური დახსიათება და მათი  
შესაბამისი ალქიმური სიმბოლიები  
ამგვარი გახლავთ:

**ოდრი** - განსაზღვრება „კეთილ-  
შობილი მეტალი“ უკვე თავისთავად



ოქროს სიმბოლიები

მოიცავს მორალურ კატეგორიას და მა-  
რთლაც, ოქრო უკვე უსსოვარი დროი-  
დან განასახიერებდა სილამაზესა და  
სრულყოფილებას, კეთილშობილებასა  
და ღირსებას, დიდებუებოვნებასა და  
მეუფებას (ამიტომაც ეკრძალებოდათ  
მდაბით ოქროს ნაკეთობათა ტარება).  
კიდევ ერთი და უმთავრესი ოქროს სი-  
ბოლიკაში - ესაა ღვთაებრივი ნათება,  
რაც ესოდენ თვალსაჩინოა ხატწერის  
ბიზანტიურ ტრადიციაში. საეულისხ-  
მოა ისიც, რომ ოქროს ბიბლიური სა-  
ხისმეტყველება ამბივალენტურია: ერ-  
თი მხრივ - ესაა წმინდა ნათელი, ის სუ-  
ლიერი სიმდიდრე, რომელიც „ჩვენ, კა-  
ცთა, მოგვცა უფალმა“ (ბეთლემში ყრმა  
იესოს შობისას მოგვების მიერ მირთმე-  
ული საგანძურიდან ერთ-ერთი ოქრო-  
ული მხრივ - ესაა განსაცდელზე ამაღლება  
(ცეცხლი ოქროს ფერს ვერ უცვლის და  
გაცივებისას ის ისევ თავის პირვანდელ  
სახეს იღებს ანუ ოქრო თავის სიწმინ-  
დეს ყველა ვითარებაში ინარჩუნებს).  
მეორე მხრივ კი - ოქროს ნეგატიური  
ასპექტიც აქვს, რადგანაც მოსეს რჯუ-  
ლის კანონით ებრაელთათვის „ოქროს  
კერპი“ იყო სიმბოლი წარმართობისა  
(გამ. 32, 1-25). ქრისტიანულ ცნობი-  
ერებაში ეს „ოქროს კერპი“ განასახი-  
ერებს მიწიერ სიმდიდრეს, რომლის მე-  
უფებაც ყოველთვის სულიერების და-  
კინების ხარჯზე ხდება.

ოქრო, როგორც ღვთაებრივი არს-  
ის მატერიალური გამოვლინება, მრავ-  
ალ სხვა კულტურაშიც გვხვდება: ეგ-  
ვიპტეში ის მზის ღმერთის („რას“) სხეულს განასახიერებს; აცტეკებთან -  
ასევე მზის ღვთაების - ვიცილიპულ-

ის სახეს; ინდოიზმში სინათლის მინე-  
რალური ფორმაა, („მიწისქვეშა ნათე-  
ბა“), ხოლო ბუდიზმში - სულიერი გა-  
სხივისების (ამიტომაც გვხვდება ასე  
მრავლად ბუდას მოიქროვილი ქანდა-  
კებანი).

რადგან ოქრო ეზოთერიული ცო-  
დნის სიმბოლი იყო, რიტუალური საგ-  
ნები სწორედ ოქროსაგან მზადდებოდა:  
ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში, სამკუ-  
რნალო ბალახებს ოქროს ნამგლით ჭრი-  
დნენ, ხოლო ოქროს სამკაული, ვაგერ-  
ცელებული რწმენისამებრ, მათ მგლო-  
ბელს ავი თვალსაგან იცავდა. მწელი არ  
არის ამ ფენომენში მზის კულტის ელ-  
ემენტის დანახვა. ნიშნადობლივია, რომ  
ოქროს ყოველთვის უდარებდნენ მზეს,  
ზოგჯერ მთლიანად ცარგავლასც და ამ-  
იტომაც იყო მოიქროვილი სასახლე-  
ბისა თუ ტაძრების გუმბათები.

ქართულ ცნობიერებაში ამ კეთილ-  
შობილი ლითონის მითოლოგიური ას-  
პექტი, უპირველესად „ოქროს საწმი-  
სთან“ და თამარ მეფის „ოქროს ხა-  
ნასთან“ არის ასოციებული...

**მირცხლი** უძველესი დროიდან  
„მთვარის მეტალად“ მიაჩნდათ; ის გა-  
ნასახიერებდა ქალურ საწყისს, უმან-  
კობას. ოქროს საპირისპიროდ, რომე-  
ლიც მამაკაცი, ვერცხლი და მეფურ ლითონად  
ითვლებოდა, აკურცხლს - დედოფალს  
აკუთვნებდნენ; ანტიკურ მითოლოგი-  
აში ის არტემიდეს (დიანას) ატრიბუ-  
ტია. წარმართული წარმოდგენებით,  
ვერცხლს ავი სულების განარიდების  
უნარი ჰქონდა. რომაელები, რომლე-  
ბსაც ბარბაროსების იერი ღმომნებს  
ავგონებდათ, მათ უწებებლსაყოფად, იმ-



ვერცხლის სიმბოლოები

პერიის საზღვრებზე მიწაში ფლობდნენ ვერცხლის ამულეტებს. ასეთივე მაგიური ძალა მიეწერებოდა ვერცხლისაგან ჩამოსხმულ ტყვიებს... მუსლიმანებს მუჰამედი უკრძალავდა აუგაროზებად ნებისმიერი სხვა ლითონის გამოყენებას, გარდა ვერცხლისა.

ქრისტიანულ სიმბოლიკაში ვერცხლი ღვთაებრივი სიბრძნისა და მჭვერმეტყველების სიმბოლოა - „უფლის სიტყვები წმიდა სიტყვებია, მიწის ქურაში გაქმნდილი ვერცხლი. შეიღჯურ გადახალისებული“ (ფს. 11:7).

**ტყვია** - ეს არაკეთილშობილი მეტალი ასტრალურად სატურთან იყო დაკავშირებული. დიდი ხნით ადრე ცეცხლსასრული იარაღის გამოგონებამდე, ტყვიას „შუა მაგიაში“ იყენებდნენ ძველი ბერძნები: შემორჩენილია უძველესი ტყვიის ფირფიტები ზედ ამოტიყფრული მაგიური წყველით. აღქიშიაში ტყვია უმთავრესი ლითონი



ტყვია


იყო, - მძიმე და „არაჯანსაღი“, რომლის ოქროდ გადაქცევა აღქიშიკოსთა მარადიული ოცნება გახლდათ. თავად ტყვია სულიერი სიტლანკის სიმბოლო იყო და იმ ადამიანს განასახიერებდა, რომელმაც ვერ კიდევ უნდა გაიაროს სულიერი დახვეწის გზა.

**კალა** - იუპიტერის „კუთვნილებაში მყოფი“ ეს მეტალი ხშირად გა-

მოიყენებოდა მკითხაობისას, რადგან ადვილად დნებოდა და გაციებისას, მყისვე იღებდა ნებისმიერ ფორმას.

შესაძლოა, ამ იშვიათი ელასტიურობის გამოც. კალა მომავალი წარმატების, წინსვლის (და აქედან გამომდინარე სიმდიდრის) ერთგვარ მაიმედებელ სიმბოლოდ მიიჩნეოდა და ნანატრი ოქრო-ვერცხლის მოძლოდინეთ, ვცბეს სწორედ კალისაგან თილისმებად ჩამოსხმული მონეტები უქმნიებდა.

**რკინის** სიმბოლურ მნიშვნელობათა გაცნობამდე ერთი ციტატა უორე-



კალა

იკ ბრეისა და დევიდ ტრამპის „არქეოლოგიური ლექსიკონიდან“ (ლონდონი, 1970 წ.): „ყველაზე ადრეული რკინის სადნობი დუმბლები ჩვ.წ. აღმდე II ათასწლეულის პირველი ნახევრისა აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოში ამ ათიოდე წლის წინ“.

რკინის თვისებებმა - მისმა საიმედობამ და სიმტკიცემ განაპირობა ამ ლითონის სიმბოლური მნიშვნელობანი: რკინა განასახიერებს ბოლო საფეხურს მსოფლიო განვითარების იმ ანტიკური მოდელისა (ჰესიოდე, ოვიდიუსი), რომლის პირველი საფეხურიც „ოქროს საუკუნე“ იყო. ეს მეტალი ანტიკური დროიდან, ომის ღვთაებას - მარსს (ამეუსს) დაუკავშირდა და, შესაბამისად, აძვე სახელწოდების პლანეტასაც. ეს იმითაც აიხსნება, რომ დაფანგებული რკინის ფერი შედეგებულ სისხლს მოგვაგონებს. ეგვიპტეში რკინა იდენტიფიცირებული იყო სეტთან (სიკვდილის, ბოროტების და გვაღვის ღვთაებთან), რომლის ატრიბუტებიც დანა გახლდათ. ნეგატიური ასპექტი აქვს რკინას ისლამშიც, სადაც ის ბოროტების ძალებს განასახიერებს, ხოლო ინდიუზმში „რკინის საუკუნე“ - ის უკანასკნელი, მეოთხე, ბნელი ციკლია ხელული სამყარ-



რკინა



ფოლადი

როსი, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ.

ჩვ.წ.ად. VII საუკუნიდან ქრისტიანული ეკლესია კრძალავდა რკინის ბეჭდებისა და სამაჯურების ტარებას. ქართულ ცნობებებში რკინის ნეგატიური ასპექტი „ამირანიანში“ ასახა - თაქისუფლების დამშობი რკინის უცვეთი ჯაჭვის სახით...

რკინისთან, ფოლადთან დაკავშირებული მეტაფორები (მაგალითად, ისეთი, როგორიცაა „რკინის ფარდა“, „რკინის კაცი“ ან „ფოლადისებრი ხასიათი“), ისევე, როგორც ეტიმოლოგიურად რკინისთან დაკავშირებული ისტორიულ პირთა ფსევდონიმები და მეტლახელები, ცხადია რაიმე ასპექტით ასახელებენ ამ ლითონის „მხედრულ სულისკეთებას“. ნიმუშად შეგვიძლია მოვიყვანოთ „რკინის კანცლერი“ - ოტო ფონ ბისმარკი ან იოსებ ჯულაშვილის რუსული „Сталь“-ისაგან („ფოლადისაგან“) ნაწარმოები რევოლუციური მეტლახელი - „სტალიონი“. რაც შეეხება „რკინის საუკუნეს“ და „რკინის ხელით“ დამყარებულ რეჟიმს, - აქ ისევე პოეტს თუ აღმობედა სასოწარკვეთით:

„დადგა დრო, რკინამ აიღა ენა!  
ის ითხოვს პასუხს, როგორც

მეკლემობა,  
და სასტიკია, როგორც გენა,  
მისი სისწრაფის უღმობელობა...“  
(გალატკონ ტაშიუ, „ისევ ვეფხურა“, 1922 წ.)

**პირცხლისწყალი** - ეს ყველაზე „კონტაქტური“ მეტალი ჩვენს ყოფით ლექსიკონში მოძარბობს, სიმარდის, სიწყვეტის ასოციაციას ბადებს. ვერცხლისწყალს იშვიათად თანმიმდევრული




ვერცხლისწყლის სიმბოლოები

სიმბოლიკა ქონდა მითოლოგიაში, ასტროლოგიასა და ალქიმიაში. მისი ასტროლოგიური „ორეული“ მერკური იყო – მზესთან ყველაზე ახლოს განლაგებული პლანეტა, თავისი სწრაფი გადაადგილების გამო მწვანად თვალმისადაქნებელი. მითოლოგიური მერკური, ღვთაება-ანდროგინი თავისი „ფრთიანი სანდლებით“ ისეთივე მოძრაე იყო და ისევე განასახიერებდა ორ საწყისს – წყლისა და ღვთის. როგორც ვერცხლისწყალი. ეს უნიკალური ლითონი იმიტაც იპყრობდა ალქიმიაკოსების ყურადღებას, რომ იოლად ქმნიდა შენადნობებს სხვა მეტალებთან და გამოიყენებოდა ოქროს გამოდნობისას. იმავე ალქიმიაკოსებისათვის გოგირდისა და ვერცხლისწყლის ურთიერთქმედება სამყაროს წარმოშობა ძალთა მანიფესტაცია გახლდათ.

სიმბოლოთა სისტემაში ვერცხლისწყალი განასახიერებდა ციე, ქალურ, მოუხელთავე ბუნებას, რომლის ზემოქმედებაც მშრალ და ხისტ მამაკაცურ საწყისზე აღვიძებდა კეთილშობილ და შემოქმედებით ენერგას.

**საილენაი (თითბარი)** – ესატყვისებოდა ვენერას, მწვანე ფერს, იმ „ხორციელ სულს“, რომელსაც გრძნობ



საილენაი



თითბარი

ბიერება იცავს... ძველთაგანვე ეს მეტალი ბადებდა აგრეთვე შემოდგომის, ჭკნობისა და დაცხრომის ასოციაციას. როგორც ცნობილია სპილენძისა და კალის შენადნობისგან მიიღება ბრინჯაო, რომელმაც უკეთესად სპილენძთან დაკავშირებული სიმბოლურ მნიშვნელობათა მწკრივი.

ანტიკური ავტორებისათვის „ბრინჯაოს საუკუნე“ ერთგვარად გარდამავალი პერიოდი იყო „ოქროს“ და „ვერცხლის“. კეთილშობილ ღრთო და „რკინის“ უღმობელ ეპოქას შორის. ეს მორალური ასპექტი ლითონთა კლასიფიკაციისას თვალნათლივ აისხა საკულტო თუ ყოფით ნაკეთობებში, ხადაც ბრინჯაო (თითბერი) ხშირად ენაცვლება ოქროს და ამ „კეთილშობილი“ მეტალის შარავანდელს „ითვისებს“. მაგალითად. შეგვიძლია მოვიყვანოთ არმაზის კერპი, რომელიც სპილენძისგან იყო ჩამოსხმული, ხოლო აბჯარ-მუზარადი და ხმალი ოქროსი ქქონდა.

## ლომი



ლომი – ბუნების ყველაზე დიდებულ. შთამბეჭდვე და მომნახიერებაა და თვის მზის პერსონიფიკაცია. თუმცა სინამდვილეში ლომი საღამოობით ნადირობს და ღლისთ კი მეტწილად თვლემს. მისი სოღარული (მზიური) სიმბოლიზმი არ ითვალისწინებს მის „ღდის რეჟიმს“ და მომდინარეობს „ცხოველთა მგრძნობის“ მეფური იერისაგან – ოქროსფერი ბეწვით. შარავანდედით აელვარებული, დიდებული ფაფარით, ღღრონი, ყვითელი, მზისებრ მანათობელი თვალელებთა და იშვიათი სიძლიერით. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ლომის სიმბოლიკაში სწორედ მეფური, მგრძანებული ელემენტები სჭარბობს: ღვთაებრიობა, მზის ცხოველმყოფელური ძალა. მეფური ძლევაზო-



„წმ მამა ლომე“ (ვერცხლის ცხრილ ველათის მონასტრიდან). ქართული კულტობა. XI ს. დასაწყისი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

სილგა, მხედრული სიმამაკე, შეუოკრობა, ტრიუმფი, მაგრამ იმაუდროულად – სისასტიკე და მძინვარება.

ძველთაგანვე ითვლებოდა, რომ ლომს, ისევე, როგორც არწივს, შეუძლია თვალთა გასწორის მზეს. მისი გამოსახულება მზის დისკოთი დამშვენებული, ძველ ეგვიპტეში. სწორედ მზის ღვთაება „რას“ განასახიერებდა. აი, ძუ ლომი კი – ომის ქალღმერთის – სეხმეტის სიმბოლო გახლდათ. იმავე ეგვიპტეში, ლომს ქქონდა „მინდობილი“ ყოველ საღამოს გაეცილებინა მზე სულთის საფაროში და რიყარაზე კი მისი დაბრუნების „გარანტი“ ყოფილიყო. ამიტომაც გეხედება ეგვიპტეში უძველესი საფლავის ქვები ზედ ამოტვიფრული ლომებით და აკლამების საკულტო მოხატულობა, სადაც ლომები თავად ფარონების მუმიებს მიაქვნიებენ.

ლომები „საიქიოს დარაჯნი“ იყვნენ საბერძნეთსა და ჩინეთშიც. მაგრამ გაცილებით მეტია ის უძველესი რეალიზი, სადაც ლომი „სააქიოს დარაჯად“ გვეკლინება – სამეფო კარისა, ქალაქისა თუ სახელმწიფოსი. ამის შთამბეჭდვი ნიმუშია „ლომთა კარიბჭე“ მიკენში. სრა-სასახლეთა კარიბჭეებზე. თაღებზე, სახელურებზე. შადრევნებისა და აუზების ირგვლივ ლომების გამოსახულების ტრადიცია ანტიკურ ევროპაში. თავდაპირველად, სწორედ ფარაონთა ეგვიპტიდან შემოიჭრა. საინტერესოა, რომ ლომმა, როგორც სიმბოლომ, ხე-



ვენეციის ემბლემა - ლომი სან-მარკოს მოედანზე

ღმერთად გაიარა ეს გზა მრავალი საუკუნის შემდეგ, როდესაც არაბებმა ესპანეთი დაიპყრეს და ამ ქვეყანაში თავისი სახვითი და არქიტექტურული სიმბოლიკა დანერგეს. ამ. ესპანურ-არაბული დეკორის განუყოფელი ელემენტი სწორედ ლომი გახლდათ, რაც ესოდენ წარმტაცად აისახა ალკამბრას სასახლის (გრენადა, XIII-XV საუკუნეები) ორ მშვენიერებაში - „ლომების შადრევანსა“ და „აუზის მოდარაჯე ლომებში“.

აფრიკაში, აზიას და ახლო აღმოსავლეთში ძალზე გავრცელებულია ერთი მხატვრული სიუჟეტი, რომელშიც გამძევარებული ლომი უმოწყალოდ ჯიჯგნის სასიკვდილოდ განწირულ ხარს, ცხენსა თუ რომელსავე გარეულ ცხოველს. ამ მიზნსაცნას წინააღმდეგობათა ერთიანობა უნდა წარმოესახა - სიკვდილ-სიცოცხლის, მზისა და მთვარის, მძლეველისა და ძლეულის...

ლომის სიმბოლიზმი, რომელშიც გაერთიანდა შექმნისა და ნგრევის (მოსპობის) მისტერია, გეხედება ბიბლიაშიც: ბიბლიური სასმონი, რომელიც ძველი აღთქმის მიხედვით, შიშველი ხელებით მოაშობს ლომს, ქრისტეს ტიპოლოგიურ პროტოტიპად წარმოგვიდგება. მაგრამ ახალ აღთქმაში ეს სიმბოლოური დისპოზიცია იცვლება და აქ უკვე თავად

იესო ქრისტე მოიხსენიება „ლომად - იუდას შტოდან“ (გამოცხ. 5:5). ლომია აგრეთვე სიმბოლო მარკოზ მახარებლისა, რომელმაც, თავის მხრივ, მაცხოვარი „ფრთოსან ლომად“ წარმოვიდგინა (შემდგომ, ეს სიმბოლო - „ფრთოსანი ლომისა“ ვენეციის ემბლემად იქცა და დღემდე წმინდა მარკოზის მოედანს ამშვენებს).

ლომს, როგორც ზოდიაქოს ერთერთ ნიშანს, თავისი სიმბოლოური დატვირთვა აქვს, რაზედაც ჩვენ ასტროლოგიურ ნიშანთა სიმბოლიკაში ვისახებრეთ. აქ კი გვინდა, ლომის პერალდიკური მნიშვნელობა გაგაცნოთ: ლომი, არწივთან ერთად, ყველაზე უფრო „პერალდიკური ცხოველია“ - მეტწილად ცალეზე შედგარი, სამეფო გვირგვინითა თუ მის გარეშე, ის არაერთ დინასტიურ, სამეფო (მათ შორის - ბავრატონების) გერბზე არის გამოსახული.


აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ლომის გამოსახულებამ განსაკუთრებული ადგილი დაიკავა სპარსულ პერალდიკაში (ირანის დროშას დღესაც ლომი ახატია). ხოლო დასავლეთში - დიდ ბრიტანეთში; თავად გამოთქმა - „ბრიტანული ლომი“ - ბრიტანეთის იმპერიის ბჭინეალებს პერიოდს მიანიშნებს, ისევე, როგორც „რიჩარდ ლომგული“ - ვეკაროსანი მეფის უბადლო რაინდულ თვისებებს.

საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 1 ოქტომბრის დადგენილებით დამტკიცებულ ჩვენს სახელმწიფო გერბზე პერალდიკური ფარი სწორედ ლომებს უყრიათ.



საქართველოს სახელმწიფო გერბი

ლოტოსი



ლოტოსი, რომელსაც „წყლის შროშანსაც“ უწოდებენ, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის და შორეული

აღმოსავლეთის უმოაერეს საკულტო ყვავილად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ლოტოსის სიმბოლიკის წარმომავლობა ჯერ კიდევ ძველი ეგვიპტიდან მოდის. ეს უზადო ფორმის უმშენიერესი ყვავილი, რომელიც ნილოსის ნაპირთან შლამიდან ამოიზრდებოდა და წყლის ზედაპირზე ტივტივებდა, აღიქმებოდა სასწაულებრივ, ღმერთთაგან ბოძებულ საწუქრად. ამ „საწუქრს“ ეგვიპტელი ქურუმები მიიჩნევდნენ კოსმიური სიცოცხლის წყაროდ - საზოგადოდ სიცოცხლისა და აღორძინების სიმბოლოდ. იმპედროულად, ლოტოსი განასახიერებდა ადამიანის სულიერ ზრდას და მის უნარს - ღვთაებრივი სრულყოფისათვის მიეღწია. ეგვიპტელები საერთოდ თვლიდნენ, რომ მათი ღმერთები „პირველადი ლოტოსიდან“ იშვნენ, ისევე, როგორც მზე დაიბადა პირველადი ქაოსიდან. აქვე უნდა ითქვას, რომ ცისფერი წყლის შროშანი უფრო მეტი მოწიწებით იყო გარემოცული, ვიდრე ვარდისფერი და თეთრი, რადგან სწორედ ცისფერი ლოტოსი განასახიერე-




ლოტოსი, უცნობი ნახელი მხატვარი, ახ.წ.თი XI-XII სს

ბდა თავმდაბლობასა და სიწმინდეს, ხოლო ამასთან ერთად, ეგვიპტის დედამდინარის - ნილოსის სიმბოლოც იყო. ლოტოსებისაგან დაწული გვირგვინი მკედრითი აღდგომაზე მიანიშნებდა და სამგლოვიარო ცერემონიის დროს ლოტოსის გვირგვინის ტრადიცია სწორედ ეგვიპტელებიდან გაუცრელდა ძველ საბერძნეთში, იტალიასა და წინა აზიაში.

ჩინურ, ინდურ და იაპონურ კულტურებში ლოტოსის სიმბოლიკა ძალზე კავს ვარდის სახისმეტყველებას დასავლურ ტრადიციაში. ამასთანავე, აღმოსავლურ რელიგიებში მნიშვნელობა აქვს ყვავილის ფურცელთა რაოდენობასაც; რეაფურტლიანი ლოტოსი ინდოეთში აღქმული იყო, როგორც „ცენტრი“, რომელიც ბრაჰმას სასუფეველია და ღვთაების ფარული ენერჯის ხილულ განსხეულებას წარმოადგენს. ეიშნუსიტური კოსმოგონიის თანახმად, ჩვენი სამყაროს მშობელი ბრაჰმა იშვა ლოტოსისაგან, რომელიც ეიშნუს ჭიპიდან ამოიზარდა. ეს ეგზოტიკური სიუჟეტი ინდოელი მხატვრების საყვარელი თემაა.

ინდობუდისტურ იკონოგრაფიაში საერთოდ მრავლად შეხედებით ლოტოსზე დაბრძანებულ ფეხმორთხმულ ღვთაებებს. ამ საკრალურ წარმოდგენათა ინერციით, ლოტოსი ერთნაირად სათაყვანებელი სიმბოლოა: ის თვითბუღას ემბლემა და იმ სულიერი გამოცდილების სრულყოფას განასახიერებს, რომელსაც ნირვანა მოაქვს.



„ბაჰაი“ - თანამედროვე ბაჰაისტური ტაძარი, რომლის არქიტექტურული კომპოზიცია ლოტოსის სიმბოლიკითაა ნაკარნახევი, ნიუ-დელი, ინდოეთი



## მათხოვარი

მათხოვარი ადამიანს აძლევს უნიკალურ საშუალებას - თავი სხვაზე მიიღრღაოდ იგრძნოს.

მათხოვარი „ზის“ იმ სოციალური პირამიდის ძირში, რომლის დასავლური მოდელიც ასე გამოიყურებოდა: მეფე, არისტოკრატია, მოქალაქე, გლეხი. მათხოვარი, შესაბამისად ამისა, - მათხოვარი, უკოვარი, გლახა (ეს ქართული სიტყვაც ნიშანდობლივია!) - როგორც სიმბოლური ფიგურა, დელილია ყოველგვარი ღირსებისაგან, თუ ის პროფესიონალი მათხოვარია და არა, ეთქვას, დომინიკელთა ან ფრანცისკანელ მათხოვარ ბერთა ორდენის წევრი. დასავლურ იკონოგრაფიაში არაერთი წმინდანი მათხოვრების გარემოცვაშია გამოსახული, ხოლო სირიელმა ასკეტმა, წმ. ალექსიმ, სწორედ მათხოვრობას მიმართა, რათა აღამიანებისათვის მათი სიქველის გამეღვანების შესაძლებლობა მიეცა. წმ. ალექსის სირიულმა წარმომავლობამ აქ, უთუოდ, თავისი როლი ითამაშა, რადგან მოხეტიალე-ფილოსოფოსი, ყარიბი, ღერეში, მათხოვარი-ასკეტი - ცხოვრების იმგვარი წესია, რომელიც სპეციფიკურად აღმოსავლური მენტალიტეტისათვის არის დამახასიათებელი. აღმოსავლური ტრადიციისამებრ, ისლამშიც, ინდუიზმშიც და ბუდიზმშიც, - მათხოვრობა - ღვთისმოსობის, თავმდაბლობის, განდევნობის სინონიმია. ამიტომაც, დღემდე,

მთელს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, შემორჩენილია ფენომენი „გადაცემული“ მათხოვრისა, როდესაც წარჩინებული ოჯახის შვილი მონძემბოსილი დახეტიალობს ქალაქში და მათხოვრობს, რათა სწორედ ამ სოციალური მეტამორფოზით სძლიოს თავის ქედმაღლობას და ყარიბის ხელჯობით დაადგეს სულიერი განწმენდის, კათარზისის გზას...

დასავლური მენტალიტეტისათვის - მათხოვრობა ზნეობრივი ზიზგია; ისე, როგორც, ეთქვას, კოჭლობა მითოლოგიაში; და რაც უფრო პრავდატულია საზოგადოება, მით უფრო უშეღავთია ეს კერდიქტი. ამ ტენდენციამ ეკლესიაშიც კი იჩინა თავი და ნიშანდობლივია ერთ სოციოლოგიურ წერილში მოხმობილი გამონათქვამი ეპისკოპოს გაეტანო ბედინისა: „ამერიკელებს არ შეუძლიათ დაუმან აზრი, რომ სიღარიბე, თუნდაც ნებაყოფლობითი, შეიძლება განვიხილოთ, როგორც სიქველე... მატერიალურ აყვებაზე მზრუნველნი. ისინი სიღარიბეს ზნეობრივ მანკიერებად მიიჩნევენ“. ეს სიტყვები ჯერ კიდევ 1854 წელსაა ნათქვამი.

ჩვენმა ევროპულმა ორიენტაციამ ამჯერადაც იჩინა თავი და ხელგაწედილი სიარული (მთ უმეტეს, ქართული ამპარტანუხობის გათვალისწინებით), მოკლებულია ყოველგვარ მისტიკურ-ფილოსოფიურ შარავანდელს. ერთადერთი დავით გურამიშვილია, რომელიც „დავითიანში“ ყრმათა ღამობდერისას, ათ პროფესიას („ათი სახმარი საქმე“) ჩამოთვლის, მათ რიცხვში „გლახაკო-

ბასაც“ მოიხსენებს და თუ კაცმა ამ ათი პროფესიიდან მაინცდამაინც მათხოვრობას მიჰყო ხელი, არუგეშებს და ერთგვარ „ინსტრუქციასაც“ აძლევს:

*„გლახაკი უნდა მდბადლი, ტკბილისა ენაპირისა, მლოცველი ყოვლის სულისა, სულ დიდისა და მცირისა; უყვარს, ვით იობ, უფალსა გლახა მოძობენი ჳირისა; სძულს ღმერთსა ამპარტანუხობა მეტადრე გლახა მწირისა“.*

## მაიშუნი

მაიშუნი, რაღა თქმა უნდა, ცხოველია, მაგრამ ადამიანს მინჯავარი. ხშირად ორ ფეხზე მოარული და იშვიათი არტისტულობით გამოჩნეული. ამიტომაც, მისი სიმბოლიცა წინააღმდეგობრივი და არაერთსახეანია.

ევროპული ტრადიცია მაიშუნს ოდიზურ არსებად“ მიიჩნევდა და მას ტაკიმასხარობასთან, ქვენა გრძობებთან, კერპთაყვანისმცემლობასთან და ერეტიკოსობასთან აიგივებდა.

სოლიად განსხვავებული აღმოსავლური მიმართება: ძველ ეგვიპტეში მაიშუნი, (კერძოდ, ბაბუნი) სიბრძნის სიმბოლი იყო; ინდური ხანშუმანი („მაიშუნების მეფე“), - მამაკ და შეუკოერი, - რამას უცვლელი თანამგზავრი და თანამებრძოლია. ჩინური, ინდური თუ იაპონური მითოლოგია აღსასვება სიუქეტებით, რომლებშიც მაიშუნები მოხერხებულ და გამჭრიახ გმირებს განასახიერებენ. იაპონური კულტურისათვის ნიშანდობლივია სიმბოლური კომპოზიცია - „სამი მაიშუნი“ („კოჩინი“). ეს „სამეული“ ვერ ამჩნევს ბორტეგას, არ ესმის არაფერი ცული და არ წარმოთქვამს არაფერს უგვანს. მთელს შორეულ აღმოსავლეთში, „კოჩინის“ ძელისაგან გამოთლილი ფიგურები ცილისწამების უნებელმყოფელ თილისმად იყო მიჩნეული.



ერნსტ ბარლაზი, რუხი მათხოვარი, 1907 წ.



ეს საკულტო სკულპტურა ინდური მითოლოგიის „მაიმუნების მეფის“ - ხანუმანსაც განასახიერებს და ამავე დროს თანამედროვე ინდური „კინოს“ ნიმუშაცაა

მეღმეუქსიურ კულტურაში, ისევე, როგორც ჩინურში, მაიმუნი კალენდარული სიმბოლო გახლდათ და მისი ნიშნის ქვეშ დაბადებულნი ან ჯამბაზები, ან მასხარები, ან მოცეკვაეები, ან მომღერლები უნდა გამოსულიყვნენ.

ქრისტიანულ ცნობიერებაში მაიმუნი ადამიანის კარიკატურად აღიქმება:

იკონოგრაფიაში სარკეს ჩაბლაუჭებულ მაიმუნი მანკიერებას და პატივმოყვარობას განასახიერებს, ხოლო კისერზე ჯაჭვშებმული - დაძლეულ ავსოროცობას. დასავლურ ხელოვნებაში ხშირად ვხვდებით პირში ვაშლგაჩრილ მაიმუნს, როგორც ადამისა და ევას ცოდვით დაცემის სიმბოლოს.

„ამპარტაენი თათარი - ეზოში დადის მამალი...“ - ეს გალაკტიონია. ამ ჩვენი „ოქროსბიბილოვან მალეიპარას“. ჩვენი ყოფის, ფოლკლორის, იუმორის განუყოფელ პერსონაჟს - მამალს ერთობ დატვირთული სიმბოლური ბიოგრაფია აქვს. ძველთაგანვე, მისი კოლორიტული სილუეტი ქანდარაზე - სიფხიზლეს, სიმამაცეს, წინასწარგანჭვრეტასა და საიმედობას უკავშირდებოდა; გარიჟრაჟზე მისი ყივილი არა მხოლოდ ახალი დღის, არამედ სულიერი აღორძინების მომასწავებელი იყო. ხოლო თავად მამალი - თავაწეული, ამაყი, წითლად ააღებელი ბიბილოთი და ფერადოვანი კუდიო - ცაზე ამოწვევილ მზეს ემსგავსებოდა და განასახიერებდა კიდევ:

ხალხური რწმენის მიხედვით, ღამის აჩრდილები ქრებოდნენ მამლის პირველ დაყვილებსთანავე. მამლისათვის დამახასიათებელი მზიური. „დამცავი“ სიმბოლოზმის თვალმიდევნება უძველესი დროიდან შეიძლება ახლო აღმოსავლეთსა და საბერძნეთში. ანტიკურ პანთეონში მამალი გახლდათ ატრიბუტი ან თანამგზავი - ზევსის, აპოლონის, ატინის. პერსეფონესი, არესის, ათენასი, პერმესის, ასკლეპიოსის (ესკულაპესი)...

შუა საუკუნეებში მამლის სიმბოლიკამ ქრისტიანულ ევროპაში (ამ კონტინენტის განაპირა ჩრდილოეთის გამოკლებით) განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა: ცოტა იყო ისეთი დაბა თუ ქალაქი, რომლის ყველაზე მაღალი შენობა არ დაემშვენებინოს მამლის სილუეტს, ვითარც სულიერი მღვიმარებისა და შემართების ალეგორიას.

დაფასებას, მოგებხენებათ, პასუხისმგებლობაც მოსდევს და უკვე რენესანსის ეპოქაში, 1476 წელს, შეიქცაირაში, ბაზელში გაასამართლეს და საჯაროდ დაწვეს მამალი, რომელსაც ბრალად დევნოდა კევრცხის დაღების მცდელობა. ცნობილი სახარებისეული ისტორია მოკვითხრობს იმაზე, თუ როგორ აღინიშნა მამლის სამი დაყვილებით



მამალი. ქალაქიდან ამონაქრების ნანკონური სკოლა. XX ს. 50-იანი წწ. ჩინეთი

პეტრესაგან მაცხოვრის სამგზის უარყოფა (თავად იესო ქრისტესაგან ნაწინასწარმეტყველები). მას შემდეგ, მამალი პეტრე მოციქულის ტრადიციულ ატრიბუტად იქცა.

ცნობილია, რომ საფრანგეთის ერთ-ერთი აღიარებული ემბლემა - „გალური მამალია“. გაღებად ძველი რომაელები მოიხსენიებდნენ კელტებს, რომელნიც დღევანდელი საფრანგეთის, ბელგიისა და ჩრდილო იტალიის ტერიტორიაზე სახლობდნენ და რომელთა ემბლემადაც, ერთი ლეგიონის კურიოზის გამო, მამალი ითვლებოდა. კურიოზი კი იმაში მდგომარეობდა, რომ ლათინურად სიტყვა „gallus“ ნიშნავს არა მარტო გალის ოლქის მცხოვრებს, არამედ - მამალსაც. ფრანგებმა, როგორც ამ გამჭარალი ეთნოსის ისტორიულმა შემკვიდრებმა, შთამომავლობით ეს ემბლემაც მიიღეს და მათთვის დამახასიათებელი იუმორით, სახელმწიფო ჰერალდიკაში ჩართეს.

ევროპულ ეთნოსებში მამალს განსხვავებული სიმბოლიკა ჰქონდა მხოლოდ სკანდინავიელებთან, რომელნიც მას შავი მაგიის ფრინველად თვლიდნენ. ამ რწმენის არქეტყმა ჩვენ ვაწყდებით ანტიკურ მითოლოგიაში, სადაც მამალი მიწისქვეშეთს უკავშირდებოდა, ვითარც კტონური ფრინველი; ის ეძღ-

ვნებოდა ასკლეპიოსს და განასახიერებდა სიკვდილ-სიცოცხლის სიმბოლოს.

(ამსთანავე, მნიშვნელობა ენიჭებოდა ფერის სიმბოლიკასაც და ასკლეპიოსის მამალი სწორედ შავი უნდა ყოფილიყო). გვიანდელმა ანტიკურობამ ეს „მიღმიური სიმბოლიკა“ გაითავისა და „წლის დემონი“ - აბრაქსასი გვევლინება ურჩხულად, რომელსაც მამლის თავი და გველის მსგავსი ფეხები აქვს.

ზორხე ლუის ბორხესის „ბესტიარიუმში“ ცალკეა გამოყოფილი ჩინური „ზეციური მამალი“, რომლის კერძებთანაც გამოჩეკილი წითელბიბილიანის წიწილები მთელს ქვეყნიერებას მოედენენ. ჩინეთში მამლის სახელწოდება „კუნ“ - იღბლიანობის ომონიმია; წითელი მამალი სახლს ხანძრისაგან იცავს; ზოლო თეთრი - მოჩვენე-

ბებისაგან. სხვათა შორის, მამალს მსხვერპლადაც სწირავენ, მაგრამ პატივისცემის ნიშნად არ ჭამენ. მამალი გახლავთ ზუთი ჩინური სიქველის სიმბოლიკა: ღირსებისა, კეთილშობილების, სიმამაცის, უღალატობისა და დიდსულოვნების. აქ, სამელოვიარო პროცესიაზე, როგორც წესი, მოკაყვდათ ცოცხალი მამალი ან მოპკონდათ მისი გამოსახულება, როგორც სიკვდილის აჩრდილის განმრიდებელი თილისმა. იაპონიაში მამალს, მისი აგრესიულობის გამო, ნეგატიური სიმბოლიური ელფერი აქვს (ამიტომაცაა, რომ ედგარ ჰოს „ყორანის“ იაპონურად თარგმნისას - ყორანს მამალი შეენაცუელა). მაგრამ, ამავე დროს მამალი თავისუფლად დასეირნობს სინთოსტურ ტაძრებში და ყივილით იხმობს მორწმუნეთ. ეს „პრივილეგია“ აიხსნება ლეგენდით, რომლის თანახმადაც, მამალმა სინათლის ღვთაება - ამატერასუ



წმ. პეტრე (შეფერადებული ხე). თეონასწავლი მხატვრის ხატი. XIX ს. II ნახ. საფრანგეთი



ქ. იავა. ბორობუდურის ტაძარი. ახ. წით VIII-IX ს. მიწა. ინდონეზია

გამოიხმო ბნელი მღვიმიდან, სადაც ეს მშვენიერი ზეციური არსება თავის ნათელს მალავდა.

მამლის ესოდენ შთაბეჭდავი და უჩვეულო სახისმეტყველება ქართულ წარმართულ ცნობიერებაშიც აისახა, რისი პლასტიკიც დღემდე შემორჩენილი: ეს შეინიშნება არა მარტო ხატობებზე, არამედ ქრისტიანულ სალოცავებშიც კი (განსაკუთრებით წმინდა გიორგის სახელზე აგებულ ტაძრებში) მამლის მსხვერპლად შეწირვის ტრადიციაში. სვანური ეთნოგრაფიის მკვლევარები ადასტურებენ არქაულ რწმენას – გარდაცვლილი მამაკაცის სულის – მამალში, ხოლო ქალის – დედალში გარდასახვის შესახებ. მეცნიერები განსციფრებით აღნიშნავენ იმასაც, რომ მამლის სიმბოლოს დაკავშირება მოახლოებულ სიკვდილთან გვხვდება სვანებისაგან ისეთ დაშორებულ ეთნოსში, როგორიც იაკუტებია.

## მანდალა

მანდალა – ესაა გეომეტრიული ელემენტების კომბინაცია, რომელიც ბუდიზმსა და ინდუიზმში საყაროს სიმბოლურ სურათს წარმოსახავს („მანდალა“ – სანსკრიტზე „წმინდა წრეს“

ნიშნავს). როგორც წესი, მანდალის ძირითადი ფიგურა – კვადრატში ჩახატული წრეა, მისი წარმოსახული ცენტრი – ესაა მზე ან „ზეციური კარბჭკე“, რომელიც ზემთაგონებით ამოძრავებულმა სულიერებამ უნდა გაიაროს და სწორედ მასზეა ფოკუსირებული მანდალის მჭვრეტელთა მედიტაცია. ამასთანავე, მანდალის გრაფიკული კომპონენტები ისეა კომბინირებული, რომ ამ საკრალურ წარმოსახვითი სამყაროში (Imagi mundi) შედწევა იოლი არ იყოს და მაქსიმალურად გაუხანგრძლივოს მოგზაურობა აბსოლუტის მიძიებელ სულს (ამგვარ



მანდალას, რომელიც უშუალოდ მედიტაციისათვის გამოიყენება – „ინტრას“ უწოდებენ).

ამასთანავე, მანდალა, როგორც კოსმური წესრიგის გრაფიკული გამოსახულება (კოსმოგრამა), ზშირად განაირობებს ინდობუდისტური ტაძრების კონფიგურაციას, ხოლო თვით საკულტო რიტუალში აუცილებელი ატრიბუტის როლი აქვს მინიჭებული.

რაც შეეხება ამ საკრალური ფიგურის ფსიქოლოგიურ ასპექტს, იუნგს მიიანდა, რომ მანდალა ფსიქოლოგიური შეუთავსებლობის დაძლევის მარადიული სურვილის არქეტაპული სიმბოლოა; სხვანი თვლიან რომ ეს გრაფუმა „მე“-ს მიღმიური სულიერი მოგზაურობის ეიზუალური ხატია.

## მანდორლა

„მანდორლა“ (იტალიურად "mandorla" – ნუშს ნიშნავს) ის ნუშისებრი ფორმის შარავანდაცაა, რომლითაც ქრისტიანულ ხელოვნებაში ქრისტესა და ღვთისმშობლის (იშვით შემთხვევაში – სხვა წმინდანთა) ღვთაებრივი ნათელი გამოისახება. თუ რელიგიური ცნობიერებისათვის საზოგადოდ სინათლე – ესაა უხილავი ღვთაებრივი საწყისის ხილული გამოხატულება, – მანდორლა იმ ადრექრისტიანულ სიმბოლოებს მიეკუთვნება, რომელთაც მაცხოვრის დიდება უნდა განესახიერებინათ. თავდაპირველად, მანდორლას კიდევ ერთი, ნაკლებპოეტური დასახელებაც ჰქონდა: „Vesica piscis“ – ანუ „თევზის ბუშტი“, მაგრამ საბოლოოდ მაინც „მანდორლა“ დამკვიდრდა. აქ, უთუოდ, საკუთრივ ნუშის სიმბოლიკამაც იმოქმედა: ჯერ კიდევ ძველებრაული წარმოდგენებით, ნუში („ლუ“) – ესაა „უკვდავების ნაყოფი“, რომელიც იმავდროულად ცენტრს და საყოველთაო საწყისს განასახიერებს, ხოლო ქრისტიანულ

წმინდა მანდალა ტიპები (XX ს.)



მანდრალთა გარემოსილი ღვთისმშობლის ტრადიციული გამოსახულება. XVI ს. ვერძანია

სიმბოლიკაში - ქრისტეს მიუწვდომელ არსს, სიწმინდესა და ღვთაებრიობას (სხვათა შორის, ნუში მისტიკურ სწავლებებშიც სიწმინდისა და უბიწოების სიმბოლო იყო).

მანდორლას, როგორც გრაფიკულ სიმბოლოს, აქვს კიდევ ერთი ახსნაც: თუ მას განვიხილავთ, როგორც ორი სფეროს გადაკეთვას, ეს ორი სფერო შეგვიძლია წარმოვისახოთ, როგორც ცა და მიწა; სულიერი და მატერიალური (ამ სიმბოლოურ კომბინაციაში „სულს“ მარჯვენა რკალი განასახიერებს, ხოლო „მატერიას“ - მარცხენა). ამით აიხსნება, რომ იკონოგრაფიაში მანდორლა, ჩვეულებრივ, სწორედ ცადაღელენილი ფიგურების გარშემო გამოისახება, რათა ამით ზაზი გაესვას არა მხოლოდ მათ ღვთაებრიობას, არამედ მათ გარდასახვასაც.

### მანდრაგორი



მანდრაგორი საბას განმარტებით: „ბალახია, ვაშლივით მოიბაშს; ვინც სჭამს, ძილს მოჰკვირის“. ამ მცენარეს, რომელიც ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, წინა და

შუა აზიაში ხარობს, მართლაც აქვს ნარკოტიკული თვისებები, მაგრამ მისი მითოლოგიზაცია მხოლოდ ამით არ აიხსნება. მანდრაგორის სიმბოლიკა მომდინარეობს მისი ფესვის ფორმიდან, რომელიც უცნაურად წააგავს ადამიანის აღნაგობას და გასაკვირი არაა, რომ ამ იშვიათი მცენარის მხილველ ჩვენს უშორეს წინაპარს მომწუსხველი, შემზარავი ასოციაციები დაბადებოდა. ამასთან ერთად, მანდრაგორის რეალურმა ზემოქმედებამ (მანდრაგორის ფესვის ნაყენს იყენებდნენ, როგორც ტკივილგამაყუჩებელ საშუალებას) თავის მხრივ წარმოშვა ლეგენდებისა და ცრურწმენების მთელი წყება.

ანტიკურ ეპოქაში მანდრაგორი ჯადოსან კირკეს სიმბოლო იყო (ბერძნულად მანდრაგორის სახელწოდებაა -



„kirkaia“). „ოდისეაში“ ჯადოსანი კირკე-ცირცეა ოდისეის თანამგზავრებს ღორებად გადააქცევს სწორედ იმ ნაყენის საშუალებით, რომელშიც ყაყაჩოსთან, თაფლთან და ზაჭოსთან ერთად, მანდრაგორის წვეინა შერეული. ანტიკურ სამყაროში სჯეროდათ ასევე, რომ ვიდრე მანდრაგორის ფესვი მიწაშია - დემონებსა და უწმინდურ ძაღვს ეკუთვნის, მაგრამ თუ სათანადო ზერხ-

ით ამოითხარა, ადამიანისათვის დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია. ეს „ხერხი“ ფრიად ორიგინალური იყო: რადგან არსებობდა რწმენა, რომ მიწიდან ამოთხრისას მანდრაგორი განწირული ხმით იწყებდა ძე ზორციელი-სათვის მომაკვინებელ კივილს, ამიტომ მისი ამოძირკვის მსურველს ყურები ცვილით უნდა დაეკმანა, მუყარაინაღამეს კუდილი მიეხა გავრთვნილი შავი ძაღლი მანდრაგორის ღეროზე და სწორედ ამ ძაღვს უნდა შეესრულებინა „ძირითადი სამუშაო“.

სამაგვიროდ, მანდრაგორისაგან დაშადებულ ნაყენს უებარ ძაღვს მიაწერდნენ. ამ რწმენის გამოძახილი არის ბიბლიაშიც (დაბ. 30: 14-18). ცალკე ნაწარმოებს უძღვნის მანდრაგორს შუასაუკუნოვანი იტალიის გამოჩენილი მოღვაწე - ნიკოლო მაკიაველი. „მანდრაგორის ნაყენს რომ არა, - კეთხულოთ მის „მანდრაგორაში“, - უშვილოდ დარჩებოდა საფრანგეთის დედოფალიც და კიდევ ბევრი წარჩინებული მანდილოსანი ამ სახელმწიფოში“. მანდრაგორის ნაყენს მამაკაცური პოტენციის გაძლიერებისთვისაც სვაძენენ; ისიც სჯეროდათ, რომ ამ მცენარის ნაყოფის - „მანდრაგორის ვაშლის“ სურნელს ეროტიული მიზიდულობის ძალა ჰქონდა. ამავე მიზნით, უიმედოდ შეეყარებულები ავგაროზად ატარებდნენ ყელზე შემპულ მანდრაგორის ფესვს. ის, ვისაც ავგარი თილისმაც ვერ შეელოდა, ცდილობდა რომელიმე ალქიმიკოსი მოეძებნა და მასთან მომზადებულ მანდრაგორის ჯადოსნური ნაყენს ჩუმად შეერია თავისი გულცივი სატრფოს სასმელში. აქედან გამოძინარე, მანდრაგორი იყო როგორც სიყვარულისა და ლტოლვის, ასევე მოტყუების, გონებადაბნელების, შავი მაგიის სიმბოლო.

შემდგომ საუკუნეებში ამ, ნეგატიურმა სიმბოლიკამ იმძლავრა და ნიშანდობლივია, რომ მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე ამაზრზენი პერსონაჟის - ციციქნა ცაცხისის მეტსახელი სწორედ „მანდრაგორი“ იყო (პოფმანის მოთხრობა „ციციქნა ცაცხის“).

მარაო

მარაო („ხელითმოსაქროლებელი“ – საბა) ქალურ სინატიფესა და ზიბლთან არის ასოცირებული. მაგრამ მარაოს სიმბოლიკა, რომელიც მის წარმომავლობას უკავშირდება, დიამეტრალურად საპირისპირო მომენტსაც მოიცავს – ძალაუფლებას. დანარჩენი სიმბოლური მნიშვნელობანი ამ ორ „პოლუსს“ შორისაა განათავებული. მარაომომარჯვებული პირფარეში აზიელ თუ აფრიკელ მეფე-მპაპარავათა კარის განუყოფელი პერსონაჟია.

მცხუნვარე აღმოსავლეთში მარაოს ცერემონიალური მნიშვნელობა – მისი ზომა, ფორმა, ორნამენტირება თუ ზმარების მანერა კონკრეტულ სიტუაციასთან იყო მისადაგებული. სირაქლეზის თუ ფარშეევანგის ფრთისაგან, გაკეთებული „საგრილებლნი“, ხელი-



ვერცხლის სამწერობელი შემოქმედონ. XI ს. დასაწყის ქართულის ხელოვნების მუზეუმი


სუფლების ნიშანი იმიტომაც იყო, რომ ქართან, ჰაერთან ასოცირებული მარაო

(მისი სიმრგვალის გათვალისწინებით) კოსმიურ სიმბოლიზმს უკავშირდებოდა. ნიშანდობლივია ისიც, რომ ცეცხლის ინდუსტრული ღვთაება – აგნი, სწორედ მარაოთი აღივებებს წმინდა ნაკერჩხალს. ამ ანალოგიითაა, რომ თითოეული ის „ბედის ნებიერი“, რომელსაც განუწყვეტლივ „სულს უბერავდა“ ფარეშთა მთელი დასტა, თავს აღიქვამდა „ღვთიურ ნაქერწყლად“, არასე ზით რომ არ უნდა ჩამქარალიყო. სიბარიტმა რომაელებმა, როგორც ყველაფერში, აქაც ცხოვრებით ამწუთიერი ტბობის ელემენტი გააძლიერეს და ლათინურ ენაში სპეციალური ტერმინიც კი წარმოიშვა, მარაომომარჯვებული მხვეალი ქალის აღსანიშნავად („*flabellifera*“). ამავე ძირიდან ნაწარმოები „*flabellum*“ უკვე ის დიდი, ცერემონიალური მარაოა, რომის პაპის პროცესიების დროს, ზეციურ სიმბოლიზმსა და კათოლიკური ეკლესიის მეუფის ყოვლისმყრობლობას რომ განასახიერებდა. მსგავსი მარაო („სამწერობელი“) გამოიყენება მართლმადიდებლურ სამეუფო ლიტურგიაშიც.

მარაო გამორჩეული საგანია ჩინურ ციცილიზაციაში: დაოსური გადმოცემის თანახმად, ლი ცი იუ-იანი (ერთ-ერთი რვა დაოსელ უკვდავთაგან) თა-



XVIII ს. დასასრულისა და XIX ს. დასაწყისი ევროპული მოდა



„ტენგუს მარაოს“ ქართული თარგმანის ილუსტრაცია. მხატვარი ოლესია თავაძე. 1972 წ.

ვისი ჯადოსნური მარათი აცოცხლებდა მიცვალებულთ. ასეთივე სიმბოლიკა ჰქონდა მარაოს იაპონიაშიც, რისი მკაფიო დასტურიცაა ძალზე პოპულარული ზღაპარი ტენგუს ჯადოსნურ მარაოზე. ჩინეთის მსგავსად, აქ არც ერთი საზეიმო რიტუალი არ ტარდებოდა საგანგებოდ მოხატული მარაოების გარეშე; სიკვდილმისჯილსაც კი ხელში შესატყვისი ემბლემატის მქონე მარაო ეჭირა. აქვე უნდა ითქვას, რომ შუასაუკუნოვან იაპონიაში მარაოს სრულიად უჩვეულო ნაირსახეობა წარმოიშვა – როგორც ცივი იარაღისა: ფოლადისაგან დამზადებული სატყო-

რნი მარაოები იმდენად საშიში იყო, რომ ხელისუფლებამ ისინი საგანგებოდ დეკრეტით აკრძალა.

გაშლილი მარაო, იმავდროულად, მთავრის ფაზების მონაცვლეობის და უკე ამ ანალოგიით, – ქალური ხასიათის ცვალებადობის ასოციაციას იწვევდა. საუკუნეთა განმავლობაში, მთელს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მარაო ქალურობის განუყოფელ ატრიბუტად იქცა. სწორედ ასე, უკვე როგორც აკე-კლუცობის აქუსუარამა, მარაომ ხელმკორედ შემოაღწია ევროპაში XVIII საუკუნეში ესპანეთიდან, სადაც ის დახვეწილი არაბულ-ესპანური კულ-

ტურის ერთ-ერთი ყველაზე ნიშანდობლივი, ლამის საკულტო საგანი იყო. მარაოს გარეშე წარმოდგენილია ცეცხლოვანი ესპანური ცეკვა „ფლამენკოც“, საკარნავალო თუ სამეჯლისო ფლიორტიც და საერთოდ, ყოველდღიური ესპანური ყოფაც.

„მარაოს ესთეტიკა“ ჩვენში რომანტიზმის ეპოქასთან ერთად დაშველდრდა და ფრთიანი გამოთქმა, რომ „მაიკო ორბელიანი მარაოს ნიაზეუ გაცივდა“, როგორღაც აერთიანებს ამ მომხიბლავი ქალის ტრაგიკულ ბედსა და ამ მატუნებელი საგნის სიმბოლიკას...

## მარილი

მარილი ყოველთვის განასახიერებდა ცხოვრების მადლსა და გემოს. უძველეს ცივილიზაციებში – საბერძნეთიდან იაპონიამდე, – მარილი განწმენდის რიტუალში გამოიყენებოდა და დღეს, როდესაც ჩვენ ვხედავთ, როგორ მიმოაბნევენ მარალს სუბოში ორთაბრძოლის მონაწილენი, – მოწმენი ვხდებით ათასწლოვანი ტრადიციის უწყვეტობისა.

მარილის დაკავშირება განწმენდასთან ადვილი ასახსნელია: ეს უნიკალური კონსერვანტი განუზომელი ღრითი ინარჩუნებს თავის თვისებებს; ამასთანავე, ადამიანისათვის ამ ერთ-ერთმა პირველმა საკმაზმმა მარადიული ღირებულების ელფერი შეეძინა – როგორც მატერიულიური, ასევე სიმბოლური: უძველესი დროიდან, ახლო აღმოსავლეთში მარილი განსაკუთრებით ძვირადღირებული საკონელი იყო და სწორედ აქედან გაგრცეკვდა მთელ მსოფლიოში სტუმართმოყვარეობისა და მეგობრობის სიმბოლოდ „პურ-მარილი“ ანუ მარილმოყრილი, გადატეხილი პური.

ძველი ბერძენები და რომაელები მარილს, ისევე და ისევე, მისი თვისებების გამო, დამცავ აეგაროზად მიიჩნევდნენ და ცნობილია, რომ ძველ რომში თოთო ბავშვებს ტუჩებზე აყრიდნენ. აქ, ისინი, უთუოდ, ძველ იუდეველებს ბაძე-



რომანო. „საიდუმლო სერობა“ (XVI ს. I ნახ). მონტიკაროს ტაძარი, იტალია (ფრაგმენტი)

დნენ, რომელნიც თავიანთ ჩვილთ დაბადებისთანავე განწყმენდისათვის. „მარილი სერავდნენ“ (ეზეკ. 16:4).

ჩვენთანაცაა შემორჩენილი ცრურწმენა, რომლის თანახმად, მარილის დაყრას ჩხუთი მოსდევს: აქ, საფიქრებელია, სუფრის საკრალური ატრიბუტის „უპატეცემულობასთან“ ერთად, ყოველად პრაგმატული მიზეზიც იყო – ალზევანიდან ჩამოტანილი მარილი ერთობ ძვირი გახლდათ...

საზოგადოდ, „დაპნული“ მარილი, როგორც უბედურების მომასწავებელი ნიშანი, სიმბოლოთა უძველეს მწკრივს განეკუთვნება და ნიშანდობლივია, რომ ლეონარდო და ვინჩის „საიდუმლო სერობაზე“ (1495) იუდა ისკარიოტელს წინ წაქცეული სამარილე უდევს. ეს ვიზუალური მეტაფორა მიგვანიშნებს სახარებისულ სიმბოლიკაზე: იუდას აღარ განეკუთვნება მაცხოვრის ქადაგებისას თავისი მოწაფებისათვის ნათქვამი: „თქვენ ხართ მარილი მიწისა...“ (მათე, 5:13). უთუოდ ლეონარდოს გაელენითაა ჩახატული ამოტრიალებული სამარილე ფერწერის კვენციური

სკოლის წარმომადგენლის ჯიჟორო-ლაჟო რომანინოს (დაახლ. 1485–1566 წწ.) „საიდუმლო სერობაში“, რომლის ფრაგმენტიც აქაა მოხმობილი.

მარილი დღემდე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტია ქრისტიანული ღვთისმსახურებისა, რაც გამოიხატება „მარილის კურთხევაში“. რომელიც დაწესებული იყო სიყვარულის ტრაკეზება და სულის მოსახსენებელ ადაპებზე. არსებობს საგანგებო ლოცვაც კი „მარილის კურთხევისა“.

ბიბლიაშივე გვხვდება მარილის ნეგატიური სიმბოლიკაც – როდესაც ლოტის ცოლი მარილის სვეტად გადაიქცევა (დაბ. 19:26) და როდესაც უნაყოფობისა და უსიცოცხლობის სიმბოლოდ მარილიანი უდაბნო წარმოსახება. ბიბლიური აბიმილეკი „მარილს დათესას“ მის მიერ დაყრობილ და დანგრეულ ქალაქ შექემში, რათა იქ სიცოცხლე სამარადისოდ მოისპოს (მსაჯ. 9:45). ეს ბიბლიური ლეგენდა რეალობად აქციეს რომაელებმა, როდესაც მარილი მიმოაზიანეს დანგრეული კართაგენის მიმდებარე მიწებზე.

ერთობსაზეცელილი გვევლინება მარილი ინდოეთში. სადაც ის ამგზნებს საშუალებად თივლებოდა და ამიტომაც ასკეტებისათვის არ იყო რეკომენდირებული. იაპონიაში, დღემდე მარილი („შიო“) კულტის უმნიშვნელოვანესი ელემენტია: ის იცავს „აეი თვალისაგან“; დილასაღამოს ერთი პეშვი მარილი იყრება სახლის კარიბჭესთან; საგანგებოდ „მიადევენებენ“ მარილს არასასურველ სტუმარს; მარილითვე „იკვალავენ გზას“ დაკმალიდან შინ მობრუნებისას; მარილის მიმოხვევა აუცილებელი ელემენტია სუმოს ცერემონიაში; იმ ადგილზე კი, სადაც იაპონური მითოლოგიის თანახმად, ღვთაება კამიძ პირველად მოიპოვა მარილი, მისი მთავარი ტაძარია აღმართული („ოკამა-ჯინჯა“).

ისიც საინტერესოა, რომ ასირიული მითების თანახმად, ადამიანებს მარილის ხმარება ღმერთებმა ასწავლეს. ზოლო შედარებით გვიანდელ ევროპულ მითოლოგიაში, მარილის „ღვთაებრიობა“ იმიტად დასტურდება, რომ ქაჯეშმა მარილს უფროხიან და კუდაინები თავის ღრობაზე მარტოოდენ უმარილო კერძებს მიირთმევენ.

უსხოვარი დროდან მარილმა ქართულ სინამდვილეში ასოციაციათა მთელი წყება წარმოშვა და „მარილანი სიტყვა“ თუ „უმაღლიო კაცი“ ამ საუკუნოვანი სიმბოლიკის მეტყველი ნიმუშებია.

## მარჯვენა-მარცხენა

მარჯვენა და მარცხენა – ერთ-ერთი უძველესი სიმბოლიური ოპოზიციაა კულტურის ისტორიაში. მარცხენას, როგორც ვიცით, ტრადიციულად უარყოფითი სემანტიკა აქვს, ზოლო მარჯ-

ვენას - პოზიტიური. შესატყვისი ილუსტრაციებისათვის საკმარისია, თუნდაც „მარცხი“, „დამარცხება“ და „მარჯვე“, „გამარჯვება“ გაეხსენოთ...

ტრადიციითა უმეტესობაში მარჯვე-ნა ასოცირებული იყო უფროსობასთან, უპირატესობასთან, აქტიურობასთან და მზიერ-მამაკაცურ საწყისთან; მარცხენა - მეორეხარისისოვან პოზიციასთან, სისუსტესთან - ქალურ საწყისთან. ამიტომ, რომ მრავალ ქვეყანაში მარჯვენა მხარე ტრადიციულად მამაკაცებს ეთმობოდათ და პირიქით, გარეცვლებული იყო რწმენა, რომ მარჯვენა ხელი ყოველდღიური საქმიანობისათვის იყო განკუთვნილი, ხოლო მარცხენა კი - მაგიურ ქმედებათათვის. ეთნოგრაფების დაკვირვებით, აფრიკელი შამანები საკრალურ მიზნათვის მარჯვენა ხელს იყენებენ, მარცხენათი კი - შხაშს აწხადებენ. დასავლური ცრურწმენითაც, - მარჯვენა მიმავალი ბილიკი თეთრ მავის განასახიერებს, მარცხნივ კი - შავს. მხარე ანალოგიით ითვლება, რომ კაცს მარცხმარჯვნივ მფარველი ანგელოზი უდგას, მხარმარცხნივ კი - მადლუნებელი ეშმაკი.

მარჯვენა მხარე გამორჩეულია და მასპინძლისათვის ყველაზე საპატიო სტუმარი მისგან მარჯვნივ უნდა იჯდეს. სხვათა შორის, შესატყვისი პოლიტიკური ცნებები „მემარჯველებისა“ და „მემარცხენეების“, საფიქრებელია სწორედ აქედან მოდის: ინგლისურ პარლამენტში კონსერვატორები („ტორი“) უფრო საპატიო - მარჯვენა მხარეს ისხდნენ, მათი ოპონენტები კი - მარცხნივ; ასეთივე პრინციპით განთავსდნენ რეფორმატორები და რეაქციონერები საფრანგეთის ნაციონალურ ასამბლეაში 1789 წელს.


ძველ ჩინეთში „იანისა“ და „ინის“ უნივერსალური კონტეფციით, მარჯვენა-მარცხენას ოპოზიციას არ იყო ესოდენ მძაფრი: ტრადიციულად, ოჯახის უფროსი მარცხნივ იჯდა და შესაბამისად, დასახლისი მარჯვნიდან უმშენებდა მხარს, მაგრამ იმავე ტრადიციის თანახმად, დამდამობით მხარეები უნდა შეენაცვლებინათ ხოლმე. მარჯვენა-მარცხენის სიმბოლიკის

ასევე განსხვავებულ სურათს ვაჩვენებთ იაპონიაში, სადაც უპირატესობა სწორედ მარცხენას ენიჭება, როგორც ღირსების, კეთილშობილების, სიბრძნისა და მამაკაცური საწყისის განსახიერებას. სანამ ეს ტრადიცია ჩვენამდე მოაწევს, „მარჯვედ“ უნდა ვიყოთ...

### მანსხარა

მანსხარას და ჯამბაზს სიმბოლოთა სისტემა ერთმანეთისაგან არ მიჯნავს. ისინი „მუტრიბთა და მუშაითა“ - მონეტრიალურ კომედიანტთა იმ ჩაგრულ კასტას მიეკუთვნებოდნენ, რომელსაც ვიზუალურად უნდა განესახიერებინა ცხოვრების ფარსი: სერიოზული სახით წამოეროშა სისულელე და ბრბოვული ხითხითით - ჭეშმარიტება...

მანსხარა, უძველესი დროიდან, ხელისუფლის ინვერსიული სახეა და ამიტომაც მას გვირგვინის მინაგვარი ელანებიათი ფერადი ჩაჩი ახურავს. ცნობილია, რომ კარის მანსხარა, როგორც წესი, არ ისევებოდა თავისი სითამამისათვის, მაგრამ ცნობილია ისიც, რომ მანსხარა იყო განტეხების ვაკი და თუ მსხვერპლშეწირვაზე მიდგებოდა საქმე, ისევე და ისევე მანსხარას იმეტებდნენ... ამ ინვერსიის ლოგიკით, „უმდა-



„კარის მანსხარა“; შუასაუკუნოვანი გროტესკი

ბლესი“ არსება, რომელიც საყოველთაო კეთილდღეობას ეწირებოდა, - „უმდალესი“ სფეროებში გადაინაცვლებდა... იმეათი პატივისცემა! ამიტომ, რომ მანსხარას (ჯამბაზის) სიმბოლურ ნიშანს ყოველთვის თან სდევს ტრაგიკული ელფერი, რომელიც ფერწერის, თეატრისა თუ კინემატოგრაფის არაერთ ნიმუშს დაელო საუფუტლად.

### მგელი



თუკი ქრისტიანულ სახსიმეტყველებაში ცხვრის ფარა ეკლესიის მრევლს განასახიერებდა, - უღრტინეელსა და ღვთისნიერს, მგელმა, სრულიად ბუნებრივად, საწინააღმდეგო სიმბოლიკა შეიძინა და ბოროტების, ძალმომრეობის, დემონურ ძალთა სიმბოლოდ იქცა (აქედან - გამოთქმა: „ცხვრის ქურქში გახვეული მგელი“).

ანტიკურ ეპოქაში კი მგელი მხედრულ სიმამაცესა და თავდადებას განასახიერებდა: მგელი იყენებდა შეშობლინ მარსის ეტლში: მგლის ტყავით იმოსებოდნენ მეომრები, ხოლო შუბზე დამარებული მგლის თავი მათ გამარჯვების რწმენასა და სიმხნევეს პატებდა. აქვე გაეხსენათ ვახტანგ გორგასალის (სპარსულად - „მგლისთავა“) მუზარადზე გამოსახული მგელი.

მითოლოგიაში მგელი არაერთი კულტის დარჯვად გვევლინება: ზოგჯერ კი ის თავადაა გაფეტიშებული: რომაელებთან, როგორც რომის ლეგენდარული დამაარებლების - რომულისა და რემის „ძიას“; ძველ ირანელებთან, რომელთა მეფე კიროსიც, ლეგენდის თანახმად, ასევე მგლის გამოზრდილი იყო; მონღოლებთან, რომელთა რწმენითაც, მათი დიდი ბელადის, ჩინგიზ-ყაენის წინაპარი - „მდლი ციხე შობილი“, „ჩრქული“, ნისლისფერი მგელი - ტენგრი გახლდათ.



კაპიტლიუმის მე მგელი, რომელი და რეს (ბრინჯაო), მე წით V ს. დასაწყისი. რომი, კაპიტლიუმის მუზეუმი

მაგრამ, რაც უფრო მეტად ენაცვლება მეომრულ სულისკვეთებას ქრისტიანული კეთილზნობა, მით უფრო ნეგატიურ ელფერს იძებს „მითოლოგიური მგელი“, რომელსაც უპირისპირდება ერთგულებისა და თავდადების სიმბოლო – ძაღლი. ერთადერთი გამონაკლისი „ათვამებტ ასურულ მამათაგან“ ერთ-ერთის, შიო მღვიმელის „ცხოვრებაში“ მითხრობილი ეპიზოდია, რომელშიც მგელი სახედრებს მწყემსას (მ. საბინინი, „საქართველოს სამოთხე“).

მგლის მითოლოგიური სიმბოლოს კავშირი ქვეჩა სამყაროსთან, ბნელეთთან, მკვდართა საუფლოსთან განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიხატა სკანდინავიური მითში, რომელშიც გიგანტური მგელი – ფერინრი, ქაოსის სიმბოლო, გადაყლაპავს მზეს, რაც ქვეყნის დასასრულს მოაწვავებს (მსგავსი სიუჟეტი კელტურ მითოლოგიაშიც არის). თვით „ოჯგოზხეთის კარიბტი“ წარმოისახებოდა ერთგვარ ნავჯარად ორი გიგანტური ხახისა – დრაკონისა და მგლის. მგლის სიმბოლიკის ამ მსტიკურ ელფერს უკავშირდება შუა საუკუნეების წარმოდგენები მკიცია-მგლებზე (ახუ აღმაინებში „ჩანახლებულ“ მგლის სულზე),

რომლებიც, რამდენადმე სახეცვლილი – თანამედროვე მწერლობამაც და კინემატოგრაფმაც აღმოაცენა – ზოგჯერ ძალზე ღრმა, ფილოსოფიური გააზრებით (კერძოდ პესეს „ტრამალის მგელი“), ზოგჯერ კი – უფრო ზედაპირულ მისტიკურ ეფექტზე გათვლილი ფილმებით (მაგალითად „მგელი“ – ჯექ ნიკოლსონით მთავარ როლში).

სამწუხაროა, მაგრამ მგლის სიმბოლიკის ჩანაცვლება მხოლოდდა ნეგატიური სტერეოტიპით, რეალური მგლების ბედზე აისახა და „წითელქუდას მშთანთქანი“ უკვე XIX საუკუნეში ევროპის უმეტეს ქვეყნებში თითქმის მთლიანად გაწყვეტეს. ამ პროცესს ვერ უშველა ვერც კეთილშობილმა აკელამ რედიარდ კიპლინგის „მაუგლიდან“, ვერც ალფრედ დე ვინის სენტიმენტალურმა „მგლის სიყვლილმა“. XX ს-ში ამ მხრივ განგაშის ზარის ტოლფასი იყო გამოჩენილი კანადელი ეთოლოგისა და მწერლის ფარლი მოუეტის წიგნი – „არ იყვირო, მგლებო!“, რომელიც გასული საუკუნის 60-იან წლებში გამოიცა, არაერთ ენაზე ითარგმნა (ქართულის ჩათვლით) და მკითხველს სრულიად უჩვეულო თვალთ დაანახა ეს ცხოველი.

ნიშანდობლივია, რომ ეს თემა – აღმაინისა და მგლის ტრაგიკული თანაარსებობისა, – ქართულ პროზასაც გასდევს. – ჯერ, როგორც ერთგვარი წინასწარი მონახაზი, – ვაჟას „მგელში“ და შემდგომ, უკვე როგორც დრამატული გაგრძელება ამ თემისა – რევაზ ინანიშვილის „მგლის მოკვლაში“ და სუგზარ შატაიძის მოთხრობაში – „ბებერი მგელი“. ეს ჰუმანური პათოსი კიდევ უფრო დასაფასებელია ჩვენს ცნობიერებაში შთანერვლილი მგლის „ქრესტომათიული პორტრეტის“ გათვლილსწინებით. აკი ჯერ კიდევ „შუშანიკის მარცტილოზიდან“ ჩაებტვლა ჩვენს უერთაშენას – „მგელი იგი ვარსკენი...“.

მგლის სიმბოლიკაზე ჩვენი ცნობები არასრული იქნება, თუ არ გავითვალისწინებთ სვანურ ტრადიციას, სადაც ეს მტაცებელი საკარლურად ითველებოდა: სვანური წმინდა დროშა „ლეში“ წარმოადგენდა ხის ტარზე დამაგრებულ ქსოვილისაგან გამოკრილი ცხოველის გამოსახულებას, რომელსაც ეთნოგრაფი ვერა ბარდაველიძე ტოტემურ მგლად მიიჩნევდა და ამ მოსახრებას ასაბუთებდა სვანეთში მგლისადმი „ნათესაური“ დამოკიდებულების ამსახველი მასალით: მგლის ტყავის ჯუბებით, რომელთაც კუდი ხელუხლებლად ჰქონდათ დატოვებული; მგელთან დაკავშირებული უძველესი ცერემონიალით (მამაკაცთა პროცესია „აშანგელო“, რაც „სამბელოს“ ნიშნავდა) და ა.შ. სვანებს სწამდათ მგლის ზებუნებრივი, მფარველი ძალის: მგლის კბილი ავი თვალისაგან იცავდა, ძვლების ნახარში სამკურნალო საშუალებად ითვლებოდა, მგლის ბეწვსა და ბრტყალუმს ასევე მაგიური ძალა გააჩნდა; მგლის ბეწვს წვადუნენ და ავადმყოფს უბოლებდნენ ეპილეფსიის შეტევისას; მგლის მოკვლა ტაბუირებული იყო და თუ შემთხვევით მონადირე ტაბუს დაარღვევდა, ქუდმოხდილი სვანები დაიტირებდნენ და ებოდიშებოდნენ მოკვლულს. აი, ამგვარია „ტოტიან მგლის“ სიმბოლიკური ბიოგრაფია მისი „ქართული ნაწილითურთ“.

მდინარე

მდინარე წუთისოფლის წარმავლობის, დრო-ჟამის უმოწყალო დინების ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი სიმბოლოა, თავისი არსით ამპივალენტური: ის განასახიერებს ბუნების ცხოველყოფელ ძალას, მაგრამ მოიცავს იმ აგრესიულ საწყისსაც, რომელიც უშალ წალეკავს ხოლმე ყოველივეს, რაიც კი თავის დროზე უსაზღდოებია...

მდინარეები, რომელნიც „მსოფლიო მდინარეებად“ მოიხსენიებიან, რომელთა „გუნება-განწყობაზეც“ იყო დამოკიდებული მთელი ეთნოსების არსებობა, რომელთა ნაპირებზეც აღმოცენდნენ უძველესი ცივილიზაციები, საკარალურ ელფერს იძენენ სხვადასხვა რელიგიურ სისტემებში: ოთხი ბიბლიური მდინარე – ფისონი, გეონი, ტიგროსი და ეფრათი იმ „პირველმდინარის“ ოთხი განშტოებაა, რომელიც ედემის ბაღის მოსარწყავად შექმნა უფალმა (დაბ. 2:10-14). ეს ოთხი მდინარე განასახიერებდა ქვეყნიერების ოთხ მხარეს, იმ დეობდრიე ენერჯისა და სულიერ საზრდოს, რომელიც მთელ სამყაროს კვებავს. ამ ოთხი მდინარის სიმბოლური გამოსახულება ამშვენებს ხოლმე წმინდა ემბაზს, ხოლო წყალი ნათლისღების რიტუალში მდინარე იორდანეს იმ წმინდა წყალს განასახიერებს, რომელშიც იოანე ნათლისმცემელმა იესო მონათლა. ამიტომაცა ბიბლიური სიმბოლიკით მდინარე განწმენდის, სულიწმინდის მადლისა და წყალობათა სიმბოლო.


შუმერულ-სემიტური ტრადიციითაც სამოთხის ოთხი მდინარე შეესატყვისებოდა ქვეყნის ოთხ მხარეს და წელიწადის ოთხ დროს; ოთხი მდინარეა სკანდინავიურ მითოლოგიაშიც, ოღონდ რძისა; კელტებისათვის გამოჩეულად საკარალური იყო ის ადგილები, სადაც ორი მდინარე ერთვოდა ერთმანეთს.

ბუდიზმში მდინარე სიცოცხლის ნაკადს განასახიერებს. სულიერი განწმენდის მისაღწევად ამ ნაკადის სათავემდე მიღწევაა საჭირო. ჩინურ მითო-

ლოგიას კიდევ ერთი პლასტი ახასიათებდა: ითვლებოდა, რომ მდინარეთა სიღრმეში ბუდობდნენ „დრაკონთა მზრძანებელნი“, რომელთა „გულის მოსალობად“ პერიოდული მსხვერპლმეწირვა იყო აუცილებელი. გადმოცემის თანახმად, ძველი ჩინეთის მითიური ხელისუფალი იუ-ი დიდ მწიშვნელობას ანიჭებდა ამ რიტუალს და ზოგჯერ თავისი ქვეშევრდომებითაც კი ამწყალობებდა მდინარის დეობებს.

და მაინც, სრულიად განსაკუთრებული და დღემდე ცოცხალი ტრადიცია

მდინარის გაღმერთებისა შემონახულია ინდოეთში: ინდუიზმში მდინარე განვიწარმობისა ხეზოდა, როგორც ზეციდან მიწის განსაწმენდად გარდმოვლენილი ჩანჩქერი. ამ ჩანჩქერის ძალას დედამიწა რომ არ წაუღეკა, მას თვით შივამ შეუშვირა თავი; უკვე მოთიენიერებული და შეიდ ნაკადად დაყოფილი მდინარე მიედინებოდა მიწაზე და იკარგებოდა იმქვეყნიურ სამყაროში. მეორე ვერსია ამ მითისა მოგვითხრობს, რომ მშუენიერი ქალღმერთი განვა – მდინარედ ქცეული, შივას თმებიდან გადმოღინდა დე-



მომლოცველნი განვის ნაპირზე, ბენარესი, ინდოეთი (თანამედროვე ფოტო)

დამიწაზე და დამშრალი ოკეანე აკუსო. კიდევ ერთი თქმულების თანახმად, სა-მოთხის ოთხი მდინარე სათავეს იმ სი-ცოცხლის ხის ძირიდან იღებს, რომელ-იც წმინდა მთა მერუზეა ამოზრდილი (სწორედ მერუზე გადის მსოფლიო დე-რძი). ინდუიზმში ეს ოთხი მდინარე გა-ნასახიერებს ქვეყნიერების ოთხ მხარ-ეს, ოთხ ეპოქას („ოუვას“), ველების ოთხ სასხვეერაპლო თასს. შეიძლება ითქვას, რომ მთელი ეს მითოლოგიური შარვა-ნდელი დღეს მდინარე განგშია განსახი-ერებული. ითვლება, რომ განგში განბა-ნეა (განსაკუთრებით კი - წმინდა ქალაქ ბენარესში) ყველა ჭეშმარიტი ინდუის-ტის წმიდათაწმიდა მოვალეობა: მდი-ნარის ტალღებს ატანენ თავის წარსულ ცოდვებს და გარდაცვლილთა ფერფლს...

ქართულ ცნობიერებაში მდინარე-სთან დაკავშირებული „მითოლოგიური ვაკუუმი“ ჩვენმა მწერლობამ შეაგუსო და მდინარის სიმბოლიკა ჩვენს წარმოსა-ხვაში განუყრელად დაუკავშირდა ილ-ის „მეზაურის წერილებიდან“ მომდი-ნარე თერგის დინამიზმსაც და იმ მედი-ტაციასაც, რომლითაც გამსჭვალულია ბარათაშვილის „ფიქრის მეტყერის პი-რას“...

**მელა**

მელა, ჩვენი ფოლკლორის უპოპუ-ლარესი პერსონაჟი, მსოფლიო კულ-ტურათა უმეტესობაში ეშმაკობასა და ცბიერებას განანახიერებს. რადგან მე-ლიის მოწითალო ბეწვი ცეცხლის ას-ოციაციას იწვევდა, შუა საუკუნეებში მელა, რომლის ერთადერთი „ცოდვაც“ ქათმების პარვა იყო, ეშმაკის ამაღას მიაკუთვნეს ფოცხვერთან და ციყვთან ერთად. ძველ რომში, ამავე მიზეზით მას „ცეცხლის დემონად“ თვლიდნენ. ქალღმერთ ცერერას დღესასწაულზე, მარცველულის ნათესი შესაძლებელი ხანძრისაგან რომ დაეცვათ, მელას კუ-ღზე უმაგებდნენ ანთებულ ჩირაღდ-ანს და მიწოდო-მინდო რაბინენი-



მელა ოუხერატის აკლამა. თხზ. ძეწით 1448-1422 წწ. ძველი აგვიპტე

ბდნენ. ძველ გერმანელებთან მელა იყო სიმბოლური ცხოველი ღვთაება ლო-კისა, რომელიც ეშმაკური ფანდებითა და ხრიკებით გამოირჩეოდა.

ალბრეკტ დიურერის ნამუშევარში „მარიამი ცხოველთა გარემოცვაში“ მე-ლა, სხვათაგან განსხვავებით, დაბულია, საფიქრებელია, თავისი „შელახული რეპუტაციის“ გამო. ზორზე ლუის ბო-რნესი თავის „ბესტიარიუმში“ ფანტა-სტიკურ ცხოველთა შორის, ცალკე გა-მოჰყოფს „ჩინურ მელას“, რომელიც: „ეშმაკია, ფრთხილია და უნდობელია, მისი მთავარი „გასართობი“ - აღამიანების გაბაიბურება და წვალებაა. ადა-მიანთა სულები ზოგჯერ მელიის სხე-ულში ისაღვურებენ. თვითონაც საფ-ლავეებს შორიახლოს ბინადრობს“.

ჩინეთსა და მთელ აღმოსავლეთ აზ-იაში ითვლებოდა, რომ მელას განსაკუ-თრებული მომაჯადოებელი თვისებები აქვს და ქალად გარდასახულს, ნების-მიერი მამაკაცის ცდუნება შეეძლო. სხვათა შორის, ეტყობა ევროპაშიც არ-სებობდა რაღაც მსგავსი წარმოდგენე-ბი, თუ ვიმსჯელებთ მელიის კულდიან გაკეთებულ შუასაუკუნოვანი სამკლა-ურებისა და იმ ყელსაბურავებით, რო-მლებსაც დღემდე თავისი ხიზლის გა-ნუყოფნად ნაწილად თვლის ამდენი ლა-მაზმანი.

ქართველ მკითხველს მელიის სიმ-

ბოლიკა, უპირველეს ყოვლისა, სულხ-ან-საბას ალგვორით წარმოუდგება - „ბერად შემდგარი მელი“. ესოდენ კო-ლორიტული პერსონაჟის მიმართ, ბუ-ნებრეიათა ვერც ვაჟა-ფშაველა დარჩე-ბოდა გულგრილი და მის საყმაწვილო პროზაში ვხვდებით მზაკვარ მელია-კუდიგვრდლის (ამავე სახელწოდების საახალწლო მოთხრობაში), რომელიც მეფის ასულს, მზეთუნახავს იტაცებს, მთელ სამეფოს აწიოკებს და სამართლი-ანადაც ისევება; მის გვერდით კი „მე-ლია-სერეფენისა“. მელიის კვალობა-ზე, საკმაოდ სიმპათიურ არსებებს, რო-მლის პატარ-პატარა სიხარულებსა და დარდებს ვაჟა მისთვის ჩვეული სისა-თუთით აგვიწერს.

**მენორა**



მენორა, დაეი-თის ვარსკვლავთან ერთად, იუდაიზმის ტრადიციულ სიმ-ბოლოებს განეკუ-თნება და დღევან-დელი ისრაელის სახელმწიფო გერბის ძირითადი ელემენტი გახლავთ. მენო-რა, რომელიც გადმოცემის თანახმად, იერუსალიმის ტაძარში იდგა, ძველ



მენორა და მსხტურე კარსიქე, სსსაქოვის მონასტერი მონასტრულის ახ.წ-ით VI ს. პეტ შანი, ისრაელი

აღოქმაში (გამოხვ. 25:31-40) აღწერლია, როგორც შეიდტოტიანი ოქროს ლამპარი (მოგვიანებით შანდალი). თვით მენორა კოსმიურ ხეს განასახიერებდა. ხოლო მისი შეიდი ტოტი - მზის, მთვარისა და ხუთი მნათობის სიმბოლო გახლდათ; ასევე, შეიდი ზეციური სფეროსი და აკვირის შეიდი დღისა. მენორა განასახიერებს ებრაელი ხალხის ტრადიციათა უწყვეტობას. რადგან ის მოსეს დროიდან იუდეური საკურთხევის განუყოფელი ნაწილია. თორაში - ებრაელთა წმინდა წიგნში, - დაწვრილებითაა ახსნილი, როგორი უნდა იყოს მენორა და როგორ უნდა ინთებოდეს მისი წმინდა ზეთი. ასეთია იუდეური საკურთხევის ერთ-ერთი

უძველესი რელიქია - სულიერი სინათლისა და გადარჩენის სიმბოლო.

ქრისტიანულ ტაძარში მენორა „შეიდტოტას“ სახელითაა დამკვიდრებული (როგორც წმინდა ტრაპეზის ატრიბუტი) და სიმბოლურად ეკლესიის შეიდი საიდუმლოს განასახიერებს.

## მერცხალი



„რა კარგი იქნებოდა, რომ ყველა ადამიანი და ყველა ყმაწვილი იყოს იმისთანა კეთილი. უუნებელი, გამარჯული, მზიარული, მოსიყვარულე, სსსაჰოენო და სსსარგებლო ქვეყნისათვის, როგორც არის მერცხალი“ - წერს იაკობ გოგებაშვილი.

ამ სიტყვებში უკვე გამოხატულია ის უსაზღვრო კეთილგანწყობა და სიფიქიზე, რომელსაც გაზაფხულის მახარობელი პატარა ფრთოსანი იწყევს და რომელიც საფუძვლად დაედო მის სიმბოლიკას. ქართული საყმაწვილო პოეზია და პროზა გაჯერებულია ამ კეთილგანწყობით, თუმცა აკაკის „გაზაფხული“ ცხადყოფს, რომ მერცხლის სიმბოლიკა მხოლოდ საყმაწვილო



წარმოსახვისათვის არ იყო გათვლილი. მერცხალი, არა მხოლოდ ქართულ, უმეტეს კულტურათათვის გაზაფხულის ტრადიციული მაცნა და ამასთანავე, აღორძინების, განახლების სიმბოლოა. ისიღასა და ვენერას წმინდა ფრინველი ძველთაგანვე საყოველთაო სიმპათიით სარგებლობდა და მისი სიმბოლიკა იმ იშვიათ გამონაკლის წარმოადგენს, რომელშიც ძველგვიპტური, ანტიკური, ევროპული თუ ჩინური კულტურული ტრადიცია ერთსულოვნებას იჩენენ. აქ ისიც ხაზგასასმელია, რომ მერცხალი, გარდა გაზაფხულის მახარობლისა, ერთგულების სიმბოლიკაა, რადგან ის შორეული კონტინენტიდან დაბრუნებულს კი უტომლად აგნებს თავის პაწაწა ბუდეს (ამ სიმბოლიკაზეა აგებული ბასილ მელიქიშვილის მოთხრობა „მკერდშობილი მერცხალი“). ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენში (და კიდევ მრავალ სხვა ეთნოსში) გაერყელებული რწმენით, მერცხლის ბუდის მოშლა უბედურების მომასწავლებლია.

ისე რომ, ჩვენთვის ბავშობიდანვე ნაცნობი სტრიქონები შიო მღვიმელისა (გიორგი ლეონიძე ერთგან „მერცხლების მამას“ რომ უწოდებს) ზოგად-ქუმანურ მნიშვნელობას იძენს და რაღაც უხილავ, სულის სიღრმეში ჩაგმანულ სიშს აუთოროლებს ადამიანს...

„... ცხრამთა ვზიდან მომაკალი. მოქანტული, მოღალული, დაბლა-დაბლა ვეშვებოდი, შენ გექებდა ჩემი გული.“

აი, მოველ, დავინახე, გულში ია-ვარდი ვთხე, ავჭიკჭიკიდი უფრო ტკბილად, ხმები გავიუკეთებე.

გეფიციბი და-მშობასა, მხოლოდ ეხლა დავიკენესე, არ ვრცხვენია, უმიზეზოდ ქვებს რომ მესვრი, ბიჭო სესე?!“

(შიო მღვიმელი, „პაწაწა მერცხალი“)




სრულყოფილი სამეფო ოჯახი წარმოდგენილია უფლისწულის გარეშე: მეფისწული გაახალგაზრდავებული მამა-მეფეა. მასში ერთიანდება ახალგაზრდული ხიბლი, ჭაბუკური, ენერჯია და დინასტიური ღირსებანი. ამიტომაც, უფლისწულის სიმბოლიკა სამომავლო იმედებს უკავშირდება, ოღონდ დომინანტური აქ სწორედ საზოგადო იდეალია და არა პიროვნული. სრულიად გამოცალკეებულია „ეთერ ცხენზე ამხედრებული უფლისწული-სა“ და „მძინარე მზეთუნახავის“ სახეები, რომელნიც სასიყვარულო ძოლოდინის და რომანტიული ოცნების მარადიულ სიმბოლოებად რჩებიან.

### მზა

„მტევის მწიფობის დროს ქართველი მევენახე ამბობს - თვალი ჩასულა მტევენი. თვალში აქ ნაგულისხმევია მზე. თვალი მზეა, ფიქრობს ქართველი, რადგან იცის, რომ „მზე“ და „მზერა“ ეთანხმებიან სადაც ერთმანეთს. ასევე გაეიხსენოთ საბასული განმარტება ღმერთის - წვა და ზედეა, ეს განმარტება მზეზეა ზედამოჭრილი... მზე არის სიციცხლის თესლი...“ (გრიგოლ რობაქიძე, „მზის ხანა ქართველთა“).

კულტურათა უმეტესობაში მზე ყოვლისწარმომშობი ენერჯის სიმბოლიკა; თეოგონიაში (მითებში ღვთაებათა წარმოშობის შესახებ) ის ყველა ასტრალურ სხეულს ჩრდილავს (რაც არცაა გასაკვირი) და თვლისმომჭრელ, პერიოკულ საწყისს განასახიერებს; როგორც წესი, მზე წარმოდგება დემიურგის, ყოვლისმპყრობელის შვილად, რომელსაც გამოჰყვება უმთავრესი ღვთაებრივი ნიჭი - ხედავდეს ყველას და ყოველივეს. ამ რწმენიდან გამომდინარე, ინდუიზმში მზე (სურიას სახელით) უზენაესი ღვთაების - ვიშნუნას ყოვლისმხვედველი თვალია; სპარსეთში - აპურა მახდის (ორმუზდის) და მითრასი, რომლის კულტმაც არა მხო-



„კოსმური მზე“ ინდუსტრ წარმოსახვაში

ლოდ სპარსეთი, რომის იმპერიაც კი მოიცავს; ეგვიპტეში მზეს ღვთაება „რა“ განასახიერებდა; ძველ საბერძნეთში მზის „ხილული სახე“ იყო ჰელიოსი - ზევის ყოვლისმჩენი თვალი; სკანდინავიაში მზე ოდინის თვალად იყოღებოდა; მუსლიმანურ ქვეყნებში - ალასისა; ბუდისტურში - როგორც ბუდას ნათება; დაბოლოს, ქრისტიანობაში - ეს თვად იყო ქრისტეა - „მზე სიმაართლისა“.

ძალზე თავისებური იყო მზის კულტი კოლუმბამდელ ამერიკაში, განსაკუთრებით ძველ პერუში, სადაც ეს მნათობი ინკების დიდ წინაპრად მიიჩნეოდა. არსად სხვაგან მზე ისე გაიგებულა არ იყო ოქროსთან, როგორც იქ და თვითმხილველთა აღწერით, მზის ტაძარი პერუს დედაქალაქ კუსკოში მთლიანად ოქროს ზოლებით იყო მოპირკეთებული. აცტეკებს სწამდათ, რომ მზის ესოდენ დაუღალავ, ყოველდღიურ „შრომას“ სათანადო „კვება“ სჭირდებოდა. ამ საკრალურ „საკვებად“ მხოლოდ ადამიანის სისხლი („ძვირფასი წყალი“) მიაჩნდათ და მზის საკურთხეველი ათასობით მსხვერპლის სისხლით იყო მორწყული. იგივე მიზნით - „მზის სტიმულირებისა“, ეწყო-


ბოდა საგანგებო რიტუალები მზეზე-ღობის, ბუნიაობისა თუ მზის დაბნელების დროს - წრეში ჩამდგარი, ჯოხ-მომარჯვებული ადამიანები შეუსვენებლივ მოძრაობდნენ, რათა „დასუსტებულ“ მზეს დახმარებოდნენ. მსგავსი ცერემონიები იმართებოდა ეგვიპტელებთან, ებრაელებთან, ფინიკიელებთან, აღმოსავლეთის სხვა ხალხებთან. ინდოეთში ღამით მიწაზე რძეს ასხამდნენ და სწამდათ, რომ ამით მზეს ამოსელაში ეხმარებოდნენ.

უთუოდ საინტერესოა, რომ მეგრულში „მზე“ და „რძე“ ერთი სიტყვით („ბჟა“) გამოიხატება.

თითქმის ყველგან, სადაც კი მზე უზენაეს ღვთაებას განასახიერებდა, ერთგვარი „მითოპოლიტიკური“ მოდელი გამოჰმუშავდა მიწიერ მბრძანებელთა „მზისმთავარი გენეალოგიის“ დასადასტურებლად: „მზის შვილებად“ ითვლებოდნენ ეგვიპტელი ფარაონები და სწორედ ამ ქვეყანაში იყო მზის საკულტო ქალაქი - ჰელიოპოლისი (ბერძნულში - „Heliospolis“ ანუ „მზის ქალაქი“); ძველეგვიპტურად - „ონი“. ახლანდელი ელ-მატარია), სადაც ფარაონმა ეხნატონმა (ამენოტეპ IV) XV ს-ში ჩვ. წ. აღ-მდე „მონოთეისტური გადატრიალება“ მოახდინა და მანამ ცნობილი იყო, - სამი ათასი ღვთაების ნაცვლად ერთადერთ ეგვიპტურ ღმერთად, მზის ღვთაება - ამონ-რა გამოაცხადა; მზიურ წარმომადგენლობას მიაწე-



„მზისახოვანი“ ღვთაება მითრი სკოტრით



მზის ქაბრი. კულუმბაშელის ამერიკა (მათას ცივილიზაცია. ახ.წ-ით VII ს-ის შუა წლებში)

რდნენ ძველი ირანის მეფეებს, რომელი იმპერატორებს. ინკების მეფეებს, იაპონელ იმპერატორებს, რომელთა დღევანდელი შთამომავალიც – მზის ღვთაებას, ამატერასუს თელის თავის წინაპრად, ზოლო ქვეყნის მთავარი ემბლემა სწორედ მზის წითელი დისკო გახლათ. ამ ნუსხაში უნდა მოვიხსენიოთ კოლხეთის მითოლოგიური მეფე აიეტიც – „პელიოსის შვილისშვილი“...

კულტურის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ეთნოსების უმეტესობისათვის, მზის კულტი მთავარი და, შესაძლოა, ერთადერთი კი იყო. ბუნებრივია, რომ ამ კულტმა შექმნა სიმბოლოთა მთელი სისტემა: ერთი მთავარი ემბლემა აქ – დისკო, – ღვთაებრიობისა და ძალაუფლების სიმბოლო; ფრთოსანი დისკო, რომელიც ესოდენ ხშირად გვხვდება ეგვიპტისა და ახლო აღმოსავლეთის იკონოგრაფიაში, მზისა და არწივის სიმბოლიკას აერთიანებდა და,

როგორც ამომავალი მზის ემბლემა, აღორძინებასა და კოსმიურ ენერჯიას განასახიერებდა (ემბლემა ან უკვე ავილიაციისა და კოსმიურ გამოკვლევათა სფეროს მიეკუთვნება).

სხვადასხვა კულტურებში მზეს განასახიერებდა არწივი, მამალი, შევარდენი, ფენიქსი; ცხველთაგან – ლომი, დრაკონი ან ფრთოსანი გველი; მცენარეთაგან – ლოტოსი, ქრიზანთემა, ვარდი, მზესუმზირა, ბორჯღალი და სვასტიკა... რღა თქმა უნდა, პირველ რიგში აქ უნდა დაგვესახელებინა ოქრო და ცეცხლი. საქმარისა ითქვას, რომ დღემდე შემორჩენილი „ჭიაკოკონობა“ მზეზე გადახტომას ნიშნავდა და ეს ტრადიცია იმდენად იყო გამჭდარი მუხლსა და რბილში, რომ ბიზანტიკაში 629 წელს საეკიალური საეკლესიო ყრილობაც კი მოიწვიეს, რათა ეს ძველი წარმართული წესი აეკრძალათ.

პირველყოფილი ასტრობოლოგიური ცნობიერება ანთროპომორფიზმით ხასითდება ანუ ადამიანურ თვისებებს მიაწერს კერპადქცეულ საგნებსა თუ მოვლენებს: ამ ლოგიკით უძველეს ცივილიზაციათა უმეტესობაში მზემ, როგორც აქტიური, ცხველმყოფელი ძალის გამოვლინებამ, მამაკაცური საწყისი განასახიერა, ხოლო მთვარემ, პასიურმა, სხვისი სინათლის ამრეკლავმა, „მერყევი“ – ქალური. ივანე ჯავახიშვილის თქმით, იყო გამონაკლისიც – ასურელები, ქარანენი ანუ საბიბლები და ქართველები (გავიხსენოთ: „მზე დედა ჩემი, მთვარე – მამა ჩემი, მოციმციმე ვარსკვლავები – და და მამა ჩემი“). თანამედროვე ეთნოგრაფიამ ამ „გამონაკლისთა“ რიცხვი ერთობ გაზარდა და მიაკუთვნა მათ აგრეთვე ევროპის კულტური რეგიონები, გერმანია, იაპონია, აფრიკა, ჩრდილო ამერიკელი ინდიელები, ახალი ზელანდიისა და ოკეანის აბორიგენები.

თუ ისევ ქართულ წარმართობას დაუვებურნდებით, ბუნებრივია, რომ მზის

ქალური, დედური საწყისიდან გამომდინარე, საკუთრივ მზის ღვთაება – მფარველი და მეოხი სიცოცხლისა, „დიდი დედა“, აუცილებლად უნდა კოფილიყო ქართულ წარმართულ პანთონში, – ასეთი გახლათ ღვთაება ბარბალე (ბაბალე).

უკიდურესად მცხუნვარე ქვეყნებისათვის მზე სიცოცხლესთან ერთად სიკვდილთანაც იყო ასოცირებული: მზის „დამდაგაი“ ასპექტი ჩინეთში წარმონდგა მითით, რომელშიც მოთხრობილია, რომ ოდესღაც ათმა მზემ ერთდროულად დიწყო ნათება და ლამის გადაბუგა დედამიწა. მაშინ უზუნაესი ღვთაება იძულებული გახდა კოსმიური წესრიგის აღსადგენად, ცხრა მზე მოექალა და ერთადერთი დაეტოვებინა. მრავალ რელიგიაში მზის მომაკვინებელი ასპექტი (გვალვის გამომწვევი მცხუნვარება), „შავი მზის“ მეტაფორით გამოიხატებოდა და ამ თვისების მატარებელი ღვთაებანიც, შესაბამისად, მუქ ფერებში გამოისახებოდა (ოსირისი, ჰადესი). მითოლოგიურ წარმოსახვაში „სიკვდილთან წილნაყარი“ იყო ჩამავალი მზეც, რომელსაც ძველ ეგვიპტეში ოსირისი განასახიერებდა, რადგან მას მთელი დამე სულეთის ბნელ სამყაროში უწევდა ყოფნა. ეს მითოლოგიური არქეტიპი საუკუნიდან საუკუნემდე კეპავდა მხატვრულ წარმოსახვას და ჩამავალი, სხივდამცხრალი მზე სიკვდილ-სიცოცხლის, ყოფნა-არყოფნის მარადიულ დილემაზე დაფიქრების მეტაფორად იქცა. გალაკტიონის „ქარი დაცხრა ინიობოქრის...“ თუ ანა კალანდამის „მკედართა მზე ვარ“ ამის მეტყველი ნიმუშებია.

XXI საუკუნეში ადამიანმა, ასტროფიზიკოსთა წყალობით, თითქმის ყველაფერი იცის მზეზე, მის პერიოდულ აქტიუობაზე, „ლაქებზე“, იცის ისიც, რომ მზე ერთ-ერთია უკიდურესად კოსმოსის მირიად მზეთა შორის... და მაინც, ჩვენთვის ერთადერთია ეს „კოსმიური ჩირაღდანი“ და განუმეორებელი – მისი მითოლოგიური ანარქელი...

# მზესუმზირა



ფერწერის მოყვარულთ მზესუმზირის ხსენებაზე ვან გოგის უკვდავი ტილოები ახსენდებოდნენ და, მართლაც, თუკი მზესუმზირაში არის ესოდენ ცხოველყოფილი ძალა და ყვავილად გარდასახული მზის ენერჯია, - ეს ფენომენი მთელი თავისი ხიბლით სწორედ ვან გოგის „მზესუმზირებში“ აისახა. სხვათა შორის, კიდევ უფრო ადრე, მზესუმზირა ფერწერაში დიდი ნიდერლანდელის - ვან დეიკის (1599-1641წწ.) ტილოზე აღბეჭდა: როდესაც მან თავის ავტოპორტრეტში მზესუმზირა ჩაახატა. თანამედროეთა თქმით, მხატვარს საკმაოდ პრაგმატული მიზნები ამოძრავებდა და მზესუმზირას უნდა მოენადირებინა „მზედ წოდებული“ ინგლისელი მეფის კარლ I-ის გული, რომელიც მზესუმზირის სიმბოლიკაში, ვან დეიკის ვარაუდით, თავის თავს ამოიხსნობდა.

როგორც ვიცით, მზესუმზირა იმ პელიოფიტ მცენარეებს განეკუთვნება, რომელთა ყვავილი მუდამეამ მზისკენაა მიმართული. ამიტომაც ითვლებოდა, რომ მზესუმზირა თავყანისცემას იმსახურებს, რადგან „შეუძლია მზეს თვალი გაუსწოროს“, აი, ჩინეთში კი მიიჩნეოდნენ, რომ მზესუმზირას სრული-

ად იშვიათი უნარი აქვს - ეშმაკეულ ძალთა განდევნისა...

## მთა

მთა - ესაა ვიზუალური გამოხატულება ადამიანის ზესწრაფვისა; მიწისა და ზეცის შერწყმის ადგილი, ღრუბლითა და ნისლით მოხილი იდუმალი „სუეტნი ცათანი“, სადაც დემურები ბინადრობენ, ღმერთობენ და საიდანბნდროდართად ამიანებს ამცნობენ თავიანთ ნებას...

მთის შთამბეჭდაობამ - სიმაღლემ, ფორმამ, რაც საერთო ჯამში, სიდიადის შეგრძობებას ბადებს, - წარმოშვა მთის სიმბოლიზმის მთელი სისტემა, რომელიც აერთიანებს ზეაწეულ სულიერებას, მაღლმოსილებას, შთაგონებას, სიძლიერეს... იგულისხმება, რომ არც ერთი ეს თვისება არ არის სტატიკური და საფეხურებრივად, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს წინ - მთად წოდებულ ცისკენ აღმართულ კიბეზე...

მთის საკრალურობას ორგვარი გამოხატულება აქონდა: ერთი შემთხვევაში, მასზე ფეხი არ უნდა შეეღვა უბრალო მოკვდავს; მეორე შემთხვევაში, მის მწვერვალზე ჯერ კერპები და სალოცავები იყო აღმართული (როგორც ჩვენთან მაგალითად, ზადენის ან არმაზის), შემდგომ კი - უკვე ეკლესია-



„დელამიწა, ვითარცა კრეკლად ოკანემო მკურავი მთა“ შუასაუკუნოვანი ქრისტიანული ცაიოგრაფია (მონიატურა სანას მთის მონასტერში დაცული „კოზმა ანდოკოლუსტის კოლექციონი“), XI ს.

### მონასტრები.

იშვიათთა ცივილიზაცია, რომელსაც არ აქონდეს თავისი „წმინდა მთა“. მთის სახისმეტყველებას განსაკუთრებით მდიდარი ბიოგრაფია აქვს ბიბლიაში: აქ მორიას მთა არის ღვთისმორჩილებისა და ღვთისმომიშობის ანუ შეწყალების უნივერსალური სიმბოლო (აბრაამმა სწორედ მორიას მთაზე აიყვანა ისაკი, რათა აღესრულებინა ღვთის ნება და შეეწირა მისთვის შვილი). მთაა უფლის გამოცხადების ნიშანდობლივი ადგილი - სწორედ „სუეტითა ღრუბლისათა“ ერენა მოხე ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ სინას მთაზე უფალი და ემცნო „საუფლის კანონი“; ასევეა სახარებაშიც - „მთასა აღვიდა“ იესო ქრისტე და იქადაგა (მათე. 5:6-7); მთავეა უფლის ფერისცვალების ანუ მისი ტრეშვარიტი მაღლმოსილების სიმბოლო - ამგვარია ათბორის მთა; დაბოლოს, გოლგოთა, რომელიც მაცხოვრის ჯვარცმის შემდეგ, იქცა სიკვდილის ძლევის მრავლისმეტყველ სახედ.

უძველეს კულტურათა უმეტესობაშიც მთა, „ბიბლიურ მთათა“ მსგავსად ან ღვთიური ნების გაცხადების ადგილია, ან - ღვთაებათა მთელი ქანთონის საუფლო, როგორც, მაგალითად, ოლიმპო; ზოგჯერ - მსოფლიო ხის ანალოგი და დელამიწის ცენტრის აღმნიშვნელი ვერტიკალი (მთა მერე ინდუიზმში; კინ-ლუნი ჩინეთში; ფუძიამა იაპონიაში; მითოლოგიური „თეთრი



ვან გოგი, ოთხი მოკრილი მზესუმზირა. 1887 წ. კრილერ-მულერის მუზეუმი, ოტერლო, პოლანდა



აკუსიკა ჰოკუსაი. „წითელი ფუძი“ (სეროიდან „ფუძის ოცდათექვსმეტი სელი“). 1823-1831 წწ.

მთა“ კელტებთან; „ზურმუხტის მთა“ საფა – მუსლიმანებთან და ა.შ.).

ზემოთ ნახსენები მთა მერე ინდუ-ისტურ იკონოგრაფიაში საფეხურებრივი პირამიდის მსგავსია – სწორედ ასე წარმოსახათ ძველ ინდოელებს კოსმიური სამყაროს იერარქია. მირნა ელია-დეს თქმით, „ეს მსოფლიო მთის მწვერვალი არა მხოლოდ უმაღლესი წერტილია დედამიწისა, არამედ მისი „ჭიპიც“ – სათავე ყოველივე არსებულისა“. თავის მხრივ, ამგვარმა წარმოდგენებმა კოსმურ, ლეთაბერებ მთაზე საკულტო არქიტექტურაშიც იჩინა თავი, რაზეც მეტყველებს დღემდე შემორჩენილი ხუროთმოძღვრების შედევრები (მაგალითად, ფარაონ ჯოსერის პირამიდა ეგვიპტეში, საფეხურებრივი ტაძრები მაიას ცივილიზაციაში, ბორობუდურის ტაძარი კუნძულ იავაზე და ა.შ. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში მთისა და კიბის სიმბოლიკა ერთმანეთს ერწყმის). დასავლურ ტრადიციაში მსგავსი „მთა-სიმბოლო“ გვხვდება ლეგენდაში გრაალის შესახებ (მონსალვატი – „ხსნის მთა“).

მთას რაღაც ზედროული, აბსოლუტური განზომილება შემოაქვს ადამიანის ცხოვრებაში: მთის მწვერვალიდან ნებისმიერი ფუსფუსი მის ძირში,

წერილმან ამოკვამად აღიქმება; ბუმბერაზი მთის შემყურე ადამიანს თავის უმწეობასა და სიპატარაის გრძნობა ეუფლება, ხოლო მის მწვერვალზე ასულს, – სიამაყისა და ყოვლისშემძლეობის... კიდევ ამიტომაცაა მთა, – დასაძლევე წინააღმდეგობის სახე-სიმბოლო: მითოლოგიასა და ფოლკლორში ზღაპრულმა გემირმა ხან ცხრა მთა უნდა გადალაზროს, ხან მიუვალ მთის მწვერვალზე აგებული კოშკიდან დაიხსნას მზეთუნახავი...

თუ მსატრულ ლიტერატურას მივუბრუნდებით, ვაჟა-ფშაველასა და ყაზბეგის თანამემამულენი, რაღა თქმა უნდა, გაჯერებულნი ვართ მთის სიმბოლოზობით. სწორედ მათ, „მთის შვილებმა“ დამკვიდრეს ქართულ ცნობიერებაში მთის, როგორც თავისუფლების სიმბოლოს ფენომენი. მათგან გამსხვავებით, ილიასთვის მთა ან დიდებული, მაგრამ უძრავი კოლოსია („მგზავრის წერილები“), ან ასევე შთაბეჭდავი დეკორაცია „აჩრდილისათვის“.

გალაკტიონთან ზუსტადაა ნაგრძნობი „შორი თეთრი მწვერვალის“ ის რაღაც მომწუსხველი, რომანტიული მაგნეტიზმი, ესოდენ რომ აფორიაქებს ჭაბუკის გულს:

... და ვკითხულობდი,  
კოცნებობდი.  
უმღერდი თუ ვსწერდი –  
ძღვედნენ. მეც ხდნენ,  
მიზიდავენ  
ის მწვერვალები...“

(„საუბარი ლარსის შესახებ“, 1940 წ.)

„ლიტერატურული მთისმეტყველება“ სრულიად წარმოუდგენელი თომას მანის „ჯადოსნური მთის“ გარეშე: ამ რომანის გმირი „ანს კასტორპი, შვეიცარიის მთებში, ფტიზიატრიულ კლინიკაში გამოძწყვედი, მოახლოებული სიკვდილის სუსხით თვალახელილი, აცნობიერებს ამ მთის ძირში დარჩენილთა ცხოვრების ამოუბასა და იმასაც, რომ იგი სწორედ აქ, მართალია ტრაგიკულ ფასად, მაგრამ მანც უზიარა სიცოცხლის რაღაც უმთავრეს საიდუმლოს...“

## მთვარა

ერთი ყველაზე პოეტური, ცვალებადი და მომწუსხველი სიმბოლო კაცობრიობის ისტორიაში, მზის მარადიული მეწყვილე და ფარული მეტოქე.

მთვარე განსაკუთრებით გაღმერთებული იყო ქალღეაში. აქ და ბაბილონში მთვარე ჩამქრალ მზედ ითევლებოდა, ხოლო თავად მზე კი – მის ენერჯითი აღსავსე შთამომავლად, ისლამამდელ არაბეთსა და დანარჩენ სემიტურ კულტურებშიც მთვარის თაყვანისცემა ასევე აღემატებოდა მზის კულტს (ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ეს ფენომენი ამ ქვეყნებში მზის დამორგუნველი მცხუნვარებით აიხსნებოდა).

ღამეულ ცაზე მთვარის ფაზების მონაცვლეობა ჩვენს შორეულ წინაპრებს უდრომელი კალენდრის მაგიერობას უწყევდა (რომელიც არაერთ ისლამურ ქვეყანაში დღემდეა ხმარებაში). ამასთანავე, ცხადი იყო უშუალო კავშირი მთვარის ფაზებსა და ბუნების ციკლურ ცხოვრებას შორის (იქნებოდა ეს ოკეანის მიქცევა-მოქცევა თუ ქალის ყოველთვიური ფიზიოლოგიუ-



მთხარე კრავიურა XV ს. დასასრული

რი ციკლი - ძველ ქართულად - „დე-დათა წესი“). იყო კიდევ ერთი, უფრო ფართო ასპექტიც: მთვარის დისკოს იერცხვლილებამ, სამღვინამ გაუჩინარებამ და შექმდგომამ გამოიწვია-გავსებამ მისი „კოსმობური პორტრეტი“ განუქრულად დაუკავშირა სიცოცხლის ყველა ძირითად ეტაპს: დაბადებას, ზრდას, სიმწიფეს, სიბერეს, სიკვდილსა და აღორძინებას. არაა გასაკვირი, რომ ასტრობიოლოგიურ ცნობიერებაში მთვარე წარმართავდა არა მხოლოდ ბუნების სასიცოცხლო რიტმს, არამედ ადამიანის ბედისწერასაც. მთვარის უჩინარ ფაზასთან უძველესი წარმოდგენებით ასოცირდებოდა სიკვდილი: „ზოგიერთ ტრადიციაში მთვარე იმ-ქვეყნიური ვზის მიმანიშნებელია, ანდა სულაც - „უცოდველ სულთა სავანე და ნუგეში“. ამ მითოლოგიურმა პლასტმა მირჩა ელიადეს ათქმევინა, რომ სწორედ „მთვარეა ადამიანის სიკვდილთან შემრიგებელი“.

მითოპოეტურმა აზროვნებამ ერთმანეთთან დააწყვილა სიყვარული და სიკვდილი, ხოლო მთვარის სიმბოლიკის მიღმიურმა ასპექტმა მის ციე ნათებას მომწესხველი, იღუმალი და მისტიკური ელფერი შესძინა და სამარადამოდ დაუკავშირა სასიყვარულო განცდის დრამატიზმს (საკმარისია, თუნდაც ვალაკტიონის „მთაწმინდის მთვარე“ გაევიხსენოთ). სიყვარულში, როგორც წესი, ირაციონალური, არაცნობიერი სა-

წყისი სჭარბობს; სიმბოლური აზროვნების მიდრეკილებამ ანალოგიებისადმი ეს ფსიქოლოგიური ფენომენიც გაითვალისწინა და მთვარე მოკვველინა, ვითარც ქალური, პასიური საწყისი, „განსახიერება არაცნობიერის წყვედიადისა, იმ შეცდომებისა, რომელნიც მზით გამოხატული ცნობიერების გამოჩნათებამდე იყო დაშვებული...“

მთვარის ზემოწამოთვლილი „თვი-სებები“ გადაინაწილეს იმ ქალღმერთე-

ბმა, რომელნიც მთვარესთან იყვნენ ასოცირებული: გეგოტურმა ისილამ, ბაბილოურმა იშთარმა, ფინიკიურმა ასტარტამ, ბერძნულ-რომაულმა სელენამ, პერამ, დიანა-არტემიდემ... ზოგიერთ კულტურაში მთვარე „მითოლოგიურ ასპარეზზე“ მზეს მეტოქეობასაც კი უწევდა და ცხოვრების აქტიურ საქეტრს განასახიერებდა. განსაკუთრებით ნიშანდობლივია ამ თვალსაზრისით მთვარის შუშერულ-სემიტური ყოვლისშემძლე ღვთაება სინი.

მთვარის ქალღმერთები ადამიანთა ბედ-ილბაღს განაგებდნენ და „ბედის ძაფს“ რთავდნენ. ამიტომაც, ზოგჯერ ისინი თავისი ქსელით გარშემორტყმულ ობობებად წარმოსახებოდნენ.

მითოლოგიურმა ცნობიერებამ მთვარეს არაერთი არსება თუ საგანი დაუკავშირა: ღათის ზამთრის ძილქუში მთვარის პერიოდული გაუჩინარების ასოციაცას იწყევდა; ასევე - ლოკოინა და კურომლებიც დროადლო იმალებიან თავიანთ „სახლებში“; ტენიანობის მოყვარული ბაყაყი; ღამით მონადირე კატა და მელა; მთვარისებურ რქებმორკალური ხარი და ძროხა... მეტალთაგან, რაღა



რუნე მკვრიტი. „ცარიელი ფურცელი“. 1967 წ.

თქმა უნდა, ვერცხლი, ხოლო საგანთაგან – სარკე, ნამგალი, თასი – ნახევარმთვარის „პლაგიატი“...

ნახევარმთვარემ ისტორიის გარკვეულ მონაკვეთზე მნიშვნელოვანი ადგილი მოიპოვა „სიმბოლოთა იერარქიაში“: ჩვეულებრივ, ის გამოისახებოდა მზარდი ნახევარმთვარის (ანუ მარცხნივ მიმართული) სახით, რომელიც სასიკეთო ნიშანი იყო თვისის დასაწყისისათვის; მარჯვნივ მიმართული ნახევარმთვარე – ბიზანტიის მფარველად მიჩნეული ქალღმერთ ქეკატეს ატრიბუტი, ამ ქვეყნის ემბლემად იქცა. ხშირად ნახევარმთვარეში ჩახატული იყო ვარსკვლავი – ქალღმერთ იშთარის ემბლემა. თურქების მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ (1453), მათ გაითავისეს ეს სიმბოლო, რომელიც ცოტა ხანში საზოგადოდ ისლამის სიმბოლოდ იქცა და განასახიერა ალაჰის ყოვლისშემძლეობა, აყვავება, წინსვლა და საბოლოო ჯაშში – სამოთხე ჯვაროსნული ომების პერიოდთან მიუკლებული, ნახევარმთვარე დაუპირისპირდა ჯვარს, როგორც ქრისტიანობის სიმბოლოს და მას შემდეგ, ეს „ემბლემატური მეტოქეობა“ მეტნაკლები სიმძაფრით, დღემდე გრძელდება (მუსლიმანთა, სამეარსთავის ტრადიციული ეს ემბლემა თურქეთის დროშის გარდა გვხვდება: საქისტანის, ტუნისის, ალჟირის, მავრიტანიისა და ლიბიის სახელმწიფო დროშებზე).

ამ გლობალური „დასაკუთრების“ მიუხედავად, ნახევარმთვარის იკონოგრაფიაში არის ქრისტიანული შრეც: რადგან ახალი მთვარის ვიწრო ნამგალი უმანკო ჩასახებასაც განასახიერებდა (გამოცხ. 12:1), ღვთისმშობლის ერთ-ერთ ატრიბუტად ნახევარმთვარეც მიიჩნევა.

ყურადღასა და „მთვარისეული ფსიქოლოგიის“ რამდენიმე შტრიხი – დაწყებული „მთვარეულობით“ და დამთავრებული ზემგრძნობიარე ფსიქიკური წყობის ადამიანების განწყობისა და მთვარის ფაზების ამჟამა ურთიერთკავშირით. ძველ რომში სჯეროდათ, რომ მთვარე ამჟამურებს ნებისმიერ ფსიქიკურ მოშლილობას, ანდა სულაც, შესაძ-



„ახალი ბაქის ოფორტი სერაიის „მინოტავროსა“ 1935 წ.“

ლოა, მისი გამომწვევიც გახდეს. ამ რწმენიდან გამომდინარე, დაბადებიდან ჭკუასუსტებს – „მთვარის შეილებს“ ებახდნენ (აქ, ერთგვარი ალუზია ჩნდება ოთარ იოსელიანის ფილმთან – „მთვარის ფაუორიტები“). რომლის პერსონაჟებიც, გარეშეთა თვალით, ეგზომ უცნაურად გამოიყურებიან).

ცნობილია, რომ გერენლანდიელი ესკიპოსები თავიანთ ქალებს უკრძალავდნენ მთვარის დიდხანს ყურებას, რათა მთვარის მცდურ ლილეის ისინი ენებიანი ფიქრების მორვეში არ ჩაერთონ. არავინ უწყის, რამდენად ეფექტური იყო ეს აკრძალვა... იმავე გერენლანდიაში, დღეს, უთუოდ, ტელევიზორს უფრო ხშირად უყურებენ, ვიდრე მთვარეს და აღბათ, ისიცა აქვთ ნანახი, თუ როგორ დასტირნობდნენ მთვარეზე მისი პირველი სტრუმები – ამერიკელი ასტრონავტები...

ტექნოკრატიულმა XX საუკუნემ თითქოს ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ღამის მნათობს თავისი რომანტიკული ხიბლი დაეკარგა, მაგრამ, მთვარისავე იღუმალი თვისებებით თუ აიხსნება, რომ ის მაინც ინარჩუნებს თავის გრძნეულ მომნუსხველობას...

## მიმოტავრი

„იდეა – სახლი იმგვარად აშენებელიყო, რომ ადამიანებს მისგან გამოსასული ვერ ეპოვათ, შესაძლოა, კიდრე უცნაურია, კიდრე ხარისთაკიანი ადამიანი, მაგრამ ორივე ეს გამონაგონი მშენიერად თანაარსებობს და წარმოსახული ლაბირინთი სრულ პარმონიაშია ასევე წარმოსახულ მინოტავროსთან. ისიც ბუნებრივია, რომ ამ შემზარავი სახლის ცენტრში მინოტავრი ბინდარობს“. ასე იწყებს მინოტავრის დახასიათებას ზორხე ლუსის ბორხესი.

ბერძნულ მითებში კრეტას მეფის – მინოსის ცოლმა პასიფამ მინოტავრი შობა თეორი ხარისაგან, რომელიც მას უგონოდ შეუყვარდა. ამ „ორიგინალური“ ზოოფილური რომანის იდეა ეკუთვნოდა ზღვართა მეუფეს – პოსიედონს, რომელმაც სამაგიერი მიუხლო მეფე მინოსს, რადგან ამ უკანასკნელმა დაინანა თეორი ხარი პოსიედონისათვის შესაწირად. „დაზარალებულმა“ მინოსმა ურჩხული, რომელიც ყველა სხვა „სიკეთესთან“ ერთად, კაციჭამიაც აღმოჩნდა, ლაბირინთში გადაძალა და მისი ყოველდღიური „არაციონისა-

თვის“ ათენელები აიძულა ხარკად უღამაზესი ქალ-ვაჟი შეეწირათ. მთელ ამ უკუღმართ ისტორიას წერტილი დაუსვა მეფისწულმა თეზევსმა, რომელმაც ურჩხულს თავი წააცალა და მინოსის წინდახედული ასულის - არიადნეს მიერ ნაჩუქარი მათვის მემკვიბით გამოადგინა ლაბირინთიდან.

თანამედროვე ფსიქოანალიტიკოსების მტკიცებით, ხარის თავი ადამიანის ტანზე განასახიერებს ცხოველური ინსტიქტების ზეობას და სულიერი საწყისის სრულ კედომას. აქ კვლავ ბორჩხის სიტყვები მოვიხმობთ: „კედლებზე ამოტვიფრული ფიგურებით თუ ვიმსჯელებთ, ხარისთავიან ადამიანთა ფიგურები ყოვლად ჩვეული რამ იყო კრეტას დემონოლოგიაში. საფიქრებელია, რომ ბერძნული ლეგენდა მინოტაურზე - ესაა უფრო გვიანდელი და უფრო სასტიკი ვერსია წინარე მითებისა და კიდევ უფრო მომწუსხავი სიზმრების ანარეკლი...“

## მირტი

მირტი (მურტი) კეთილსურნელოვანი მცენარეა - მარადმწვანე მირტის ხეივანები ამშვენებდნენ ისტორიულ იუდეასა და გალილევას. მირტის თვალუწვდენელი ხეივნებით იყო დაჩრდილული ანტიოქიის ხეობები. ამ ხის ბიბლიური სიმბოლიკა განპირობებული იყო მირტის კეთილსურნელებით, მუქი მწვანე და პრილა ფოთლებით: ყოველივე ეს ქრისტიანული ეკლესიის მაღლმოსილებას გამოხატავდა. ესააა წინასწარმეტყველი სწორედ ამ მცენარის ნარგავებს აიგივებს უფლის



დეთაებრივ ძალასთან (ეს. 55. 13) და ამბობს, რომ ჭინჭრის ნაცვლად მირტამ იხარაო.

მირტის ნაყოფი, რომელიც პატარა, მწვანური ფერის ბურთულაკებად ამშვენებს ტოტს, მარადიული სიყვარულისა და ქორწინების სიმბოლია. მსგავსი სიმბოლიკა აქვს ტოტსაც, ამიტომაც მირტი სიყვარულის ქალღმერთ აფროდიტეს (ვენერას) ეძღვნებოდა. ძველ რომში ტრადიციად იყო, რომ ქორწინლის დღეს სიძე მირტის ტოტით ყოფილიყო შემკობილი; ხოლო აღმოსავლეთში მირტის საქორწილო გვირგვინში ვარდები იყო ჩაწვნილი. ზოგიერთ ქვეყანაში ახლაც არსებობს ტრადიცია, ქალიშვილის გათხოვებისას სწორედ მირტის ნერგი დარგონ.

რადგან მირტი ძველ ბერძნულთან საკულტო ხედ ითვლებოდა, მირტის გვირგვინი გამარჯვებულთათვის იყო განკუთვნილი, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ეს იოლი გამარჯვება უნდა ყოფილიყო, გამსზავებით დაფინს გვირგვინსაგან, რომლითაც მნიშვნელოვანი გამარჯვება აღინიშნებოდა.

ჩინეთში მირტი წარმატების ემბლემაა. მირტის ფოთლებით ქალები ცდილობდნენ ამოეცნოთ, რამდენად ერთგულია მათი სატრფო (დაახლოებით ისე, როგორც ჩვენი დღემდე შემორჩენილი გვირილაზე მკითხაობით).

## მინა

სამყაროს „ფერწერული ტილო“, სიცოცხლის წარმოშობა-აღორძინების საყოველთაო სიმბოლო, ყოველივე სულდგამების ცხოვრების ასპარეზი, მიწა, ამასთანავე ერთ-ერთია სამყაროს ოთხ პირველემენტთაგან: ესაა ქალური საწყისი, მარადიული საშო, ყოვლისმშობი და ყოვლისმშთანთქმელი...

მითოლოგიურ ტრადიციათა უმეტესობაში (ევგვიპტურის გამოკლებით) დედა-მიწა დაწველებულია ცასთან, რომელიც მამაკაცურ საწყისს განასახიერებს. ცისა და მიწის „შუღლებ-

ას“ მითოლოგიაში მეტყველი „არგუმენტები“ ადასტურებენ - წვიმა, ელ-ჭექი, მეტეორიტები - ხე-ბუციით მოვნილი მაკენი“... სუნათვის რიტუალებშიც მიწა ქალად იყო აღქმული, ხოლო გუთასს აშკარად ფალიკური სიმბოლიკა გააჩნდა. XIX ს-ის ჩათვლით, ევროპის სამეფათმორქმებო რეგიონებში ჯერ კიდევ არსებობდა ტრადიცია - პირველი საგაზაფხულო კვალი ერთგვარ „საქორწილო სარეცელა“ წარმოსახულიყო. მიწა, როგორც ყოველივე არსებულის მშობელი, მითოლოგიაში „ღიღი დღის“ (ღიღი ქალღმერთის) იერსახით გვევლინება: იქნება ეს გეა, კიბეულ თუ დემეტრე.

სამყაროს „სამფენოვან“ ვერტიკალურ მოდელში (ზესკნელი-სკნელი-ქვესკნელი) მიწა შუალედური ელემენტია - ადამიანთა წარმოარის; პირიზონტალურ პროექციაში ის სამყაროს ცენტრია. „მსოფლიო ოკეანეთი“ გარშემორტყმული. ეს ცენტრი გრაფიკულად ზოგჯერ კვადრატის სახით გამოხატებოდა (მაგალითად, ჩინეთში), რომლის ოთხივე მხარეს სასწრაულებრივი ხეები იზრდებოდნენ: სხვა შემთხვევაში - ცენტრში აღმართული იყო „მსოფლიო ხე“ ან „მსოფლიო ღრბი“...


მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი შორეული წინამრების წარმოსახვაში მიწა ინერტულობასთან, პასიურობასთან, სიმძიმესთან და წყვდიადთან იყო ასოცირებული (რამდენადმე სიყვდილთანაც - „მიწა ხარ და მიწად იქვეც!“), საბოლოო ჯამში, მის სიმბოლოურ საექტრში მანერ მძლავრობს სიცოცხლის მამკვიდრებელი საწყისი. საკუთრივ ქტონური, იმქვენიური სამყაროსათვის კი ცალკე „სიმბოლოური რეკვიზიტი“ გამოიბეძნა (იხ. ჩვენი ენე. II ტომში სტატია „სიკვდილი“).

მიწას, გენბათე თიხას, რომლიდანაც შეიქმნა ადამი, თავისი ბიბლიური სიმბოლიკა აქვს, ვითარცა „კვარცხლებს ღმერთის ფერხთა“ და მარადისობის ხილულ ფენომენს: „თაობა მიდის, თაობა მოდის, ეს ქვეყანა კი უცვლელია უკუნისამდე“ (ეკლ. 1:4).

მიხაკი

არცთუ შორეულ წარსულში, ჩვენში, მიხაკი ფაქტობრივად ყველა ყვავილს ენაცვლებოდა. არსებობდა ლეგენდა, რომ მიხაკი პირველად ქრისტეს შობისას გაიშალა. ეს ყვავილი სიყვარულის, ნიშნობისა და ქორწინების სიმბოლო იყო; ამიტომაც საქორწინო ცერემონიებში წითელი მიხაკი აუცილებელ ატრიბუტად ითვლებოდა. ვარდისფერი მიხაკი - ღვთისმშობლის სიმბოლო, საზოგადოდ, ღვთობრივ სიყვარულს განასახიერებდა; თეორი პლატონური სიყვარულის ნიშანი გახლდათ; წითელი - გრძნობადი, ზორციელი სიყვარულის, ხოლო ყვითელი - უარყოფისა და უგულველყოფის.

ამ, ყოფილი მინიშნებებისაგან განსხვავებულია რელიგიური სახისმეტყველება წითელი მიხაკისა. რომელშიც სიმბოლიზირებული იყო ენებანი უფლისა. სწორედ ამგვარი სიმბოლიკა აქვს მიხაკს აქ წარმოდგენილ ილუსტრაციაში მაცხოვრის საფლავად დადების ფერწერულ ტილოზე, რომელიც აღორძინების დროინდელ უცნობ ფრანგ მხატვარს ეკუთვნის.



„მაცხოვრის საფლავად დადება“. უცნობი ფრანგი მხატვარი. XVI ს. ერმიტაჟი, სანკტ-პეტერსბურგი (ზევით; დეტალი ამ ნამუშევრიდან)

მონი



„მონი“ ჩვენთვის უცხო და ეგზოტიკური ტრადიციის ნიმუშია; იაპონიაში კი, მონის სამშობლოში, ეს პატარა, საგვარეულო ნიშა-

ნი წარსულსა თუ თანამედროვე ცხოვრების განუყოფელი ატრიბუტი გახლავთ.

მონს იაპონურ გერბსაც უწოდებენ. მაგრამ მონი გერბი არ არის. რადგან ის არავის არ ენიჭება და არც არავინ არ ამტკიცებს ამ ემბლემატურ გამოსახულებას. ტრადიციით დაკანონებულია, რომ მონი უნდა წარმოადგენდეს წრეს 4 სმ. დიამეტრით, შიგ ჩახატული მკაფიო შავ-თეთრი (ძალზე იშვიათად ფერადი) სტილიზებული გამოსახულებით. როგორც წესი, ეს მცენარეული დეკორია. აქვე აღენიშნაო, რომ იაპონიის იმპერატორის მონი - თექვსმეტფურცლიანი ყვითელი კრიზანთემა, იმავდროულად ქვეყნის გერბიც არის.

მონი XII საუკუნეში წარმოიშვა, როგორც არისტოკრატის საკუთრების აღმნიშვნელი ნიშანი (რადაც დამლისმაგვარი ფუნქციით). XIV საუკუნიდან ამ ნიშნის ტარების უფლება მიეკით სამურაებს. სამხედრო არისტოკრატისა. შემდგომ ეს პრივილეგია გავრცელდა მთელ თავადაზნაურობაზე; XVII საუკუნიდან - შეძლებულ იაპონელზე; ხოლო 1868 წლიდან, „მეიძის რევოლუციის“ („მეიძი“ - „განათლებული მმართველობა“ იმპერატორ მუცუჰიტოს დევიზი იყო) შემდეგ, უკვე ყველა იაპონელს შეეძლო ჰქონოდა საოჯახო მონი. იგი შთამომავლობით გადადიოდა უფროს ვაჟიშვილზე, დანარჩენები კი თავისი გემოვნებისადა მიხედვით ირრველნენ სიმბოლოებს. თუმცა, როგორც წესი, ერთი ოჯახის წევრები ცდილობდნენ საგვარეულო მონის ვარიაციები შეექმნათ. მონი, ჩვეულებრივ, ამოჭარგული იყო კიმონოს ზურგსა და სახელოებზე.



Handwritten Japanese calligraphy, likely the artist's signature or a title, written vertically on the right side of the illustration.


ტორიი კიემასუ. ნაკაპურა სენია ტოკონაცუს როლში, 1716 წ.

საინტერესოა, რომ კორწილში, და-კრძალვასა და ხარაკირის დროს იაპონელი ვერ შეიმოსებოდა მონმოქარგული კომნოთი - ამას ტრადიკოცა კრძალავდა.

გერბისაგან განსხვავებით, მონს არა აქვს არანაირი სოციალური დატვირთვა და მისი ესთეტიკური ღირებულება მხოლოდ და მხოლოდ მისი შემქმნელის წარმოსახვასა და ოსტატობაზე არის დამოკიდებული (აღსანიშნავია, რომ მონის შექმნის პროცესი შესანიშნავად აღწერა დიდმა გერმანელმა მწერალმა პერმან ჰესემ (1877-1962) რომანში „თამაში რიოშის მარგალიტებით“). დღესაც, წრემი ჩახატული ეს პატარა სტილიზებული ემბლემა თითოეული იაპონელის პიროვნულ ღირსებასა და სავაერულო ფასეულობებს განასახიერებს და მეტყველი ნიმუშია იმისა, თუ როგორ შეუძლია სიმბოლოს წარუშლელი კვალი დაამჩნიოს ერის ესთეტიკას. ცხოვრების წესსა და მსოფლშეგრძნებას.

## მორიელი

მორიელთან (მისი ასტრალური ორეულია „ღრიანკალი“) ლიტერატურულ-სიმბოლური ნაცნობობა ჩვენში სულხან-საბას არაკით - „კუ და მორიელის“ იწვევა. მორიელის სიმბოლიკა კულტურათა უმეტესობაში ამ პატარა, თუმცადა შხამიანი და არცთუ უწყინარი არსების „ხზე-ჩეულებას“ ითვალისწინებს: ძველ ბერძნულ მითოლოგიაში პოსეიდონის ვაჟის ორიონისაგან განაწყნებულმა არტემიდემ შურისძიების იარაღად მორიელი გამოიყენა. ზევსმა მსხვერპლიც და „ჯალათიც“ ზეცაზე „დააბნია“, მაგრამ იმგვარად, რომ ღრიანკალის თანავარსკვლავედის გამოჩენისას, ორიონი თითქოს გაუგონის მას და პორიზონტს ეფარება. ამ „დამამძიმებელ გარემოებათა“ მიუხედავად, მორიელის სიმბოლურ მნიშვნელობათა „დოსიემი“ პოზიტიური ჩანაწერებიც არის: ასე მაგალითად, ძველ ეგვიპტურ მითო-



ჯოვანი ბოტი. „ჯვარცმა“, 1440-1450 წწ. სტერკომის სამხატვრო გალერეა, უნგრეთი (მორიელი მხედრის მოსახაზზე - მისი იუდეველური მიმანშეგლია)

ლოგიაში შვიდი უზარმაზარი მორიელი თავისებური „კორტევი“ იყო ქალღმერთ ისიდასი, როდესაც ის ოსირისის მკვლელის - სეტისაგან გარბოდა. მორიელი ორსახოვანი ბუნებითაა წარმოდგენილი ეგვიპტურ მითოლოგიაში: დაეიწყუთი იქიდან, რომ ფარაონამდელი ეგვიპტის მეფეს სახელად

სწორედ „მორიელი“ („სელეკ“) ერქვა, ხოლო ამ სახელის მდებარეობითი ფორმა - „სელეკეტი“ კი - ქალღმერთს, რომელიც ერთდროულად მფარველობდა ექიმებსაც და მათ განსვენებულ პაციენტებსაც. შესაძლოა, ამ სიმბოლიკას საფუძვლად დაედო ის უძველესი პრაქტიკა, რომლის თანა-

ხმადაც, მორიელის ნაკებნს მორიელი-სავე ზეთით მკურნალობენ; ამითვე აიხსნება, რომ უძველეს კულტურებში მორიელის გამოსახულება (გველის მსგავსად) თილისმად გამოიყენებოდა.

ქრისტიანულმა სიმბოლიკამ აიტაცა ბიბლიური წარმოდგენა მორიელზე, როგორც დემონურ არსებაზე; შუასაუკუნოვან ხელოვნებაში მორიელი განასახიერებს ღალატს, სიძულვილს, შურსა და სასიკვდილო საფრთხეს. იმავე შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელ შეუწყნარებლობისა და სისასტიკიდან გამომდინარე, ყველა ზემოწამოთვლილი თვისება ებრაელებს მიაწერეს და, რაღა თქმა უნდა, მორიელი აქციეს ამ დევნილი ერის სიმბოლოდ.

მორიელის შუღაბული „რეპუტაცია“ უძველეს აღმოსავლურ ხელოვნებაშიც აისახა: ერთ-ერთ, არქეოლოგების მიერ ნაპოვნ, კერამიკულ ჭურჭელზე აღბეჭდილია კომპოზიცია, რომელშიც გაშლილთმიანი ქალების ფერხულს, თავის მხრივ, მორიელები ჰყავს შემოჯარული, მეცნიერთა აზრით, ეს ქალები თავად დემონები არიან, ხოლო მორიელები - მათი ამაღა.

ვინაიდან სიღრმისეული მიზეზების გამო, საზოგადოებას პერიოდულად მოიცავს ხოლმე ხან ესქატოლოგიური, ხან კი „დემონოლოგიური“ მანია, ნამდვილად არ გვირდა, ვისმეს ჰქონდეს მორიელების მისტიკური შიში. ისე, მორიელებით დასახლებულ მიდამოში თუ მოვიწვეთ სეირნობა, ყოველი შემთხვევისათვის, ჯიბეში ლეღვი ჩაიდეთ, რადგან დავით ბაგრატიონის „თადიგარ დაუღის“ რეკომენდაციით, ლეღვი მორიელის ნაკებნის „შხაშხა გააქარებს და უშველის“.

ლოდ. მასში ხედავდნენ ზეციურ მაცნეს, ერთგვარ „ეურიერს“ აღამიანებსა და უფალს შორის.

ანტიკური ავტორები ამ სიმბოლურ ფრინველს უპირისპირებდნენ არწივსა და ყვავს (პორაციუსი, მარციალი, იუვენალი). განსხვავებული სურათი მხოლოდ პომპროსთანაა: აქ მტრედი სიმხდალისა და უკუქცევის სიმბოლოა. მაგრამ, იმავე ანტიკური ტრადიციით, მტრედი აფროდიტეს საკულტო ფრინველად ითვლებოდა და ტაძრებში აფროდიტეს ჭურუში მტრედს

მათი ქალღმერთის სატრფოს - აღონისის და მისი ვაჟის ეროსის სახელს უკავშირებდნენ. ასეთვე ჭურუში ქალები, ილონდ უკვე დოდონას მუნხარში წინასწარმეტყველებდნენ მათი მფარველი ღეთაების საკულტო ფრინველის „ფრთაწერით“. მტრედის სიმბოლიკა საფუძვლად დაედო დოდონეს სალოცავის დაარსებას, ისევე, როგორც იუპიტერ-ამონის ტაძრისათვის რაზისში, ეგვიპტეში. სხვათა შორის, აქ მტრედი პირველად გამოიყენეს, როგორც მაცნე, ილონდ ამჯერად, უკვე



ხან ჟურნალზე და ნავარტე, მესახელად „მუნჯი“: „წმინდა ოჯახი“ (1526-1579 წწ.) რუმინეთის ხელოვნების მუზეუმი, ბუქარესტი.

მტრადი



მტრედი უძველესი დროიდან ითვლებოდა ღეთაებრევი სიწმინდისა და უმანკობის სიმბო-

ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით (ისე, პრეტენზია – საფოსტო მტრედის სა-მშობლიო – ჩინეთსაც აქვს).

ძველი რომაელები – რომანტიზმს მოკლებული ეპიკურელები – ყოველგვარი საკრალური მოწიწების გა-



მტრედა, ვითარც სულიწმინდის სიმბოლო

რეშე მიირთმევენდნენ შემწვარ მტრედს. თუმცადა, ფორმალურად ფრინველი ევენერას მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა. ამ მფარველობამ ის შედეგი გამოიღო, რომ მტრედის კვერცხებს ერთი-ერთი სტიმულატორის თვისებები მიეწერა და საფიქრებელია, ამ „მენიუმ“ პაემანის წინ არა ერთ წარჩინებულ რომაელს ჩაუშხამა გუნება-განწყობა. საყვარელ ქალს იმ ეპოქაშიც მიმართავდნენ „ჩემო მტრედო“. თუმცადა „მტრედად“ ნათლავდნენ იმ „ცულებს“ „გონებისაც“, რომელნიც დღეს „ღამის პეპლებად“ იწოდებიან. ორი მოღუღუნე, ერთმანეთის მოალერზე მტრედი იმთავითვე სასიყვარულო წვეთს განსახიერებდა, ხოლო ამ ფრინველის სიღამაზე ქალის მშვენიერებასთან იყო ასოცირებული.

ეს ესთეტიკა განსაკუთრებით მკაფიოდ ქებათა-ქებაში გამოიხატა: „შენ, ჩემო მტრედო, შეხიზნული ხეობის კლდეთა შორის! მიჩვენე პირი შენი, მასმინე ხმა შენი! რადგან ტკიბილია ხმა შენი და პირი შენი – მშვენიერი“ (ქება. 2:14). კიდევ უფრო არქაულ პლასტში ბიბლიისა ჩვენ ვხედავთ საყოველთაო წარღვნის ფაშს ნუეს კილობანთან ნის-სარტში ზეთისხილის რტოთი მობრუნებულ მტრედს, რომელიც გვაუწყებს, რომ ადამიანთა მოდგმაზე გარდმოვლენილ ღვთის წყრომას მაღლი შეენაცვლა და წარღვნის საშიშროება კაცობრიობას მეორედ მოსვლამდე აღარ ელ-

ის. ეს ბიბლიური სცენა საფუძვლად და-ელო მტრედის საყოველთაო სიმბოლიკას და ღვთისაგან გამორჩეული ფრინველი მშველობის უცვლელ სიმბოლოდ აქცია. მტრედის სახისმეტყველებაში ცალკე უნდა გამოიყოს ქრისტიანული ტრადიცია, სადაც სულიწმინდის გამოცხადებას იესო ქრისტეს ნათლისღების ფაშს. სწორედ მტრედი განსახიერებს (მათე. 3:16): შვიდი მტრედი – ესაა „შვიდი ნიჭი სულიწმინდისა“ (ანუ 1. შიში ღვთისა; 2. ღვთის მსახურება; 3. ძლიერება; 4. ზრახვა; 5. მეცნიერება; 6. გულისხმიერება; 7. სიბრძნე); ხოლო თორმეტი მტრედი თორმეტი მოციქულის სიმბოლო გახლავთ. განსაკუთრებული შარკანდელითაა მოხილი მტრედი ქართული მითიანეთის მითოლოგიაში: მითოლეტში მისი ბიუდ აღიქმება, როგორც ზეგარდმო მიწისშენა ელვისის ასაშენებელ ადგილზე (ზეგარდის წმ. გიორგი); ხეცსურეთში – ხან „ღვთისშვილი“ იღებს მტრედის სახეს, ხან – გუდანის ჯვარი; თასზე გამოსახული მტრედი კი მაინისშენს, რომ ეს თასი წმინდა საგანია და მხოლოდ საკულტო მსახურებისას უნდა იხმარონ.

ძალზე საინტერესოდ წარმოჩნდა მტრედის სიმბოლიკა ჩეჩენთა და ინგუშთა ეპოქაში: აქ „ქვიდანსობილი“ და „ფოლადისტანიანი“ ნარტების წინამძღოლი სახელად სესკა სოლსა, მარცხდება განრისხებულ ღვთაებებთან ბრძოლისას და სასჯელად იძულებულია დადნარი სპილენძი დალიოს. იგი უცებ არ კვდება და ერთადერთი არსება, რომელიც მას შეიბრალებს – გარეული მტრედაა. სწორედ მტრედი მოუტანს მომაკედავს ნისკარტით წვეთ წყალს. მაღლიერების ნიშნად, სესკა სოლსა მტრედს კისერზე ოქროს ძეწკვს შეაბამს და მას შემდეგაა, გარეულ მტრედებს ყელს ოქროსფერი ზოლი რომ უმშვენიებთ...

საფლავის ქვათა სიმბოლიკაში მტრედი იყო აღეგორია უმანკო სულისა, რომელიც ზეცად აღველინება, იქ სიცოცხლის ხეზე დამკვიდრდება და უკვდავების წყალს ეწაფება...

ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში

მტრედები საზოგადოების განსაკუთრებული მფარველობით სარგებლობდნენ და ამ ფრინველის მოკვლა – ცოცხლად და უგვან საქციელად ითვლებოდა. ეს ტრადიცია დღესაც მძლავრობს, ევროპისა და ამერიკის უმეტეს ქვეყნებში. თუმცადა, გულწრფელად უნდა ითქვას, ისტორიული ქალაქების ცენტრში მომრავლებული მტრედები არცთუ მშველიობიან ხასიათზე აყენებენ ამ ქალაქების მესვეურთ.

### მუხა



მუხა სხვა ხეებს შორის გამოირჩევა განსაკუთრებული სიმბოლიკური დიაპაზონით. მისი მერქანის სიმტკიცის გამო მუხა თავიდანვე ითვლებოდა შეუდრეკელობის და უკვდავების სიმბოლოდ. ჩვენს დრომდე მოაღწია რწმენამ, რომ მუხა ელვას იზიდავს. არ არის გასაკვირი, რომ მითოლოგიურ პანთეონში მუხა მეხთმტყორცნილი ზეესის (იუპიტერის) საკულტო ხე იყო. სწორედ საკრალურ მუხათა ფოთლების შრიალში უნდა ამოეცნო დოდონას სალოცავის ქურუმს ზეესის ღვთაებრივი ნება. მუხის ტოტემისაგან დაწნული გვირგვინი იყო რომაელ მმართველთა ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი (მუხის ფო-



ვიტ სტეკომი. ორნამენტი მუხის ტოტემისაგან. კრაკოვის ტაძარი



სტილიზებული რკო დავით აღმაშენებლის სამეფო სამოსზე. გელათის მონასტრის მონასტრობის ფრაგმენტი. XVI ს.

თოლი დღემდე გამოიყენება სამხედრო ემბლემატიკაში).

მუხა, როგორც „ტყის მეფე“, გამორჩეულად ადგილს იკავებდა დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის წარმართულ წარმოსახვაში: კელტებთან, გერმანულ და სკანდინავიურ ტომებთან, სლავებთან. ქრისტიანობადელ ინგლისში უამრავი მუხის კორომი იყო, რომელშიც წარმართი ქურუმები - დრუიდები მუხის საკულტო მისტერიებს მართავდნენ. აქვე დასძენენ, რომ სხვა გამოჩეულ ხეთა მსგავსად, მუხაც „სწოფლო ღერს“ განასახიერებს.

ანტიკური ეპოქის მითოლოგიაში მუხა ძირითადად მამაკაცურ საწყისს წარმოადგენს (რკო მთელ ქრისტიანობადელ ევროპაში სექს-სიმბოლოდ ითვლებოდა და კაცები კისრზე ატარებდნენ აუგაროზად). მაგრამ მუხის სიმბოლიკა ღმერთობებზეც ვრცელდებოდა (კიბლე, იუნონა) და მშენიერი ნეაღები სწორედ მუხის დეოთეანი იყვნენ.

წარმართულ საქართველოშიც, სხვა უძველესი ცივილიზაციების მსგავსად, მუხა საკულტო ხედ იყო მიჩნეული და სიცოცხლის ხედ ითვლებოდა. სწორედ ამიტომ, ამავე „სვეტი ცხოვლის“ მუხისაგან შექმნილა, არ უნდა იყოს შემთხვევითი. ქრისტიანობადელ საქართველოში არსებობდა წმინდა მუხნარები, რომელთა ადგილას აღმართეს შემდგომში ტაძრები. მუხის „მამაკაცი ზნისა და ძალის“ წარმართულმა სიმბოლიკამ თავისებური გამოძახილი ჰპოვა ქრისტიანობაში და თითქმის ყველა წმინდა ხე ჩვენში წმინდა გიორგის სახელით მოინათლა (ეს ფენომენი ენობრივი თვალსაზრისით, განხილული აქვს ნიკო მარს, რომლის აზრით, სვანური და მეგრული სახელწოდება წმ. გიორგისა წარმოადგენს წარმართული კულტის ტერმინს, სახელდობრ მუხას).

აქ უნდა ითქვას ისიც, რომ ამ დიდებულ ხეს ქართულ პოეზიაშიც ჰყავდა თავისი „ქურუმები“: ერთ-ერთი მათგანი გახლდათ ვაჟა-ფშაველას უმცროსი მძაპანა, რომლის ლექსს „მუხას“ ვაჟა სიამოვნებით უკითხავდა ხოლმე მშენებელთ...

**მღვიმე**

არსებობენ სიმბოლოები, რომლებიც კაცობრიობის ისტორიის ყველა ეტაპზე თითქმის უცვლელად ინარჩუნებენ თავის არსს. ასეთია მღვიმე. გამოქვაბული, საღაცე, შეიძლება ითქვას, ადამიანმა აიღვა ფეხი და რომლის მაგიური ზემოქმედება მღვიმის მრავალსიმეტრიულ სიმბოლიკაში აისახა. თუ მთა, უძველესი მითოლოგიური წარმოდგენებით, სამყაროს ვერტიკალური პროექციის მოედნად წარმოსახვდა, ამ მთის ძირში უხილავი ხელით გამოთხრობილი მღვიმე აღიქმებოდა დედა-მისის წიაღში შესაღწევად ზღურბლად: სწორედ აქ, ორი სამყაროს მიჯნაზე, ეცხადებოდნენ ადამიანთ მფარველი ღვთაებანი და სულები: აქ იყო დაუწყებელი ენოთერიული ცოდნა; აქ იყო ადგილი ინიციაციისა და ხელმეორედ შობის. ამიტომაც, მღვიმეს სრულიად გარკვეულად გააჩნდა ქალური საწყისი, მთის მამაკაცური საწყისისაგან განსხვავებით. შესაბამისად, მისი გრაფიკული სიმბოლო ამოტრიალებული სამკუთხედიანია. მთის კლასიკური სამკუთხედში ჩახატული, მღვიმეები ხშირად ქცეულა მითოლოგიური გმირებისა და ღვთაებათა დაბადების ადგილად: აქ ბინადრობდნენ წინასწარმეტყველნი და განდევნილნი...

მითებსა და ზღაპრებში ხშირია ამგვარი არქეტიპი გმირმა – უნდა დაამარცხოლოს ურჩხული, რათა გამოქვაბულში შეაღწიოს. ერთ შემთხვევაში, ამ გამოქვაბულში დატყვევებული მზეთუნახავია, მეორეში – განძი (ეს არქეტიპი „ეფესზის ტყაოსანში“ გვხვდება). სიმბოლური მნიშვნელობა აქ თვით გამოქვაბულში შეღწევას აქვს: ესაა ინიციაციის აქტი – ახალი საფეხურის დაძლევა; ორი სამყაროს მიჯნის გადალახვა... იმ მისტიკურმა განწყობამ, რომელსაც გამოქვაბულის დაგმანული სივრცე ბადებს, ათასეული წლების წინ წარმოშვა იდეა კლდეში ნაკვეთი საკულტო არქიტექტურისა: ამის კლასიკური ნიმუშებია ეგვიპტეში აბუ-სიმბელის ტაძარი, იორდანიაში – ჰეტრასი, ინდოეთში –


აჯანტისა; პერსეპოლისი – ირანში... იმეთიად შთამბეჭდავია კასადოკის მღვიმეები და ჩვენი ვარძია, რაღა თქმა უნდა. საგულისხმოა, რომ ქრისტიანულ ეკონოგრაფიაში „ბეთლემის ბაგა“ მეტწილად სწორედ მღვიმეშია ჩახატული. ასევე მღვიმეში ჰქონდა გამოცხადება იოანე ღვთისმეტყველს კუნძულ პატმოსზე.

მღვიმეებს და კატაკომბებს აფარებდნენ თავს რომის იმპერიაში დევნილი პირველქრისტიანები. ამ მღვიმეთა კედლებს შემორჩა მხოლოდ განსობლობათვის განკუთვნილი სიმბოლოებისა და პირობითი ნიშნების მთელი წყება. აქ იკრიბებოდნენ პირველმორწინენი სალოცავად. აქვე მარხავდნენ თავიანთ მიცვალებულებს... (რაც უკვე ქრისტიანულ რომში აიკრძალა საგანგებო დეკრეტით V საუკუნეში).

ძველევგვიპტური წარმოდგენებით, ნილოსი სათავეს იღებდა სწორედ მთის გამოქვაბულში; მღვიმეში არიან შო-

ბილნი ინკების სამეფო დინასტიის ლეგენდარული დამაარსებელნი... (ასევეა აცტეკების მითოლოგიაშიც). მითრანების საკულტო რიტუალში საკარლური მნიშვნელობა ენიჭებოდა მღვიმეს, რომლიდანაც წყარო გადმოდიდებოდა.

მღვიმეს აქვს აშკარად გამოკვეთილი ფსიქოლოგიური ასპექტიც: პლატონისათვის გამოქვაბული – ესაა ერთგვარი მეტაფორა თავის ქალისა. იგი მიიჩნევდა, რომ გამოქვაბულში მომწყვდეული ადამიანის გონება აღიქვამს მხოლოდ ილუზიებს. ანარკლს იმ რეალური სამყაროსი, რომლის წვდომაც შეუძლია მხოლოდ წარმოსახვასა და სულიერ ზესწრაფვას. კარლ იუნგთან გამოქვაბული განასახიერებს საიდუმლოს და ქვეცნობიერი სამყაროს შეუღწევადობას. რაღვან მღვიმე დედის წიაღის არქეტიპია...



ურბია. ალ. როინაშვილის ფოტო (დაახლ. 1870 წ.)

„პერალდიკური კუთხეები“

- გვ. 22  ორთავიანი პერალდიკური არწივი
- გვ. 30  ბადე – გუსტავ ღორე. იგავების წიგნის გრაფიკული თავსართი
- გვ. 35  ბასილისკო. ქ. ნიურნბერგი, 1510 წ. (გერმანია)
- გვ. 38  ბაყაყი ქ. ბალოცის გერბში (ლატვია)
- გვ. 39  პერალდიკური ბეჭედი
- გვ. 40  ბორბალი მინცის არქივებისკოპოსის გერბში (გერმანია)
- გვ. 42  ბორჯღალი ქართული სახლის დედაბოძე (ჩანახატი ნინო ბრაილაშვილის ეთნოგრაფიული ალბომიდან)
- გვ. 44  პერალდიკური ბროწეული
- გვ. 45  „ბრძენი ბუ“, ვითარც ქალღმერთ ათენას ატრიბუტი. ძველბერძნული ემბლემა
- გვ. 47  პერალდიკური გასაღები
- გვ. 48  გელი ამორძალების მითიური დედოფლის – პენტსილევას გერბზე („ოქროს ვერძის“ ორდენის შუასაუკუნოვანი ნუსხის მიხედვით)
- გვ. 49  გემი – XIV ს. გრავიურა, გამოყენებული გერმანული თანავსადგურო ქალაქის – შტრალზუნდის ოფიციალურ ბეჭედში
- გვ. 51  პერალდიკური გველი
- გვ. 54  პერალდიკური გრიფონი
- გვ. 57  დათვი – გრაფ უორვიკების ტრადიციული იმპრესა ანუ სამკერდე ნიშანი
- გვ. 58  ღაფნის გვირგვინის ემბლემატური გამოსახულება
- გვ. 59  პერალდიკური დელფინი
- გვ. 59  პერალდიკური გველეშაპი
- გვ. 62  საქართველოს სახელმწიფო დროშა
- გვ. 64  ეკლის გვირგვინის ემბლემატური გამოსახულება
- გვ. 68  ვაზის ემბლემატური გამოსახულება
- გვ. 70  ინგლისური პერალდიკის ორი ვარდი: თეთრი – იორკების, ზოლო ალისფერი – ლანკასტერების დინასტიის ემბლემა

- გვ. 73  პერალდიკური ვარსკვი
- გვ. 73  პერალდიკური ვაშლის ხე
- გვ. 78  ვირთხის კუდი, როგორც აფორიაქების სიმბოლო. ილუსტრაცია ფრანც პოჩის საბავშვო წიგნიდან 1846წ.
- გვ. 78  ბუდისტური ზარის ემბლემატური გამოსახულება
- გვ. 86  თევზი. ვითარც მაცხოვრის სიმბოლო
- გვ. 88  თოლია. ფირმა „ლიკურუტის“ ემბლემა (იაპონია)
- გვ. 94  ირემი. ნორვეგიის ერთ-ერთი სამხედრო ქვედანაყოფის ემბლემა
- გვ. 97  კადუკეუსის ემბლემატური გამოსახულება
- გვ. 99  პერალდიკური კარიბჭე
- გვ. 105  „უსასრულო კვანძის“ ემბლემატურმა გამოსახულებამ დეკორატიული ელემენტის მნიშვნელობა შეიძინა და ფართოდ გავრცელდა
- გვ. 110  საიერიშე კიბე, ჩახატული უელსის ერთ-ერთი წარჩინებული გვარის გერბში
- გვ. 113  კოშკი და დრაკონი შუასაუკუნოვან გერბში
- გვ. 114  კრავის გამოსახულება. ამოტიფურული კლიუნის სააბატოს გასაღებზე (საფრანგეთი)
- გვ. 117  ეს სამი კურდღელი, ვითარც სამების ემბლემა (ისევე, როგორც სამი გადაჭდობილი თევზი) ხშირად გამოისახებოდა შუასაუკუნოვანი ტაძრების ვიტრაჟებზე
- გვ. 125  ერთ-ერთი პერალდიკურ ლომთაგან
- გვ. 127  ლოტოსის ემბლემატური გამოსახულება
- გვ. 133  „მანდრაგორი, ვითარც მამაკაცი“. ნახატი რ. შეფერის წიგნიდან – „ჯანმთელობის წალკოტი“, 1485 წ.
- გვ. 137  მგელი გერმანულ პერალდიკაში
- გვ. 141  მერცხალი – გუსტავ ღორე. გრაფიკული თავსართი იკავთა წიგნისათვის
- გვ. 151  მსახიობ ნაკამურა სენიას მონი. 1716 წ. იაპონია
- გვ. 153  „მშვიდობის მტრედის“ ემბლემატური გამოსახულება
- გვ. 154  რკოს ემბლემატური გამოსახულება

გემოვალბათა განმარტება

ბიზლიის ციხირაბისა მიღებული შაჭრალბანი

- ახ. წ-ით - ახალი წელთაღრიცხვით
- დაახლ. - დაახლოებით
- დასასრ. - დასასრული
- დასაწყ. - დასაწყისი
- ენც. - ენციკლოპედია
- იხ. - იხილეთ
- ნახ. - ნახევარი
- ტ. - ტომი
- ჩვ. - ჩვენი
- ჩვ. წ-ით - ჩვენი წელთაღრიცხვით
- ჩვ. წ-მდე - ჩვენს წელთაღრიცხვამდე
- ძვ. წ-ით - ძველი წელთაღრიცხვით
- წმ. - წმინდა

- დაბ. - დაბადება
- გამ. - წიგნი გამოსულათა
- ლევ. - ლევიანნი
- რიცხ. - რიცხენი
- მსაჯ. - მსაჯულნი
- ფს. - ფსალმუნნი
- ეკლ. - ეკლესიასტე
- ქებ. - ქებათა-ქება სოლომონისა
- ეს. - ესაია წინასწარმეტყველი
- იერ. - იერემია წინასწარმეტყველი
- ეზეკ. - ეზეკიელ წინასწარმეტყველი
- დან. - დანიელ წინასწარმეტყველი
- მათე - მათეს სახარება
- მარკ. - მარკოზის სახარება
- ლუკა - ლუკას სახარება
- იოანე - იოანეს სახარება
- გამოცხ. - გამოცხადება იოანე ღვთისმეტყველისა

**ზაზა ავაჩიანიძე, ძეთიანან ელაშვილი**  
**სიგბოლოთა ილუსტრირეპული**  
**ენციკლოპედია**  
**(ტომი პირველი)**  
**შეორე გამოცემა**

კონსულტანტი – პროფ. ზურაბ კიკნაძე

რედაქტორი – რუსუღან გონიძე

შატერული რედაქტორი – ბონდო მაცაბერიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა – ია მასათაძე, ღმეან გეგლარაშვილი, თამარ პიგვილი

**გამომცემლობა – ბაკმი**  
**საქართველო, თბილისი 2011წ.**  
**E-mail: bakmipublishing@gmail.com**